

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ისრაელის ცენტრი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Center for Israel Studies

**კულტურის ისტორიისა და  
თეორიის საკითხები**

**XXXIV**

**ISSUES OF HISTORY AND  
THEORY OF CULTURE**

**XXXIV**



**კულტურის ისტორიისა და  
თეორიის საკითხები**

**XXXIV**

**Ivane Javakishvili Tbilisi State University  
Center for Israel Studies**

**ISSUES OF HISTORY AND  
THEORY OF CULTURE**

**XXXIV**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ისრაელის ცენტრი

# კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები

XXXIV



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**რედაქტორი** – მარიაკა მშვილდაძე, თსუ პროფესორი,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**Editor** – Marika Mshvildadze Doctor of  
Historical Sciences, Professor

**სარედაქციო კოლეგია:** მარიაკა მშვილდაძე (რედაქტორი), გ. ბათიაშვილი, მ. ბოთერაშვილი (ისრაელი), მ. ბუცხრიკიძე, ე. გეგეშიძე, ნ. გელაშვილი, მ. დათუკიშვილი, რ. დოლიძე, ი. ზაბახიძე, ზ. კვიციანი, ქ. ლორთქიფანიძე, ი. ოფირი (ისრაელი), გ. პაატაშვილი, მ. რუსიეშვილი-კარტლეჯი, მ. ჩაჩიბაია, დ. ყოლბაია (პოლონეთი), გ. ყუფარაძე.

**Editooral Board:** M. Mshvildadze (Editor), G. Batiashvili, M. Boterashvili (Israel), M. Buskhrikidze, M. Chachibaia, E. Gegeshidze, N. Gelashvili, M. Datukishvili, R. Dolidze, D. Kolbaia (Poland), Z. Kvitsiani, G. Kuparadze, K. Lortkipanidze, I. Offir (Israel), G. Paatashvili, M. Rusieshvili-Cartlege, I. Zabakhidze.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2020

ISSN 1512-0694

# შინაარსი

## CONTENTS

### **რევავ პაპუაშვილი, ლერი ჯიბლაძე**

კოლხური ნამოსახლარების, სამაროვნების და დიუნური  
სადგომების ურთიერთმიმართების საკითხისათვის ..... 11

### **Revaz Papuashvili, Leri Jibladze**

To the Interrelation Problem of Colchis Dwellings,  
Graveyards and Dune Dwellings ..... 36

### **ნინო ოთხვანი**

მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის ტექნოლოგიური  
ნიშან-თვისებები, მათი ტიპოლოგიისა და დანიშნულების  
განმსაზღვრელი ფაქტორი ..... 38

### **Nino Otkhvani**

The Technological Characteristics of Kura-Araxes Pottery,  
The Factor Determining Their Typology and Function ..... 48

### **მარია მშვილდაძე**

რომი და ინდოეთი დიდი აბრეშუმის გზის კონტექსტში ..... 50

### **Marika Mshvildadze**

Rome and India Within the Context of the Great Silk Road ..... 56

### **ნანა კაპანაძე**

ადრეული შუა საუკუნეების მშვილდსაკინძები ზემო  
იმერეთიდან ..... 59

### **Nana Kapanadze**

Early medieval fibulae from Kvirila Gorge ..... 64

## **ხატია ცეხლაძე**

კალანდობა და მისი სამზადისის ელემენტები  
გურიის საზოგადოების მაგალითზე ..... 68

## **Khatia Tsetskhladze**

“Kalanda” – New Year’s Day and the elements of  
its preparation: the case of Guria society ..... 73

## **ელენე გეგეშიძე**

ქუთაისის ქართველ ებრაელთა თემი XIX საუკუნეში ..... 74

## **Elene Gegeshidze**

Georgian-Jewish community of Kutaisi in XIX century ..... 84

## **მერაბ კალანდაძე**

დიმიტრი უზნაძე რუსეთის იმპერატორ  
ალექსანდრე პირველზე ..... 85

## **Merab Kalandadze**

Dimitri Uznadze on Russian Emperor Alexander I ..... 95

## **ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე**

ზოგიერთ ლექსიკურ-სემანტიკურ ცვლილებათა შესახებ  
თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში ..... 97

## **Tsiuri Akhvlediani, George Kufaradze**

About certain lexical-semantic changes  
in modern French and English Languages ..... 103

## **ხათუნა თუმანიშვილი**

ანდაზური მეტაფორის სპეციფიკისათვის  
(სირიულდიალექტური არაბული და  
ქართული მასალის მაგალითზე) ..... 104

<b>Khatuna Tumanishvili</b> On the Specificity of Proverbial Metaphor (On the Example of Syriac-dialect Arabic and Georgian Material) .....	116
<b>ლალი გულედანი, ოლესია ზალიაშვილი</b> ბრენდის სახელწოდების ნომინაციისა და თარგმნის პრობლემატიკა(ქართული, ებრაული, ინგლისური და რუსული ენების მიხედვით) .....	118
<b>Lali Guledani, Olesya Zaliashvili</b> Problems of Nomination and Translation of a Brand Name (In Georgian, Hebrew, English and Russian) .....	141
<b>მანანა ბანძელაძე, დარეჯან ჩხიროძე</b> ზნეობის საფუძვლები იუდაიზმში .....	142
<b>Manana Bandzeladze, DarejanChkhirodze</b> Moral Origins in Judaism .....	147
<b>უჩა ოქროპირიძე</b> პარალელური აზრები: იოანე ზოსიმეს საიდუმლო ამოხსნილია .....	148
<b>Ucha Okropiridze</b> The Mystery of John Zosimus has been Solved .....	154
<b>ავთანდილ ნიკოლეიშვილი</b> გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“ და ორჰან ფამუქის „თოვლი“ (მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებანი) .....	156



**Avtandil Nikoleishvili**

Grigol Robakidze's "The murdered soul" and  
"Snow" by Orhan Pamuk (Ideology interrelationship) ..... 179

**ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე**

იცხაკ დავიდი – ქართველი ერის სიამაყე ..... 181

**ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე**

Ицхак Давид – Гордость грузинского еврейства ..... 194

**იაკობ ოფირი**

გამორჩენილი ქართველი ებრაელები ილიკო ეფრემაშვილი . 196

**Jacob Ofir**

Iliko Epremashvili ..... 206

**ბახსენება**

**ლუბა ნათლიაშვილი**

მიმქრალი? ო, არა! – მხოლოდ კაშკაშა  
უკვდავების შარავანდედი!!! ჭადრაკში  
მსოფლიოს პირველი ჩემპიონის ვილჰელმ  
სტეინიცის გარდაცვალებიდან 120 წლისთავის გამო ..... 208

**Luba Natliashvili**

Flickering? Oh no! – Only the glitter of immortal the crown!!!  
On the 120th anniversary of the death of world  
champion In chess Wilhelm Steinitz ..... 219

## ასალი ნიშნი

**გურამ პაატაშვილი**

აზრთა კრებული „მაესტროს აზრთა სამყარო“ ..... 222

**Guram Paataashvili**

The World of Maestro's Ideas ..... 266



**რევაზ პაპუაშვილი  
ლარი ჯიბლაძე**

**კოლხური ნამოსახლარების,  
სამაროვნების და დიუნური სადგომების  
ურთიერთმიმართების საკითხისათვის**

ნამოსახლარები, სამაროვნები და დიუნური სადგომები გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის არქეოლოგიურ ძეგლთა ძირითად კატეგორიებს განეკუთვნებიან. უკანასკნელ ხანებამდე კოლხეთის დაბლობზე არქეოლოგიური ძეგლები უმთავრესად ნამოსახლარებითა და შემთხვევით აღმოჩენილი განძებით იყო ცნობილი. ნამოსახლარებზე მოპოვებული ნივთიერი მასალა თიხის ნაწარმით, განძებში მოპოვებული კი ბრინჯაოს ინვენტარით იყო წარმოდგენილი. ეს გარემოება ართულებდა ამ ორი კატეგორიის ძეგლთა მთლიანობაში აღქმას და მათი ურთიერთკავშირის დაზუსტებას. ხსენებული მიზეზების გამო წარსულის სურათი მოცემული ეპოქისა და რეგიონისათვის ფრაგმენტულად იყო წარმოდგენილი.

XX ს. 60-იანი წლების შემდგომ პერიოდში კოლხეთის დაბლობზე დიუნური სადგომების კვლევამ და ახალი სამაროვნების აღმოჩენამ, შექმნა გარკვეული საფუძველი სხვადასხვა კატეგორიის ძეგლთა ურთიერთმიმართებისა და არქეოლოგიური ფონის უფრო სრულყოფილად წარმოდგენისათვის. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 40-იან წლებში აკადემიკოსმა ბ. კუფტინმა ანაკლიის დიხაგუძუბაზე და ქვალონის ნაოხვამუზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებზე დაყრდნობითა და ნივთიერი მასალის შესწავლის საფუძველზე, რელატიური და აბსოლუტური ქრონოლოგიის თვალსაზრისით მოახერხა იმ დროს არსებული ძეგლების დიფინიცია. შემდგომში ცალკეული შეხედულებები და დებულებები რამდენადმე დაკონკრეტდა და შეივსო.

დღეს, როდესაც კოლხეთის დაბლობზე უკვე ცნობილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის რამდენიმე სამაროვანი, ჩა-

მოყალიბებულია გარკვეული თვალსაზრისი მათი აგებულები-სა და ქრონოლოგიის შესახებ, აქტუალობას იძენს პრობლემა სამაროვნებისა და ნამოსახლარების ურთიერთობის საკითხის განხილვისათვის. ამ საკითხის დაყენებისათვის კარგი ფონი მოგვცა უკანასკნელ ხანებში გათხრილმა ყულევის ვრცელმა ნამოსახლარმა. აქ, ნამოსახლარისათვის დამახასიათებელ მრავალრიცხოვან მონაპოვარ თიხის ნაწარმთან ერთად უჩვეულოდ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ლითონის ინვენტარიც, რაც ადრე ძირითადად სამაროვნებიდან და განძებიდან იყო ცნობილი (ლითონის ნაწარმის აღმოჩენა, თავის დროზე, ნაოხვამუსა და დაბლაგომის წინარეანტიკური ხანის ფენებში დიდი მნიშვნელობისა იყო, მაგრამ ისინი მაინც ერთეულ შემთხვევებს წარმოადგენდნენ). ყულევის ნამოსახლარის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენებში მოპოვებული არტეფაქტები განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს ურეკის, ერგეტისა და დღვების სამაროვნების კონკრეტული ჯგუფის სამარხ-ორმოებში გამოვლენილ მასალასთან. აღნიშნულ ძეგლებზე მოპოვებული იდენტური არტეფაქტების ერთიანობაში განხილვა ამ ეტაპზე და შემდგომ მათი დაკავშირება ამავე ეპოქის დიუნურ სადგომებზე ცნობილ ნივთიერ მასალასთან გვაძლევს შედარებით ნათელ სურათს კოლხეთის დაბლობის უძველესი მოსახლეობის გაცილებით სრულყოფილი შესწავლისათვის, ვიდრე მათ აღმოჩენამდე იყო შესაძლებელი.

ამრიგად, ძირითადი ძეგლი, რომელიც, ერთი მხრივ, სამაროვნებს, მეორე მხრივ კი, დიუნურ სადგომებს უკავშირდება, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ყულევის ნამოსახლარია. ყულევში კლასიკური, ელინისტური, გვიანანტიკური, ადრე, შუა და გვიანი შუასაუკუნეების ხანის ძეგლებიცაა აღმოჩენილი და ნაწილობრივ შესწავლილი, მაგრამ ისინი მოცემულ თემას არ უკავშირდებიან და მათზე ყურადღებას არ გავამახვილებთ.

ნამოსახლარების და სამაროვნების ურთიერთმიმართების საკითხს განვიხილავთ ყულევის ნამოსახლარის, ასევე ჩოლოქ-ოჩხომურის ხერთვისში მდებარე ნამოსახლარებისა (ჩოლოქის-

პირა ნამოსახლარი) და ერგეტის სამაროვნების ურთიერთკავშირის ფონზე [15; 7.317-321]; ნამოსახლარებისა და დიუნური სადგომების ურთიერთმიმართებას კი ყულევის ნამოსახლარისა და დიუნური სადგომების მიხედვით. სამაროვნებისა და დიუნური სადგომების ურთიერთობა შედარებით ნათლად ვლინდება ურეკის სამაროვანისა და იქვე მდებარე დიუნურ სადგომებზე მოპოვებულ მასალაში.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ კატეგორიის ძეგლთა ურთიერთმიმართება კარგად მჟღავნდება ყულევის ნამოსახლარისა და ერგეტის სამაროვნების გარკვეულ სამარხ-ორმოებში მოპოვებული ნივთიერი მასალის ურთიერთშედარებისას. მანამდე კი მოკლედ წარმოვადგენთ ყულევის ნამოსახლარისა და ერგეტის სამაროვნების ძირითად მახასიათებელ ელემენტებს.

**ნამოსახლარებისა და სამაროვნების ურთიერთმიმართებისათვის, ყულევის ნამოსახლარი.** ეს ძეგლი მდებარეობს მდ. ხობის შესართავთან, მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 200 მ. დაშორებით. ის წარმოადგენს ხელოვნურ ბორცვს, რომლის ყველაზე მაღალი ნიშნული ზღვის დონიდან 1,6 მ-ია, ხოლო ფართობი 2,5 ჰა-ს აჭარბებს. ბორცვს დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ხელოვნური (ამჟამად ქაობად ქცეული) არხი შემოსდევს, სამხრეთიდან კი მდ. ხობი ჩაუდის.

არქეოლოგიური თვალსაზრისით, ნამოსახლარი ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ XX საუკუნის 40-იან წლებში მოექცა. ამ ხანებში ნინო ხოშტარიამ აქ სადაზვერვო-საძიებო სამუშაოები ჩაატარა. 1972-1973 წლებში ყულევაში საკონტროლო თხრილები გაავლო კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფ. თ. მიქელაძე). ფართომასშტაბიანი სამუშაოები კი 2000 წ. ანარმაო არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი რ. პაპუაშვილი), რომელმაც შემდგომში მცირე მასშტაბის სამუშაოები (2001, 2005, 2010 წწ.) განახორციელა. არქეოლოგიური სამუშაოების აუცილებლობა განპირობებული იყო ნამოსახლარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტე-

ბის გადასატვირთი ტერმინალის მშენებლობით. ძეგლზე ოთხი კულტურული ფენა დაფიქსირდა [8]:

I – ზედა ფენა (XIX საუკუნე) საპორტო ქალაქ რედუტკა-ლესდროინდელი შენობა-ნაგებობების საძირკვლების ნაშთებითა და შესაბამისი ინვენტარით იყო წარმოდგენილი.

II – ბორცვის მთელ პერიმეტრზე გავრცელებული ფენა (ძვ. წ. I ათასწლეულის I მეოთხედი) წარმოდგენილი იყო ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობების ნანგრევებით, თიხის, ბრინჯაოს, რკინის ნანარმითა და მძივსამკაულით. ამავე ფენის ზედა შრეებში გვხვდება: წინარეანტიკური, ადრეანტიკური, ელინისტური და გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ცალკეული ნივთები.

III – ბორცვის ცენტრალურ ნაწილში ლოკალიზებული ფენა (ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრული – ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი) წარმოდგენილი იყო ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობების ნაშთებითა და თიხის ნანარმით.

IV ფენა – ბორცვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში ლოკალიზებული (ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევარი) წარმოდგენილი იყო ძელური ნაგებობების ფრაგმენტებით და თიხის ნანარმით.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ყულევის ნამოსახლარის II კულტურული ფენა, საიდანაც მომდინარე რიგი არტეფაქტი მჭიდროდ უკავშირდება ერგეტისა და დღვაბის სამაროვნების ზოგიერთ სამარხში აღმოჩენილ ნივთიერ მასალას, როგორცაა: თიხის ჭურჭლის გარკვეული ნაწილი (ტოლჩები, სასმისები, ჯამები) და განსაკუთრებით ბრინჯაოს ნანარმი (ცულები, სატევრები, თოხები, დანები, სატევრისპირისებური და სფეროსებური საკიდები, აბზინდები, ჩქიფები, სამაჯურები და სხვა).

**ერგეტის სამაროვნები:** 1978 წლიდან ზუგდიდის რაიონის სოფელ ერგეტაში აღმოჩენილია და ისწავლება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ოთხი სამაროვანი, რომლებიც ორი ძირითადი ნაწილით-საკულტო მოედნითა და კოლექტიური სამარხი-ორმოებით არიან წარმოდგენილნი.

კოლექტიურ სამარხ-ორმოებში აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის ნაწარმის რაოდენობრივი და ფორმოობრივი ურთიერთმიმართების შესწავლის შედეგად გამოიყო ხუთი ქრონოლოგიური ჯგუფი [6. 43-57].

I ჯგუფი (გვიანი ბრინჯაოს ხანა). ერგეტის I სამაროვნის 1, 3, 8, ერგეტის III სამაროვნის 3 და ერგეტის IV სამაროვნის 3, 5 სამარხი-ორმოები. ამ ჯგუფის სამარხებში მცირე რაოდენობით გვხვდება ლითონის ინვენტარი და მძივსამკაული. არ არის რკინა.

II ჯგუფი (რკინის ათვისების საწყისი საფეხური). ერგეტის I სამაროვნის 2, ერგეტის III სამაროვნის 2, ერგეტის IV სამაროვნის 2 და დღვაბის სამაროვნის 1 სამარხი-ორმოები. აქ მოპოვებული ლითონის ინვენტარი ძირითადად ბრინჯაოსგანაა დამზადებული, იშვიათია რკინა. გვხვდება ვერცხლისა და ოქროს ნივთებიც. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ერთგვაროვანი მძივსამკაული.

III ჯგუფი (რკინის ათვისების I საფეხური). ერგეტის 1 სამაროვნის 5, ერგეტის II სამაროვნის 4 და ურეკის სამაროვნის 3 სამარხი-ორმოები. აქ მოპოვებულ ლითონის ნაწარმში თანაარსებობენ ერთი და იმავე ფორმის ბრინჯაოსა და რკინის სატევრები, ბრინჯაოსა და რკინის სამკაულის ზოგიერთი სახეობა, ცულები, თოხები და ბრინჯაოსგან დამზადებული სეგმენტისებრი იარაღი. გვხვდება ვერცხლის, კალის, ტყვიის, ოქროს სამკაული, ბევრია თიხის ნაწარმი, მრავალფეროვანია მძივსამკაული.

IV ჯგუფი (რკინის ათვისების II საფეხური). ერგეტის I სამაროვნის 6, ერგეტის III სამაროვნის 4, ერგეტის IV სამაროვნის 1 და დღვაბის 2 სამარხი-ორმოები. დამახასიათებელია: რკინის სატევრები, რკინისა და ბრინჯაოს ცულების, თოხების, სეგმენტისებრი იარაღისა და სამკაულის ზოგიერთი სახეობის თანაარსებობა. გვხვდება ვერცხლის, კალის, ტყვიისა და ოქროს სამკაული. ბევრია თიხის ნაწარმი, მრავალფეროვანია მძივსამკაული.

V ჯგუფი (რკინის ხანა). ერგეტის III სამაროვნის 1 და ნიგვზიანის 12 სამარხი-ორმოები. საბრძოლო და სამეურნეო იარაღების



აბსოლუტური უმრავლესობა რკინისგანაა დამზადებული. გვხვდება ბრინჯაოს, რკინის, კალის, ოქროს, ვერცხლის სამკაული. არის თიხის ნაწარმი, შედარებით მცირეა მძივსამკაული.

თუ თვალს გადავაყვებით ყულევის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ლითონის ინვენტარს შევნიშნავთ, რომ ისინი აშკარა მსგავსებას ავლენენ II ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხეულ ინვენტართან. ეს გარემოება, ვფიქრობთ, გვაძლევს გარკვეულ საფუძველს, რომ ყულევის ნამოსახლარის II კულტურული ფენა და რკინის ათვისების სანყისი საფეხურით განსაზღვრული სამარხები სინქრონულ ძეგლებად მივიჩნიოთ.

უფრო რთულია აღნიშნული სამარხეული კომპლექსებისა და, საერთოდ, ამ ჯგუფის ძეგლების თარიღის განსაზღვრა აბსოლუტური ქრონოლოგიის თვალსაზრისით. ნიგვზიანის, ურეკის, ერგეტის I-IV და დღვაბის სამაროვნებზე ნივთიერი მასალის განსაზღვრული კატეგორიებით გამოყოფილია ისეთი სამარხი-ორმოები, რომლებიც ერთიანდებიან გარკვეულ ქრონოლოგიურ ჯგუფებად.

ყველაზე გვიანდელად V ჯგუფი იქნა მიჩნეული, სადაც ორი – ნიგვზიანის 12 და ერგეტის 1 სამარხი-ორმოებია გაერთიანებული. ამ ჯუფის სამარხებში მრავალრიცხოვანი სამეურნეო და საბრძოლო იარაღის აბსოლუტური უმრავლესობა რკინისაგანაა დამზადებული. ბრინჯაოს ინდუსტრიის გავლენა რკინის ნივთების ფორმალურ-ტიპოლოგიურ მახასიათებლებში არ შეინიშნება. ორივე სამარხშია აღმოჩენილი სკვითური ტიპის აკინაკები. ნიგვზიანის აღნიშნულ სამარხში გამოვლინდა სკვითური ტიპის სამფრთიანი ისრისპირები, მასრაზე დეზით. როგორც აკინაკების, ასევე ამ ტიპის ისრისპირების თარიღად, მრავალრიცხოვანი ანალოგიების საფუძველზე ძვ.წ. VII საუკუნის დასასრული და ძვ.წ. VI საუკუნის დასაწყისია მიჩნეული [14.31-42]. ამ ძეგლების ამგვარ დათარიღებას არც აქ აღმოჩენილი თიხის ნაწარმის ფორმოზორივი მახასიათებლები უშლის ხელს. ორივე სამარხში მოპოვებულია კოლხეთში ფართოდ გავრცელებული ყურმილიანი ხელალები, რომელთა უადრესი ნიმუშები ძვ.წ. VIII საუკუნეში იჩენენ თავს და ფართოდ ვრცელ-

დებიან ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში. იგივე შეიძლება ითქვას ძირ-  
წვეტიან ძაბრისებრ სასმისებზეც.

უფრო ადრეულია IV ქრონოლოგიური ჯგუფი, სადაც ერგე-  
ტის I სამაროვნის 6, ერგეტის III სამაროვნის 4, ერგეტის IV სამა-  
როვნის 1 და დღვაბის სამაროვნის 2 სამარხი-ორმოებია გაერ-  
თიანებული. ამ სამარხებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია  
დიდი რაოდენობით საბრძოლო იარაღის, განსაკუთრებით კი  
რკინის სატევრების არსებობა, თანაარსებობა ბრინჯაოსა და  
რკინის სეგმენტისებრი იარაღისა. ამავე დროს რკინის ცულები,  
თოხები და სეგმენტისებრი იარაღი ფორმალური თვალსაზრი-  
სით დაკავშირებულია ბრინჯაოს პროტოტიპებთან, რასაც ვერ  
ვიტყვიტ რკინის სატევართა უმრავლესობაზე. ამ ჯგუფის სა-  
მარხებში გვხვდენა რკინის სახნისებიც. მრავალრიცხოვან და  
მრავალფეროვან მძივსამკაულში ჭარბობს დიდი ზომის კარგად  
ნაპრიალები სარდიონისა და ანალოგიური ფორმის და ზომის  
გიშრის მძივები. ზოგადად, სამარხეულ კომპლექსთა ეს ჯგუფი  
სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება.

აბსოლუტური ქრონოლოგიის თვალსაზრისით ამ ჯგუფის  
სამარხებში ყურადღებას იქცევს ისეთი ნივთების აღმოჩენის  
ფაქტები, როგორებიცაა რკინისაგან დამზადებული დიდი ზო-  
მის მოხრილი, ე.წ. ურარტული დანები, ბრინჯაოს ორფრთიანი  
სკვითური ტიპის ისრისპირები და აკინაკისებრი სატევრები.

დიდი ზომის მოხრილი, ე.წ. ურარტული დანების გავრცე-  
ლების თარიღად ძვ. წ. VII საუკუნე, უფრო ზუსტად კი მისი შუა  
ხანები და II ნახევარია მიჩნეული [1. 368-374]. უპირატესად ამა-  
ვე ხანითაა განსაზღვრული კოლხეთში, კერძოდ კი მუხურჩის  
სამაროვანზე აღმოჩენილი ურარტული ფიბულა [13.56]. მუ-  
ხურჩის სამაროვნის ქვედა დასაკრძალავ მოედანზე გამოვლე-  
ნილი ინვენტარი [20.28-38] ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალ-  
საზრისით შეესაბამება ამ ჯგუფის აღნიშნულ სამარხებში მო-  
პოვებულ ნივთიერ მასალას. ორფრთიანი ისრისპირების (სკვი-  
თური) უმრავლესობა დაკავშირებულია ჟაბოტინოს ჯგუფის  
ძეგლებთან, კელერმესის ადრეულ ყორღანებთან და მათ თა-  
ნადროულ ძეგლებთან. მათი გავრცელების ძირითად თარიღად

ძვ. წ. VIII ს-ის II ნახევარი და ძვ. წ. VII საუკუნეა მიჩნეული [19; 23.86-107]. ამ ჯგუფის სამარხებში აღმოჩნდა აგრეთვე აკინაკისებრი სატევრები, რომლებიც მხოლოდ ვადის მიხედვით უკავშირდებიან ე.წ. თირკმლისებურვადიან აკინაკებს. თუმცა, ბრტყელი სატარე ნაწილით ისინი არ გვანან სკვითურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ აკინაკად წოდებულ იარაღს. გარკვეული თვალსაზრისით ის ამგვარი იარაღის ერთგვარ პროტოტიპად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამ ჯგუფის სამარხების თიხის ნაწარმი და მოგვიანო V ჯგუფის სამარხებში მოპოვებული კერამიკა თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა, ამ ჯგუფის სამარხებში მოპოვებული ერთი და იმავე კატეგორიის ნივთიერი მასალის რაოდენობრივი და ფორმალურ-ტიპოლოგიური ანალიზი მათ მიჯნავს ერთმანეთისაგან. ეს მომენტი კი ქრონოლოგიური სხვაობით აიხსნება. დიდად არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ IV ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხების გამართვა ძვ.წ. VII საუკუნეში უნდა მომხდარიყო.

IV ქრონოლოგიურ ჯგუფზე ადრინდელია III ქრონოლოგიური ჯგუფი, რომელშიც ურეკის 3, ერგეტის I სამაროვნის 5 და ერგეტის II სამაროვნის 4 კოლექტიური სამარხი-ორმოებია გაერთიანებული. IV ჯგუფის მსგავსად ამ სამარხებშიც მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინვენტარია აღმოჩენილი. IV ქრონოლოგიური ჯგუფისგან განსხვავებით კი ამ სამარხებში ვერ ვხედავთ რკინის ცულებს (გამონაკლისია ერგეტის II სამაროვნის 4 სამარხ-ორმოში მოპოვებული ცული), თოხებს, სემენტებს, სახნისებს, აკინაკებს, ურარტული ტიპის დიდი ზომის მოხრილ დანებს. რკინის სატევრები ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით დაკავშირებულნი არიან ბრინჯაოს ანალოგიურ იარაღთან. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ იგრძნობა არა რკინის დეფიციტი (როგორც ჩანს რკინა უკვე უხვად აქვთ), არამედ რკინის დამუშავების ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობა, რის მონობადაც მიგვაჩნია ის გარემოება, რომ დიდი რაოდენობის რკინის სატევრებისა, ასევე უხვად მოპოვებული მარტივი ფორმის რკინის სამკაულის გვერდით ვერ ვხე-

დავთ ისეთ რთულ ნივთებს, როგორცაა სატარეხვრელიანი რკინის ცული, თოხი ან სახნისი, ე.წ. არტიფაქტებს, რომელთა დამზადებას სპეციალური სამარჯავი ხელსაწყოები და რკინის ჭედვისა და წრთობის სათანადო ცოდნა და გამოცდილება ესაჭიროებათ. ისინი ფართოდაა გავრცელებული ძვ.წ. VII საუკუნის ძეგლებზე.

საინტერესოა II ქრონოლოგიურ ჯგუფი, სადაც ხსენებულ სამარხებთან ერთად ყულევის ნამოსახლარის II ფენაც ერთიანდება. იგი აშკარად არქაულად გამოიყურება, ვიდრე ზემოთ განხილული აბსოლუტური ქრონოლოგიის თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად განსაზღვრული III-V ჯგუფების კოლექტიური სამარხი-ორმოები.

II ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხებში რკინა ჯერ კიდევ იშვიათი ლითონია. პროცენტული შეფარდება ბრინჯაოსთან ერთი ათთან და ზოგჯერ უფრო ნაკლებიცაა.

თიხის ნაწარმში ვერ ვხვდებით III-V ქრონოლოგიური ჯგუფებისათვის დამახასიათებელ ყურმილიან ხელაღებსა (ერთი, დღვების სამაროვნის 1 სამარხი-ორმოს გარდა) და ძაბრისებრი ფორმის ძირწვეტიან სასმისებს. შემკულობაში არ გვხვდება ნაკანრი ხაზებით შესრულებული გეომეტრიზირებული ორნამენტები. შედარებით მცირე რაოდენობითაა აბზინდები, ფიბულები, გრავირებული ბრტყელი სამაჯურები, დიდი ზომის შედარებით კარგად ნაპრიალები სარდიონის მძივები, არ დასტურდება გიშერი. მართალია, აღნიშნული განასხვავებს II და III ქრონოლოგიურ ჯგუფებს ერთმანეთისაგან, მაგრამ არის ზოგი გარემოება, რაც აახლოებს მათ ერთმანეთთან. ორივე ჯგუფში მოპოვებული ბრინჯაოსა და რკინის სატევრები ერთი და იგივე ფორმალურ-ტიპოლოგიური ნიშნებით ხასიათდებიან. განსხვავება რაოდენობრივ თანაფარდობაშია. ერთნაირი ცულები, ბრინჯაოს ხატისუღლები, სეგმენტისებრი იარაღი, არსებითად ერთგვაროვანია სატევრისპირისებრი ფორმის საკიდები, მტაცებელი ცხოველის თავის სკულპტურული გამოსახულებით, ფაიანსისა და პასტის რთული გეომეტრიული ფორმებისა და ინუსტრირებული მძივების გარკვეული ნაწილი და სხვა.

აღნიშნული მეტყველებს, რომ ამ ორი ჯგუფის სამარხებს შორის ქრონოლოგიური წყვეტილი არ უნდა ვივარაუდოთ და შედარებით ახალი, რამდენადმე ძველის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს.

თუ ჩვენს მიერ განსაზღვრული თარიღი ძვ.წ. VIII საუკუნის I ნახევრი და ძვ.წ. VII საუკუნის I ნახევარი III ქრონოლოგიური ჯგუფისთვის მისაღებია, მაშინ II ქრონოლოგიური ჯგუფისა და შესაბამისად ყულევის ნამოსახლარის II კულტურული ფენის თარიღიც მისი წინარე ხანით ძვ.წ. VIII საუკუნის I ნახევრით, ან უფრო ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის I მეოთხედით უნდა განისაზღვროს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ყულევის ნამოსახლარის II კულტურულ ფენაში მოპოვებული ზოგიერთი ნივთი ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით სრულიად მსგავსია ისეთი არტეფაქტებისა, რომლებიც დამახასიათებელ ელემენტებს წარმოადგენენ როგორც სამაროვნებზე გამოყოფილი III ქრონოლოგიური ჯგუფისათვის, ასევე III და IV ქრონოლოგიური ჯგუფებისათვისაც. მათი თარიღები, როგორც უკვე ითქვა, ძვ.წ. VIII ს. II ნახევრითა და ძვ.წ. VII ს. განისაზღვრება. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ყულევის ნამოსახლარის II კულტურული ფენა ძვ.წ. VIII-VII სს. ბინადარ ადამიანთა ცხოვრების კვალსაც ასახავს. თუმცა, ვფიქრობთ, რომ აქტიური და ინტენსიური ცხოვრების ხანა იმ მოსახლეობისთვის, რომელმაც ყულევის II კულტურული ფენა დაგვიტოვა, მაინც ძვ.წ. I ათასწლეულის I მეოთხედი უნდა იყოს.

### **დიუნური სადგომები, ნამოსახლარები და სამაროვნები.**

ვიდრე უშუალოდ საკითხს შევეხებოდეთ, მოკლედ შევჩერდებით იმ ქვეშა-ზვინულებზე, რომლებიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დიუნების სახელითაც მოიხსენიება.

კოლხეთის დაბლობის დასავლეთით, ზღვის სანაპირო ხაზის გასწვრივ, საკმაოდ მკვეთრად გამოირჩევა 200-300 მ. სიგანისა და 2 მ. სიმაღლის ქვიშიანი ზვინულის ვიწრო ზოლი [2. 26]. როგორც პალეოგეოგრაფიული გამოკვლევებით დასტურდება 6-10 ათასი წლის წინ ადგილი ჰქონდა მსოფლიო ოკეანისა და მასთან ერთად შავი ზღვის დონეების ტრანსგრესიას (ანევას),

რაც ჰავის მკვეთრი დათბობით იყო გამოწვეული. ამას ისიც დაერთო, რომ ამავე პერიოდს დაემთხვა მეოთხეული გამყინვარების დეგრადაცია, რასაც მოჰყვა ზღვის დონის შესამჩნევი აწევა. არის ვარაუდი, რომ ზღვის დონის მატების საშუალო ტემპი ერთი წლის განმავლობაში იყო 1 სმ. მაშინ, როცა დღეისათვის ეს წლიური მაჩვენებელი 1,5-2 მმ-ია. ზღვის დონის საგრძნობი აწევის გამო მოხდა კოლხეთის სანაპირო ზოლში ზღვის შეჭრა. ეს პროცესი დასრულდა 6000 წლის წინ და დღემდე ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს. ქვიშიანი დიუნების უწყვეტი ზოლის გაჩენა ზღვის სანაპიროზე სწორედ ამ პროცესის თანმხლები მოვლენა იყო. კერძოდ, ამ პერიოდში ზღვის სანაპირო ზოლში განვითარებული ჭარბი აკუმულაციისა და ზვირთცემის ერთობლივი მოქმედების შედეგი [17. 86]. როგორც ჩანს, ზღვის სანაპირო ზოლზე გაჭიმული ქვიშიანი დიუნების წარმოქმნა განაპირობა ზვირთცემის გავლენით ზღვის ფსკერიდან ნაშალი მასალის ხმელეთზე ამოტანამ. აქედან გამომდინარე, ის წარმოადგენს ბუნებრივ ჯგებრს, რომელიც ხმელეთს იცავს ზვირთცემის ზემოქმედებისაგან და შესაბამისად წარეცხვისაგან. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ქვიშიანი დიუნების ამ ვიწრო ზოლს გარკვეული ისტორიულ-კულტურული და მეცნიერული ღირებულება გააჩნია და აუცილებელია მისი დაცვა და შესწავლა [5.159].

ქვიშიანი დიუნების არქეოლოგიური შესწავლა გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. პირველები, ვინც ამგვარ ძეგლებს ყურადღება მიაქცია, იყვნენ: ალ. კალანდაძე, ა. იესენი, ბ. კუფტინი, ლ. სოლოვიოვი, ბ. ტრაპში, ნ. ხომტარია, ო. ჯაფარიძე, ვ. ბჟანია. მათ მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით და დაზვერვებით ნათელი გახდა, რომ დიუნები ადამიანების სამეურნეო საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ და ისინი ზღვისპირა ზოლში არსებულ სხვა ძველი ნამოსახლარებისაგან არაფრით გამოირჩეოდნენ [29. 25].

უფრო მოგვიანებით, 60-იან წლებში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველს ტერიტორიაზე, კერძოდ, ფიჭვნარში, დიუნური სადგომების შესწავლის მიზნით დაიწყო შედარებით ფართო-

მასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრები, რომლის შედეგად ამ მეტად თავისებური არქეოლოგიური ძეგლების შესახებ მრავალრიცხოვანი და საინტერესო მასალა დაგროვდა (გათხრებს ხელმძღვანელობდა ა. რამიშვილი).

ფიჭვნარის ტერიტორიაზე ეს სამუშაოები გარკვეული წყვეტილებით დღემდე გრძელდება და სხვადასხვა დროს მასში მონაწილეობდნენ ა. რამიშვილი, ა. ინაიშვილი, ა. კახიძე, გ. თავამაიშვილი, ი. ჩავლეიშვილი და სხვები.

უკანასკნელ პერიოდში დიუნური ნამოსახლარების შესწავლის საქმეში გარკვეული წყვილი შეიტანა გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ვ. სადრაძის ხელმძღვანელობით. გურიის სანაპირო ზოლში მათ არაერთ დიუნურ ძეგლს მიაკვლიეს და შეისწავლეს. საქართველოს ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე გამოვლენილი ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვალი ერთი კონკრეტული ეპოქით (ძვ.წ. IX-VI სს. I ნახ.) თარიღდება და გარკვეული არქეოლოგიური კულტურით ხასიათდება [11. 104-113] სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ძეგლები „დიუნური სადგომები“ სახელითაა ცნობილი [11. 141-152]. შავი ზღვის აღმოსავლეთით, სანაპირო ზოლში, მდ. ჭოროხიდან გაგრამდე მრავალი ათეული დიუნური სადგომია აღმოჩენილი და შესწავლილი. დაგროვილია მრავალი არტეფაქტი, სამშენებლო დეტალი, თუ სხვა მნიშვნელოვანი მონაცემი, რომელიც მხოლოდ ამგვარი ძეგლისთვისაა დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, კითხვის ნიშნები კვლავ მრავალია. ჯერ კიდევ არ არის გარკვეული მათი ფუნქციონალური დანიშნულება, სახლთმშენებლობის ტრადიციები, შემქნელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სულიერი სამყარო [12.32]. ამ პრობლემის გადაჭრისათვის საჭიროა დიუნური სადგომების შესწავლა არა ცალკე აღებული, არამედ კომპლექსურად, სხვა არქეოლოგიურ ძეგლებთან მიმართებაში. ამ მხრივ ყველაზე უფრო პერსპექტიულად გვეჩვენება ურეკის სამაროვნის და ურეკის დიუნური სადგომის ურთიერთმიმართების გარკვევა და მეორეს მხრივ დიუნური სადგომებისთვის დამახასიათებელი ნიშნების დაფიქსირება ყულევის ნამოსახლართან მიმართებაში.

ეს სამი არქეოლოგიური ძეგლი: ურეკის სამაროვანი, ურეკის დიუნური სადგომი და ყულევის ნამოსახლარი, განლაგებული შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ერთ მთლიანობაშია შესასწავლი. ისინი, როგორც ჩანს, დროისა და სივრცის გარკვეულ მონაკვეთში თანაარსებობდნენ, რაც ამ ძეგლებზე მოპოვებულ მრავალრიცხოვან არტეფაქტშია ასახული.

ჩვენ ზემოთ შევხებით კოლხეთის სამაროვნებისა (ურეკი, ერგეტა) და ნამოსახლარების (ყულევი) ურთიერთმიმართების საკითხს. ამჯერად ურეკის დიუნურ სადგომსა და ურეკის გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანის სამაროვანს შორის არსებულ კავშირებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

**ურეკის დიუნური სადგომი.** 1979 წელს კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი, პროფ. თ. მიქელაძე) მცირემასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოები განახორციელა ურეკის დიუნურ სადგომზე, რომელიც ურეკის სამაროვანს ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა. მისი შესწავლის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ სამაროვნის ტერიტორიაზე, ორ სამარხში (სამარხი 49 და 67), აგრეთვე მათ გარეთ, აღმოჩნდა დიუნებისათვის დამახასიათებელი რამდენიმე არტეფაქტი. კერძოდ, 49 სამარხში დაფიქსირდა სადგრის და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, 67 სამარხში დიუნისათვის დამახასიათებელი უხეში ჭურჭლის ფრაგმენტი, სამარხებს გარეთ კი რამდენიმე სადგარი და თიხისაგან დამზადებული მართკუთხაგანივკვეთიანი, მრგვალი ფორმის დისკოსებური ნივთი. მართალია იგი ფრაგმენტებით იყო წარმოდგენილი, მაგრამ, თითქმის მთლიანად აღდგა. დისკოს ცენტრალურ ნაწილს, წრიულად, კენჭების ერთი მწკრივი შემოუყვებოდა. დანიშნულება ამ ნივთისა გაურკვეველია, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ იგი იყოს ე.წ. „რიტუალური პური“, რომელიც დიუნური სადგომებისათვის არის დამახასიათებელი, თუმცა ამ რიგის ძეგლებზე აღმოჩენილი იმიტირებული პურის ფორმები მართკუთხაა [2.41]. ურეკის სამაროვანზე გამოვლენილი დისკო დამზადებულია დიუნური სადგომებისათვის დამახასიათებელი უხეში, ხრეშოვანი, ადვილად შლადი თიხით, ზედაპირი ოდნავ



მკვრივი და მოლესილია, გული საკმაოდ ფხვიერი; კეცი მოყავისფრო, ლაქიანია; ზომები: დმ. 10 სმ., სისქე 2 სმ. ურეკის დიუნურ სადგომზე 16 კვ.მ. მონაკვეთი გაითხარა. აქ სტრატეგრაფიულად ერთი პერიოდის ორი კულტურული ფენა დაფიქსირდა. I კულტურული ფენა მიწის ზედაპირიდან 0,6 მ-ის სიღრმეზე ჰორიზონტალურად იყო განფენილი და 0,4 მ-ის სიმძლავრის ნაცროვან ფენას წარმოადგენდა, საკმაოდ სუსტი II კულტურული ფენა პირველისაგან 0,4 მ-ის სტერილური შრით იყო გამოყოფილი.

I კულტურულ ფენაში უსისტემოდ მიმოხეული უმნიშვნელო ბათქაშების ფრაგმენტების გარდა სხვა ნაგებობის ნაშთი არ დაფიქსირებულა. თხრილის აღმოსავლეთით გამოიყო თითქოს საგანგებოდ დაღენილი თიხის ჭურჭლის (ქოთნები, სასმისები, ჯამები) ყრილი. აქ იყო აგრეთვე სადგრების ფრაგმენტები, ქვის ორმხრივამოღარული სანაფი, ორნამენტიანი კვირისტავი, ნიდა და სხვა. თიხის ჭურჭლის დიდი ნაწილი უხეში, ადვილად შლადი და ძალზე ფრაგმენტული პირგვერდის ფრაგმენტებით იყო წარმოდგენილი, კედლის სისქე 1,5 სმ., კეცი მონითალო-მოაგურისფრო. აღნიშნული კერამიკა ე.წ. „აბაზანისებური“ ჭურჭლის კუთვნილი უნდა იყოს, რომლებიც ყველა დიუნურ სადგომზეა დადასტურებული. თხრილის ცენტრში საშუალო ზომის რიყის ქვების (49 ც.) გროვა დაფიქსირდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიუნური სადგომები-სათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ინვენტარის – ორქიანის სადგრების სიმრავლე მრგვალი, ოთხკუთხა და მართკუთხა განიკვეთიანი ტანით, სიმაღლე 12-16 სმ. ძირები ძირითადად ბრტყელია, ოდნავ განზე გაზიდული, იშვიათადაა სწორი ან ძირშეღრმავებული. სადგრების ერთი ნაწილი ჭდეებით და ღარებითაა შემკული. აღნიშნული სადგრები ქობულეთ-ფიჭვნარის ტრიტორიაზე და საერთოდ, შავიზღვისპირა ზოლში არაერთგზის აღმოჩენილ ნიმუშებს შორის პოულობენ ანალოგიებს. ურეკის დიუნურ სადგომზე ერთადერთი, ძალზე სქემატურად გამოსახული, მრგვალი ჭდეებით შემკული ორპროტომიანი სადგრის ფრაგმენტი დაფიქსირდა. სადგრების დანიშნულებ-

ბაზე სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არის შემუშავებული [22.31,45; 26.42-43; 27.265-286; 16. 118-119; 28. 196-197; 29.32-37; 2.34-43 და სხვ]<sup>1</sup>. მკვლევართა ერთი ნაწილი მას საკულტო ნაკეთობად მიიჩნევს, მეორენი კი საკულტოსთან ერთად მას პრაქტიკული დანიშნულების ნივთად აღიქვამს და ა.შ. საერთოდ, სადგარი ხარის კულტის სქემატურ გამოსახულებად ითვლება, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მთვარის ღვთაებას [21].

მიუხედავად იმისა, რომ ურეკის დიუნური სადგომის მხოლოდ მცირე ნაწილი გაითხარა, ურეკის სამაროვანთან მიმართებით ის მაინც გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას. ეჭვს აღარ იწვევს ამ ძეგლების თანადროულობა. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ის მოსახლეობა, რომელმაც ურეკის დიუნური სადგომის სახით მეტად სპეციფიკური ძეგლი დაგვიტოვა, ამავედროულად, ურეკის სამაროვანზე წარმოდგენილი მდიდარი და მრავალფეროვანი ინვენტარის შემქმნელიც უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ასაკს, თუ მათ თანადროულ ძეგლებად განვიხილავთ, მაშინ ურეკის სამაროვნის თარიღი ძვ.წ. VIII-VII სს. ურეკის დიუნური სადგომისთვისაც მისაღები უნდა იყოს.

ფიჭვნარის დიუნურ სადგომებზე მრავალწლიანი მუშაობის შედეგად აღ. რამიშვილმა ორი კომპლექსი გამოყო: საცხოვრებელი კომპლექსი და კერამიკული ნაყარი [9.25; 10.141-152; 25. 36-45]. ასევე ვარაუდობდა ლ. სოლოვიოვიც [26. 30-32; 27.206-267]. აღსანიშნავია, რომ კერამიკულ ნაყარს ზოგი მკვლევარი საკულტო მოედნად მოიაზრებს [4.65].

დიუნურ სადგომებთან მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყულევის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლენილი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი. მხედველობაში გვაქვს ყულევის ნამოსახლარზე, კერძოდ, ჩვენთვის ამჯერად საინტერესო II კულტურულ ფენაში

---

<sup>1</sup> კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის სადგრების კლასიფიკაცია, სხვადასხვა მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები მათ ფუნქციონალურ დანიშნულებაზე, უფრო სრულად ერთად თავმოყრილი იხილეთ [18.77-87].

საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო ნაშთის, სანარმოო პროცესებთან დაკავშირებული საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების, აგრეთვე კულტთან დაკავშირებული ზოგიერთი ნივთისა და საკურთხეველების(?) აღმოჩენის შემთხვევები.

მკვიდრ, ბინადარ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული შენობა-ნაგებობებისა და სხვადასხვა დანიშნულების საყოფაცხოვრებო საგნების აღმოჩენა.

წარმოებასთანაა დაკავშირებული ყალიბების, კვირისტავეების, სანაფების, სადა და ძალზე უხეში კერამიკის და ასევე, ამავე ფაქტურის თიხის ჭურჭლის მცირე ზომის ფრაგმენტების ნაყარისაგან წარმოქმნილი, ე.წ. „ნითელი მოედნები“ (ნითელი მოედანი პირობითი სახელია, რადგან ამ ფერის კერამიკული ნაყარი გარკვეულ მონითალო შეფერილობის ფართობზეა დაგროვილი). შესაძლოა, ეს მოედნები არა მარტო წარმოების, არამედ საკულტო-სარიტუალო პროცესების ნაშთიც იყოს.

საკულტო-სარიტუალო პროცესებს აშკარად უკავშირდება აქ მოპოვებული სხვადასხვა ზომის, უფრო ხშირად ორპროტომიანი სადგრები ცხვრის თავების ზოგჯერ ნატურალისტური, ზოგჯერ კი სტილისტური გამოსახულებებით, აგრეთვე, უშუალოდ მიწაზე გამართული თიხის საკურთხეველები.

დიუნურ სადგომებზე შენობა-ნაგებობები ჯერჯერობით მიკვლეული არ არის და შეიძლება არც იყოს, იქიდან გამომდინარე, რომ აქ ადამიანების სეზონური, დროებითი საქმიანობის ნაშთია მხოლოდ ასახული. ამიტომ საცხოვრებელიც მსუბუქი ხის კონსტრუქციის ან ნახევრად ღია ფარდულის მსგავსი უნდა ყოფილიყო [4.65; 9.27], რომელმაც ჩვენამდე ვეღარ მოაღწია. ყულევის ნამოსახლარზე გამოვლინდა 30-ზე მეტი ბათქაშით შელესილი შენობა-ნაგებობის ნაშთი. აგრეთვე აღმოჩნდა ადამიანთა ხანგრძლივი საქმიანობისათვის დამახასიათებელი მრავალი არტეფაქტი. ბათქაშების მასიურ გროვებში გამოვლინდა უამრავი სხვადასხვა დანიშნულების ნივთი, მთელი და ფრაგმენტების სახით. ჩვენი ვარაუდით, ყულევის ამ უძველეს ნამოსახლარზე პირველად იჩენს თავს ქალაქური ტიპის დასახლებებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ვგულისხმობთ შრომის

საზოგადოებრივ დანაწილებას. ყულევის ნამოსახლარზე აღმოჩნდა ქვისა და თიხისაგან დამზადებული 70-მდე სხვადასხვა ზომის, ფორმის და შემკულობის კვირისტავი; 30-ზე მეტი ქვის ორმხრივამოლარული სხვადასხვა ზომის სანაფი; 20-დე ქვის, თიხის და ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის კოლხური ცულის, მძივების და ღეროების ყალიბის ფრაგმენტი; 250-მდე საწარმოო ჭურჭლის (უხეში ჭურჭელი) ფრაგმენტი; თიხის საქმენი მილები; თიხის ღარები; ლითონწარმოებასთან დაკავშირებული თიხის ციცხვები, კოვზები; ქვის სხვადასხვა ზომის და ფორმის სალესები; სხვადასხვა სიდიდის ქვის ხელსაფქვავეების ფრაგმენტები, მათ შორის ერთი მთლიანად იყო შემორჩენილი; წიდეები; ბრინჯაოსა და რკინის სხვადასხვა ზომის ზოდები; უამრავი თიხის ჭურჭელი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყულევის იმდროინდელ ბინადართა ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობა, მეტალურგია, საიუველირო საქმე, მეთუნეობა რთვა, ქსოვა, მეთევზეობა და შესაძლოა, მარილის წარმოებაც იყო. ვფიქრობთ, რომ თითოეულ საქმეს ადამიანთა გარკვეული კატეგორია ასრულებდა.

მიუხედავად იმისა, რომ დიუნურ სადგომსა და ყულევის ნამოსახლარს შორის საკმაოდ მკვეთრი თვისობრივი სხვაობაა, მათ შორის ბევრი საერთო ნიშნის ნაკითხვაც გახდა შესაძლებელი. პირველ რიგში, ეს ე.წ. „წითელი მოედნებია“, რომლებიც ორივე ძეგლზე გვხვდება თითქმის ერთნაირი სტრუქტურითა და ფორმით. ყულევში, II კულტურულ ფენაში იყო სხვადასხვა ზომისა და სისქის 15-დე ასეთი პატარა ბორცვისებური, ქვიშაზე გამართული მოედანი (დმ. 4-15 მ.). სტრატეგრაფიულ ჭრილებში არაერთგზის დაფიქსირდა ერთმანეთის პარალელურად განლაგებული რამდენიმე, სტერილური შრეებით გამიჯნული, წითელი ფერის ზოდები. სტრუქტურულად ისინი წვრილი, დაქუცმაცებული კერამიკის ფრაგმენტებისაგან შედგებოდა. ადვილად შლადი ფრაგმენტების სიგრძე-სიგანე 3-4 სმ.-ს არ აღემატება. ზოგიერთ მათგანზე კარგად ჩანდა ზემოდან დაბრტყელებული პირის გვირგვინი. კედლების რელიეფურობა სუსტად ან საერთოდ არ იკითხებოდა. ძირები არ დაფიქსირებულა. კე-

ცი მონითალო-მოაგურისფრო, თიხა უხეში, ხრემოვანი, მინარევიანი, კენჭოვანი ჩანართებით. ეს ფრაგმენტები ხელის შეხებისთანავე იშლებოდა.

როგორც ჩანს, და თუ სხვა მკვლევრების გამოცდილებასაც მოვიშველიებთ, ეს მოედნები წარმოადგენენ დიუნური სადგომებისათვის დამახასიათებელ აბაზანისმაგვარი ჭურჭლების ნაშთებს. მოედნებზე იშვიათად ჩანდა სადგრების ფრაგმენტები. დაფიქსირდა საკმაოდ მოზრდილი ბათქაში და ნიჟარებიანი ფენა. აშკარაა, აქ არსებული ძლიერი ცეცხლის კვალი, ბათქაშის გაურკვეველი წყობა, აბაზანისმაგვარი ჭურჭლების ფრაგმენტები, სადგრები, ნიჟარები მიუთითებენ, რომ ამ მოედნებზე ადამიანები რალაც საქმიანობას ეწეოდნენ. ვარაუდის სახით შეიძლება ეს საქმიანობა მარილის წარმოებას ან მეტალურგიას – მაგნეტიტიდან რკინის გამოდნობას უკავშირდებოდეს, რომელიც საკულტო რიტუალის თანხლებით ტარდებოდა.

ლითონის ან მარილის წარმოებას შეიძლება უკავშირდებოდეს ყულევის ნამოსახლარზე აღმოჩენილი, საკმაოდ სპეციფიკური თიხის ჭურჭელი. ფრაგმენტულობის მიუხედავად, განისაზღვრა მათი პროფილი. ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა ზომის მომრგვალებულძირიან, ღრმა, ჯამისებური ფორმის ყურთან ჭურჭელს. პირები სწორი, თანაბრად მომრგვალებულია, ყურები ზოომორფული ან თანაბრად მორკალული, მრგვალგანივკვეთიანი, სადა. ამავე კატეგორიის ჭურჭელს ზოგჯერ სხვადასხვა ფორმის სახელურები აქვთ: ტრაპეციული, ოთხკუთხა, ზოომორფული, მრგვალგანივკვეთიანი. ჭურჭელი დამზადებულია მინარევიანი, უხეში თიხისაგან, არათანაბრად გამომწვარი, კედლის სისქე 1-1,5 სმ.

ვფიქრობთ, ამგვარი ჭურჭლის გამოყენება სამზარეულო დანიშნულებისათვის არ იყო გამიზნული და მათ საწარმოო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ. ამიტომ მათ „საწარმოო ჭურჭლადაც“ მოვიხსენიებთ. თუ ჩვენ ლ. სოლოვიოვის ეთნოგრაფიულ მონაცემებს დავყვრდნობით [27. 283], მაშინ ამგვარი ჭურჭლის გამოყენება მარილის წარმოებაში ყველაზე უფრო მისაღებად გვეჩვენება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყულევის ნამოსახლარზე აღმოჩენილი სადგრების სიმრავლე, რომლებიც ძირითადად ორრქიანია. იყო სამრქიანი სადგრების აღმოჩენის ცალკეული შემთხვევებიც.

ორრქიანი სადგრების საერთო რიცხვი 350-დე აღწევს (მთელი და ფრაგმენტული). ისინი ძირითადად ორგვარია: დასადგამი, ანუ ბრტყელძირა და დასარჭობი, ნაწვეტებულძირიანი.

დასადგამი (ბრტყელძირა) სადგრები კორპუსის განივკვეთის მიხედვით ოთხკუთხა, მართკუთხა და მრგვალგანივკვეთიანია, ძირები კორპუსთან შედარებით ოდნავ ფართოა. მკვეთრად გამოსხატული რქები მახვილი, თანაბრად მომრგვალებული ან წაკვეთილი ბოლოებით, გადაშლილია, ან ზემოთკენაა მიმართული. რქები ზოგჯერ ზერელედაა გამოსახული. სადგრები ერთმანეთისგან ზომებითაც განსხვავდებიან. მათი მაქსიმალური სიმაღლე 15 სმ.-ს აღწევს.

დასარჭობი (ნაწვეტებულძირიანი) სადგრების კორპუსი მრგვალგანივკვეთიანია. რქების მიხედვით ისინი დასადგამ სადგრებს ჰგვანან. წვეტიანი ძირებით ისინი მაგრდებოდა ქვიშაში ან თიხის მოლესილობაში. ყულევის ნამოსახლარის ერთერთ ბათქაშიან მოედანზე აღმოჩნდა მცირე ზომის ღრმული, რომელშიც მოთავსდა აქვე არსებული სადგარი. ღრმულის სიღრმე და სადგრის ძირის შეფერილობაც კი ერთმანეთს დაემთხვა. აქვე უხვად იყო მიმოფანტული სანარმოო ჭურჭლის ფრაგმენტები. ვერტიკალურად დამაგრებულ ორ სადგარზე ეს ჭურჭელი თავისი სპეციფიკური ყურების წყალობით კარგად თავსდება და ამ სახით მრგვალძირიანი ჭურჭლის გამოყენება, ვფიქრობთ, საკმაოდ მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო, რაც კარგად აქვს ილუსტრირებული ლ. სოლოვიოვსაც [27.283].

ყულევის ნამოსახლარზე მრავალრიცხოვან ორრქიან სადგრებს შორის მხოლოდ სამი ცალი იყო სამრქიანი. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ვარიაციების სამრქიანი თიხის სადგრები დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ზღვისპირა ზოლის ნამოსახლარებიდან (ნამჭედური VI ფენა, ჩოლოქი VI ფენა, ფიჭვნარის გვიანბრინჯაო-ადრერკნის ხა-

ნის ნამოსახლარი). ამ ნივთს მრავალგანყოფილებიან ტაფებთან ერთად ამ მხარის დამახასიათებელ ლოკალურ თავისებურებად მიიჩნევენ. ყულევის აღმოჩენით სამრქიანი თიხის სადგრების გავრცელების არეალი უფრო გაფართოვდა და ისინი დამახასიათებელი ხდება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზოლის ნამოსახლარებისთვის. ვფიქრობთ, ამ ვარიანტის თიხის სადგრები ჩნდება შუაბრინჯაოს ხანაში და განაგრძობს არსებობას გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდში.

სადგრების დიდი ნაწილი სადაა, იშვიათადაა ქდეებით, ლარებით და ნაკანრი ხაზებით შემკული. დამზადებულია უხეში, ხრეშოვანი თიხისაგან, კვარცის, ქარსის, პიროქსენის, კენჭების ჩანარებით. გამოწვა არათანაბარი, მონითალო-მოაგურისფრო. ზოგიერთი სადგრის ზედაპირზე მოთეთრო ფერის ლაქები შეინიშნება.

საკულტო-სარიტუალო დეტალი საკურთხევლის სახით ყულევის ნამოსახლარიზე რამდენიმე ადგილზე დაფიქსირდა.

საკურთხეველი საგულდაგულოდაა გამომწვარი და საკმაოდ მკვრივი თიხისაგანაა დამზადებული. ის 10-15 სმ. სისქის მინაზე გამართულ ოვალური ფორმის მოლესილობას წარმოადგენს. სიგრძე 1,5 მ.-ია, სიგანე 0,5 მ., სიმაღლე 0,5-0,6 მ., კედლის სისქე 0,4-0,5 მ. საკურთხევლის შიდა მხარე მომრგვალებულია, გარედან კუთხოვანი და სიმყარის მიზნით ძირი ოდნავ გარეთაა გამოზიდული. სავარაუდოდ, საკურთხეველი შუაზე უნდა ყოფილიყო გატიხრული, რაც სხვა დიუნურ სადგომებზეც დასტურდება [2.34-43; 3].

საკურთხევლის ზოგიერთ ფრაგმენტზე გაურკვეველი ანაბეჭდები შეინიშნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ღრმა ქდეებით შემკული ცხენის სქემატური გამოსახულება, რომელსაც აკლია თავი და კუდი. ყულევში აღმოჩენილი საკურთხევლები სხვა დიუნურ სადგომებზე დაფიქსირებულ სამსხვერპლოებისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან. ეს განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ დიუნურ სადგომებზე დროებითი საკულტო ნაგებობები სახელდახელოდ კეთდებოდა ხანმოკლე გამოყენებისათვის. ყულევში კი მათ უფრო ხანგრძლივი დროის გამოყენ-

ნებისათვის აგებდნენ და ამიტომ ისინი აქ უფრო მყარად და მკვრივად იყო გამართული.

ახსნას საჭიროებს ყულევის ნამოსახლარზე რამდენიმე ადგილზე დაფიქსირებული კერამიკული ნაყარიც, სადაც სხვადასხვა დანიშნულების დიდძალი თიხის ჭურჭელია საგულდაგულოდ დამტვრეული და უსისტემოდ მიმოხეული. აქვე სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებიდან გვხვდება სალესი ქვები, კვირისტავები, საფქვავე ქვის ფრაგმენტები და ა.შ. ჩვენ ეს გროვები დაფუკავშირეთ დიუნურ სადგომებზე დადასტურებულ კერამიკულ ყრილებს, რომლებიც, მკვლევრების აზრით, საკულტო რიტუალსა და კოლხეთის სამაროვნების საკულტო მოედნებს შეესაბამება, სადაც ასევე დიდი რაოდენობითაა საგულდაგულოდ დამტვრეული თიხის ჭურჭელი და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ყულევის ნამოსახლარზე არსებული ეს კერამიკული ყრილებიც საკულტო რიტუალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

საკულტო-სარიტუალო ნივთებს შორის აღსანიშნავია ცხოველისთავიანი სადგრების სიმრავლე და მრავალფეროვნება, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ორპროტომიანი სადგრების სახელითაა ცნობილი. ყულევაში, მთლიანი თუ ფრაგმენტების სახით, 40-მდე ამგვარი სადგარი აღმოჩნდა (ურეკის დიუნურ სადგომზე მხოლოდ ერთი, ძალზე სტილისტურად გამოსახული ამგვარი სადგარი დაფიქსირდა).

ორპროტომიანი სადგრების დიდი ნაწილი დასადგამია, ანუ ბრტყელია, იშვიათადაა დასამაგრებელი ნიშუშები.

ორპროტომიან სადგრებს შორის, ძირითადად, ცხვრის და დელფინისთავიანი? ეგ ზემპლარებია. მათი უმრავლესობა სტილისტურადაა გამოსახული. ვფიქრობთ, საკულტო დანიშნულების ინვენტარში ცხვრის და დელფინის გამოსახულებების სიმრავლე შემთხვევითი არ უნდა იყოს. დელფინი ყულევის ზღვასთან სიახლოვეს და ამ დასახლებისთვის ზღვის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. კულტურულ ფენაში დელფინის ძვლებიც აღმოჩნდა. ხოლო თუ ოქროს სანმისის ლეგენდას გავიხსენებთ, ადვი-



ლი წარმოსადგენია ცხვარს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კოლხეთის ამ უძველესი დასახლებისთვის.

ყულევის ნამოსახლარზე აღმოჩენილ მასალებში გარკვეული ადგილი ეთმობა ცხენის გამოსახულებებს, რაც ამ ცხოველის მნიშვნელობაზე მკაფიოდ ამახვილებს ყურადღებას. ერთ-ერთი დერგის ყელზე ფაფარაშლილი ცხენების მწკრივია გამოსახული. ხუფზე სამი ცხენის ძალზე სტილისტური ფიგურაა ამოკანრული. ცხენის ფიგურაა დაშტამპული საკურთხეველზე. თითქმის ერთმანეთის ანალოგიურია ყულევსა და 1948 წ. „კუჩხის აბანოს“ დიუნურ სადგომზე მიკვლეული ცხენის ფიგურები.

ყოველივე აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ ყულევის ნამოსახლარზე ზოგიერთი ცხოველის განსაკუთრებული კულტი არსებობდა, რაც აისახა კიდევ მხატვრულ შემოქმედებაში.

ხაზი უნდა გაესვას იმიტაციის ხელოვნებასაც, რასაც ურმის თვლის მოდელების აღმოჩენის ფაქტი ადასტურებს. აღნიშნული არტეფაქტი ასევე დამახასიათებელია დიუნური სადგომებისათვის [10.141-152].

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ყულევის ნამოსახლარზე დადასტურებულ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მხატვრულ, იმიტირებულ და საკულტო დანიშნულების საგნებს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ ძეგლზე ოდესღაც ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც ჰქონდა მაღალმხატვრული გემოვნება, მდიდარი სულიერი სამყარო და, ამავედროულად, ბუნებასთან აქტიურად იყო დაკავშირებული.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ყულევის ნამოსახლარის დაკავშირებით კოლხეთის დაბლობზე გამოვლენილ და შესწავლილ ამავე ეპოქის სამაროვნებთან და ზღვისპირა ზოლში ცნობილ დიუნურ სადგომებთან, შევეცადეთ, წარმოგვედგინა ის მსგავსებანი და განსხვავებანი, რაც დოკუმენტურად დასტურდება არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მონაცემებით. თანხვედრები, უპირველესად, ნივთიერი მასალის ცალკეულ კატეგორიებში შეინიშნება. ამავედროულად, აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ყულევის ნამოსახლარსა და სამა-

როვნებს შორის მსგავსება ძირითადად ბრინჯაოს ნაწარმშია ასახული, ყულევის ნამოსახლარსა და დიუნურ სადგომებს შორის ის გამოიხატება სადგრების, უხეში, შლადი კერამიკის, „ნი-თელი მოედნებისა“ და ზოგიერთი სკულპტურული ნაწარმის იდენტიურობაში. ეს გარემოება, ცხადია, ძეგლების სპეციფიკური ხასიათითაა განპირობებული.

ქრონოლოგიური და კულტურული იდენტიურობის თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია ურეკის სამაროვანზე და ურეკის დიუნურ სადგომზე აღმოჩენილი მსგავსი ელემენტები.

აშკარაა, ზემოხსენებული სამივე კატეგორიის ძეგლი ერთ კულტურულ სივრცეში და ერთ ქრონოლოგიურ დიაპაზონში, კერძოდ, ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარშია შექმნილი. მათი შემქმნელი მოსახლეობაც ერთ ბიოგეოსოციოგარემოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც შესაბამისი ეპოქის კოლხეთის მოსახლეობის ნაწილია.

ყულევის ნამოსახლარის მსგავსი სიტუაცია დასტურდება ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრით დათარიღებულ ისეთ ცნობილ ძეგლებზე, როგორებიცაა: ნამჭედური და მისი მიმდებარე შესაბამისი ეპოქის დასახლებანი ქობულეთის რაიონში, ფიჩორის ცნობილი ნამოსახლარ-ბორცვთა სისტემა გალის რაიონში, ტამიშის ნამოსახლარი ოჩამჩირის რაიონში და სხვა. ამავე დროს, ყულევის ნამოსახლარის მსგავსად, ყველა ეს ნამოსახლარი, თავის მხრივ, მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურ კავშირებს ამჟღავნებენ კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში შესწავლილ ისეთ ძეგლებთან, როგორებიცაა: ჭალადიდის, ნოსირის, დაბლაგომის, მუხურჩის, ოჩხომურის, ნოქალაქევისა და ვანის ნაქალაქარის წინარეანტიკური ხანის ფენები, ფიჩორის, ჯანტუხის, მერხეულის, პალურისა და მუხურჩის სამაროვნები.

ვფიქრობთ, ხსენებული ძეგლები დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან განძებთან და სანარმოო სახელოსნოებთან ერთად გვაძლევენ მნიშვნელოვან ინფორმაციას ბრინჯაოს ხანის დასასრულისა და რკინის ხანის დასაწყისის კოლხეთის საზოგადოების შესახებ.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. აბრამიშვილი რ., რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.ნ. XIV-VI სს.) სსმმ-XXII-B, თბ., 1061, გვ. 368-374.
2. თავამაიშვილი გ., არქეოლოგიური გათხრები ბობოყვათის ქვიშაზვინულზე, სდსძ. XVI, თბ., 1987, გვ. 34-43.
3. თავამაიშვილი გ., უძველესი ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ზოლის ახალშავზღვიურ ტერასაზე, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), თბ., 1999.
4. ინაიშვილი ა., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წლის მუშაობის შედეგები, სდსძ VI, თბ., 1977, გვ. 54-66.
5. კიკნაძე ა., ჯანელიძე ზ., სანაპირო ზონა, სამეგრელო, თბ., 1999, გვ. 158-163.
6. პაპუაშვილი რ., გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის, ძიებანი, N 1, თბ., 1998, გვ. 43-57.
7. პაპუაშვილი რ., ერგეტის სამაროვნები, სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 317-321.
8. პაპუაშვილი რ., ჩიტაია გ., პაპუაშვილი ი., ყულევი (არქეოლოგია, ისტორია), თბ., 2017.
9. რამიშვილი ალ., ძველი სადგომები ფიჭვნარის ქვიშნარ დიუნაზე, სდსძ I, თბ., 1964, გვ. 17-28.
10. რამიშვილი ალ., გვიანი ბრინჯაოს ხანის ნაქალაქარი ფიჭვნარში, მაცნე 4, თბ., 1975, გვ. 141-152.
11. სადრაძე ვ., დავლიანიძე რ., მურვანიძე ბ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება სუფსის ტერმინალისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 1997-1998 წწ., მილსადენის არქეოლოგია, ტ. I, თბ., 1999, გვ. 104-113.
12. სადრაძე ვ., ამირანაშვილი ჯ., ურეკის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2005.

13. სულავა ნ., ურარტული ფიბულები საქართველოში, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი ACADEMIA, ტ. 1, თბ., 2001, გვ. 56-61.
14. ფირცხალავა მ., სკვითური კულტურის ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის, სას I, თბ., 19978, გვ. 31-42.
15. ჩავლეიშვილი ი., გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), თბ., 1999.
16. ჯაფარიძე ო., დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, სსმმ XVI-B, თბ., 1950, გვ. 118-121.
17. ჯანელიძე ზ., პალიასტომის ტბა, სამეგრელო, თბ., 1999, გვ. 84-94.
18. ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის სადგრების კლასიფიკაციის საკითხები, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 17-18, თბ., 2006, გვ.77-87.
19. Галанина Л. К., Келерменские курганы, Москва. 1997.
20. Гогодзе Э.М., К вопросу о хронологической периодизации памятников Колхидской культуры, სსმმ XXVII- B, თბ., 1984, გვ. 28-38.
21. Киквидзе Я.А., Земледелие и земледельческий культ в древней Грузии, Тбилиси, 1988.
22. Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, том II, Тбилиси, 1950.
23. Медведская И. Н., Периодизация скифской архаики и Древний восток, РА, №3, Москва, 1992, с. 86-107.
24. Микеладзе Т., Хахутаишвили Д., Отчет о полевых исследованиях Колхидской археологической экспедиции, ПАИ, 1979 г., Тбилиси, 1982, с. 86-93.
25. Рамишвили А., О назначении стоянок с „Текстильной керамикой“, Восточного Причерноморья, СА № 4, Москва, 1975, с. 36-45.

26. Соловьев Л. Н., Следы древнего соляного промысла близ г. Сухуми и г. Очамчире. Труды Аб. гос. музея, вып. №1, Сухуми 1947, с. 23-57.
27. Соловьев Л. Н., Селища текстильной керамикой на побережье Западной Грузии, СА XVI, Москва-Ленинград, 1950, с. 265-286.
28. Трапш, М., Археологические раскопки в окрестностях Сухуми. Труды Аб. Иност. Языка, литературы и истории, XXIX, Сухуми, 1958, с.185-207.
29. Хоштариа Н., Археологические раскопки Уреки. მსკა, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 25-79.
30. Kossak G.A., Von dem Anfagen des skutho-iranischen Tierstils, Skutihika. Munxen, 1987.

**Revaz Papuashvili**  
**Leri Jibladze**

## **To the Interrelation Problem of Colchis Dwellings, Graveyards and Dune Dwellings**

### **Summary**

Archaeological monuments of Colchis lowland were known by dwellings and hoards hitherto, which were found accidentally. This circumstance complicated more exact identification of intercommunication of these two categories of archaeological monuments.

Afterwards 60's of the 20<sup>th</sup> century dune dwellings of Colchis lowland were examined and new graveyards came to light. They created certain base for elucidation of interrelationship of various categories of monuments.

Kuleve dwelling, which has been excavated lately, suggested us to put this question. Numerous clay output and abnormally great inventory made of metal were discovered there. It was an illustration in point typical for dwellings which earlier were known mainly from graveyards of Colchis lowland and from hoards. The same can be said about Cholok-Ochkhomuri dwellings in Khertvisi (a dwelling at the River Choloki).

Artifacts that were found in the Kulevi Late Bronze – Early Iron Epoch layers reveal resemblance with materials presented in the concrete group of burial ground-holes of Ureki, Ergeti and Dgvabi. According to Kulevi dwelling the interrelation with dune dwellings is also well visible.

Thus, the main monument which on the one hand is connected with graveyards and on the other hand with dune dwellings is Kulevi dwelling. Relation among graveyards and dune dwellings is comparatively clearly illustrated with materials discovered in Ureki dwelling and in existing near dune dwelling.

Connecting of the Late Bronze – Early iron Ages Kulevi dwelling with presented and studied dwellings of the same epoch and with existing on the coastal strip known dune dwellings is documentarily confirmed by the received information through archaeological excavations. Identities, in the first place, are observed in certain material stuff. It should be mentioned, at the same time, that if the likeness between Kulevi dwelling and graveyards mainly is illustrated in the bronze output, in Kulevi dwelling and dune dwelling resemblance is expressed in identity of tripods, in rough collapsible ceramics, in the "red squares" and in the identity of some sculptural output. This circumstance, definitely, is conditioned by the specific character of monuments. From the chronological and cultural point of view, alike elements which were found in Ureki graveyard and in Ureki dune dwelling are rather significant.

It is evident that the afore-mentioned monuments of the three category were created in the same, one cultural space and in one chronological range, namely, in the 1<sup>st</sup> half of the 1<sup>st</sup> millennium. We are of the opinion that the mentioned monuments, together with numerous hoards and workshops found in West Georgia, supply us with the important information concerning Colchis society of the end of the Bronze Age and beginning of the Iron Era.

**მტკვარ-არაქსის კულტურის  
კერამიკის ტექნოლოგიური  
ნიშან-თვისებები, მათი ტიპოლოგიისა და  
დანიშნულების განმსაზღვრელი ფაქტორი**

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ხასიათის განმსაზღვრელ ერთ-ერთი აუცილებელ ფაქტორად კერამიკული მასალა, კონკრეტულად, თიხის ჭურჭელია მიჩნეული, რომლის მემკვიდრეობით შესაძლებელი ხდება კულტურის საფეხურებრივი განვითარების ჩვენება და მისი ვიწრო ქრონოლოგია. საფეხურებრივი განვითარება სამეთუნეო მასალის ტექნოლოგიურ თავისებურებაში აისახა. ამ მხრივ, მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკული ნაწარმი კულტურის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავდება ერთმანეთისაგან თიხის შემადგენლობითა და გამოწვის თავისებურებით. თიხა ხშირად, განსაკუთრებით ადრეულ ეტაპზე, შეიცავს მცენარეულ ჩანარებს, (ე.წ. „ბუნარევი კერამიკა“). მართალია, მტკვარ-არაქსის კულტურაში მსგავსი კერამიკული ნაწარმი შედარებით იშვიათია, მაგრამ გამოწვის სახით ის მაინც გვხვდება თრელის და ღრმახევისთავის მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპს მიკუთვნებულ არტეფაქტებში [1.42-43]. ავტორები მათ ძვ.წ.IV ათასწლეულის შუახანებით ათარიღებენ [1.44]. ბუნარევი თეთრინყაროს ნამოსახლარის მასალაც, ოღონდ ის ტიპური მცენარეულჩანარებიანი კერამიკისაგან განსხვავდება. აქ ტექნოლოგია გართულებულია და მის განატყვინებულ ფორმებში მცენარეული ჩანარების გარდა, ჩანს დაფშენილი ბაზალტი და კვარცი (უახლოვდება მაგ., კაიაკენტის მასალას და განსხვავდება კლასიკური ნეოლითურ-ენეოლითური ბუნარევი კერამიკის ანალოგიებისაგან [12.26].

ღრმახევისთავის ნამოსახლარის, თრელიგორებისა და თეთრინყაროს ნამოსახლარის A ფენისათვის არსებული გამოწვის სახის, როცა მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკული მასალა

ადერენეოლითისათვის დამახასიათებელ მცენაეულ ჩანართს იყენებს სამეთუნეო ცომის მოსამზადებლად, დანარჩენ მტკვარ-არაქსულ ძეგლებზე არ ვრცელდება [1. ნახ. 11-236].

აღსანიშნავია საყდრისის სამთო-არქეოლოგიურ ობიექტზე გამოვლენილი შეფერილობითა და სტრუქტურით მსგავსი კერამიკის ფრაგმენტი, რომლის შესწავლამ შემადგენლობაში კილში ჩამჯდარი საფურაჯე შვრია გამოავლინა<sup>1</sup>. ეს ფრაგმენტი და შრე, რომელშიც იგი აღმოჩნდა ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევრით და III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება [11.193-194]. ორგანული და არაორგანული მინარევებით თიხის ცომის გამდიდრება ნედლი თიხის ნებოვანობას ზრდიდა, სასურველ პლასტიურობა-სიმტკიცეს ანიჭებდა. ამის გამო სხვადასხვა დროს გამოიყენებოდა სილა, დაფქული ობსიდიანი, ქარსი, კვარცი, წვრილი კენჭები. ეს ის ჩანართებია, რომლებიც, ამავედროულად, კერამიკულ მასალას კეცის მიხედვით მსხვილმარცვლოვან და წვრილმარცვლოვანად ყოფს. კერამიკა ძირითადად ღია ფერისაა, გამომწვარია მოჩაღისფროდ, ანგობირებულია. ხშირად განატეხს შუაში გასდევს თხელი ნაცრისფერი ფენა – მრავალჯერადი შრობა-შენების და ღია წესით გამონვის კვალი. მასალის ტექსტურიდან გამომდინარე, ნაკეთობები სქელკეციანია. გვაქვს მსხვილკენჭნარევი, მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი კერამიკაც.

მცენარეულ ჩანართებიანი, ღია ფერის კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის გვიან ეტაპზე აღარ გვხვდება, სამაგიეროდ მკვიდრდება არაორგანული მასალით ცომის გამდიდრების წესი (ქარსის, კვარცის, სილის, წვრილი კენჭების, ობსიდიანის ჩანართები). ტექნოლოგიის დახვეწა მეტ შესაძლებლობებს აჩენდა. ჭურჭლის კეცი მტკიცე და თხელი ხდება, რამაც ცვლი-

---

<sup>1</sup> პალინოლოგიური და პალეობოტანიკური დასკვნები ეკუთვნით საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროს მეცნიერ-თანამშრომლებს, მეცნიერებათა დოქტორებს – ქ-ნ ნ. რუსიშვილს და ქ-ნ ე. ყვავაძეს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ. ანალიზი გაკეთდა OLIMPUS CZX16 ბინოკულარული მიკროსკოპით SDF PLAPO 1XPF, მაქს. 11.5.



ლებები შეიტანა ფორმებშიც. გაიზარდა ასორტიმენტი. ესენია: ორყურა და სამყურა კათხა-სასმისები, ფართოპირიანი ორყურა ქოთნები, ცილინდრული ჭურჭელი, მრგვალგვერდა ბადები, დიდი ზომის დერგები ნიბოზე კოპით. მკვიდრდება სათვალისებური ორნამენტი. ორნამენტს ანალოგიები ეძებნებათ კიეთში [5.ტაბ.4,6-9], ამირანის გორაზე [7.77-78, სურ. 5-36, 37,41], ღრმახევისთავში [2.9]. ის ერთ-ერთი აქტუალური დეკორია როგორც ადრეულ, ასევე გვიანდელ საფეხურზე [9.90-92].

საქართველოში ყველაზე ადრეულ ეტაპად მიჩნეულია თეთრინყაროს A ფენა. მისთვის დამახასიათებელია ღია ფერის კერამიკული მასალა, ყავისფერი, იშვიათად ნაცრისფერი ჭურჭელი [3.82]. თეთრინყაროს ნამოსახლარზე კერამიკულ მასალად გამოყენებულია კარგად განლექილი თიხა, რომელიც შეხებისას ხელს სვრის. მასში ხშირად გარეულია ნვრილად დაჭრილი ნამჟა, ასევე, ნვრილად დაფშვნილი ბაზალტი და კვარცი. ტექნოლოგია საკმაოდ მარტივია. კერამიკა თხლად ანგობირებულია, რის გამოც ანგობა ადვილად სცილდება; გაპრიალებულია. ხშირია კერამიკის ნითლად შეღებვაც [3.80-81]. თითქმის არ გვხვდება შავად შეღებილი და გაპრიალებული ნიმუშები. აქ ფორმათაგან ნამყვანია ცილინდრული, მაღალი ყელის მქონე ქოთნები, სურისებური ჭურჭელი – ტოლჩები, ჯამები. იშვიათია ყური, როგორც ნამყვანი ელემენტი, რაც მოგვიანო საფეხურზე ჩნდება და მტკვარ-არაქსის კულტურის იდენტიფიკაციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტად იქცევა.

ამავე ტიპისაა სამშვილდე I მასალაც. ჭურჭლის შეფერილობაში ღია ყვითლიდან ღია ყავისფერში გარდამავალი ტონი დომინირებს. დიდი იშვიათობაა მუქი და შავი კერამიკა. განსხვავებით თეთრინყაროს მასალისაგან, სამშვილდის მასალა უკეთაა დამუშავებული, რაც მის კარგად გამოწვანაში აისახება. რაც შეეხება თიხის ხასიათს, ტექსტურას, იგი მსხვილმარცვლოვანია, ურევია კვარცი, ქვიშა, შამოტი, კარგად ანგობირებული და გაპრიალებულია. სამშვილდე I კერამიკის ტონალობაში შემოდის შავი ფერის ფრაგმენტული ჭურჭელი – ერთი თეფშისებური ფორმის ფართო და მეორე, დაბალი, მომცრო,

სწორყელიანი ბადია. მოცრო ბადიას ყელთან მიძერწილი აქვს ყურები.

ადრეული პერიოდის მასალაში შეიმჩნევა ზოგადი ერთფეროვნება მთელ კავკასიაში. საქართველოსათვის ესაა დიდუბე--კიკეთის ჯგუფი, სომხეთში – ელარი, ხოლო აზერბაიჯანში ბაბადევრიშის ადრეული საფეხური. მთელ არეალზე, რეგიონალური განსხვავების, კულტურის შიგნით ამკარა ლოკალური ინდივიდუალური განვითარების და ფუნქციონალური დანიშნულების სხვადასხვაობის მიუხედავად, ტექნოლოგიურად იდენტური კერამიკის გავრცელება კულტურის შიგნით სოციალურმა შორის სწრაფ კომუნიკაციას და ცოდნის ცირკულაციას უნდა გულისხმობდეს. ეს ერთიანობა განსაკუთრებით თვალში საცემია მეთუნეობის მაგალითზე [10.66-97, 100]. მეთუნეობის განვითარების შემდგომ საფეხურად, სავარაუდოდ, ე.წ. ქსოვილიანი კერამიკის დამკვიდრება უნდა მივიჩნიოთ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქსოვილიანი კერამიკა ღრმახევისთავის (ორმ. N 26-168, 53-245), თრელი გორების [6. ტაბ.1-34-IV], დიდუბის [6. ტაბ.1-4,5] [6. ტაბ. 1-4,5], კიკეთის [5.87, 89, ტაბ. III-3, XII-8], ქვაცხელას C ფენისა [7.72, ტაბ.5] და სამშვილდიდან. ტექსტილს მტკვარ-არაქსის კულტურის სამეთუნეო ნაწარმში ვხვდებით, როგორც ადრეულ, ასევე განვითარებულ ეტაპებზეც. ის მეთუნეობაში ნივთების ეტაპობრივი დამზადების ხანაში უნდა დამკვიდრებულიყო და მრავალჯერადი მოგოზვა-გაშრობის ერთ-ერთი ნაირსახეობა უნდა ყოფილიყო, სადაც ფორმამიცემული ჭურჭლის კედელზე დატანილ ქსოვილს, სავარაუდოდ, ფორმის დამჭერის ფუნქცია უნდა შეესრულებინა. მიუხედავად ამისა, ქსოვილიანი კერამიკა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურებზეც ჩანს. ესენია: ამირანის გორა, ქვაცხელას, ილტოს, სამშვილდესა და ძეძვების ნამოსახლარები.

მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა ქართლსა და კახეთში საშუალებას გვაძლევს, განვითარების სამი საფეხური გამოვყოთ:

I ეტაპი არის მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის ძეგლები (თეთრინყარო A, სამშვილდე I, თრელი გორები),

რომელთათვისაც დამახასიათებელია ფორმათა არქაულობა და ტექნოლოგიის დაბალი დონე [4.71]. აქვე ჩნდება კერამიკის ორ და სამფეროვანება, რაც შემდგომში, ასევე, მასალის განმსაზღვრელ მახასიათებლად გვევლინება. დამკვიდრებას იწყებს ზედაპირის გაპრიალების და ორნამენტაციის მანერა;

II ეტაპი მონაცრისფრო-მოყავისფრო კერამიკაა. ღია ფერის პარალელურად ჩნდება შავი ფერი, ორ ან სამფეროვანი გაპრიალებული კეცი და წრიული ყური. ორნამენტი თავდაპირველად ჭურჭლის ცალ მხარესაა კონცენტრირებული, მოგვიანებით ის შემოუყვება მთლიანად და ჭურჭლის მთელ კორპუსს იკავებს. ამ დროსათვის დამზადების ტექნოლოგიიდან საერთოდ ქრება ცომის მცენარეული ჩანარებით გამდიდრების მანერა და კეციც უფრო თხელი და დახვეწილი ხდება. ამ ტექნოლოგიური სიახლის პარალელურად კიდევ ერთი სახასიათო ელემენტი - შვერილებიანი კერა მკვიდრდება მტკვარ-არაქსის კულტურაში, რომელიც შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლების მსგავსაა [12.95-96] და ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ადელი მტკვარ-არაქსულ ძეგლთან (პლიუს სამშვილდე, ხიზანაანთ გორის E ფენა), შეგვიძლია გავაერთიანოთ ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში და ძვ. წ. IV ათასწლ. II ნახევრით დავათარილოთ [1.31-32].

III ეტაპის კერამიკა სრულყოფილი და დახვეწილია. ფერადი, შავზედაპირიანი და წითელი, ან ვარდისფერ სარჩულიანია. სტილისტურად დახვეწილია, აქვთ რთული პროფილი, სამნაწილადტანიანი აღნაგობა და შემკულია რელიეფური ჩალარულ-ამოლარული ორნამენტით.

I ეტაპის ტიპური მაგალითია ქვაცხელას ორმოსამარხები. ქვაცხელაზე გახსნილია 5 სამარხი. ისინი ნაპოვნია, როგორც დასახლების ტერიტორიაზე, ასევე მის მიღმაც. ნამოსახლარი ორიარუსიანი. ქვედა იარუსზე I სამარხში ნანახია ორი ჭურჭელი. მათგან აღსანიშნავია ვარდისფრად გამომწვარი, ცალყურა ქილა, რომელიც ძირიდან კორპუსისაკენ მკვეთრად გამოყოფილი გარდატეხის ხაზით გამოირჩევა ქვაცხელას სხვა მსგავსი მასიური ქილებისაგან. მას ბევრი საერთო აქვს ქულბაქებთან

[9. სურ.2-1,4-3]. ესაა გრუნტზე გამართული ორმოსამარხი, რომელიც ამოვსებულია შავი თიხანარევი მიწით, სადაც მიცვალებული დაკრძალული იყო ემბრიონის პოზაში, რომელსაც თიხის ჭურჭელთან ერთად ჩატანებული ჰქონდა ლითონის, ქვისა და ძვლის სამკაული [8.21, 22]. ზედა იარუსი ღრმა ორმოსამარხებითაა წარმოდგენილი. მათ შემოვლებული აქვთ ქვაყრილი. ხშირ შემთხვევაში ორმო ნაგებია რიყის ქვით და იატაკი მოკირწყლულია წვრილი კენჭებით. ამ შემთხვევაშიც ინვენტარი და დაკრძალვის წესი იდენტურია. ანალოგიური სიტუაციაა ურბნისის ნაქალაქარის ინდივიდუალურ სამარხებშიც. ზედა იარუსიდან განსაკუთრებით საინტერესოა სპილენძის ფირფიტოვანი დიადემა წყლის ფრინველებისა და ასტრალური ნიშნებით. ალ. ჯავახიშვილის აზრით, დამზადების სტილის მსგავსებით ის ყველაზე ახლოს ურის სამეფო სამაროვანზე აღმოჩენილ მასალასთან დგას, რადგან აქაც სასურველი ინფორმაციის გადმოცემა უკანა მხრიდან ჭედვით გამოყვანილი პუნსონების მეშვეობით ხდება [8.42]. სამკაულში ჩნდება ბიკონუსური მძივები. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის სტრატოგრაფიკაცია ძნელია, ქვაცხელას მასალებს მჭიდრო კავშირი აქვთ სამხრეთ კავკასიის და მთლიანად საქართველოს ანალოგიური პერიოდის მასალებთან. ამ მხრივ საინტერესოა პარალელები თეთრიწყაროს, ამირანის გორას, გუდაბერტყას ნამოსახლარის მასალებთან.

ქვედა, უფრო ადრეულ ეტაპზე, მსგავსი მძივი მხოლოდ ერთი ცალია ნაპოვნი, მაშინ, როდესაც ზედა იარუსზე ის ჭარბადაა წარმოდგენილი. სამარხები ჩაჭრილია, როგორც გრუნტში (ქვაცხელა, ხიზანანთ გორა), ასევე გვაქვს სპეციალურად ქვით შემორაგული და ქვაყრილით დაბოლოებული გრუნტის სამარხები (მხოლოდ ქვაცხელა). სამარხები გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური სახის. გარკვეულწილად ემთხვევა მტკვარ-არაქსის კულტურის მეთუნეობაში ახალი ტექნოლოგიური ხაზის, ბიკონუსური ჭურჭლის გამოჩენა. რამდენად იმეორებს სამკაული მეთუნეობის ფორმებს, ძნელი სათქმელია. ერთია, რომ ფორმა სიახლეა და ერთმანეთთან კავშირ-

ში თუ დამოუკიდებლად ორივე სახელობო დარგში მიღებული ჩანს.

ტექნოლოგიური და ტიპოლოგიური თვალსაზრისით, სახასიათო ძეგლია ამირანის გორა, სადაც თიხის ნაწარმი, კონკრეტულად, თიხის ჭურჭელი, უხვადაა წარმოდგენილი და მათი სიდიდის, აგრეთვე, ფორმების მიხედვით, შესაძლებელია კატეგორიების გამოყოფა-დაკონკრეტება.

ჭურჭელი, ძირითადად, სქელკედლიანია. 90% შავზედაპირიანი კერამიკაა, რომელსაც ვარდისფრად ან ნაცრისფრად შეღებილი შიდაპირი აქვს. ჭრილში ნატეხი სამ ან ორფერიანია. გვხვდება თხელკედლიანი კერამიკაც, რომელიც განსხვავებულია ფერთაც – თხელკედლიანი კერამიკა მონაცრისფრო ზედაპირიანია. აგრეთვე გვხვდება მონაბლისფრო-მონითალოდ შეფერილი ჭურჭელიც. მიუხედავად მასალის სიუხვისა, ამირანის გორის ჭურჭლის სრულყოფილი რესტავრაცია მაინც ვერ მოხერხდა. აღდგენილია 80 ეგზემპლარი, რომელთა განსხვავებული ფორმები და პროპორციები საშუალებას იძლევა, ისინი დანიშნულების მიხედვით დავაჯგუფოთ.

ამრიგად, პირველ ჯგუფში გაერთიანებულია:

1. პირფართო, უყურო ჭურჭელი, რომელიც, სავარაუდოდ, გამოიყენებოდა მარცვლეულის შესანახად;
2. ფართოპირიანი, სასულენახვრეტიანი, ვიწროძირიანი დიდი ჭურჭელი;
3. დაბალყელიანი, მრგვალმუცლიანი, ფართოპირიანი, მრგვალმუცლიანი უყურო ქილები;
4. ცილინდრული მოყვანილობის, პირფართო ან პირისაკენ გადაშლილი ყელის მქონე ორყურა, მრგვალმუცლიანი ქილები (ზოგიერთს მათგან ყურები ყელს ქვევით აქვს მიძერწილი, ზოგს კი – პირის ხაზის გაყოლებაზე);
5. ე.წ. „ხესატაცი“, ცალყურა (ყური ტიპური წრიულია, რაც მტკვარ-არაქსის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია), ძირითადად, გადაშლილპირიანი, თანაბრად მომრგვალებულმუცლიანი (ან შუა ადგილზე მკვეთრად მუცელგამობერილი) ჭურჭელი – ქოთანი, ტოლჩა, კათხა;

6. ციცრხვისებური, თითქმის სწორტანიანი ჭურჭელი;
  7. დოქისებური ჭურჭელი, ვინრო, მაღალყელიანი, მუცელგამობერილი და პირთან ახლოს მიძერწილი ცალი ყურით. გვხვდება იგივე ფორმა მრგვალი ყურითაც;
  8. ვინრო, მაღალყელიანი, მუცელგამობერილი სამყურა ჩამოსაკიდი ჭურჭელი;
  9. მხრებდაქანებული, გადაშლილპირიანი ლანგარი;
  10. ფართოძირიანი, თითქმის სწორძირიანი ღრმა ჯამები, რომელთაგან ზოგიერთს პირი შიგნით აქვთ შეზნექილი;
  11. ცალყურა, დაბალყელიანი და პირგადაშლილი სამფეხა ჭურჭელი;
  12. სხვადასხვა სტილის სარქველები – ბრტყელი, დისკოსებური, თხელი, უყურო, ყურიანი, პროფილიანი, წითლადშეღებილი;
  13. ტაფისებური, ან აბზინდისებური, ბრტყელძირიანი, სწორკედლიანი, ცალგვერდგახსნილი ჭურჭელი;
  14. ე.წ „საკმეველი“, ოთხკუთხა დაფანჯრული ჭურჭელი. როგორც ჩანს, ორი განყოფილება უნდა ჰქონოდა, სადაც ყელისაკენ შევიწროებულ ადგილზე დატანილი ჰქონდა ნახვრეტი;
  15. „სარკმლიანი ჭურჭელი“ – სარკმელი დატანებული აქვს ძირზე. ავტორი მას ობსიდიანის ფირფიტის ჩასასმელად განზრახ დატოვებულად მიიჩევს [7.72] ამ შემთხვევაში არაა დაფიქსირებული კონკრეტულად, თუ რა დატვირთვა უნდა ჰქონოდა ობსიდიანს – მხოლოდ ესთეტიური, თუ რაიმე საკულტო.
- ამირანის გორის კერამიკული მასალის ამ ზოგადი კლასიფიკაციის გარდა, შეგვიძლია უფრო პროფილურადაც დავყოთ. მაგალითად, დეკორის ერთ-ერთი გამოკვეთილი სახე – ყური აქ შემდეგი სახის გვაქვს: 1. ნახევარწრიული; 2. დანვრილებული; 3. ვინვროხვრელიანი და გრძელი ყურები; 4. ნახევარწრიული ფორმის ყურები, ზემოდან დაბრტყელებული, რომელიც ზედხედში ტოლგვერდა სამკუთხედს ქმნის. მსგავსი ყური დამახასიათებელია კერამიკული მასალისათვის, რომელთაც ყური მიდგმული აქვთ პირიდან ყელზე და მიჩნეულია მოგვიანო ეტა-

პის მახასიათებელ ნიშნად. ანალოგიური სიტუაცია გვაქვს ერთეულ შემთხვევებში გადანეულპირიან ჭურჭელშიც.

რაც შეეხება სამარხეულ ინვენტარს, ამ შემთხვევაში სახეზეა ფორმათა შედარებითი მცირერიცხოვნება, მაგრამ სტაბილურად მეორდება გარკვეული სახეობები. სამარხებში ძირითადად გვაქვს: 1. ცალყურა, თხელკედლიანი ჭურჭელი; 2. მაღალყელიანი, ძირფართო ჭურჭელი; 3. ფართოპირიანი, დაბალყელიანი, ცალყურა ჭურჭელი; 4. დაბალყელიანი, მუცელგამობერილი, უყურო ქილა; 5. უყურო ქოთანის, ჯამის და ცალყურა ქოთანის (მათგან 2 ც. ორნამენტირებული).

სამარხეული კერამიკა სამარხის კერამიკის 1-4 ჯგუფი ფერის მიხედვით წარმოდგენილია: მონაცრისფრო-მოშაო და მოვარდისფრო ზედაპირით, ახასიათებს თხელი კეცი. ამირანის გორის სამარხეულ ინვენტარში გვაქვს შავზედაპირიანი, ვარდისფერსარჩულიანი კერამიკაც, რომელშიც აქტუალურია შემდეგი ნიუანსები: ა) ყელქვევით მიძერწილი რელიეფური ტეხილი ზოლები. ეს ვარიანტი ხანდახან გვაქვს ჭურჭლის ყელზე დატანილ ფოსოებთან ერთად კომბინაციაში; ბ) ზოლისებური რელიეფური ხაზები, ან ერთმანეთის პირისპირ მდგარი ასევე რელიეფური წეროების გამოსახულებები; გ) შვერილებიანი და ტეხილხაზოვანი, წვრილხაზოვანი, შემკულობა.

ჭურჭელი ძირითადად ერთმანეთისაგან განსხვავდება მუცლის ფორმით. სხვა დანარჩენი დეტალი შეიძლება ერთნაირი ჰქონდეთ (პირი, ყელი, ძირი). განსაკუთრებით სტაბილური მტკვარ-არაქსის კულტურაში არის ჭურჭლის ძირი. ის მხოლოდ ერთეულ შემთხვევებშია ოდნავ შეზნექილი. მუცელი შესაძლოა სამი სახის შეგვხვდეს: 1. ყელიდან მკვეთრად გამობერილი, ძირისაკენ მაქსიმალური შევიწროებით; 2. მუცლის შუა წელზე გამოკვეთილი ნიბოთი და 3. თანაბრად გამობერილი მუცელი. ამრიგად, ამირანის გორის მასალის განხილვისას სახეზეა გარკვეული მრავალფეროვნება, როგორც ფორმების, ასევე დანიშნულების მიხედვით.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად რეალურია კერამიკის სახეობებში დამზადებისას გარკვეული სტანდარტების და ტექ-

ნოლოგიური ნორმების დაცვა, ბალიჭი-ძეძვების ნამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სამარხეულ კერამიკულ მასალას ჩაუტარდა შედარებითი აზომვები. მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ, მიუხედავად ჭურჭლის ხელით დამზადებისა, მტკვარ-არაქსის კულტურის მეოთხე სახეობების მიხედვით ცდილობს დაიჭიროს სასურველი კეცის სისქე, დაიცვას ჭურჭლის ოპტიმალური ძირის, მუცლის და პირის დიამეტრების სტანდარტები.

საინტერესოა ერთი ნიუანსი - ხომ არაა სამარხეული კერამიკა საგანგებოდ დამზადებული? იგრძნობა თუ არა განსაკუთრებულობის მომენტი? არის თუ არა თიხის ცომის მომზადებასა და გამონვისას საყოფაცხოვრებო და რიტუალურ (სამარხეულ) ჭურჭელს შორის სხვაობა? საგანგებოდ მზადდება თუ არა დასაკრძალი რიტუალის შესასრულებლად თიხის ნაწარმი? - მსგავს კითხვებს აჩენს სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭლის მკვეთრი დეფინიცია (ბადიები და კათხა-სასმისები), ერთგვარი ტექნოლოგიური ლაფსუსები (დასადგამად მოუხერხებელი ძირები), რაც ყოფითი კერამიკისათვის სრულიად დაუშვებელია.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. აბრამიშვილი რ., გოცაძე დ., თრელის მტკვარ-არაქსის პერიოდის ნასახლარი, თბ., 1, 1978.
2. აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი კ., ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980.
3. გობეჯიშვილი გ., თეთრინწყაროს ნასოფლარი, თბ., 1978.
4. საქართველოს არქეოლოგია, ტ. II, თბ., 1992.
5. ფხაკაძე გ., ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963.
6. ქორიძე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები 1, თბ., 1955.
7. ჩუბინიშვილი ტ., ამირანის გორა, თბ., 1963.
8. ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ., ურბნისი, თბ., 1962.
9. ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლიონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.



10. Palumbi G. Red-Black Pottery: Eastern Anatolian and Transcaucasian Relationships around the Mid Fourth Millennium BC, 2003.
11. Stöllner Th., Gambashidze Ir., Gold in Georgia II: The Oldest Gold Mine in the World, Anatolian Metal V, Bochum 2011.
12. Круглов А., Северо-Восточный Кавказ во II-I тысячелетиях до н.э., МИА ССР, N 68,
13. Мунчаев Р., Древнейшая культура северо-восточного Кавказа, МИА – 100, Москва, 1961.

**Nino Otkhvani**

## **The Technological Characteristics of Kura-Araxes Pottery, The Factor Determining Their Typology and Function**

### **Summary**

One of the crucial factors determining the nature of Kura-Araxes culture is its ceramic material, namely, pottery, which enables to follow the gradual development and identify the chronology of the given culture. Gradual development was reflected in the technological features of pottery material. In this regard, the pottery of Kura-Araxes culture of diverse stages differs as to the content of clay and the ways of firing. On the initial stage the widespread type is the so-called "adobe ceramics". The material of the earlier period is similar throughout the entire Caucasus. In Georgia, this is Didube-Kiketi group, in Armenia – Elar, and in Azerbaijan – the earlier stage of Babadervish. Despite regional differences, cultural peculiarities and individual local features, as well as different functional applications, the spreading of technologically identical ceramics on the entire area implies close communication between the communities and the circulation of knowledge. The pottery of light colour, with plant insertions, is no longer found at the later stages of Kura-Araxes culture. The material is enriched with inorganic material (mica, quartz, sand, pebbles, obsidian insertions). Perfection of the technology yielded more opportunities. Earthenware vessels became

thinner and more solid. This enabled the change of form. The assortment was increased and ornaments appeared. The following stage of development of pottery was the so-called "tissue ceramics". This type of ceramics is found in Kura-Araxes culture both on the initial and later stages. Despite hand-made pottery and the practice of open firing, good knowledge of pottery material and the technological nuances made it easy for the potter to obtain the earthenware vessel of the desired thickness and preserve the parameters of the bottom, cavity and mouth diameters. The complex unity of these features distinguished Kura-Araxes ceramics on the entire area of its spreading.

**რომი და ინდოეთი  
დიდი აზრეშუმის გზის კონტაქსტში**

ტრანსკონტინენტურ საქარავნო-სავაჭრო გზას, რომელიც (სურ. 1) შორეულ აღმოსავლეთს ხმელთაშუაზღვასთან აკავშირებდა და, ძირითადად, ჩინეთიდან აზრეშუმის ექსპორტს ემსახურებოდა, საფუძველი ძვ. წ. II ს-ში ხანის დინასტიის (რომან. Hànn cháo, ძვ.წ. 206-ახ.წ.220 წწ.) პერიოდში ჩაეყარა. გზას ორი – ჩრდილოეთი და სამხრეთი მიმართულება ჰქონდა. არსებობდა კიდევ საზღვაო გზა ინდოეთის ოკეანის გავლით. ტერმინი „დიდი აზრეშუმის გზა“ კი 1877 წელს გერმანელმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ფერდინანდ ფონ რიხტჰოფენმა დაამკვიდრა (1833-1905 წწ.).<sup>1</sup>

სავაჭრო გზის ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანესი იყო გზის უსაფრთხოება, რისთვისაც ხანის დინასტია სახსრებს არ იშურებდა (სურ. 2). დასავლეთ ხანის დინასტიის მეშვიდე იმპერატორმა უ-დიმ (ძვ.წ. 156-87 წწ. ) ძვ.წ. 139 წ. დასავლეთში გააგზავნა დიდი ჩინელი მოგზაური და დიპლომატი ზანგ ციანი (რომან. Zhāng Qiān. გარდაც. ძვ.წ. 114 წ.) მისიით, რომელიც ჩინეთში ძვ.წ. 126 წელს დაბრუნდა და უმნიშვნელოვანესი ცნობები ჩაიტანა ბაქტრიის, სპარსეთისა და ფერგანის შესახებ. სწორედ ზანგ ციანის კვლევებისა და დაპყრობითი ომების საფუძველზე საქარავნო გზის უსაფრთხოებისათვის დაიწყო კიდევ ცენტრალური აზიის სავაჭრო გზის გაფართოება. დიდი ჩინური კედელი გაფართოვდა დასავლეთისკენ უდაბნოს მიმართულებით, სადაც ძვ.წ. 121 წელს აშენდა პირველი ფორპოსტი დუნ-ჰუანგი (roman. Dūnhuáng shì) მომთაბარე ტომებისაგან სავაჭრო ქარავნების დასაცავად, რომელმაც სრულფასოვანი ფუნქციონირება ძვ.წ. 111 წელს დაიწყო. ზემოაღნიშნულმა გზამ ადგი-

<sup>1</sup> იხ. Ferdinand von Richthofen, China. Ergebnisse eigener Reisen und darauf gegründeter Studien. 5 Bände mit Atlas, Berlin, 1877-1911.

ლობრივი გლეხების აჯანყების გამო ფუნქციონირება შეწყვიტა 17-24 წწ-ში. აჯანყების ჩახშობის შემდეგ გუან უ-ძის (რომან. Guāngwǔ di, ძვ.წ. 5-ახ.წ. 57 წწ.) იმპერატორობისას, რომელმაც აღმოსავლეთ ხანის დინასტიას დაუდო საფუძველი, საქარავნო გზამ აღმოსავლეთით გადაინაცვლა.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს რომსა (სურ. 3) და ინდოეთს შორის არსებული კონტაქტების ანალიზი გვიან ანტიკურ ხანაში, რომელიც სწორედ დიდი აბრეშუმის გზით ვითარდებოდა. რომის იმპერიის ინდოეთთან დამაკავშირებელ გზას რომის მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე წარმოადგენდა გზა ანატოლიისა და სპარსეთის გავლით. მენამურ ზღვაზე პტოლემეაოსები იყვნენ გაბატონებულნი. რომის იმპერიის მიერ ძვ.წ. 31 წელს ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ სახმელეთო გზა საზღვაო მშენებლობა, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან ზღვით მოგზაურობა, ხმელეთით მოგზაურობასთან შედარებით, უფრო სტაბილური იყო. ახ.წ. I ს-ში რომიდან ინდოეთისაკენ მიმავალ ყველაზე ახლო გზას წარმოადგენდა გზა მენამური და არაბეთის (ან ინდოეთის ოკეანით) ზღვების გავლით სამხრეთ ინდოეთამდე (მალაბარის სანაპირო).

უპირველესად გვინდა, აღვნიშნოთ ინდოეთში არსებულ ზღვაოსნობის კულტურის შესახებ. ცნობები ინდური ასნიჩიანი გემების განვითარების შესახებ დაცულია ჯერ კიდევ „რიგვედაში“ – ვედურ ენაზე შესრულებულ ინდურ რელიგიური ხასიათის ლიტერატურის პირველ ცნობილ ძეგლში (შექმნის თარიღად მიჩნეულია ძვ. წ. 1700-1100 წლები) [2.65]. ინდოეთში ძვ.წ. VII ს-ში ზღვაოსნობაზე, კერძოდ, შორეულ საზღვაო მოგზაურობებზე საუბარია, აგრეთვე, ძველ ინდურ ეპიკურ პოემა „მაჰაბჰარატაში“ (თქმულება დიდ ბჰარატებზე). მკვლევართა აზრით, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან დაწყებული ინდოელმა მეზღვაურებმა აითვისეს ძველ ეგვიპტემდე, არაბეთამდე, მესოპოტამიამდე და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიამდე მისასვლელი საზღვაო გზები [4. 84], ძვ.წ. IV-III სს-ში კი ინდოჩინეთის სანაპირო ზოლი, მათ შორის, სამხრეთით მალაკის ნახევარკუნძული, კუნძული სუმატრა, იავა, კალიმანტანი (ბორნეო)... ინდოე-

ლებმა მიაღწიეს ლუსონს – ფილიპინების არქიპელაგის ყველაზე დიდ კუნძულს, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად ინდური წარმოშობის სამუშაო იარაღი, ნახევრად ძვირფასი ქვებია აღმოჩენილი. ძვ.წ. ამავე პერიოდიდან ინდოელი ვაჭრები დაცურავდნენ არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროებზე, ძვ.წ. II ს-დან კი რეგულარულად აწყობდნენ მოგზაურობებს ეგვიპტესა და აფრიკაში (ეთიოპია, მოზამბიკი). მეცნიერები არ გამოირიცხავენ, რომ ბერძენ იპალოსზე (ძველი ბერძენ. Ἰππάλος, ძვ.წ. II ს-ის ბოლო – I ს.) ორი-სამი საუკუნით ადრე ისწავლეს ინდოელებმა მუსონური ქარების გამოყენება ღია ზღვაში გასასვლელად [5].

ჩვენ საკვლევ ანტიკურ ხანაში, ძვ.წ. VI ს-ში ბუდისტური წყაროების მიხედვით, ინდოსტანის ნახევარკუნძულის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე მრავალი მაჰაჯანაპადი (სანსკრიტი „დიდი ქვეყნები“) შეიქმნა. ძვ.წ. IV ს-ის ბოლოს სამხრეთ აზიის დიდი ნაწილი გაერთიანდა მაურიას იმპერიაში (ძვ.წ. 322-187 წწ. დედაქალაქი პატალიპუტრა. თან. პატნა) ჩანდრაგუფტა მაურიოს მიერ, რომელსაც კონტაქტი ჰქონდა სელევკიდების სახელმწიფოსთან. მაურიას იმპერიამ ყველაზე დიდ განვითარებას მიაღწია ბუდისტი მეფის აშოკის (ძვ.წ. 272-232 წწ.) მეფობის დროს, რომელიც, ამავედროულად, დიდი მოაზროვნეც იყო. ძვ.წ. II საუკუნეში ინდოეთი განიცდის ცენტრალური აზიიდან შესული ხალხების თავდასხმებს, რის შედეგსაც წარმოადგენდა ინდო-ბერძნული (ბერძნულ-ბაქტრიული სახელმწიფოს გაფართოვების შედეგი. ძვ.წ. 180-10 წწ.), ინდო-სკვითური (ძვ.წ. 200-ახ.წ.400 წწ.) სამეფოებისა და კუშანის იმპერიის (სურ. 4) (ახ.წ. I- III სს.) წარმოქმნა.

რაც შეეხება ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთით არსებულ სიტუაციას, აქ რამდენიმე დინასტია დომინირებდა: ჩერას, ჩოლასა და პანდიას დინასტიები. ჩერას პირველ დრავიდურ-ტამილური დინასტიის (I-III სს.) შემადგენლობაში შედიოდა მალაბარის სანაპირო ზოლი, საიდანაც ხორციელდებოდა დასავლეთის მიმართულებით საზღვაო კონტაქტები. ჩოლას ტამილური დინასტიის (ძვ.წ. III-ახ.წ.XIII სს.) შესახებ უძველესი

ცნობები დაცულია მაურიას იმპერატორის აშოკის ბრძანებებში (ძვ.წ. III ს.). ნიშანდობლივია, რომ ჩოლა დასახელებულია მაურიას ქვეყნების მეზობელ სახელმწიფოდ, რომელიც აშოკას არ ექვემდებარებოდა. ჩოლას ქალაქები მოხსენიებულია „ერიტრიის ზღვის პერიპლუსში“, კლავდიუს პტოლემეაოსთან (100-170 წწ.). პანდიას – ეთნიკურად ტამილური დინასტია, რომელიც ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველი ბერძენი მოგზაურის მეგასტენესთვის (ბერძნ. Μεγασθένης, ძვ.წ. 350-290წწ.)<sup>1</sup> – საკმაოდ დიდ ტერიტორიებს მართავდა, ზოგჯერ ცეილონსაც კი. ახ. წ. I საუკუნეში ცეილონზე უკვე არსებობდა ინდური სავაჭრო კოლონიები.

ძვ. წ. II საუკუნეში ინდოსტანის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მთავარ პორტს წარმოადგენდა ბაჰარდიპური, მდინარე ინდის შესართავთან და ბჰარუკაჩქა (ანტიკური ბარუგაზა) კამბეის ყურეში, რომლებიდანაც ხორციელდებოდა სავაჭრო ურთიერთობები არაბეთში, ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან ეგვიპტის გავლით და მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინდოელი ზღვაოსნები დასავლეთით – აფრიკის მიმართულებითაც დაცურავდნენ სომალის სანაპიროზე, პორტ სოფალასა და მოზამბიკისკენ. სამხრეთ ინდოეთიდან ეგვიპტემდე გემები მიცურავდნენ კუნძულ სოკორტამდე – ანტიკური წყაროების მიხედვით დიოსკორიდა (Periplus maris Erythraei). 2001 წელს სოკორტას მღვიმეში ბელგიელმა სპეციალისტებმა აღმოაჩინეს ინდურ (ბრაჰმი), სამხრეთ არაბულ, ეთიოპურ, ბერძნულ... ენებზე შესრულებული 250 წარწერა, ნახატები და სხვა არტიფაქტები, რომელთა შესწავლის შედეგად დგინდება, რომი ისინი იქ მეზღვაურების მიერ იყო დატოვებული ახ.წ. I-VI სს-ში. აღმოჩენილი

---

<sup>1</sup> მეგასტენეს თხზულებას „ინდიკა“ (ძვ. ბერძნ. Ἰνδικά, ლათ. Indica) ჩვენამდე არ მოუღწევია. თხზულების ფრაგმენტები შემორჩენილია მოგვიანო პერიოდის ბერძენ-რომაელ ავტორებთან: დიოდორე სცილიელთან (ძვ.წ. 90-30 წწ.), სტრაბონის (ძვ.წ. 64/63-ახ.წ. 23/24წწ.) გეოგრაფიაში, პლინიუს უმცროსთან 60-113/115 წწ.), არიანესთან (86-160 წწ.) (ინდიკა).

არტეფაქტების ანალიზი იმ პერიოდში არსებული სავაჭრო გზების შესწავლის საშუალებას იძლევა [1. 409-445].

ბერძენ-რომაელთა ვაჭრობის დაწყება ინდოეთთან დაკავშირებულია ბერძენ ევდოქსოს კიზიკელის (Εὐδοξὸς ὁ Κιζικηνός, ძვ.წ. II ს.) სახელთან (ძვ. წ. 130 წელი). სავაჭრო ურთიერთობები თანდათანობით იზრდებოდა. სტრაბონის მიხედვით, მის დროს მიოს ჰორმოსიდან (ბერძ. Μυός Ὀρμος. ლათ. Myos Hormos. მენამული ზღვის სანაპირო, ეგვიპტე) ინდოეთისკენ 120 გემი დაცურავდა, მაშინ, როდესაც პტოლემეაიოსების პერიოდში მათი რაოდენობა არცთუ ბევრი იყო (Stabo., II.5.12). რომსა და ინდოეთს შორის სავაჭრო კავშირების ზრდა დაკავშირებულია ოქტავიანე ავგუსტუსის სახელთან, რომელმაც, როგორც ცნობილია, სიმშვიდე დაამყარა იმპერიაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას.

რომის იმპერია ცენტრალური აზიის აბრეშუმის გზას უკავშირდებოდა ბარიგაზასა (Barygaza თან. ბჰარუჩი, Bharuch) და ბარბარიკუმის (Barbaricum, თან. კარაჩი. Karachi) პორტების მეშვეობით. ინდო-რომაული სავაჭრო გზის ყველაზე დაწვრილებითი აღწერა მოცემულია ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევარში დაწერილ დოკუმენტში, რომელიც ცნობილია „ერიტრიის ზღვის პერიპლუსის“ (თანამედ. არაბეთის ზღვა) (ბერძნ. Περίπλους τῆς Ἐρυθρῆς θαλάσσης, ლათ. Periplus maris Erythraei) სახელით, რომელშიც მოხსენიებულია ერიტრიის ზღვაზე არსებული არა მარტო რომაული, არამედ ინდური პორტები. როგორც წყარობიდან ირკვევა, რომის იმპორტს აღმოსავლური ექსპორტი აჭარბებდა [3. 262-281]. პლინიუს უფროსის მიხედვით, რომაელი მდიდრების მფლანგველობის გამო რომის იმპერიას ინდოეთი, სერა (ჩინეთი)... ყოველწლიურად ართმევდნენ 100 მილიონ სესტერციის (ლათ. sestertius)(NH, VI, 26, 6;XII, 41, 2).

იმ ფაქტის დამადასტურებლად, რომ საზღვაო-სავაჭრო გზა მართლაც ინტენსიურად მოქმედებდა, შეიძლება ჩაითვალოს მაღაბარის სანაპირო ზოლზე რომის იმპერიასთან დაკავშირებული არა ერთი არტეფაქტის აღმოჩენა (რომაელთა სავაჭრო საქონელი, კეისრის მონეტები...). რომაელ მატრონებს

იზიდავდა აღმოსავლური საქონელი. სავაჭრო ურთიერთობის შედეგად, რომაელები ეცნობოდნენ, აგრეთვე, აღმოსავლეთის რელიგიას (ბუდიზმი). ანტიკური წყაროები გვამცნობენ ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14 წწ.), ტრაიანეს (98-117 წწ.), ადრიანეს (117-138 წწ.), ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.), ჰელიოგაბალუსის (218-222 წწ.), ავრელიანეს (270-275 წწ.), კონსტანტინეს (306-337 წწ.), ივლიანე განდგომილის (361-363 წწ.) იმპერატორობისას რომში ჩასულ ინდოელ ელჩებზე, მაგრამ რომაელი ელჩების ვიზიტის შესახებ ინდოეთში ცნობები არ მოგვეპოვება. შეიძლება ითქვას, რომი საკუთარი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე არსებულ სამეფო დინასტიებთან ურთიერთობაში.

### ლიტერატურა – REFERENCES

1. Robin C., Gorea M., „Les vestiges antiques de la grotte de Hôq (Suqutra, Yémen) (note d'information)“. Comptes rendus des séances de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres, 2002, 146 (2): 409-445. [https://www.persee.fr/doc/crai\\_0065-0536\\_-2002\\_num\\_146\\_2\\_22441](https://www.persee.fr/doc/crai_0065-0536_-2002_num_146_2_22441)
2. Магидович И.П., Магидович В.И., Очерки по истории географических открытий. т. I. Москва, 1982.
3. Псевдоарриан. Плавание вокруг Эритрейского моря. Пер. С.П. Кондратьева, Вестник древней истории. 1940. № 2, გვ. 264-281.
4. Свет Я.М., По следам путешественников и мореплавателей Востока. Очерки. Москва, 1955, გვ. 84.
5. Тарн В., Эллинистическая цивилизация. Москва, 1949.




**Marika Mshvildadze**

**Rome and India within the  
Context of the Great Silk Road**


**Summary**

Foundation for the transcontinental caravan trade road that connected Far East with the Mediterranean Sea was laid in the II c. B.C. in the period of Khan Dynasty. Analysis of the existing contacts between India and Rome, in the late antiquity period, developing via the Great Silk Road, lies in the sphere of our interest. The route connecting Rome and India before the conquest of Egypt lay across Anatolia and Persia. Ptolemies reigned over the Red Sea. After the Roman conquest of Egypt in the year of 31 B.C, the land road was replaced by the maritime (sea) route. In the I c. A.D. the nearest route from Rome to India lay across the Red and Arabic seas (or Indian Ocean) to Southern India (Malabar Coast). The Indians used to be quite skillful sailors in the period of antiquity.

Multiple mahajanapadas were set up at the North-East territory of Hindustan peninsula by the VI c. B.C. In the end of IV c. B.C. a major part of Southern Asia was united into Maurya Empire. In the II c. B.C. Indo-Greek, Indo-Scythian kingdoms are created and Kushan Empire comes to existence. While Dynasties of Chera, Chola and Pandya dominate the South. The work addresses Trade-economic contacts existing between Rome and India on the basis of historical sources and artefacts. It is pointed out that the growth of Trade contacts is connected with the name of Octavian Augustus. Discovery of multiple artefacts connected with the Roman Empire (Roman trade items, coins of the Caesars...) at the Malabar Coast may be regarded as the proof of the fact that the maritime rout between Rome and India was used intensively. The sources of antiquity tell us about the Indian ambassadors having arrived in Rome during the rule of Octavian Augustus, Trajan, Hadrian, Antonius Pius, Heliogabalus, Aurelian, Constantine, Julian the Apostate, as well as the Roman co-operation with the royal dynasties of Hindustan Peninsula in the state interests.




სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

**ადრეული შუა საუკუნეების  
მშვილდსაკინძები ზემო იმერეთიდან**

ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნები დასავლეთ საქართველოში მცირე რაოდენობით არის შესწავლილი. ერთეული გამონაკლისების გარდა, ისინი, პრაქტიკულად, არ ჩანს ქვემო იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში, სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. ამ მიზეზის გამო ძნელდება მატერიალური კულტურის ისეთი საკითხების კვლევა, როგორებიცაა: კერამიკული წარმოება, სამკაული, ტანსაცმლის აქსესუარები, იარაღი და სხვ. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს აფხაზეთი და ზემო იმერეთი, სადაც აღმოჩენილია IV-VI საუკუნეების არა ერთი სამაროვანი და მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია მოდინახეს სამაროვანს, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მეცნიერულად კარგად შესწავლილ არქეოლოგიურ ობიექტს ზემო იმერეთში. იგი მდებარეობს საჩხერის ჩრდილო-დასავლეთით, რაჭა-იმერეთის ქედის სამხრეთ განშტოებაზე. 1966-81 წლებში საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჯურხა ნადირაძის ხელმძღვანელობით მოდინახეს ციხის სამხრეთ ფერდობზე გათხარა მრვაღფენიანი არქეოლოგიური ძეგლი და ძვ. II-I ათასწლეულების სამაროვნებისა და ნამოსახლარების პარალელურად აღმოაჩინა ადრეული შუა საუკუნეების სამარხებიც. ბუნებრივია, აქ დანვრილებით ვერ შევუდგებით სამარხეულ კომპლექსებში გამოვლენილი ინვენტარის სრულ განხილვას, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ სხვა მნიშვნელოვან არტეფაქტებთან ერთად 7,36,37,42,44,55,65,74,78,80 სამარხებში აღმოჩნდა მშვილდსაკინძებიც, სულ 13 ერთეული. ისინი დამზადებულია ბრინჯაოსგან (სამარხები 7,42,44,55,78,80) და რკინისგან (სამარხები 36, 37, 44, 65, 74). ყველა მათგანი ორწილადაა. ფორმის მიხედვით შესაძლებელი ხდება სამი ტიპის ნიმუშების გამოყოფა:

I ტიპის (სამარხები 44, 55) (სურ. 3; 5)

II ბუდეაბმული (სამარხები 7, 21, 42, 44, 74, 80) (სურ. 1; 2; 4; 6; 7; 9; 10)

III მუხლზამბარიანი (სამარხი 78) (სურ. 8)

რაც შეეხება 36, 37, 65 სამარხებში მიკვლეულ ცალებს, ისინი უაღრესად ფრაგმენტულია და შეუძლებელია მათი გაერთიანება რომელიმე ტიპში.

I ტიპის მშვილდსაკინძების პარალელები მიკვლეულია ხევში [4.59], ქვემო ალევში [3.59], სტირფაზში [15.97], ურბნისში [10.116], ბოლნისში [1.51-52], ნახშირგორაზე [8.27-29], სამთავროში [2.23] და სხვ. ისინი გამოვლენილია დასავლეთ საქართველოშიც, ძირითადად, აფხაზეთში, ნებელდური კულტურის ძეგლებზე [14.122]. აღნიშნული ტიპის მშვილდსაკინძების კლასიფიკაციის პრობლემას პირველად ო. ტყეშელაშვილი შეეხო, ისინი გარდამავალ II ჯგუფში გააერთიანა და IV-V საუკუნეებით დაათარილა [7.311]. თუმცა, მისეული კლასიფიკაცია არ გაიზიარა ნ. აფხაზავამ და ჭვინტიანი ეგზემპლარები მოაქცია მშვილდსაკინძთა II ჯგუფში, რომელშიც რამდენიმე სერია და ვარიანტი გამოყო [2.21-24]. მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დასავლეთ საქართველოში ადრეული ვარიანტის ჭვინტიანი მშვილდსაკინძები აღმოჩენილია ლიას ახალი ნელთარერიცხვის დასაწყისის 5 სამარხში [9. 7] და ამის შემდეგ ისინი საქართველოში, პრაქტიკულად, აღარ ჩანს ადრე შუა საუკუნეებამდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე ადრეულად გამოიყურება სტირფაზში დადასტურებული ცალები [2. 25]. IV-V საუკუნეების ქართლის შედარებით კარგად დათარიღებულ სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე ეს ნივთები უცნობია და მხოლოდ VI საუკუნიდან ივარაუდება ჩრდილოეთ კავკასიიდან მათი ფართო გავრცელება [2. 25].

სათანადო კვლევებით დადგენილია, რომ საქართველოში აღნიშნული მშვილდსაკინძების გავრცელება ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევა და მათი არსებობის თარიღი ძირითადად VI-VII საუკუნეებით განისაზღვრება. VIII საუკუნის ასეთი მშვილდსაკინძები სულ რამდენიმე ცალია ცნობილი და ისინიც, როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიიდანაა იმპორტირებული [2. 25].

ამგვარად, შეიძლება აღინიშნოს, რომ მშვილდსაკინძის ეს სახეობა, დროში შეზღუდული არსებობის გამო, საკმაოდ კარგი დამათარილებელი ნიმუშია ადრეული შუა საუკუნეების კომპლექსებისათვის.

II ტიპის, ბუდეაბმული, მშვილდსაკინძები მოდინახეს სამაროვანზე ყველაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი (7 ერთეული). ისინი დამზადებულია როგორც ბრინჯაოს, ასევე, რკინისაგან. თუმცა, შევნიშნავთ, რომ მასალას ამ შემთხვევაში არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ნ. აფხაზავას მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის მიხედვით, ბუდეაბმული მშვილდსაკინძები ერთიანდება I ჯგუფის II ვარიანტში და V-VI საუკუნეებით თარიღდება [2. 25]. აღნიშნულ ნიმუშებს არა ერთი პარალელი ეძებნება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, აზერბაიჯანსა [13.130] და ჩრდილოეთ კავკასიაში [11. ტაბ. 20-29]

მართალია, ამ სახის ფიბულების დათარიღების საქმეში იყო მცდელობა, ისინი I-III საუკუნეების ნიმუშებად განეხილათ [13.130], მაგრამ როგორც ა. ამბროზმა დაასაბუთა, ამგვარი ერთეულები ჩნდება IV საუკუნის მეორე ნახევარში და არსებობას განაგრძობს V და ნაწილობრივ, VI საუკუნეშიც [12.57]. ამავე თარიღისკენ იხრება საქართველოში და, კონკრეტულად, მოდინახეს სამაროვანზე აღმოჩენილი ცალეებიც.

აქ მივადექით ერთ საინტერესო და პრობლემურ საკითხს. საქმე ეხება მოდინახეს სამაროვნის 5 სამარხის აბსოლუტური თარიღის გარკვევას. საქმე ისაა, რომ თავის დროზე ჯ. ნადირაძემ ეს კომპლექსი IV ს-ის შუა ხანებით დაათარილა [5. 46], მაგრამ ასეთი დათარიღება იმთავითვე ეჭვს იწვევდა, რადგან ამ სამარხში გამოვლინდა შედარებით მოგვიანო ხანის არქეოლოგიური მასალა და, პირველ რიგში, რკინის ორწილადი მშვილდსაკინძი, რომელიც, საქართველოში შემუშავებული ფიბულების კლასიფიკაციის შკალის მიხედვით, უფრო V ს-ის ნიმუშებისკენ იხრებოდა. ამ თარიღს გარკვეულწილად ამყარებდა ამავე სამარხში მიკვლეული საკინძებიც. ამიტომ ეს კომპლექსი, ინვენტარის მხრივ, აშკარად განსხვავდება მოდინახეს კარგად

დათარიღებული IV ს-ის შუა ხანების სამარხებისაგან. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ამ ვითარებას თავის დროზე მხოლოდ ნ. აფხაზავამ მიაქცია ყურადღება და ჯერ კიდევ 1979 წელს გადაათარილა აღნიშნული სამარხის მშვილდსაკინძი და საკინძები [2. 30]. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ნ. აფხაზავას შემოთავაზებულ თარიღს და მთლიანად ამ კომპლექსის თარიღად V ს-ეს მივიჩნევთ.

III ტიპის მშვილდსაკინძები ორი ნიმუშითაა წარმოდგენილი და აქვე აღვნიშნავთ, რომ მათ აღმოჩენას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ზემო იმერეთის არქეოლოგიის შესწავლისათვის, რადგან მოდინახეს 78-ე სამარხში მიკვლეული ცალების გარდა, მუხლზამბარიანი ფიბულები ყვირილის ხეობის ზემო წელზე დღემდე ცნობილი არ არის. ნ. აფხაზავას მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციით, ეს ეგზემპლარები ერთიანდება I ჯგუფის II სერიის ნიმუშებს შორის. მისი ანალოგები მოიპოვება ურბნისში [10. 84], სტირფაზში [15. 265], მარტაზისხევში [6. ტაბ. 1-3] და სხვ. აღნიშნული მშვილდსაკინძები შეესაბამება ა. ამბროზის შედგენილი კლასიფიკაციის VI სერიის IV ვარიანტს, რომლის თარიღადაც იგი IV საუკუნის II ნახევარს, V საუკუნეს და ნანილობრივ VI საუკუნესაც მიიჩნევს. ყოველ შემთხვევაში, VI საუკუნით ათარიღებს ავტორი აფხაზეთში გამოვლენილ ფიბულებს [12. 57]. ნ. აფხაზავა მიიჩნევს, რომ ა. ამბროზის მიერ ანალოგიური მშვილდსაკინძებისთვის შემოთავაზებული თარიღი მისაღები უნდა იყოს აღმოსავლეთ საქართველოში დაფიქსირებული ცალებისთვისაც [2. 13]. აქვე არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ამ ეტაპზე ჩვენთვის ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებასაც.

კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მუხლზამბარიანი, ბუდეაბმული, ორწილადი ფიბულები აღმოსავლეთ საქართველოში ვრცელდება დასავლეთ საქართველოდან IV საუკუნეში [2. 35].

ზემო იმერეთის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ერთი გზა, საიდანაც ამ ფიბულებს ქართლში უნდა შეეღწია, შესაძლოა, ეს რეგიონიც იყო. მაგრამ

იმის გამო, რომ ამ სახის მშვილდსაკინძთა მხოლოდ ორიოდ ნიმუში გვაქვს დადასტურებული, აღნიშნული მოსაზრების კატეგორიული მტკიცებისაგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ. თუმცა, სამომავლოდ, გვიანანტიკურ-ადრე შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლთა უფრო მეტი რაოდენობით გამოვლენისა და შესწავლის შემთხვევაში, არ გამოვრიცხავთ ამგვარი ფიქრის შესაძლებლობას.

### ლიტერატურა – REFERENCES

1. ამირანაშვილი ჯ., ადრეფეოდალური ხანის საქართველოს რელიეფური ქანდაკების ნიმუშები, თბ., 1968.
2. აფხაზავა ნ., ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979.
3. აფხაზავა ნ., ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში, თბ., 1988.
4. მინდორაშვილი დ., არქეოლოგიური გათხრები ხევში, თბ., 2005.
5. ნადირაძე ჯ., ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.
6. საგინაშვილი მ., მარტაზისხევში აღმოჩენილი IV საუკუნის სამარხი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXVII–B, თბ., 1967.
7. ტყეშელაშვილი ო., სამთავროს სამაროვნის II–VIII საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილი მშვილდსაკინძები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXII–B, თბ., 1959.
8. ტყეშელაშვილი ო., არქეოლოგიური დაზვერვები თბილისსა და მის მიდამოებში, თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, თბ., 1966.
9. წითლანაძე ლ., არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ ლიაში, ძეგლის მეგობარი 23, თბ., 1973.
10. ჭილაშვილი ლ., ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.



11. Алексеева Е.П., Древняя и средневековая история Карачаево-Черкессии. Москва, 1971.
12. Амброз А.К., Фибулы Юга Европейской части СССР. Свод археологических источников. Выпуск Д1-30. Москва, 1966.
13. Ваидов Г.М., Раннесредневековое городище Судпгилан. Краткие Сообщения Института Истории Материальной Культуры. I. Москва, 1954.
14. Воронов Ю. Н., Тайна Цебельдинской долины. Москва, 1975.
15. Техов Б.В., Материальная культура населения среднего течения реки Большой Лиахви в I-VIII вв. Тбилиси, 1985.

**Nana Kapanadze**

### **Early medieval fibulae from Kvirila Gorge**


#### **Summary**

Modinakhe cemetery is located in Upper Imereti, north-west of Sachkhere, on the Racha-Imereti ridge. In the 60s and 80s of the twentieth century, 80 burials were excavated here and, along with other artefacts, fibulae were also found in N 7,36,37,42,44,55,65,74,78,80 burials, a total of 13 units. They are made from bronze (tombs N 7,42,44,55,78,80) and from iron (tombs N 36,37,44,65,74). All of them are split. The shape makes it possible to distinguish three types of specimens.


Because of the geographical location of Upper Imereti, it could be suggested that one of the ways in which these fibulae had to penetrate into Kartli might have been this region. But because the number of fibulae is not enough, we will refrain from categorical assertion of this assumption at this stage. In the future, however, if we discover and study a greater number of late-medieval archaeological sites, we do not rule out the possibility of such thinking.

## სურათების აღწერილობა

1. ბრინჯაოს ბუდეაბმული მშვილდსაკინძი (მოდინახეს სამაროვანი. სამარხი 26)
2. ბრინჯაოს ბუდეაბმული მშვილდსაკინძი (მოდინახეს სამაროვანი. სამარხი 42)
3. ბრინჯაოს ჭვინტიანი მშვილდსაკინძი (მოდინახეს სამაროვანი. სამარხი 44)
4. ბრინჯაოს ბუდეაბმული მშვილდსაკინძი (მოდინახეს სამაროვანი. სამარხი 44)
5. ბრინჯაოს ჭვინტიანი მშვილდსაკინძი (მოდინახეს სამაროვანი. სამარხი 55)
6. რკინის ბუდეაბმული მშვილდსაკინძი (მოდინახეს სამაროვანი. სამარხი 65)
7. რკინის ბუდეაბმული მშვილდსაკინძი (მოდინახეს სამაროვანი. სამარხი 74)
8. ბრინჯაოს მუხლზამბარიანი მშვილდსაკინძი (მოდინახეს სამაროვანი. სამარხი 78)
9. ბრინჯაოს ბუდეაბმული მშვილდსაკინძი (მოდინახეს სამაროვანი. სამარხი 78)
10. რკინის ბუდეაბმული მშვილდსაკინძი (მოდინახეს სამაროვანი. სამარხი 80)



სურ. 1



სურ. 2

## კალანდოზა და მისი სამზადისის ელემენტები გურიის საზოგადოების მაგალითში

XV ს-ის მეორე ნახევარში გურია არსებობდა, როგორც და-  
მოუკიდებელი სამთავრო. ის მოიცავს სამ რეგიონს: ოზურ-  
გეთს, ლანჩხუთს და ჩოხატაურს. გურულებს, ისევე, როგორც  
სხვა კუთხის მცხოვრებთ, თავისი არსებობის მანძილზე მეტად  
მდიდარი სულიერი და მეტერიალური კულტურა შეუქმნიათ,  
რომელიც ჩვენამდეა მოღწეული და სათანადო კვლევა-ძიებას  
მოითხოვს.

ამჟამად ჩვენი შესწავლის ძირითად ობიექტს წარმოად-  
გენს, ამა თუ იმ მასალაზე დაყრდნობით განვიხილოთ ახალი  
წლის რიტუალი გურიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, გამოვ-  
ყოთ დღესასწაულის შემადგენელი ელემენტები, მათი არსი და  
ადგილი ქართველი ხალხის რელიგიურ მსოფლმხედველობაში.

გურიაში ახალი წლის მზადება 17 დეკემბერს, ბარბარობას  
ინწყებოდა. ბარბარობას გურულები ფეხადობას უწოდებდნენ –  
ქათმის ფერხვას, მათი რწმენით ბარბალე – შინაური ფრინვე-  
ლის მომშენებელი ღვთაებაა, რომელიც შემდგომ სქესობრივი  
განაყოფიერების, ადამიანის და საქონლის გამრავლების კაც-  
თღვთაებამ – წმინდა ბასილმა შეცვალა.

ადრეულ პერიოდში დღესასწაულს ყველა სოციალური ფე-  
ნა თავისებურად ეგებებოდა: „ამ დღის შესახვედრად მეფის სა-  
სახლის ხელისუფალნი მეფეს და მის სახლეულს ერთი კვირით  
ადრე ამზადებდნენ. მსახურთ უხუცესი მოლარეთ უხუცესისა-  
გან მიიღებდა ძვირფას საფენებს და მეფის სადარბაზო ოთახს  
მოაფენდა, მონადირეთ უხუცესი მეფეს შემოსავდა ძვირფასი  
ტანისამოსით, ამგვარად მორთულმოკაზმულ მეფეს მაღალ  
სკამზე დასვამდნენ, საახალწლო ტაბლას შუაზე, ველური ტა-  
ხის თავს წინ დაუდგამდნენ ხელისუფალნი, თავიანთი სახელის  
მიხედვით ზოგნი დგებოდნენ და ზოგნი სხდებოდნენ.“

„ახალ წელიწადს, ერთ იანვარს უწინარეს ცისკრის ლოცვისა უკუღევდა მეფეს ჭყონდიდელი ჯუარსა და ხატსა და სამკაულსა მეფესა და დედოფალსა და სანუკვარსა შაქრისასა, ხოლო შემდგომად წირვისა სრულიად ერისთავნი, ხელისუფალნი და დარბაზის ერნი თავისთავთა გარებულთა“ [2.10]. ბაზიერ-თუხუცესი მეფეს ახალ წელიწადს ულოცავდა ქორ-შეგარდენით და „თავსა ველურის ემვსა მოოქროვილსა“, მეჯინბეთ-უხუცესი ოქროთი მოოჭვილსა და აკაზმულ ცხენს, ამირსპასალარს კი უნდა მიერთმია ბურთი, ჩოგანი, ცხენი. ამასთან მომლოცველნი მიართმევდნენ ხოლმე ისარსაც, ისრის მოლოცვას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა – მეფის ორგული და მოღალატე ამ ისარმა გალახვროსო გალექსავდნენ ხოლმე... მეორე დღე კი განკუთვნილი იყო ნადირობისთვის, ნადირობასაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, მხეცების სახით მათ თავიანთი მტრები ჰყავდათ წარმოდგენილი, ამიტომ ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ნადირი დაეხოცათ. ამგვარი იყო ახალი წლის მიგებება გურიის სამეფო კარზე

ახალი წლის დადგომას გურიაში ერთი კვირით უსწრებდა შობის დღესასწაული, რომელიც დიდი პატივით აღინიშნებოდა. ამ დღისთვის ყველა ოჯახში ცხვებოდა ღვეზელი, რომლის რაოდენობა განისაზღვრებოდა ოჯახის წევრთა რაოდენობით. გამომცხვარ ღვეზელებში ერთი მთავარი ღვეზელი იყო, რომელსაც დედო ღვეზელს ეძახდნენ, მასში მოთავსებული იყო 15-20 ცალი გაჭრილი კვერცხი. ეს კვერცხები ორი დღით ადრე იხარშებოდა, ჩაიდებოდა მარილში და გასაპრობად კიდებდნენ ჩოჩოზე (თხილის წნელისგან დანწული ლახტი), რომელიც მოთავსდებოდა სამზადისის სახურავის საცეცხლურზე და მანამდე არ ჩამოიღებოდა სანამ კვერცხი კარგად არ გამოშრებოდა. ამ დღის შემდეგ მოდიოდა კალანდა. ეს სახელი რომაული წარმოშობისაა და ითვლება დასაწყისად ადამიანის როგორც სულიერი, ისე ხორციელი ცხოვრებისა. ამიტომაცაა, რომ დღესაც გურიის მკვიდრნი განსაკუთრებული პატივით ხვდებიან ამ დღეს. კალანდის დღესასწაულისთვის სამზადისი წინა დღეს იწყება, დიასახლისი ცდილობს სანიმუშო წესრიგის დამყარებას. დი-

ლიდანვე იკვლება ქათმები, ღორი, რომელსაც შობის მარხვიდან ასუქებენ. ღორის დაკვლა კი აუცილებლობას წარმოადგენდა ამ დღესასწაულისთვის ადრეულ დროშიც და დღესაც.

ახალი წლის წინა დღეს გურიაში იწყებოდა შელოცვა და ცხემლის ჭრა, ამ დღეს იმარაგებდნენ ცხემლის შეშას, სალამოთი ანთებდნენ ცეცხლს, ოჯახის ყველა წევრი სათითაოდ აიღებდა ცხემლის თითო ტოტს, აგდებდა მას ცეცხლში და იწყებდა შელოცვას ასეთი ტექსტით: „ცეცხლო, ღმერთმა მრავალი კალანდა მშვიდობით გაგიტენოს შენი ბატონიანა“. ყველაზე მთავარი საქმიანობა, რომელიც იმ დღეს სრულდებოდა გურიაში ჩიჩილაკის დამზადება იყო.

ზოგადად გურიაში ჩიჩილაკი თხილის ახლად მოჭრილი ტოტებისგან მზადდება, საჩიჩილაკე ტოტს ორი დლით ადრე ჭრიან და წყალში დებენ რომ დარბილდეს, ჩამბალ ჯოხს ცოტა ხნით ადრე გააჩერებენ ცეცხლზე, სანამ მისი კანი ტკაცანს არ დაიწყებს და შემდეგ მჭრელი დანით იწყებენ შემომწვარი კანის შემოცლა-ჩამოხდას, ამ დროს წვრილი ნათალი ფრთხილად მიჰყავთ ერთი ბოლოდან მეორემდე ისე, რომ არ განყდეს. ასე გრძელდება, სანამ არ მიუახლოვდებიან მერქნის გულს. საჩიჩილაკე მასალა არ უნდა იყოს მკლავზე მსხვილი და მაჯაზე წვრილი, ეს აუცილებელი პირობა იყო და არის ახლაც ზომის შერჩევის თვალსაზრისით. შესაბამისად, ყველა ოჯახს სხვადასხვა ზომის ჩიჩილაკი აქვს ხოლმე, რომელსაც რთავენ ტკბილეულით, თავზე უკეთებენ ჯვარს, ოჯახის წევრები ანთებენ სანთლებს და იწყება ზეიმი.

საახალწლო სამზადისის აღწერა გურიაში შემონახულია გაზეთ დროების ფურცლებზეც: „კალანდა დღის წინა სალამოს, „რა რომ ვახშამს დაასრულებენ, ერთი მამაკაცთაგანი გამოდის გარეთ და შეუდგება ჩიჩილაკის კეთებას, მანამ, სანამ ალიონი არ მოვა, მანამ იმ ჩამონათალზე პატრონი დაკიდებს ოქროს ან ვერცხლს ან რომელიმე ნივთეულობას, დაკიდებს აგრეთვე ტკბილ შაქარლამებს ან რაც რამ გვარის ხილეულობა მოეპოვება, მასზე მოათავსებენ ასევე სუროს ფოთლებს მარცვლებითა და ეკლის კურკანტელას და რომ მოვა მამაკაციც, მოამთავ-

რებს ჩიჩილაკის რთვას და გამოვა გარეთ, თან მიჰყვება ერთი ან ორი ბიჭი, თუ კაცი შეძლებულია, მას მოაქვს ღვინო, ღომი, ღორის თავი, ესენი მოაქვთ და მიადგებიან თავისი სახლის კარებს, რომელშიაც კარზედ ვინმე იდგება და მას სახლის კარები ხელთ აქვს დაჭერილი, მამაკაცი გარედან შესძახებს დიდი სიამოვნების ხმით – „კარი გამიღე“. სახლიდან უპასუხებენ: რა მოგაქვს? „მამაკაცი მობრძანდება, წმინდა ბასილი, მას მოაქვს ღვთისა და ბატონის მონყალეა, კაცთა მშვიდობა, ოქრო, ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, პური და ღვინო, ბედაური ცხენი რახტით შეკაზმული, ყირიმის თოფი, ინგლისის ფიშტო, მოჭედილი სატევარი და ყაჭ-აბრეშუმი“ [1.12,15; 3.28]. ციტირებას გავაგრძელებ ისევ რიტუალის აღწერილობით. კაცს ლოცვის დასრულების შემდეგ გაუღებენ კარებს, სახლში მყოფთ ხელში უჭირავთ სანთლები, მეკვლე თითოეულ ოჯახის წევრს ულოცავს ახალ წელს, მამაკაცი ოთახში სამჯერ ჩამოატარებს ჩიჩილაკს და შემდეგ სახლის ერთ კუთხეში ჩამოკიდებს ნათლისღების დილამდის. იმ დილას კი გამოიტანენ გარეთ, მოაცლიან მას შემკულობას და ინახავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახლში ბავშვია ან ბატონები, ან სახადი თუ არ აქვს ოჯახის წევრს მოხდილი. ოჯახში ბატონების ყოფნის დროს, ხონჩასთან ერთად გამოაქვთ ჩიჩილაკი და ისე ანთებენ ბატონებისთვის სანთლებს, მხიარული და კეთილი ბატონები იქნებაო, ამ მოლოდინით. ჩიჩილაკის არც დაწვა და არც დამტვრევა არ შეიძლება ერთი წლის განმავლობაში, მომავალი წლის ბარბარობამდე, ბარბარობის წინ კი ბუხარში წვავენ ან კერიის ცეცხლში აგდებენ.

ჩიჩილაკის ტრადიციამ პირვანდელი სახით მოაღწია ჩვენამდე, გურულები ამ ტრადიციებს კი თაობიდან თაობას გადასცემენ და ინახავენ, როგორც წმინდა რიტუალს. დღესდღეობით ევროპიდან შემოტანლმა ნაძვის ხემ მთლიანად განდევნა გურულების ყოფიდან ჩიჩილაკი. ამ ფაქტს კი ძალიან გულდაწყვეტით აღნიშნავდა ისევ და ისევ გაზეთი „დროება“: “ახლა იშვიათად თუ ნახავთ ოჯახს, სადაც საახალწლოდ ჩიჩილაკს დგამდნენ, „იოლკა“ გახლავთ ისა, რომ შუა ოთახში დგას უშველებელი ხე და მის ტოტზედ ჩამოკიდებული არის ფერად-ფე-



რადი კანფეტები, ვარაყიანი კოლოფები, ანთია ზედ წმინდა სანთელი და ა.შ...“ გაზეთ „დროებაში“ წვრილდანვრილ იყო აღწერილი კალანდას სხვა რიტუალებიც, რომლებსაც ასრულებდნენ იმ ღამეს გურულები. მაგალითად, სრულდებოდა აგუნაზე გადაძახება, რომელიც საღამო ხანს იწყებოდა, ოჯახის უფროსი იმ ღამეს სხვა წევრებთან ერთად ანთებული სანთლებით მარანში შედიოდა და თან მიჰქონდა ხაჭაპური, ღვინო და ღორის თავი, ის აუცილებლად დაილოცებოდა ღვინით, შემდეგ კი სასმისს სხვებს გადასცემდა, ამის შემდეგ მოჰკიდებდა ხელს ნაჯახს ან თოხს და საწნახელს ურტყამდა ტარით, თან ხმამაღლა ამბობდა „აგუნას“. აგუნა კი არის ლექსად თქმული სურვილი ოჯახის ბარაქაზე. საკმაოდ საინტერესო რიტუალები ჰქონდათ ძველი დროის გურიაში, რომლის ელემენტებიც გარკვეულწილად შემონახულია და ტრადიციულად დღესაც სრულდება.

უნდა ავლნიშნოთ ისიც, რომ გურიაში ახალი წელი ბედობის დღედ იყო მიჩნეული, ამიტომ გურულები წინასწარ ცდილობდნენ, დაებედებინათ მთელი წლის სიუხვე და ბედნიერება და პირნათლად ჩაეტარებინათ ის რიტუალი, რომელიც ტრადიციულად სულ სრულდებოდა მომავალი ბედნიერებისთვის. პირველ რიგში, საჭირო იყო ოჯახში კარგი მეკვლის შემოსვლა, მეკვლეობა ბარბარობის გარდა, ახალი წლის მეორე დღესაც იყო მიღებული, რომელიც დღესაც ძალაშია არა მარტო გურიაში, არამედ მთელ საქართველოში. მეკვლე ხშირ შემთხვევაში უფროსი ადამიანი იყო, რომელიც ღორის თავითა და ტკბილეულის ხონჩით ხელდამშვენებული შემოდიოდა ოჯახში. ამ დღეს ძღვენის მირთმევაც იცოდნენ ახლობლებზე, არ გაასესხებდნენ ფულს და ყველა თავის სახლში ითენებდა ახალ წელს.

აი, ამგვარად, მრავალფეროვანი და საინტერესო იყო კალანდობა-ახალი წლის ადათ-წესები გურიაში. დღესდღეობით კი ამ რეგიონში შემორჩენილია მხოლოდ ახალი წლის სუფრასთან დაკავშირებული მოსამზადებელი ძველი წეს-ჩვეულებები. დასკვნის სახით კი შეიძლება ავლნიშნოთ, რომ ძველ და ახალ ფაქტებზე დაყრდნობით, საკმაოდ მრავალმხრივი და საინტერესოა გურიის მკვიდრთა ყოფა და ცხოვრება.

## **ლიტერატურა – REFERENCES**

1. ბერიძე ვ., ოტია გურული, ოზურგეთში ახალი წელიწადი – ხალხის ადათ-ჩვეულებანი, გაზეთი „დროება“, 1869წ., 1.
2. მაკალათია ს., ახალი წელიწადი საქართველოში, თბ., 1927.
3. ქართლის ცხოვრება, ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973.

**Khatia Tsetskhladze**

### **“Kalanda” – New Year’s Day and the elements of its preparation: The case of Guria society**

#### **Summary**

This paper refers to the story how the rich spiritual and material culture has been developed in Guria over time, since the second half of the 15th century, since its inception as a principality to the present day.

The main object of the study is, based on the New Year ritual in the ethnographic reality of Guria, the constituent elements of the holiday, their essence and place in the religious worldviews of the people are emphasized.

Preparation for the New Year in Guria used to begin on December 17, on feast of St Barbara also having a significant impact. The week before the New Year in Guria was preceded by Christmas holiday, which was also celebrated with honours and various rituals were executed, egg pies being cooked, pigs being slaughtered in every family and so on.

The description of the New Year's preparations in Guria is also found on the pages of newspaper Droeba, which was of great importance. Nowadays, only the old customs for preparation of the New Year's table are preserved in this region, which is of peculiar, interest and important for our society.

## ქუთაისის ქართველ ჯგრაალთა თეჟი XIX საუკუნეჟი

ებრაელებისადმი დიდი ინტერესი გამონწეულია იმ რთული და საინტერესო ისტორიული ბედიტ, რაც ამ ერს ხვდა წილად. ებრაელი და ქართველი ხალხის ოცდაექვსსაუკუნოვანმა ისტორიამ აჩვენა, რომ ეს ორი ერი მეგობრულად ცხოვრობდა. სწორედ ქართველმა ებრაელობამ მსოფლიოს სიკეთის დანახვის ბრწყინვალე მაგალიტი მისცა. ეს არის სხადასხვა ეროვნებათა შორის ურთიერთობის, სხვა ერის მიერ ქართველი ხალხისადმი მაღლიერების გამოხატვის სანიმუშო მაგალიტი. ქართველმა ებრაელობამ საქართველოს სახელი გაიტანა მსოფლიოში, რაც ორივე ერის დამსახურებაა.

ებრაელი და ქართველი ხალხის ურთიერთობის ისტორიას ღრმა ფესვები აქვს. დღეს მთელი საქრისტიანო სამყაროს წინაშე ქართველი ერი ამაცობს იმით, რომ ქრისტიანთათვის უძვირფასესი რელიქვია, მათი მამისა და მაცხოვრის კვართი ინახება მცხეთის მინაზე და მისი საქართველოში ჩამომტანი მცხეთელი ებრაელი ელიოზი იყო. წმინდა წინო, საქართველოს განმანათლებელი, იერუსალიმში აღიზარდა. ქრისტეს კვართის მოძიების სურვილმა ის საქართველოში მოიყვანა [1.10]. არ შეიძლება ასევე არ შევეხოთ ბიბლიას, რომელიც ებრაულ ენაზე იყო დაწერილი და ქართულად ითარგმნა. ქართული ტრადიციის მიხედვით, პირველი ქართველი ქრისტიანი მწერლები იყვნენ ქართველი ებრაელები აბიათარი და მისი ასული სიდონია. აბიათარსა და სიდონიას მიეწერება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ ფსევდოეპიგრაფიული ტექსტების ავტორობა. როგორც პ. კარბელაშვილი მიიჩნევს, „საქართველოში შემოხიზნული ებრაელების შემწეობით და გავლენით საღმრთო წერილი პირდაპირ ებრაულიდან ითარგმნა ქართულ ენაზე მცხეთაში“.

ოცდაექვსსაუკუნოვანმა მშვიდობიანმა თანაცხოვრებამ ქართველი ებრაელის ფენომენი შექმნა. იგი სიმბოლურად ორი ერის შვილია: ქართულ მინას ამუშავებს, ქართულად მეტყველებს, ქართულ სახლს აშენებს და, ამავდროულად, მტკიცედ იცავს იუდაური ცხოვრების წესს. ებრაული, მათი მშობლიური ენა, რომელზეც დაწერილია ბიბლიის წიგნები, ხბოს ტყავზე ნაწერი წიგნად აკინძული სამი ბიბლიაა მსოფლიოში. ერთი არის სირიაში, ალეპოს წიგნთსაცავში, მეორე პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, მესამე – ლენინგრადში, სოფელ ლაილაში. ამდენად, შემთხვევითი არ უნდა იყოს ხბოს ტყავზე დაწერილი ერთ-ერთი ბიბლიის შემონახვა საქართველოში.

ებრაელები ქუთაისში შუა საუკუნეებიდან ცხოვრობდნენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში. მათი უბანი ახლანდელი გაპონოვის ქუჩასა და მწვანეყვავილას შორის მოქცეულ ტერიტორიას მოიცავდა, რომელიც „სართულნახევრიანი ქუთაისის“ საუკეთესო ნაწილს წარმოადგენდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ქალაქის ერთი უბანი მაინც ვერ დაიტევდა ებრაელთა იმ რაოდენობას, რამდენიც ქუთაისში ცხოვრობდა. შესაბამისად, ქუთაისელი ებრაელები ქალაქის სხვადასხვა უბანშიც კომპაქტურ დასახლებებს ქმნიდა.

ქუთაისელ ებრაელებს XIX საუკუნეში ორი სინაგოგა ჰქონდათ. (ებრაელთა სალოცავს სინაგოგა ჰქვია. სინაგოგა (ბერძნ. კრება, საკრებულო) იუდეველებში მორწმუნეთა თემი და სალოცავი სახლია). ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ებრაელთა რიცხოვნობა იმდენს შეადგენდა, რომ ორი-სამი სინაგოგის საჭიროება აუცილებლობას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ისტორიული დოკუმენტები მშენებელ-არქიტექტორებისა ჩვენამდე არ არის მოღწეული და საკმაოდ მწირი ინფორმაცია გვაქვს თვით მშენებლობის მიმდინარეობაზეც. კვადრატული გეგმის შენობას ოთხფერდა პირამიდისებრი სახურავი აქვს. თლილი ქვით მოპირკეთებული ფასადები პილასტრებითაა დანაწევრებული. ქუჩაზე გამავალ მთავარ ფასადზე გვერდითი ნაწილები მსუბუქი რიზალიტებით გამოიყოფა. სარ-

კმლების თაღოვან თავსართებს შპილები აგვირგვინებს. ეზოში, შესასვლელის წინ, კორინთულ სვეტებიანი პორტიკია. სინაგოგის შიდა სივრცე ერთ დარბაზს წარმოადგენს, რომელიც დასაველეთისაკენ გამოყოფილია სპეციალური ეხალით (კარადა, რომელშიც მოთავსებულია „თორა“). ეხალი გარედან დაფარულია ძვირფასი ფარდით (ფარჩა ან ბარხატი), რომელიც მხოლოდ მაშინ გადაინევა, როცა გაიხსნება ეხალი „თორას“ გამოსაბრძანებლად სათანადო თებაზე (კათედრა, სინაგოგის შუა ნაწილში შემალღებული ადგილი) დასაბრძანებლად და წასაკითხად. სინაგოგაში ქალებისათვის სალოცავად იარუსზე სპეციალური ადგილია გამოყოფილი. აქვე, ეზოში, 1912 წელს აშენებული მეორე სინაგოგა დგას. მოგვიანებით მას მეორე სართული დაემატა [2.77]. ნაგებობა სადაა და საცხოვრებელ სახლს ჰგავს. ეს სინაგოგა წარმოადგენს ერთგვარ კომპლექსს, რადგან აქ, გარდა სინაგოგისა, ვხვდებით სხვა დამხმარე ნაგებობებს, რომლებიც განკუთვნილია იუდეური რიტუალების ჩასატარებლად. ამ შენობებში ძველი ებრაული (ივრითი) ენა ისწავლებოდა. აგრეთვე მათთვის, ვინც ლოცვის დროს მთავარ სინაგოგაში ვერ ეტეოდა, ტარდებოდა ლოცვა. მრევლის სიმრავლის გამო დამატებითი ოთახები გამოიყენებოდა ლოცვისა და სხვა რიტუალების ჩასატარებლად. ამ კომპლექსში შედის რელიგიური რიტუალებისათვის საჭირო ოთახები, მაგალითად, ნათლობისათვის, ქეთუბისათვის და სხვა. აქვე, ცალკე შენობა უჭირავს ბოინს (საკლავის ადგილი საქონლისათვის, ფრინველისათვის). ოინს ემსახურება შოხეტი (სპეციალისტი, რომელიც კლავს). აქვეა რიტუალური მიკვა (აბანო), რომელიც განკუთვნილია ძირითადად ქალებისათვის, რიტუალური (მაგალითად, ქეთუბის წინ) განბანვისათვის. კომპლექსში შედის ქაშერი (სუფთა) ხორცის გასაყიდი მაღაზია, სადაც იყიდება აქვე დაკლულ-გასუფთავებული და შოხეტისაგან ნებადართული საკლავი. ადრე ამავე კომპლექსში შედიოდა რიტუალური ფურნე (საცხობი), სადაც ცხვებოდა დღესასწაულ ფესახისათვის საჭირო მაცა (გაუფუარი პური). დღეს ეს ფურნე გაუქმებულია, ვინაიდან ფესახისათვის გამზადებული მაცა ისრაელიდან ჩამოდის.

მესამე სინაგოგა, რომელიც 1852 წელს აშენდა მწვანეყვავილას ძირას, თლილი ქვით მოპირკეთებული კუბური შენობაა სამ-სამი სარკმლით ყოველი მხრიდან. აღმოსავლეთით და დასავლეთით შუა სარკმელი მრგვალია, დანარჩენი ვიწრო და მაღალი. ფასადები აქცენტირებულია შუაში შემადგენელი ატიკებით. სარკმლებს მსხვილი ლილვით გამოყვანილი ჩარჩოები შემოწერს. ამავე სალოცავში იყო ისეთივე კომპლექსი, როგორც მთავარ სალოცავში, რომელიც დღეს უმოქმედოა, ვინაიდან მლოცველი არ არის.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, სადაც დაცულია ცნობა ებრაელთა სინაგოგის შესახებ. ფრანგი დიუბუა დე მონპერიე, რომელმაც კავკასიაში XIX საუკუნის 30-იან წლებში იმოგზაურა, აღწერს რა ქუთაისს, დიდ ყურადღებას უთმობს ებრაელთა ყოფა-ცხოვრების აღწერასაც. ის წერს: „ებრაელებს აქვთ ღარიბი სინაგოგა, სადაც მხოლოდ სკამებია ტრიბუნის ირგვლივ, შიგნით სიბნელეა, შელესილი არ არის. სხვა მხრივ, წააგავს ლიტველთა სინაგოგას“. სავარაუდოა, რომ მონპერიეს მიერ აღწერილი სინაგოგა იმ ადგილას იდგა, სადაც ახლა მთავარი სინაგოგაა და რომელიც 1886 წელს აიგო.

XIX საუკუნეში, 1886 წელს, გაპონოვის ქუჩის დასაწყისში (ქუჩის დასაწყის ნაწილს, ჯერ კიდევ გვიან ფეოდალურ ხანაში ვხედავთ დასახლებულს, ძირითადად, ქართველ ებრაელთა ოჯახებით. XIX საუკუნის შუა ხანებში ქუჩამ მიიღო გელათის ქუჩის სახელი, 1926წ. – შაუმიანის, ხოლო 1989 წელს – ბორის გაპონოვის სახელი), პატარა სინაგოგასთან, 350 მლოცველზე გათვლილი ახალი სინაგოგა აიგო, რომელიც ახლაც მოქმედია.

როგორც ნერილობითი წყაროებით დასტურდება, XIX საუკუნის (და მანამდელი ხანისაც) საქართველოში ებრაელობა სოციალურად და ინტელექტუალურადაც მეტად უმნიშვნელო როლს ასრულებდა. გარე სამყაროსგან, ფაქტობრივად, თვითიზოლაციაში მყოფი და განკერძოებულ თემებად მცხოვრები ებრაელების უმთავრესი მიზანი საარსებო სახსრის მოპოვება იყო. ამ გარემოებამ არსებითად განსაზღვრა ის ფაქტი, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე ქართველ ებრაელებს მათი რეალური

პოტენციური ინტელექტუალური შესაძლებლობები თითქმის საერთოდ არ გამოუვლენიათ.

ქართველ ინტელიგენციის წარმომადგენლებს, როგორც ბიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები, ქართველ ებრაელთა ასეთი მდგომარეობა აწუხებდათ. ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ ქართველი ებრაელების სწავლა-განათლებისაკენ შემობრუნებას.

ქუთაისელი ებრაელები, ისევე, როგორც ქართველი ებრაელობა, ძირითადად ვაჭრობას მისდევდა და სწავლა-განათლება მათთვის აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

ზ. ჭიჭინაძე გულისტკივილით წერდა: „მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებს მცირედ შეიგნეს ქუთაისის ებრაელთა, ზოგიერთებმა შვილების სამოქალაქო სკოლაში იწყეს შეყვანა... ღმერთმა ქნას, რომ ამ ერს გაებედოს სწავლის ასპარეზზე გამოსვლა. ამათში მხოლოდ ერთი ზარის რეკა არის საჭირო, რომ დაირეკოს სწავლის ზარი, საჭიროა მხოლოდ, რომ რამდენიმე კაცის შვილმა გაებედოს დაბალი სკოლიდან საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში გადასვლა, თორემ მერე თქვენ ნახავთ მათში როგორ გაიღვიძებს დიდი მიმბაძავობა, დიდი ლტოლვა სწავლისა... დარწმუნებული ვარ, რომ მათის შვილებით აქა-იქ გაივსება სასწავლებლები, ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ქართველთ ურიები შენიშნულნი არიან როგორც ნიჭიერი და მოხერხებული ხალხი“...

იყო გამონაკლისი შემთხვევებიც. ქუთაისელი ებრაელების მცირე ნაწილი აქტიურად იყო ჩართული ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მონაწილეობდნენ ქალაქის წარმომადგენლობით ორგანოებში. ქალაქის სათათბიროში სხვადასხვა დროს არჩეულნი იყვნენ მ. რიჟინაშვილი (1875 წ.), ე. კაკიტელაშვილი, მ. რიჟინაშვილი, შ. რიჟინაშვილი (1888 წ.).

მოგვიანებით XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართველ ებრაელობაში უკვე შეინიშნება სწავლა-განათლებისადმი დაინტერესება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქუთაისელი ებრაელების გამოფხიზლებაც. ალბათ, ჩვენი დიდი წინაპრები გულისთავად იყვნენ ებრაელთა ისეთი თაობის გამოსვლით ცხოვრე-

ბის ასპარეზზე, როგორებიც იყვნენ დავით ბააზოვი, ბორის გაპონოვი, შალვა მარდი, ალექსანდრე ჰეგელი, მიხელი კაკიტელაშვილი, რაფიელ შამელაშვილი და სხვები.

ებრაელები, როგორც წესი, ამა თუ იმ ქალაქში ერთად სახლდებოდნენ და ცდილობდნენ, საკუთარი სინაგოგა დაეფუძნებინათ. სოფლებიდან წამოსულებიც ერთმანეთთან ახლოს იდებდნენ ბინას, რის გამოც ქალაქებში ებრაული დასახლებები იქმნებოდა. ჩვეულებრივ, ასეთი ჯგუფი დიდი ოჯახებისგან შედგებოდა, რომლებიც სამ-ოთხ თაობას აერთიანებდნენ. ჯგუფში ოჯახების რაოდენობა შეზღუდული იყო. მათ არჩეული გაბაი თავკაცობდა, რომელიც პასუხისმგებელი იყო სინაგოგაში საქმეთა წარმოებაზე. ხახამი კი თემის რელიგიურ ცხოვრებას უძღვებოდა, ადგენდა რაბინის, ხაზანის (მლოცველი სინაგოგაში), შეხოტის (ფრინველისა და ცხვრის შემწირველი) და ხედერას (მედრესის მასწავლებელი) ფუნქციებს.

ქუთაისშიც ებრაელთა უბანს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ებრაელებმა ჩაუყარეს საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთა საცხოვრებელი კომპლექსი, ძირითადად, ქართული ეროვნული საცხოვრებლის ტრადიციას ემყარება, მასში მაინც მკაფიოდ ჩანს ებრაელი ხალხის სულიერი კულტურის სპეციფიკასთან დაკავშირებული დეტალები. ყოველი ებრაელის სახლს ჰყავდა თავისი მფარველი, მშვიდობისა და დოვლათიანობის მცველი, რომელსაც მეზუზა ჰქვია. ამავედროულად, მეზუზა ოთხკუთხა, თავდახურული თხელი ყუთია, რომელშიც ჩასვენებულია სოფერის (წმიდა ტექსტის გადამწერის) მიერ პერგამენტის ქალაღზე ნაწერი „მეორე სჯულის“ ფრაგმენტი თორიდან და მიმაგრებულია შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს. დღესდღეობითაც ოჯახის ყველა წევრისა სახლიდან გასვლისას და დაბრუნებისას გარკვეულ რიტუალს ასრულებს, რათა მშვიდობიანი დღისთვის მადლობა უთხრას გამჩენს.

ებრაელები ქართველებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულინი არა მარტო საერთო ტერიტორიაზე ცხოვრებით, არამედ საერთო ეკონომიკური ბაზის წარმოებითაც სოფლის მე-



ურნეობასთან ერთად ებრაელთა ერთი ნაწილი ხელოსნობასა და შინა მრეწველობას მისდევდა: მეთუნეობას, დურგლობას, მენალეობას, მექუდეობას, მღებრობას, მჭედლობას. ებრაელი ხელოსნები ქმნიდნენ საკუთარ სახელოსნოებს ან მცირე სანარმოო გაერთიანებებს – „ამხანაგობებს“, რომლებშიც ძირითადი პროფესიის მიხედვით 2-3 ხელოსანი ერთიანდებოდა.

საუკუნეების განმავლობაში ქართველებისა და ებრაელების ერთად ცხოვრებამ გარკვეული გავლენა იქონია ორივე ხალხის ყოფასა და კულტურაზე. ებრაულმა ყოფამ გაითავისა მთელი რიგი ქართული წესებისა, რაც ნათლად ვლინდება ებრაული ქორნილის, დაკრძალვის, გლოვის რიტუალებში.

ებრაული თემის სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო მორალურად და ეკონომიკურად ძლიერი ოჯახის არსებობა. ებრაულ ოჯახში, როგორც ოჯახის წევრთა ურთიერთობაში, ისე მათ საქმიანობაში, ტრადიციის ძალით მკაცრად იყო დაცული ასაკობრივ-სქესობრივი სეგრეცია. ოჯახის უფროსად მიიჩნეოდა მამაკაცი – ყოველგვარი საკაცო საქმიანობის წარმმართველი და განმანაწილებელი, გარე ურთიერთობის მომწესრიგებელი, ოჯახის ქონების განმანაწილებელი, საოჯახო საქმეებში რჩევა-დარიგების მიმცემი. უფროსი მამაკაცის შემდეგ ოჯახში საკმაოდ დიდი უფლება-მოვალეობები ეკისრებოდა უფროს ქალს (დედას). დედა ოჯახის იმედი და ბურჯია. მას საოჯახო საქმიანობის გარდა, რიგი რელიგიურ-სადღესასწაულო წესების დაცვა-შესრულება ევალება. ოჯახის დედა მეთვალყურეობდა ქალიშვილების აღზრდას: უზრუნველყოფდა მათ მიერ საოჯახო საქმიანობისა და ხელსაქმის შესწავლას, ზნეობრივი ნორმების, სტუმართმოყვარეობის, უფროსებისადმი მოკრძალების, ოჯახის წევრების პატივისცემისა და სხვა წესების დაცვას. დედა შვილებს შრომისმოყვარეობასთან ერთად პატიოსნებასა და თავდაჭერილობის ჩვევებს უწერ-გავდა. ამრიგად, ოჯახში სინმინდის, ტრადიციებისა და წესჩვეულებების შემნახველი და დამცველი, ძირითადად, ქალი იყო.

ებრაელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოჯახის შექმნასა და შთამომავლობზე ზრუნვას. ტრადიციით, საქორწინო ასაკად ქალისათვის 14-16 წელი ითვლებოდა, ვაჟი კი 18 წლის შესრულების შემდეგ ოჯახდებოდა; ნიშნობა უფრო ადრეულ ასაკში ხდებოდა. სრულასაკოვანთა დანიშვნასთან ერთად მცირეწლოვანთა და აკვანში დანიშვნის წესიც არსებობდა.

რელიგიური ტრადიციის ერთგულებამ განაპირობა ისიც, რომ ქართველ ებრაელებს შესისხლხორცებული ჰქონდათ საქველმოქმედო საქმიანობა: უსასყიდლოდ მომსახურება, სუსტთა, ობოლთა, ღატაკთა დახმარება, ამიტომ საზოგადოებას თითქმის არ ჰყავდა უსახლკაროები და კარდაკარ მოხეტიალე მათხოვრები. ყველა ებრაელი ვალდებული იყო დავრდომილისთვის ლუკმა-პური გაენაწილებინა და თავშესაფარი მიეცა. გარდა ამისა, ებრაელებში მაღალ დონეზე იდგა თანადგომის კულტურა შრომაში, ღვინა თუ ტირილში.

ებრაელთა კვების კულტურა გამორჩეულია თავისი თვითმყოფადობით, დიდი ხანია, მკვლევართა ყურადღების არეშია მოქცეული მე-19 ს-ის II ნახ. და მე-20 ს-ის დასაწყისის ქუთაისში მცხოვრებ ებრაელთა კვების სისტემა.

ებრაელთა პურობა, როგორი სიდიდისა და ხასიათისაც არ უნდა იყოს, წარმოუდგენელია, მარილისა და პურ-ღვინის გარეშე, უფრო მეტიც, პურობა იქნება თუ არ იქნება, ეს საკრალური საკვები სუფრაზე მაინც უნდა იყოს, მარილი არა მხოლოდ როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი საწვინელებელი, არამედ როგორც ებრაელი ხალხის ღმერთთან კავშირისა და ერთობის სიმბოლო (რიცხ. 18, 19) ებრაელთა რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებით, მარილით დადებულ აღქმას, „აღნათქვამი მარილითა“, მისი გატეხვა დიდ-დიდ ცოდვად ითვლებოდა და მკაცრად ისჯებოდა. ტაძრის შეწირულებათა შორის მარილს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეჭირა ღმერთისადმი ერთგულებისა და სიმტკიცის ნიშნად (ლევტ. 2, 13), ხოლო კაცთა შორის პურისა და მარილის გაზიარება მათი საუკუნო მეგობრობისა და ძმობის დასაბამი იყო. მარილისადმი ასეთი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, უნდა მოდიოდეს მის-

თვის დამახასიათებელი მრავალმხრივი დადებითი თვისებები-  
დან; როგორც სხვა ხალხებისათვის, ებრაელებისათვისაც, მა-  
რილი უპირველესი სანელებელი იყო. მათი შეფასებით უმარი-  
ლო საჭმელი საჭმელად არ ითვლებოდა. იგი არა მარტო კარგ  
სასიამოვნო თვისებებს სძენდა საჭმელს, არამედ იცავდა მას  
გაფუჭებისაგან და ხელს უწყობდა მის ხანგრძლივ შენახვას  
[4.77]. ამას გარდა, მას ფართოდ იყენებდნენ სამკურნალო--  
პროფილაქტიკური და ჰიგიენური დანიშნულებით. მარილი ებ-  
რაელთა სუფრის აუცილებელი ელემენტი ოდითგანვე იყო და  
არის, როგორც სიმტიცის, ერთგულების, ალტკმის დაურღვევე-  
ლობის სიმბოლო. დასავლეთ საქართველოში (როგორც ებრა-  
ელთა, ისე ქართველთა ყოფაში) ფართოდ გავრცელებული პუ-  
რეულის კერძებიდან ბევრი ცნობილი იყო ძველი ებრაელების-  
თვისაც, როგორც სახელწოდებით ისე ტექნოლოგიით, ასე მა-  
გალითად, ბურლულის (კორკოტი) ფაფა, მოხარშული ცომის  
კერძები საერთო სახელწოდებით „იტრია“ (ატრია), მოხალული  
ფქვილისაგან – „ხალი“ და სხვა, რაც გამოძახილი უნდა იყოს  
ებრაელი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერ-  
ობისა [5.10]. კვებაში მარცვლეული პროდუქტების ფართოდ  
გამოყენება, მათი დამუშავებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარა-  
ღების არსებობა, პურის საცხობები, პურისა და სხვა ცომეული  
ნაწარმის ტექნოლოგიის მაღალი დონე ნათლად მოწმობენ რო-  
გორც ერთ, ისე მეორე ხალხის სამეურნეო და მატერიალური  
კულტურის დიდ მიღწევებზე.

მარცვლეულის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან საკვებს ქუ-  
თაისელი ებრაელებისათვის, ისე, როგორც საქართველოს სხა-  
ვადახსვა კუთხეში მცხოვრები ებრაელებისათვის, წარმოად-  
გენდა რძის პროდუქტები. მეცხოველეობა-მინათმოქმედებას-  
თან ერთად მეურნეობის წამყვანი დარგია უძველესი დროიდან  
და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაც ტრადიციულად  
მაღალ დონეზე იყო ყოველთვის. ქართველ ებრაელთა კვებაში  
რძის პროდუქტებს რაოდენობითაც, ხარისხითაც და სემიოტი-  
კურადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა და ჭარბობდა სხვა  
პროდუქტებს (მარცვლეულის გარდა). რძის პროდუქტების

(ყველი, კარაქი, ხაჭო, მანონი) ტექნოლოგიაში იკვეთება როგორც ორიგინალური, ისე ქართულ-კავკასიური და მცირე აზიური მეთოდები [1.83].

ხორცის პროდუქტები მოხმარების თვალსაზრისით, მართალია, ჩამორჩებოდა რძის ნაწარმს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა კვებაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცხოველისა და ფრინველის ტრადიციული წესებით დაკვლა--დამუშავებას, რასაც საფუძვლად უდევს ათასწლეულთა მიღმა ემპირიული ცოდნა-გამოცდილებით შემუშავებული პროფილაქტიკურ-ჰიგიენური წესები [3.24.]. ებრაული სამზარეული მდიდარია ხორცის ორიგინალური კერძებით, რომლებიც ქართულ და აღმოსავლურ კერძებთან ერთად, ძირითადად, შაბათისა და სხვა დღესასწაულებისათვის მზადდებოდა.

მატერიალურ ფუნქციასთან ერთად კვებას აქვს სოციალურ-რელიგიური ფუნქციაც. გი გვევლინება სოციალურ ურთიერთობათა ერთ-ერთ რეგულატორად, ხელს უწყობს ადამიანთა სოციალურ შეკავშირებას ან დიფერენციაციას, პიროვნებისა და ოჯახის ურთიერთობას. ამა თუ იმ სოციალურ მომენტთან დაკავშირებულ სუფრას ახლავს ტრადიციული საკულტო-რიტუალური ქმედებები, განპირობებული ებრაული მსოფლმხედველობით, კვებასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებით; ყოველგვარი პურობა სიმბოლური ნიშნებით არის დამუხტული. ეს სიმბოლოები განსაზღვრავენ პურობის ხასიათს, თანამესუფრეთა ქცევის ნორმებს და სუფრის ეტიკეტს.

საიდან მოდის ურთიერთპატივისცემისა და მეგობრული ურთიერთობის ფესვები ქართველი და ებრაელი ხალხისა, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო. საქართველოს სახელი მსოფლიოში სწორედ ქართველმა ებრაელობამ გაიტანა. არც ერთ სხვა ერს არ გამოუხატავს ქართველი ერისადმი მადლიერების, სიყვარულის და პატივისცემის გრძნობა მსგავსად ებრაელებისა, რასაც ქართველი ერი არასოდეს არ დაივიწყებს. ამის ნათელი მაგალითია XIX საუკუნეში ქუთაისელი და ებრაელი ხალხის თანცხოვრების საინტერესო ისტორიები.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. ბერძენიშვილი ნ., ისტორიული დოკუმენტები, საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული შრომები, ტ. I, 1940.
2. გაბიძაშვილი ო, თბ., რელიგიათმცოდნეობა, თბ., 1999.
3. საქართველოს ებრაელთა ყოფა და კულტურა, თბ., 1999.
4. ჭიჭინაძე ზ., ქართველი ებრაელები საქართველოში, თბ., 1904.
5. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს მშრომელი მოსახლეობის კვება და მისი ნაციონალიზაციის ამოცანა (ხელნაწერი), რვ. 3, თბ., 1927.

**Elene Gegeshidze**

### **Georgian-Jewish community of Kutaisi in XIX century**

#### **Summary**

For 26 centuries the Jewish and Georgian people lived peaceful together, having created strong bond of friendship between them. They used Georgian land, spoke Georgian, built Georgian houses and strongly protected the way of Georgian life. The liturgy was complicated in Hebrew in the Jewish churches. With the rise of Jews, the number of their churches grew.

The Jewish people have lived in Kutaisi since the middle ages and they played an important role in the economic life of the city. The Jewish people have created a compact settlement in different districts in Kutaisi.

In Kutaisi, Jewish people had two Synagogues in XIX century. It indicates that there were too many people, because of importance of Synagogues. The centuries of living in Georgia had influenced the traditions such as wedding, funeral and mourning rituals.

It is important to support, deepen and popularize the integration of Georgian and Jewish people's spiritual union into educational space, which will once again remind future generations of various social circles about the great past of Georgian Jews and emphasize the peculiarity of Georgian nation to appreciate and not forget the culture of other nation.

**დიმიტრი უზნაძე რუსეთის  
იმპერატორ ალექსანდრე პირველზე**

ქართული ფსიქოლოგიური სკოლის პატრიარქი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე ჭეშმარიტად ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო. მან ღრმა კვალი დატოვა და თავისი წონიანი სიტყვა თქვა არა მხოლოდ ფსიქოლოგიაში, არამედ მომიჯნავე დარგებში, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ფილოსოფიაში და პედაგოგიკაში და ასე განსაჯეთ ისტორიულ მეცნიერებაში.

დიდი ხნის განმავლობაში ისტორიულ მეცნიერებაში დიმიტრი უზნაძის მიერ შეტანილი წვლილი, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ქართული საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა რჩებოდა და ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად იყო ცნობილი. რით იყო გამონეული ამ დარგში დიმიტრი უზნაძის წვლილისადმი ასეთი ინდიფერენტული დამოკიდებულება? ის, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, შემთხვევითი არ ყოფილა, ამკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ამგვარი მიდგომა ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო და დღეს, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. საქმე ის გახლავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ეკალივით ესობოდა თვალში, 1918-1921 წლების საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის წარმატებები და ყოველნაირად ცდილობდა წაეშალა ის ქართველი ხალხის ცნობიერებიდან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სრულიად ამაოდ გაისარჯა, მათი მცდელობა სრული ფიასკოთ დასრულდა. ეს გასაგებიცაა, „სამართალმა პური ჭამა“, „დრო ყველაზე უფრო ნამუსიანი კრიტიკოსია“. ასე აღმოჩნდა დამოუკიდებელ საქართველოში დი-

მიტრი უზნაძის მიერ დაწერილი მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები ტაბუ დადებული თემად და თანდათან მივიწყების სქელ ნისლში გაეხვია.

დიმიტრი უზნაძის სახელთან ასოცირდება ისტორიულ მეცნიერებაში ორი კარგი ნამონყება. ის სკოლაში ასწავლიდა მსოფლიოს ისტორიას და აქტიური მონაწილეობა მიიღო 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოცემული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაში. შეიძლება ეს არ იყო ბევრი, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, პატარა საქმე არაა და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა პერიოდში, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. დიმიტრი უზნაძემ თავისი წვლილი შეიტანა და შეძლებისდაგვარად შეეცადა, წინ წაენია საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, პოპულარიზაცია, შესწავლა. ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი მთავარი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს [1.3].

\* \* \*

წინამდებარე ნაშრომი, როგორც სათაურიდანაც კარგად ჩანს, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს, გამოარკვიოს, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი (1801-1825). ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მეტად მწირია. მთავარ წყაროს წარმოადგენს დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელო, სადაც ისინი, ბუნებრივია, სხვადასხვა კონტექსტში ეხებიან რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის საქმიანობას. აქ, ცხადია, წამოიჭრება საკითხი, რამდენად გვაძლევს ეს მასალა აღნიშნული საკითხის გამორკვევის საშუალებას? ჩვენი აზრით, ეს არის პრინციპული საკითხი, რომლის

გამორკვევასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და მნიშვნელოვანნი-  
ლად განსაზღვრავს ამ თემაზე ჩვენი მსჯელობის მეცნიერულ  
წონადობას. როგორც ჩვენ გვგონია, ეს ძუნწი ინფორმაცია იძ-  
ლევა გარკვეული დასკვნის გამოტანის საშუალებას, მას შეფა-  
სებითი მუხტი გააჩნია, რაც ამ მსჯელობას ისტორიოგრაფიულ  
დატვირთვას სძენს და საშუალებას გვაძლევს, ვცადოთ, გამო-  
ვარკვიოთ, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი დამოკიდე-  
ბულება რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი.

უნინარესად, საჭიროა, სწორი კრიტერიუმი შევიმუშაოთ.  
ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და ძალიან დაგვეხმარება ამ სა-  
კითხზე დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის მსჯელობის  
ადეკვატურ შეფასებაში. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი  
საზომად არ გამოდგება. ასეთ მაღალ მიზნებს სახელმძღვანე-  
ლოს ავტორები, ცხადია, არ ისახავდნენ. მათ წინაშე გაცილე-  
ბით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა. მას წმინდა შემეც-  
ნებითი დატვირთვა გააჩნია ამ კულტურ-ტრეგერულ მისიას  
სახელმძღვანელოს ავტორებმა – დიმიტრი უზნაძემ და ივანე  
გველესიანმა შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს  
თავი. ამ საკითხისადმი მათი დამოკიდებულება ქართულ სა-  
ზოგადოებას, პირველ რიგში კი, მოსწავლე ახალგაზრდობას  
რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის მოღვაწეობა-  
ზე ზოგად წარმოდგენას შეუქმნიდა. ვფიქრობთ, მთავარი სწო-  
რედ აი ეს უნდა იყოს.

ასეთი მწირი ინფორმაცია, ცხადია, შემთხვევითი არაა და  
მისი მიზნები პირდაპირ ზედაპირზე ძევს. საქმე ის გახლავთ,  
რომ დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის „ახალი ისტო-  
რიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო, სახელმძღვანელოში XVIII-  
XIX საუკუნის რუსეთის ისტორია გაშუქებულია ძალზე მკრთა-  
ლად, სუსტად. ის ოსმალეთის ისტორიასთან ერთადაა განხი-  
ლული [3.148-152]. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა და, ფაქ-  
ტობრივად, ამ ეპოქის რუსეთის ისტორიის იგნორირების  
ტოლფასი მიგვაჩნია.

ჩვენი აზრით, ძალიან კარგი იქნებოდა დიმიტრი უზნაძის  
და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ



სასკოლო სახელმძღვანელოში ამ ეპოქის რუსეთის ისტორიის გაშუქებას გაცილებით მეტი ყურადღება, რომ დათმობოდა. ამ შემთხვევაში ისინი კვალში მიყვებიან ცნობილ რუს ისტორიკოსის პროფ. პავლე ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს. აი ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ეს გამართლებული არ იყო. საქმე ისაა, რომ რუსეთის ისტორია ცალკე საგნად ისწავლებოდა და პავლე ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში მისი გაშუქება პრიორიტეტული არ იყო [4]. აქ საკმარისი იყო ზოგადი ინფორმაცია. ამიტომ აქ, ვფიქრობთ, სხვაგვარი მიდგომა იყო საჭირო. XVIII-XIX საუკუნის რუსეთის ისტორიის განხილვა შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ქართველი ავტორების სახელმძღვანელოს და მას მხოლოდ მომგებიან ქულებს შესძენდა, მაგრამ ისინი სხვა გზით ნავიდნენ, რამაც, ბუნებრივია, უკმარობის გრძნობა გაგვიჩინა.

მიუხედავად ჩვენს ხელთ არსებული ძუნწი ინფორმაციისა, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი სახელმძღვანელოს ავტორების დიმიტრი უზნაძის და ივანე გველეხიანის დამოკიდებულება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა. ეს იმით აიხსნება, რომ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველზე მსჯელობას შეფასებითი მუხტი გააჩნია და ისტორიოგრაფიულ დატვირთვას იძენს. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან. ისინი რუსეთის იმპერატორის მოღვაწეობის შეფასებას პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან ცდილობდნენ და აღნიშნულ საკითხში საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებდნენ, რაც ემპირიული, ფაქტოლოგიური მასალის ცოდნითაა განპირობებული. ეს ამ საკითხზე მათი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

არსებობს დიდი ალბათობა, რომ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველისადმი მათი დამოკიდებულება ნეგატიური იქნებოდა. მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ რუსეთის იმპერატორი მათ სახელმძღვანელოში მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიება.

სახელმძღვანელოს ავტორები, დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი აშუქებენ რა ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ დასავლეთ ევროპაში შექმნილ ვითარებას, ბუნებრივია, შეეხებიან რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველს. სახელმძღვანელოში მისი მოღვაწეობა განხილულია ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპაში შექმნილ ვითარებასთან მჭიდრო კონტექსტში ეს სწორი ნაბიჯი იყო.

საფიქრალია, რომ სახელმძღვანელოს ავტორები დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი იმაზე უფრო კარგად იქნებოდნენ ინფორმირებული რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველზე, ვიდრე ეს სახელმძღვანელოდან შეიძლება ჩანდეს. მათი მსჯელობა ემპირიული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის და საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის შერწყმის, შეხამების, მცდელობად გვევლინება, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

შესაძლოა, მათ როგორც ლიბერალებს, ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში პრიორიტეტულად ესახებოდათ კონსერვატიული ტენდენციების გაძლიერება და ნებისთ თუ უნებლიედ ამუქებდნენ 1815 წლის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილ სიტუაციას. ამგვარ მიდგომას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და ძალიან კარგად შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიულ მეცნიერების მოთხოვნებს. დღეს მას, ცხადია, ყავლი გაუვიდა და უკვე მოძველებულია. თანამედროვე ისტორიოგრაფია კონსერვატიულ ტენდენციებთან ერთად საუბრობს იმ პოზიტიურ ძვრებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1815 წლის შემდეგ [5; 8; 9].

უპირველესად, ისინი ცდილობენ, თავიდან აიცილონ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის გაიდება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მათი მსჯელობის პლუსია. ისინი არ უყურებდნენ ალექსანდრე პირველს როგორც ლიბერალურ-რეფორმატორს. თანამედროვეები დიდ იმედს ამყარებდნენ რუსეთის იმპერატორის ლიბერალიზმზე. ერთ-ერთი მათგანი იყო ნაპოლეონი. მას სულ ტყუილად ეგონა, რომ ალექსანდრე პირველი დაეხმარებოდა დაბრუნებულიყო ევრო-

პაში. რუსეთის იმპერატორი ამის მსგავსს არაფერს ფიქრობდა. ეს მის გეგმებში არ შედიოდა [10].

ისინი სავსებით სამართლიანად უსვამდნენ ხაზს, რომ ევროპაში რეაქციული ძალების მთავარი სულისჩამდგმელი, სწორედ, რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი იყო. მათთვის ალექსანდრე პირველი, უწინარესად, „საღვთო კავშირთან“ ასოცირდება. სახელმძღვანელოს ავტორებისათვის რუსეთის იმპერატორი ლიბერალი-რეფორმატორი კი არ იყო, როგორც ეს მის თაყვანისმცემელ ისტორიკოსებს ესახებოდათ, არამედ ტიპური მონარქია, რომლის პოლიტიკაში პრიორიტეტულია კონსერვატორული ტენდენციები. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ ვრცელ ამონარიდს დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოდან.“ კონგრესის რეაქციონული მიმართულების მთავარი გამომხატველი ალექსანდრე პირველი იყო, მართალია, მან პოლონეთს სეიმი დაუარსა, მაგრამ ამ უკანასკნელის უფლებები მეორე დღესვე დაარღვია. რაც შეეხება რუსეთს, აქ ალექსანდრე ამკარად რეაქციონურ პოლიტიკას აწარმოებდა. ახალგაზრდობაში „რევოლუციონერი“ ახლა რევოლუციის შიშით იყო მოცული და ისეთი პირობების შექმნას ლამობდა, რომ რევოლუციის „შხამისგან“ გადარჩენილი ჩამორჩენილი რუსეთი ხიფათისაგან საბოლოოდ ეხსნა. თავისი მეფობის მეორე ნახევარში ალექსანდრე პირველი მისტიკოსებს დაუახლოვდა, მაგ., ლიფლანდიელ ბარონესას კრუდნერს და მათი გავლენით „საღვთო კავშირის“ პროექტი შეადგინა. ამ წერილში, რომელიც ალექსანდრემ თავის უახლოვებულ ამხანაგებს დასადასტურებლად წარუდგინა (იმპერატორ ფრანცსა და მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ მესამეს), ის აზრი იყო გატარებული, რომ პოლიტიკა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე უნდა ყოფილიყო აგებული. ამგვარი პოლიტიკის განსახორციელებლად მეფეთა შეთანხმებული მოქმედება, მეფეთა შეთანხმება იყო საჭირო, რათა შეერთებული ძალებით ერთა ცხოვრებიდან ყველაფერი ის განდევნილიყო, რაც რევოლუციასთან და არეულობასთან იყო დაკავშირებული. ეს პრო-

გრამა, რომელსაც ზოგიერთები იდეალურ პროგრამად აღიარებენ, მეთვრამეტე საუკუნეში გავრცელებული იდეების წინააღმდეგ იყო მიმართული. იმპერატორ ალექსანდრეს გეგმით, დედამიწაზე უფლებების ერთ-ერთი წარმომადგენლებად მეფეები ითვლებოდნენ. აქ აშკარად გამოიხატა ალექსანდრეს სულის რეაქციონური მიდრეკილება, მაგრამ ეს გეგმა არსებითად განუხორციელებელი იყო, რადგან, ერთი მხრივ, ის რეალური ცხოვრების ბუნებრივი მიმდინარეობის წინააღმდეგ იყო მიმართული, მეორე მხრივ, თვითონ ისინი არღვევდნენ ამ გეგმას, რომელთაც მისი ცხოვრებაში გატარება დაისახეს მიზნად [3.142 143].

ეს ვრცელი ამონარიდი, ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს და რუსეთის იმპერატორისადმი სახელმძღვანელოს ავტორების – დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის დამოკიდებულების საინტერესო საბუთია. ალექსანდრე პირველი, ავსტრიის კანცლერ მეტერნიხის მსგავსად, როგორც რეაქციონერები, მათთვის, როგორც ლიბერალებისათვის, მიუღებელი ჩანდა. ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მისი მიზეზები, უპირველად, მათ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის პოლიტიკა არ შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. პირიქით, ის მას კი არ შეესატყვისებოდა, არამედ აშკარად ეწინააღმდეგებოდა. ხაზს უსვამენ ალექსანდრე პირველის ლიბერალიზმის ზედაპირულობას, რომელსაც პირდაპირ აღტაცებაში მოჰყავდა მონარქისტული ისტორიოგრაფია. ალექსანდრე პირველის მოღვაწეობისადმი ამგვარი დამოკიდებულება გასაკვირი არ უნდა იყოს და საღვთო კავშირისადმი მათი ნეგატიური დამოკიდებულების ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. მათ კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული, რომ ალექსანდრე პირველის მმართველობა სულაც არ ატარებდა ლიბერალურ-რეფორმისტულ ხასიათს. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთ ღირსებად გვევლინება. ხაზს უსვამენ ალექსანდრე პირველის ლიბერალიზმის ზედაპირულობას.

შესაძლოა, ისინი აჭარბებდნენ საღვთო კავშირის შექმნის იდეის დაბადების საკითხში ბარონესა კრუდნერის როლს. ეს მოსაზრება გვხვდება ლიტერატურაში [6. 142]. არსებობს სხვა ვერსია, თითქოს ეს იდეა დაებადა თავად ალექსანდრე პირველს ჯერ კიდევ 1813 წელს. ცნობილი რუსი ისტორიკოსი პროფ. ნიკოლოზ კარეევი ფიქრობს, რომ ამ საქმეში კრუდნერის როლი დიდი არ იყო და მას არც კი ახსენებს [7. 111-121]. ეტყობა, ეს ასეც იყო. საკითხი საკამათოა. ამ საქმეში ბარონესა კრუდნერის როლის გაზვიადება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია.

შესაძლოა, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველისადმი მათი ასეთი მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური დამოკიდებულება ხისტად გეჩვენოს, მაგრამ მას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და უეჭველად შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი: ისინი, როგორც ლიბერალები, ხომ არ ამუქებდნენ საქმის რეალურ ვითარებას? რამდენად ჰქონდათ გაცნობიერებული ის სიახლეები, რომელსაც ადგილი აქვს ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ? ხომ არ დარჩა ეს საკითხი მათ თვალსაწიერს მიღმა?

ამ თემაზე მსჯელობა აქ შეიძლება დაგვესრულებინა, რომ არა, ჩვენი აზრით, ერთი საინტერესო საკითხი, რომელზე მინიშნება დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის სახელმძღვანელოში, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა. ისინი ალექსანდრე პირველის მმართველობაში ორ პერიოდს გამოყოფენ. „თავისი მეფობის მეორე ნახევარში ალექსანდრე პირველი მისტიკოსებს დაუახლოვდა“ [3. 142-143]. ხომ არ იკითხება აქ მინიშნება ლეგენდაზე „ფიოდორ კუზმიჩის“ შესახებ? არსებობს ვერსია, თითქოსდა ალექსანდრე პირველი 1825 წლის ნოემბერში არ მომკვდარა, ბერად აღიკვეცა და კიდევ დიდხანს ცხოვრობდა ციმბირში. ეს ლეგენდა გვხვდება როგორც ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე სიტყვაკაზმულ მწერლობაში. მას მხარს უჭერდა დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი [11. 134].

მეორედ ალექსანდრე პირველის სახელი გვხვდება კვლავ საერთაშორისო ვითარებასთან კონტაქტში. სახელდობრ, ეს გახლავთ საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობასთან დაკავშირებით [3, 148-149]. ამ საკითხში ხაზგასმულია რუსეთის იმპერატორის მიერ დაკავებული კონსერვატიული პოზიცია. ის თავისუფლებისათვის ბერძენი ხალხის ბრძოლის სასტიკი მონინააღმდეგე იყო. აქცენტების დასმა სავსებით სწორია. სახელმძღვანელოს ავტორებისათვის დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანისთვის რუსეთის იმპერატორის პოზიცია სრულიად მიუღებელი იყო და არ შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ყოველთვის სარგებლობდა მათი სიმპათიით. ამიტომ გასაკვირი არაფერია იმაში, რომ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი როგორც კონსერვატორი, პოლიტიკოსი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონინააღმდეგე მათთვის მიუღებელი პერსონა აღმოჩნდა.

დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში, უმთავრესად, პრიორიტეტულია ალექსანდრე პირველის საგარეო პოლიტიკა, ხოლო საშინაო პოლიტიკა, ფაქტობრივად, კადრს მიღმა აღმოჩნდა, რაც იმით აიხსნება, რომ სახელმძღვანელოში XIX საუკუნის რუსეთის ისტორია გაშუქებულია ძალზე სუსტად, მკრთალად, არსებითად არ განიხილება. დომინანტია პოლიტიკური ისტორია სახელდობრ საგარეო პოლიტიკა, თხრობა, აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ამგვარი მიდგომა კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში, რომელსაც ჩვენი აზრით, უნდა მიეკუთვნებოდნენ დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი. ეს საკმაოდ მაღალი მეცნიერული დონეა. XX საუკუნის დასაწყისში ქართული ისტორიოგრაფია აღწევს ევროპულ დონეს. ეს გახლავთ პოზიტივისტური ისტორიოგრაფია [2. 9].

ამგვარად, ჩვენი აზრით, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის მოღვაწეობის შეფასებისას „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს ავ-

ტორები, დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი, პროგრესულ-ლიბერალურ პოზიციებიდან ცდილობდნენ. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ჩვენს ხელთ არსებულ ძუნწ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე პირველისადმი სახელმძღვანელოს ავტორების, დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის დამოკიდებულება, დიდი ალბათობით, უარყოფითი იქნებოდა. ამგვარ მიდგომას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და გასაკვირი არც არაფერია. რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი, როგორც რეაქციონერი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაუძინებელი მტერი, მათთვის, როგორც ლიბერალებისათვის, მიუღებელი იქნებოდა. ალექსანდრე პირველი, ავსტრიის კანცლერ მეტერნიხის მსგავსად, არ შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. შესაძლოა, ისინი როგორც ლიბერალები, აჭარბებდნენ ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ კონსერვატიული ტენდენციების პრიორიტეტულობას და ნებისთ თუ უნებლიეთ ამუქებდნენ 1815 წლის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილ რეალურ სიტუაციას, მაგრამ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის და ავსტრიის კანცლერის მეტერნიხის, როგორც პოლიტიკოსებისადმი დამოკიდებულება, უეჭველად, შეიცავს ქუმმარიტების რაციონალურ მარცვალს და ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება, რაც, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ მათ ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული, რუსეთის იმპერატორის ლიბერალიზმის ზედაპირულობა.

## **ლიტერატურა – REFERENCES**

1. კალანდაძე მ., დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016.
2. კალანდაძე მ., ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ., 2019.

3. უზნაძე დ., ივ. გველესიანი, ახალი ისტორია (XVIII-XIX საუკუნე), თბ., 1919.
4. Виноградов П., Учебник всеобщей истории, часть 3, новое время, 1913.
5. Догоев В., Внешняя политика России в международных системах, Москва, 2004.
6. История XIX века, под ред. Е. Лависса и А. Рамбо, т. 3. Москва, 1938.
7. Кареев Н., Общий курс истории XIX и XX века, до начала мировой войны, часть 1. Москва, 1919.
8. Орлик А., Россия в международных отношениях, 1815-1829, Москва, 1998.
9. Ревякин А., История международных отношений нового времени, Москва, 2004.
10. Сироткин В., Изгнание и смерть Наполеона, Новая и Новейшая история, №4-5. 1974.
11. Сироткин В., Наполеон и Россия, Москва, 2000.

**Merab Kalandadze**

### **Dimitri Uznadze on Russian Emperor Alexander I**

#### **Summary**

The present work, as is evident from the title, is historiographical in nature and aims to find out what Dimitri Uznadze's attitude towards the activities of Russian Emperor Alexander the First might have been. Despite the scarce information we have about Dimitri Uznadze and Ivan Gvelesiani, the authors of the textbook on Russian Emperor Alexander I, we think it is quite transparent. It is widely believed that the Russian emperor is mentioned only in the negative context in their guidebook. Of course, this is not accidental, and we must first look for the reason for their attitude. The activities of the Russian Emperor Alexander I did not seem to be in line with their political ideals, as to the liberals, the Russian Emperor Alexander seems to be the first unacceptable figure.



Based on the little information we have, we can think that Dimitri Uznadze and Ivane Gvelesiani, the authors of the first national textbooks of the „Modern History“ of the Russian Emperor Alexander the First, would probably be negative. Such an attitude toward the issue undoubtedly contains a rational grain of truth and is a positive side of reasoning.

In our opinion, the authors of the textbook Dimitri Uznadze and Ivane Gvelesiani sought to evaluate the activities of the Russian Emperor Alexander I from progressive-liberal positions. It is a scientific approach to the issue that naturally has its positive and negative moments.

**ზოგიერთ ლექსიკურ-სემანტიკურ  
ცვლილებათა შესახებ თანამედროვე  
ვრანგულ და ინგლისურ ენებში**

ენობრივი ცვლილებები ორმაგი ბუნებისაა, რადგან ენა ავლენს თავისი ევოლუციის ორმაგ დამოკიდებულებას – ერთი მხრივ, იმ გარემოზე, რომელშიც ის არსებობს, მეორე მხრივ კი, საკუთარ შინაგან მექანიზმსა და წყობაზე.

მეცნიერთა ნაწილი ცდილობს, უარყოს გარეგანი, სოციალური ფაქტორების გავლენა და მიიჩნევს, რომ ლინგვისტურ კვლევათა ჩარჩოებში გარეგანი ფაქტორები არ უნდა ფიგურირებდნენ, რადგან ლინგვისტა ინტერესის საგანი უნდა იყოს ენობრივ ცვლილებათა შინაგანი მიზეზობრიობა. ლინგვისტიკის სოციოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი სახელგანთქმული წარმომადგენლის – ა. მეიეს აზრით, ცვლილებები ენაში უკავშირდება იმ სოციალურ პირობებს, რომელშიც ცხოვრობენ მისი (ამ ენის) მატარებლები, რადგან თვით ენა საზოგადოების წყალობით არსებობს [4.139]. ბევრი ლინგვისტ-სოციოლოგი მიიჩნევდა, რომ მრავალი ენობრივი ცვლილების საფუძველს წარმოადგენდა ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენა და, ამავდროულად, აღიარებდნენ შიდაენობრივი ცვლილებების არსებობასაც (ფ. ბოასი, ე. სეპირი და სხვ.). ე. პოლივანოვის აზრით, ეკონომიკური ცვლილებებით განისაზღვრება ენობრივი ცვლილების მიზანი. ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები ცვლიან მოცემული ენისა ან დიალექტის მატარებელ კონტინგენტს (ანუ ე. წ. სოციალურ სუბსტრატს), რასაც მოჰყვება კონკრეტული ენობრივი ევოლუცია [8.112].

სოციალური ფაქტორები სხვადასხვაგვარად აისახება ენის სხვადასხვა სტრუქტურაში, განსაკუთრებით კი – ლექსიკაში. როგორც რ. ბუდაგოვი აღნიშნავს, ახალი ლექსიკური ერთეულების გაჩენის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალ

ძველ სიტყვათა ახალი მნიშვნელობების შექმნას, ახალი სიტყვაშეერთებების ფორმირებას, სასაუბრო და წერით მეტყველებას შორის ცვლილებებს, სალიტერატურო ენის სფეროში სასაუბრო მეტყველების შეჭრას და სხვ. [6.9]. ენის ამ დონეზე, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები აისახება ახალ სიტყვათა და გამონათქვამთა წარმოქმნით, ძველ სიტყვათა და გამონათქვამთა გადააზრებით, ნასესხობებით. ეს რაოდენობრივი ცვლილებები თანდათანობით გროვდება და იწვევს ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის ხარისხობრივ ძვრებს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

1. სხვადასხვა ენათა ლექსიკურ შემადგენლობებში მრავალრიცხოვან ნასესხობათა გაჩენა. ამის მიზეზია მოვლენის შესაბამისი სიახლე, ან თუ ეს მოვლენა არ ახასიათებს მსესხებელი ენის ქვეყანას, ანუ თუ არ გააჩნია მსესხებელ ენას მისი ანალოგი. მაგალითად, ფრანგულმა ენამ ისესხა ინგლისურიდან სიტყვები **greeter – welcomer, geek – (computer) geek = computer nerd, turbo nerd (პროგრამისტი; ფანატი), internaute – internet user**

ნასესხებ სიტყვათა ერთი რიგი ექვემდებარება ორთოგრაფიულ და გრამატიკულ ადაპტაციას მსესხებელი ენის სისტემაში. მაგალითად, პირველი უღლების ზმნები იძენენ ინფიქსებს, რომელთაც ენიჭებათ უპირატესობა ფრანგულ ენაში: **to boost → booster, to chat → tchat, to look → relooker, to surf → surfer (sur Internet), to implement → implémenter**. ზმნა **relooker** იძენს ფრანგული ზმნის არა მხოლოდ გრამატიკულ ნიშნებს, არამედ თვით ახალ მნიშვნელობასაც – **განახლება, გადახედვა, სრულყოფილება**. არსებითი სახელები იძენენ ფრანგული ენისათვის დამახასიათებელ სუფიქსებს. მაგალითად, მომქმედის სახელი **blogger** იძენს ფრანგულ სუფიქსს: **eur (blogueur)**. იცვლება ორთოგრაფიაც (**tchat, implémenter, relooker**).

ხშირად ენა ირჩევს და სესხულობს სინონიმური რიგიდან ერთ-ერთ ტერმინს და ახდენს მის ტრანსფორმაციას საკუთარი გრამატიკული სტრუქტურის შესაბამისად. მაგალითად, ფრანგული ენა, „პლანშეტის“ ცნების გამომხატველ ინგლისურ

სინონიმთა მწკრივიდან, **d pad, tablet, plane, table, table, plat** – სესხულობს ყველაზე მეტად ხმარებულ სიტყვას **tablet** და ახდენს მის ტრანსფორმირებას ფრანგული ენის ნორმათა შესაბამისად – არსებითი სახელი იძენს მდებარეობითი სქესის ფორმას **tablette**.

**2.** ნეოლოგიზმთა შექმნის პროცესი წარმოადგენს კიდევ ერთ ტენდენციას თანამედროვე ფრანგულ ენაში, რაც ასახავს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დონეს. ენის განვითარების ყოველ ეტაპზე არსებობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებისკენაც მიპყრობილია საზოგადოების ყურადღება ენის განვითარების მოცემულ ეტაპზე. ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ სალიტერატურო ენაში აქტიურად შემოიჭრა მრავალი სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინი. რიგ კომპიუტერულ ტერმინთა ხშირი გამოყენება გახდა ჩვენი ყოველდღიური ლექსიკის ნაწილი.

თანამედროვე პერიოდისათვის დამახასიათებელია მაღალ ტექნოლოგიათა ხშირი გამოყენება განვითარებულ ქვეყნებში და ამ მოვლენის შედეგია, რომ განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიური ტერმინების გადადის სხვა ენებშიც. ინგლისური ენა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის ენა, წარმოადგენს ტექნოლოგიურ ტერმინთა ნასესხობების წყაროს.

ნეოლოგიზმთა შექმნის ერთ-ერთი პროდუქტიული ხერხია მეტაფორა. რადგანაც ენის შესაძლებლობები არაიშვიათად ჩამორჩება სამეცნიერო აზრის განვითარებას, რიგ შემთხვევებში, მეტაფორა წარმოადგენს ამა თუ იმ ცნებათა გამოხატვის ერთადერთ საშუალებას. ზოგადხმარებული ლექსიკიდან ტერმინოლოგიურ ლექსიკაში გადატანისა და პირიქით, ტერმინოლოგიური ლექსიკიდან ზოგად ლექსიკაში გადატანის პროცესებს ახლავს დიდი რაოდენობის მეტაფორულ გადააზრებათა წარმოქმნა.

მეცნიერული მეტაფორა, როგორც წესი, გადადის ზოგადხმარებულ ლექსიკაში და მკვიდრდება ლექსიკონში ახალი სიტყვების სახით; ამასთანავე, რადგან ტერმინი ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაში. დროთა განმავლობა-

ში იფართოვებს თავის საზღვრებს და აღარ არის უკვე მხოლოდ სამეცნიერო ენის კუთვნილება. მკვიდრდება რა ენაში, მეტაფორა თანდათანობით კარგავს თავის აზრობრივ და ემოციურ უნიკალურობას და იქცევა ერთ-ერთ გადატანითმნიშვნელობიან სიტყვად.

როგორც ვ. გაკი აღნიშნავს, ფრანგული ენა ხასიათდება დიდი მეტაფორულობით და ამიტომაც ფრანგული ენის სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის ფორმირების ხერხებს შორის დომინირებს მეტაფორული გამოსატყულებანი [7.92-102]. მაგალითად, **argent liquide** – ფულის ხელზე ქონა.

მეტაფორიზაცია იყო და რჩება ახალ ტერმინთა წარმოშობის ერთ-ერთ პროდუქტიულ ხერხად. ახალი მეტაფორული წარმონაქმნები ასახავენ საზოგადოებაში მიმდინარე ტენდენციებს და მათი განვითარების დინამიკას.

**3.** თანამედროვე ფრანგულ ენაში, ფართო გავრცელება ჰპოვა პოლიმორფემული სიტყვების შემოკლებამ ერთ მარცვლიანებად: **application mobile – appli mobile, crédit à la consommation – crédit conso.** ეს მოვლენა უკავშირდება ცხოვრების ტემპის აჩქარებას, გლობალური ინფორმატიზაციის პირობებში და განსაკუთრებით დამახასიათებელია სასაუბრო ენისათვის, კერძოდ, ახალგაზრდული სლენგისათვის, რომელშიც აუცილებელია აზრის სწრაფი მიწოდება თანამოსაუბრისათვის. ა. მარტინე, ენობრივ ცვლილებათა მამოძრავებელი ძალის სახით, სხვა მოვლენათა შორის, განიხილავდა „ძალვის ეკონომიის პრინციპს“, რომლის მიხედვითაც ადამიანი „ხარჯავს თავის ძალებს მხოლოდ იმ ხარისხით, რაც აუცილებელია განსაზღვრული მიზნის მისაღწევად“ [3.532-533].

ბოლო წლებში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა SMS ენის გამოყენება. არსებობს რა მისწრაფება დროისა და ფინანსურ საშუალებათა ეკონომიისაკენ, ხდება გადასაცემი ინფორმაციის შეკუმშვა სიტყვათა შემოკლების გზით, სიმბოლოთა გადაადგილებით, ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოქმნით, რომელთა ნაწილიც ყოველდღიურობაში გამოიყენება. თუმცა ეს

მოვლენა ინტერნაციონალურია, რადგან ის გამოიყენება მრავალ ენაში, მათ შორის, ფრანგულშიც და ქართულშიც.

ფრანგულ ენაზე არსებითი გავლენა მოახდინა „ჩატის დი-ალექტმა“, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან. ჩატში გამოყენებული საშუალებებია აბრევიატურები (**c – c'est**-ს ნაცვლად, **zik – musique**-ს ნაცვლად, **leur – controleur**-ს ნაცვლად), ანგლიციზმები (**loi – laughing out loud**), ექსპრესიული გამონათქვამები (**haha, euh**), ზედმეტ ასოთა და სიტყვათა „გამორიცხვა“ (**kesse** - ნაცვლად **qu'est-ce**-სა).

შემოკლებით მეტყველებას განსაკუთრებით იყენებს ახალგაზრდა თაობა, რაც ასახავს არა მარტო ენობრივი საშუალებების ეკონომიისაკენ ტენდენციას, არამედ ასევე მიზანდასახულ მისწრაფებასაც, რომ გაუგებარი იყოს ტექსტი. ამ მიზნით სასაუბრო მეტყველებაში გამოიყენება კვეცა (*truncation*). განსაკუთრებით პოპულარულია ბოლო მარცვალთა შეკვეცა (აპოკოპა): **graff – graffiti; Net – Internet; d'acc – d'accord**.

4. ბოლო ხანებში დიდად გავრცელდა თავკიდურ მარცვალთა კვეცის ტიპი – აფერეზა. ეს განსაკუთრებით ახასიათებს ფრანგ ახალგაზრდობას. ახალგაზრდებს სურთ, ისაუბრონ გარემომცველთათვის გაუგებარ ენაზე. მაგალითად: **blème – problème, dwich – sandwich, vail – travail**.

ბოლო ათწლეულებში, ფართოდ გავრცელდა ისეთი მოვლენა, როგორცაა სიტყვაშეერთებათა შემოკლება – ალფაბეტიზმები და აკრონიმები, რომლებიც აქტიურად გამოიყენებიან როგორც სალიტერატურო ენაში, ასევე სასაუბრო მეტყველებაში: **M.J.C – Maison des Jeunes et de la Culture; T.V.B. – tout va bien**. აკრონიმები უფრო მეტად ახასიათებს ახალგაზრდა თაობის ლექსიკას: **La BU – La Bibliothèque Universitaire; La RU – le Restaurant Universitaire**. გარდა ამისა, მეტყველების ემოციურობის გაზრდის მიზნით, ახალგაზრდობა იყენებს ინტენსიფიკატორთა კრებულს, რომლებიც ცვლიან ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა **bien, très, agréable, sympathique**. ეს სიტყვებია: **vachement, d'enfer, fun, drolement** და სხვ.

15-17 წლის ფრანგი ახალგაზრდებისათვის დამახასიათებელია პირობითი ენის ისეთი სახეობები, როგორებიცაა „ვერლანი“ და „ლარგონჟი“, რომლებშიც გამოიყენება მარცვალთა გადანაცვლება; „ვერლანში“ პირველი მარცვალის გადაინაცვლებს ბოლოში (*père – repe, musique – zicmu, métró – trome*). „ლარგონჟიში“ ტრანსფორმაცია ხდება იმგვარად, რომ პირველი თანხმოვანი ბგერა წარმოითქმის ბოლოში, მის ნაცვლად კი წარმოგვიდგება თანხმოვანი **"l"** (*jargon – largonji, en douce – en loucedé*).

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეტაპზე, ფრანგული ენის ლექსიკა განიცდის არაბული და ჩრდილოაფრიკული ენების დიდ გავლენას. ზემონახსენები „*verlani*“ იქცა შუამავლად ფრანგულ ენასა და იმ იმიგრანტთა ენებს შორის, რომლებიც ძირითადად ცხოვრობენ ქალაქთა გარეუბნებში.

ყოველი ზემოგანხილული მოვლენა უშუალოდ უკავშირდება ენის ლექსიკური სისტემის განვითარებისა და სრულყოფის საკითხებს.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. Bloomfield L., Language, New York: Allen & Unwin, 1933.
2. Grzega J., „Historical Semantics in the Light of Cognitive Linguistics: Aspects of a new reference book reviewed“, *Arbeiten aus Anglistik und Amerikanistik* 25: 233–244, 2000.
3. Martinet A., *Éléments de linguistique générale*, Paris, 1960.
4. Meillet A., *Introduction à l'étude comparative des langues indo-européennes*, Paris, 1953.
5. Vanhove M., *From Polysemy to Semantic change: Towards a Typology of Lexical Semantic Associations*, *Studies in Language Companion Series* 106, Amsterdam, New York: Benjamins, 2008.
6. Будагов Р., Что такое развитие и совершенствование языка? *Вопросы Языкознания*, Москва, N3, 1975.
7. Гак В., *Языковые преобразования*. Москва, 2010.
8. Поливанов Е., *Статьи по общему языкознанию*. Москва, 1968.

**Tsiuri Akhvlediani  
Giorgi Kuparadze**

**About certain lexical-semantic changes in  
modern French and English Languages**

**Summary**

The phenomenon of the nature of the linguistic changes is very interesting. Language immediately responds to all the changes that take place in a societythe life of which is fully reflected in the language. Recently, lexical-semantic changes have been observed more and more frequently in many Western European languages. There is a continuous process of violation of norms and standards of word usage, as well as the emergence of new words and expressions and drastic changes in the meanings of existing words and expressions. To know more is quite essential in this field for those students who try to develop their linguistic and cultural competences at proficiency level in the scope of given foreign languages.



## სათუნა თუმანიშვილი

### ანდაზური მეტაფორის სპეციფიკისათვის

(სირიულდიალექტური არაბული  
და ქართული მასალის მაგალითზე)

*ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნებას  
პოეტური საფუძველი აქვს და ამ პროცესის  
ძირითადი საყრდენი მეტაფორაა  
**ჯამბატისტა ვიკო***

პრაგმატიკის თეორეტიკოსები, განსაზღვრავენ რა პრაგმატიკის თეორიის მიზნებს და ამოცანებს, მეტაფორის ბუნების შესწავლას პრაგმატიკის პრეროგატივად, მისი კვლევის საგნად მიიჩნევენ. პრაგმატიკოსმა უნდა ეძიოს, თუ როგორ აიგება და გამოიცნობა მეტაფორული გამოთქმა. ფსიქოლინგვისტიკისა და ფსიქოლოგიის ამოცანა კი ანალოგიის (ანალოგიაზე დაფუძნებული აზროვნების) თეორიის შექმნაში მდგომარეობს [134].

ყოველთვის, როდესაც (ლინგვისტური, მით უფრო, ექსტრალინგვისტური მიმართულებით) მსჯელობა მიდის მეტაფორის ფენომენზე, გვერდს ვერ ავუვლით ვერბალური ფოლკლორის იმ მნიშვნელოვან მარაგს, რომელსაც ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის (აქ: არაბული/ქართული) პარემიული (ანდაზური) ფონდები მოიცავს. მოცემული ეთნოცნობიერება (სამყაროს შემეცნების პროცესში მიღებული გამოცდილების საფუძველზე) მისი გადასახედიდან აფასებს რა სიღრმისეულ სინამდვილეს, არსებითს მოვლენათა კლასში, სწორედ ანდაზად რეპრეზენტირებს ფიგურალურად გაფორმებულ განზოგადებულ სიბრძნეს. მასში ჩადებული ცოდნა ამა თუ იმ ეთნოსის რაციონალურის, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის ირაციონალური სახით არსებული რესურსია. ამდენად, გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ანდაზა ადამიანის მეტაფორული აზროვნების გამოვლენის უმაღლესი გამოხატულებაა.

მეტაფორაზე მსჯელობისა, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მრავალ განმარტებას შორის (მით უფრო, აქ დასმული პრობლემის სწორად გასააზრებლად) მოვინებთ ივორ რიჩარდსის ერთ ასეთ ორიგინალურ შეფასებას: მკითხველმა უნდა დააკავშიროს ორი საგანი. სწორედ ამ დაკავშირებაში იმალება მეტაფორის საიდუმლო [11].

თუ ამ ხაზს გავყვებით, ამგვარმა მიდგომამ ბუნებრივად უნდა პოვოს ასახვა ანდაზურ მეტაფორაზეც. თუმცა კონკრეტულ მაგალითებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ (ანალოგიაზე დაფუძნებულ აზროვნებაზე აგებული) ანდაზის სემანტიკის ფორმირება და საკომუნიკაციო აქტის დროს მისი გაშიფვრა (მით უფრო, თუ ის ღრმად მეტაფორულია) სპეციფიურად რთული სააზროვნო პროცესია, რომელიც აქტუალიზაციისას, კომუნიკატორთა ქვეცნობიერზე გადის. სხვა მკვლევართა კვალზე მ. რუსიეშვილიც ფიქრობს, რომ ეს მდგომარეობა თავად მეტაფორული გამონათქვამების აგებულების სირთულით არის განპირობებული. ეს, ბუნებრივია, მათი დეკოდირების პროცესშიც იჩენს თავს და ანდაზის კონტექსტუალურ აქტუალიზაციაზეც აისახება [1.71].

დასმული პრობლემის ძირითად განხილვამდე, აქ გასათვალისწინებელია მოცემული ჟანრის ერთი უდავოდ მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც კომუნიკატორთა ქვეცნობიერში ოპერირებს ამა თუ იმ ანდაზის კონტექსტუალიზების პროცესში.

ცნობილი მოვლენაა (მოცემული ჟანრის მარაგის დენოტატიური და ზოგადაზრობრივი მრავალფეროვნების მიუხედავად) ენის მატარებლის მიერ საკუთარი პარემიული ფონდის (ყოველ შემთხვევაში, მისი აქტიურად გამოყენებადი ნაწილის) კონტექსტუალიზების „ცოდნა“. ე. ი. (მოცემულ ცნობიერებაში მიღებული) თითოეულის რელევანტური ნიშის სწორად განსაზღვრის უნარ-ჩვევების ფლობა. არ. ტეილორის ორიგინალური შეფასებით „ანდაზა არის მოკლე გამონათქვამი, მაგრამ, არა ყოველთვის. ანდაზა არის მართალი, მაგრამ, არა ყოველთვის... თუმცა, მაინც ყველამ იცის, თუ რა არის ანდაზა“ (“A

*proverb is something that is short but not always. A proverb is something that is true but not always ... but everybody knows what a proverb is*” [12. 17].

ყველა შემთხვევაში, ფაქტია, რომ მოცემული ენობრივი კოლექტივის ნებისმიერი მენტალურად სრულყოფილი წევრი (მეცნიერული თვალსაზრისით, თუ არა) ინტუიტიურ დონეზე მაინც განარჩევს ანდაზას სხვა ვერბალური ფორმებისაგან და დიდი განსწავლულობის გარეშე ფლობს მისი სწორად აღქმისა და გამოყენების „წესებს“. როგორც ჩანს, მისაღებია მოსაზრება, რომ „ასეთი სტრუქტურები განსაკუთრებით ძლიერად ქვეცნობიერში მკვიდრდებიან, ყოველგვარი ლოგიკური აზროვნებისა და ერუდიციის გარეშე მოქმედებენ“ [1.147].

მასასადამე, ირკვევა, რომ ყველასათვის გასაგები, ერთი შეხედვით, მარტივი ანდაზა ბევრად უფრო რთული ფორმაა, ვიდრე მეტყველების უბრალო პოეტური „სამკაული“ [4. 153]. ფუნქციურადაც ის, როგორც წესი, კომუნიკაციაში გამოიყენება გარკვეული პრაქტიკული, პრაგმატული მიზნით მრავალფეროვან ცხოვრებისეულ სიტუაციებთან მიმართებით: განსჯის, ამართლებს, მიუთითებს, დასცინის... სხვაგვარი ფუნქციით მისი განხილვა წარმოუდგენელია. სწორედ ამით განსხვავდება (ფორმალურად და აზრობრივად) დახვეწილი ანდაზა სპონტანურად შექმნილი მეტაფორისაგან ან რიგითი გონებამახვილური შენიშვნისაგან. მეტიც, ის, ამ თვალსაზრისით, გაცილებით მაღალი ლირებულების მქონე მხატვრულ ერთეულებში შედის. ანდაზის სემანტიკაში, მრავალმხრივ ნაცადი სიბრძნის სახით, კოდირებულია სიღრმისეული სინამდვილის სტრუქტურაში (სტრუქტურებში) „დაფარული“ ურთიერთობების ლოგიკური ბუნება, სამყაროში არსებული (ხშირად არათვალსაჩინო) მრავალმხრივი მიმართებები. „ანდაზა ფიგურალურად აფიქსირებს სამყაროში არსებულ კანონზომიერებებს“ [12. 17].

ანუ, ანდაზა მოვლენათა სიღრმეებიდან არსებითის ზედაპირზე გამოტანას (სიღრმისეული სინამდვილის შემეცნებას) მასში (გარკვეულ ცნებად) „ჩადებულ“ დასკვნის, საზოგადოდ, გამოცდილი სიბრძნის საშუალებით ახორციელებს. ანუ, აქტუ-

ალიზაციისას ირთვება (ანალოგიურ აზროვნებაზე დაფუძნებული) მეტაფორული „ძრავა“, რომლის სრულყოფილ ამუშავებას მხოლოდ “ორი საგნის კავშირი” ვერ უზრუნველყოფს. უფრო ზუსტად, მისი კონტექსტში „გადააზრება“ (სწორად დეკოდირების „ცოდნა“) კომუნიკატორთაგან არა მხოლოდ საგნობრივი (ხატის) – „სენსორული ალემის“ დონეზე აზროვნებას (რაც, პრაქტიკულად საკმარისია, მაგ., გამოცანის შემთხვევაში), არამედ, **ცნებითი აზროვნების** „უნარ-ჩვევებს“ მოითხოვს... ცნებითს იმიტომ, რომ მასში მოცემული მსჯელობა და დასკვნა (განზოგადებული სიბრძნის სახით) ცნებით ოპერირებას ეფუძნება. ანუ, ანდაზის მეტაფორის კონსტრუირება საგანთა და (ცნებად ჩამოყალიბებულ) მოვლენათა კავშირს ეფუძნება.

ანდაზური მეტაფორის ამგვარი სპეციფიკა, ბუნებრივია, მეტად ართულებს თეორიულ პლანში მის შესწავლას. შემთხვევითი არ არის, რომ ჯ. მილნერი, საკომუნიკაციო აქტების რეალიზაციის პროცესში მიმდინარე ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევისას, სწორედ ანდაზების მაგალითზე ცდილობს მოვლენებსა და კატეგორიებს შორის არსებული წარმოსახვითი ურთიერთმიმართების დადგენას. მისი აზრით, ანდაზები შეიძლება შევადაროთ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ცნობიერება აშენებს დიდმასშტაბიან კვანძებს, მსგავსად იმისა, როდესაც სათითაო აგურით მშენებლობიდან გადასვლა ხდება ბლოკურ მშენებლობაზე – ერთეულებ-ნახევარფაბრიკატების მშენებლობით [10.14].

როგორც ჩანს, (მით უფრო, ღრმად მეტაფორული) ანდაზის დეკოდირება სინთეზური აზროვნების (კომბინირებული ელემენტების ერთობლიობის) პრინციპზეა დამყარებული. აქტუალიზაციისას ეს რთული პროცესი, როგორც ზემოთ ითქვა, სამეტყველო აქტის მონაწილეთა ქვეცნობიერზე გადის. კოგნიტური ფსიქოლოგიის თეორიაში არსებული ერთ-ერთი დებულების თანახმად, ქვეცნობიერი პროცესები გაცილებით რთული ფენომენია და, შესაბამისად, გაცილებით რთული აგებულებით გამოირჩევა, ვიდრე ცნობიერი [6. 241-255]. ამიტომ არის

უდაოდ მნიშვნელოვანი ის ფაქტორი, რომ ანდაზის აქტუალიზაციისას კომუნიკატორებს აკავშირებთ ერთი მსოფლმხედველობის, ერთი ცნობიერების, საერთო ეთნოფსიქოლოგიის საზღვრებში მოქცეული „გონებრივი ენა“ (“Mental language“) [7. 252]. ამიტომ ესმით მათ ერთმანეთის „მეტაფორული აზროვნება“.

ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ანდაზის დეპიფორირებაში ერთდროულად არის ჩართული აზროვნების ისეთი რთული ქვეცნობიერი ოპერაციები, როგორცაა სამყაროში **არსებულ საგანთა და მოვლენათა შორის ლოგიკური მიმართებების ასახვა, არსებითის წვდომა, განზოგადება და აბსტრაგირება.**

ზემოთ მოტანილი მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დასკვნის სახით ჩამოყალიბდეს ამგვარი დებულება: ანდაზის დეკოდირება პრაქტიკულად წარმოადგენს **ცნებითი აზროვნების** დონეზე მიმდინარე აზრმდებლობის პროცესს, რომელიც მოცემული ეთნოსის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე მიღებულ განზოგადებულ აპრობირებულ სიბრძნეს ეფუძნება.

რაც შეეხება კონტექსტის საკითხს მოცემულ ჟანრთან მიმართებით, ჩვენ ცალსახად ვემხრობით იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომლებიც მიუთითებენ მისი როლის დიდ მნიშვნელობაზე ანდაზის სპეციფიკის, მისი ფუნქციის სრულყოფილ გამოვლენაში [3; 5]. ბუნებრივია, როდესაც საანდაზო წინადადება გვეძლევა კონკრეტულ საკომუნიკაციო აქტში, თავად მოცემული კონტექსტი გვეხმარება გავარკვიოთ, ვიმსჯელოთ, შეესაბამება თუ არა მასში გამოხატული ფართე მნიშვნელობა კონკრეტული სიტუაციური კონტექსტის საერთო შინაარსს. მოცემულ კონტექსტში ახალი „სემანტიკური მარკერების“ შექმნის ხარჯზე ცხადად ვლინდება (ანალოგიაზე დაფუძნებულ აზროვნებაზე აგებული) ანდაზის ფუნდამენტური თავისებურება, რომ გამოცდილების ერთი სფერო საფუძვლად ედება მეორეს, რის ფონზეც მისი კონკრეტული შინაარსობრივი ფორმით წარმოდგენილი აზრი განზოგადებული სიბრძნე ხდება. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ენის მატარებელს აქვს საკმარისი „ცოდ-

ნა“ აამუშაოს მოცემული ანდაზის მეტაფორული „ძრავა“ და „გახსნას“ ის კონკრეტული კონტექსტის დახმარების გარეშე. კომუნიკატორი სარგებლობს მასში არსებული დიდი გამოცდილებით (პირველ რიგში უკვე აღნიშნული გენეტიკური ცოდნისა და წარმოდგენების წყალობით იმის შესახებ) თუ რა წარმოსახვითი მიმართებებია „დანახული და მიღებული“ გარკვეულ საგნებსა და მოვლენებს შორის მოცემულ (ენობრივ და მენტალურ) სივრცეში. რას ნიშნავს კონკრეტულ ანდაზაში შერჩეული მასალა (ლექსიკა, შესიტყვებები) „პარემიულ ენაზე“ და, საერთოდ, რას წარმოადგენს ანდაზები, როგორი სემანტიკური წესებით ხდება მათი კონსტრუირება, დემიფრაცია და გამოყენება.

მსჯელობის თვალსაჩინოებისთვის შეპირისპირებით-ტიპოლოგიურ პლანში განვიხილოთერთ სემანტიკურ მოდელში მოქცეული არაბულ-ქართული აზრობრივი პარალელები. შევეცადოთ თეორიულ პლანში გავიაზროთ, როგორ ხდება თითოეულის გახსნა, არსებითის („დიდმასშტაბიანი კვანძის“) ზედაპირზე ამოტანა განზოგადებულ სიბრძნედ. ამავდროულად, საინტერესოა, ამა თუ იმ ანდაზის ფორმირებისას მოცემული ეთნოსი რა გამოცდილებას ეყრდნობა (მისი ქვეცნობიერი რა გენეტიკური ინფორმაციის მატარებელია) – ცნებითი აზროვნების რა ანალოგიებზეა აგებული დეკოდირებისას მიმდინარე აზრმდებლობის პროცესი. ანუ, რა სახის წარმოსახვით-ლოგიკურ მიმართებებს (საგანთა და მოვლენათა კავშირს) ეყრდნობა მოცემული ანდაზების მეტაფორის კონსტრუქტი.

წარმოდგენილი მასალის ანალიზისას პოსტულატად აღებულ იქნა ტერმინი „იდეათა (წარმოდგენათა) ასოციაცია“ (ჯ. ლოკი). ეს ცნება გულისხმობს პროცესს, რომლის საფუძველზეც ფსიქოლოგიური აღქმები და წარმოდგენები ერთმანეთს უკავშირდება და წარმოქმნის რთულ, ფართო მნიშვნელობის იდეებს.

აზრობრივი მოდელი: „ღირებულს დამფასებელი სჭირდება“<sup>1</sup>  
أعطوا الحمار وردة – أكلها

[‘áṭu l-ḥmār wárdē ‘akálhə]<sup>2</sup>

ვირს ვარდი მისცეს – შეჭამა.

§ ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო.

მოცემული ხატოვანი ანდაზა მკვეთრ მეტაფორულ კონტრასტზეა აგებული. კონტექსტში რეალიზაციისას ექსპლიციტურ დონეზე მიღებული ინფორმაციით სამეტყველო აქტის მონაწილეთა ცნობიერებაში არსებული გამოცდილების საფუძველზე აქტუალიზდება ცოდნა იმის შესახებ, რომ ვირი იაფფასიანი, იონჯის მჭამელი ანუ, იოლად შესანახი ცხოველია (რომელსაც, ტვირთის საზიდად იყენებენ). გარდა ამისა, მოცემულ ეთნოცნობიერებაში ვირი (ხშირ შემთხვევაში) უგუნურების, უმეცრების სიმბოლოდ აღიქმება (ლოგიკური შეფასების სემა – ნეგატიური), ვარდი კი ყვავილთა მეფედ, რომელიც სილამაზის სიმბოლოა და, შესაბამისად, რაიმე ღირებულთან ასოცირდება (სემა – პოზიტიური). ზედაპირულად დაფიქსირებული ოპოზიციური ნყვილის – ვირი/ვარდი – საფუძველზე ხორციელდება აზრმდებლობა – რა უნდა ვარდს ვირთან? სად ვირი და სად ვარდი? ისინი არ შეესაბამებიან ერთმანეთს. შესაბამისად იხ-

---

<sup>1</sup> ანდაზის ექსპლიციტურ დონეზე მოცემული პირველადი მნიშვნელობა თავისი ბუნებით ფიქსირებულია, ანუ სტატიკური, ხოლო იმპლიციტურ დონეზე არსებული ფართო მნიშვნელობა – არაფიქსირებული, ანუ დინამიური. რა თქმა უნდა, განსაზღვრისას ის თემატურ ჩარჩოებს არ სცდება, მაგრამ მისი ფორმირება, ერთი მხრივ, სამეტყველო აქტის მონაწილეთა გემოვნების საქმეა, და, მეორე მხრივ, მის ჩამოყალიბებას გარკვეულწილად ის კონკრეტული სიტუაციური კონტექსტი განაპირობებს, რომელშიც ხდება მისი აქტუალიზება.

<sup>2</sup> არაბული მაგალითები ჩანერილია და თარგმნილი არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ (სირიელი / ლიბანელი) ინფორმანტებისაგან. შესაძლო უზუსტობების თავიდან ასაცილებლად, სათანადო კონტექსტებში გადააზრების საფუძველზე დაზუსტდა მოცემულ ეთნოცნობიერებაში მოცემულ მოვლენასთან მიმართებით (საგნებსა და მოვლენებს შორის) დადგენილი წარმოსახვითი ლოგიკური მიმართებები.

სნება სიღრმისეული იმპლიციტური ოპოზიცია – კანონზომიერი/არაკანონზომიერი; ფასეული/არაფასეული. გამოყენებისას ანდაზის კონკრეტული შინაარსით წარმოდგენილი აზრი დისოცირდება და წარმოსახვითი ლოგიკური მიმართებების გზით ასოცირდება შესაბამის (ასევე კონკრეტულ) სიტუაციურ კონტექსტთან. ახალი „სემანტიკური მარკერების“ შექმნის ფონზე ანდაზის პირველადი მნიშვნელობა გამოდიფერენცირდება. მითითებული აზრობრივი ოპერაციების ერთობლივი ამუშავებით მიღებული ლოგიკური შეუსაბამობის საფუძველზე რეალიზდება ანდაზის სიღრმისეული, იმპლიციტური მნიშვნელობის ექსპლიკაცია – დეკოდირება, ხდება მასში მოცემული მსჯელობის განზოგადება, დასკვნად – სიბრძნედ, ფართე მნიშვნელობის იდეად ჩამოყალიბება – *„ღირებულს დამფასებელი სჭირდება“* (ირიბი დიდაქტივი).

რა თქმა უნდა, ანდაზის ფართე მნიშვნელობის სემანტიკის წინა პლანზე წამოწევა არ გულისხმობს, რომ ყურადღება არ გამახვილდეს პირველადი მნიშვნელობის უდაოდ დიდ ფუნქციაზე მისი მთლიანი აზრობრივი სტრუქტურის ფორმირებაში. მხედველობაში გვაქვს გამონათქვამის ის შემადგენელი ატრიბუტიკა, რომელიც ანდაზის საგნობრივ-თემატურ მოცემულობას ქმნის და რომელსაც ის ირჩევს აღნიშნული სიბრძნის დაფიქსირებისათვის. მასში შერჩეული კომპონენტები ხშირად ამ დონეზევე იძლევიან კონოტაციურ სიგნალს, რომელიც ანდაზის სპეციფიკაში არ შეიძლება ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად არ მივიჩნიოთ. სწორედ ის განსაზღვრავს, თუ რა აზრით, რა შეფერილობით (დადებითით თუ უარყოფითით) გამოიყენება კონკრეტული ანდაზა. განხილულ შემთხვევაში მოცემული ხატოვანი ანდაზა, როგორც ითქვა, მკვეთრ მეტაფორულ კონტრასტზეა აგებული. „ვირის“ შერჩევით „ვარდის“ ოპოზიციად და მათი დაპირისპირების საფუძველზე მიღებული ლოგიკური შედეგით („ვირმა ვარდი შეჭამა“) გამონათქვამი ზედაპირულ დონეზევე ამჟღავნებს უარყოფით მუხტს; ის ირონიით მიემართება და დაცივნის ობიექტად ხდის ადამიანს, რომელსაც (ვირის ანალოგიით) არც გონიერება და არც ცოდნა ყოფნის საიმი-



სოდ, რომ სათანადოდ დააფასოს მის ხელში მოხვედრილი (ვარდის მსგავსი) რაიმე ღირებული. შესაბამისად, ლოგიკურია ის შთამბეჭდავი ეფექტი, რომელიც ახლავს მოცემული ანდაზის კონტექსტუალიზაციას.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მსგავსი იდეის დაფიქსირებისათვის ქართულიც მეტაფორულ მასალად იმავე ლექსიკურ ერთეულს, „ვირს“ იყენებს, არაბულ „ვარდს“ გემრიელი და ძვირფასი ხილის სახეობა, „ხურმა“ ენაცვლება. აზრმდებლობა და აზრის გახსნაც, შესაბამისად, ვირისა და ხურმის დაპირისპირებისა და მათ შორის არსებული ლოგიკური შეუსაბამობის საფუძველზე ხორციელდება. ორივე ერთეულში მეტაფორული ექსპანსიის მიმართულება ერთნაირია: ცხოველთა/მცენარეთა სამყარო → ადამიანი.

ამჯერად, არაბული საანდაზო ფონდიდან მოვიხმოთ განხილული ანდაზის ნაწილობრივ აზრობრივ პარალელს (კვაზისინონიმს):

اللي ما يبعر ف الصقر يبشويه

**[’əlli mā bjí’ref əʃ-ʃa’ar bjišwih] <sup>1</sup>**

ვინც შევარდენს ვერ ცნობს, შენვავს მას.

კვლავ სახეზე გვაქვს ხატოვანი, ღრმად მეტაფორული მაგალითი. მასში, წინამდებარე ერთეულისაგან განსხვავებით, ზედაპირული ოპოზიცია არ ფიქსირდება (ფარული ოპოზიციაა: შენვა//ნადირობა). თუმცა ენის მატარებელმა მასში არსებული ისტორიული გამოცდილების საფუძველზე იცის, რომ შევარდენი ძვირფასი ჯიშის ფრინველია, რომელსაც წვრთნიან და სანადიროდ იყენებენ. აქედან გამომდინარე ხორციელდება აზრმდებლობაც: რატომ წვავს მავანი შევარდენს? მას ხომ სხვა (სანადირო) ფუნქცია აქვს და არა კვებითი ღირებულება. ლოგიკურად კვლავ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე, რის ფონზეც იშიფრება მსგავსი აზრის მქონე ფართე მნიშვნელობა: ძვირადღირებულს დამფასებელი სჭირდება. შესაბამისად, იმპლი-

<sup>1</sup> არაბულენოვანი მასალა, ჩანერილი და თარგმნილია არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ არაბი (სირიელი, ლიბანელი) ინფორმანტებისაგან.

ციტური ოპოზიციური სტრუქტურა იმავე სახისაა: კანონზომიერი/არაკანონზომიერი. მაგრამ ტექსტი ამავე დროს ინფორმაციას გვაძლევს იმის თაობაზე, რომ ვინც ამას სჩადის – არ იცის, რომ ის შევარდენია. ამის საფუძველზე კიდევ ერთი ზედაპირულად ნაწილობრივ გამჟღავნებული აზრობრივი ოპოზიციური წყვილი ფიქსირდება: ცნობა/არცნობა (ცოდნა/არცოდნა), რის ნიადაგზეც მოცემული ანდაზა წინამდებარე ერთეულის ნაწილობრივ აზრობრივ პარალელად განიხილება. შესაბამისად, იმპლიციტურ დონეზე ფიქსირებული განზოგადებული მნიშვნელობის დეკოდირებისას, პირველისაგან განსხვავებით, აზრი (თქმის დროს ტონიც) ნაკლებად კატეგორიულია. მასში გარკვეულწილად ქართული „არცოდნა არცოდნა“-ს მნიშვნელობაც დომინირებს. ანუ პირველ – „ვირისა“ და „ვარდის“/„ხურმის“ შემთხვევაში რაიმე ძვირფასის ოდესმე დაფასების პოტენციალი პრაქტიკულად ნულზეა დაყვანილი, რადგან „ვირს ოქროს ყელსაბამიც რომ შეაბა, მაინც ვირია“ და ის ვერასოდეს მიხვდება მის ღირებულებას. ხოლო მეორე შემთხვევაში, შემდგომში, რაღაც ხარისხში მაინც არსებობს ძვირფასის დაფასების პოტენციალი, ე. ი. პირველი ერთეულისაგან განსხვავებით აქ მოცემულ საქციელს უფრო მსუბუქი შეფასება ეძლევა და მასში გამოხატული უარყოფითი კონოტაციაც შერბილებულია. შესაბამისად, შესრულებისას უფრო იუმორით, ვიდრე ირონიით მიემართება ადრესატს, რომელიც, მართალია, უმართებულო საქციელს სჩადის, ღირებულს აფუჭებს (შევარდენის შეწვის მსგავსად), მაგრამ მის საქციელს გარკვეულწილად გამართლებაც აქვს, რადგან აღნიშნული ქმედება არცოდნის ნიადაგზე ხდება.

მეტაფორული ექსპანსიის მიმართულებაა: ადამიანი → ადამიანი.

ჩვენს მიერ განხილული კორპუსის მაგალითზე ჩატარებულმა (შეპირისპირებით-ტიპოლოგიურმა) ანალიზმა ცხადყო, რომ თითოეულის მეტაფორაში ჩაშიფრული ზოგადაზრობრივი კოდის გახსნა, პრაქტიკულად ზედაპირული (ხატის) და სიღრმისეული (ცნების) დონეების ურთიერთქმედებას ეფუძნება.

ამდენად, ღრმად მეტაფორული (მით უფრო, უცხოენოვანი) ანდაზის სიღრმისეულ სემანტიკაში წვდომის საშუალებას სწორედ მოცემულ დონეებს შორის მოცემულ მენტალობაში დადგენილი ურთიერთმიმართებების გარკვევა იძლევა.

ანდაზური მეტაფორის დეკოდირება, რომელიც ინდივიდში (ან ინდივიდებში) მიმდინარეობს, ფსიქოლოგიურად „შემოქმედებით აქტს“ [2.77] წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ანდაზაში მიმდინარე აზრმდებლობის პროცესი ზრდასრული, მენტალურად ჩამოყალიბებული ადამიანებისათვის არის განკუთვნილი, რომელთაც ძალუძთ ცნებებით აზროვნება.<sup>1</sup>

სამეცხველო აქტის დროს მთქმელიც და მსმენელიც პრაქტიკულად ორიენტირებულია ფართე მნიშვნელობაზე, რომლის საფუძველს ანდაზის პირველადი მნიშვნელობა ქმნის. კვლევამ აჩვენა, რომმისი სათანადოდ „გადააზრება“ (ანალოგიაზე დაფუძნებული ცნებითი აზროვნების საფუძველზე) ერთი შეხედვით უმნიშვნელო სტილისტური მახასიათებლების ზუსტ ცოდნას მოითხოვს (ამიტომ არის რთული უცხოენოვანი ანდაზების სწორად წვდომა და რელევანტური საკომუნიკაციო ნიშის განსაზღვრა). მეტიც, პრაქტიკა აჩვენებს, რომ განზოგადების გამოხატვის ხარისხი, ხშირ შემთხვევაში, დიდწილად დამოკიდებულია სწორედ ზედაპირულ მნიშვნელობაზე. რაც მეტად ინტენსიურია ხატი, მეტად მძაფრია მასში გამოხატული ფართო მნიშვნელობა. ანუ, ხატის სიმძაფრე პირდაპირ ასახვას პოულობს მასში ჩადებულ ზოგად აზრში; რაც მეტად დაჭიმულია ხატი, მეტად შთამბეჭდავია დეკოდირებული დედააზრი და მისი კონტექსტში აქტუალიზაციის დროს თანმდევი ეფექტი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანდაზებში ზედაპირულად (თვალსაჩინოდ) და სიღრმისეულად (არათვალსაჩინოდ)

---

<sup>1</sup> მაგალითად, ბავშვებში ეს პროცესი ხატოვანი, „საგნობრივი აზროვნების“ დონეზეა წარმოდგენილი. ბავშვი აღიქვამს ზედაპირულად, რადგან მას ჯერ არა აქვს სიღრმისეული, „არათვალსაჩინო“ ხედვის, ცნებითი აზროვნების უნარი. ამიტომ ის ნებისმიერ მეტაფორულ გამონათქვამს მხოლოდ „თვალსაჩინო“ კუთხით აღიქვამს (მაგ., ის დაგვიხატავს; ვარდის / ხურმის მჭამელ ვირს; შემწვარ შევარდენს და მისთ.).

ასახული ობიექტური სინამდვილე არ შეიძლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საგნებად და მოვლენებად განვიხილოთ. ისინი, ლოგიკური მიმართებების საშუალებით გარკვეულ ცნებით დამოკიდებულებაში მყოფი კანონზომიერებების მთელი სისტემაა. შესაბამისად, ანდაზური მეტაფორის სწორად გაგება მხოლოდ ამ დამოკიდებულებათა წვდომით, მოცემული ეთნოსის ისტორიულ სინამდვილეში არსებულ კანონზომიერებათა გაგებისა და არსებული ცნობიერების ფარგლებში ფიქსირებული ცნებითი აზროვნების შესწავლის გზით არის შესაძლებელი.

### ლიტერატურა – REFERENCES

1. რუსიეშვილი მ., ანდაზა, თსუ, თბილისი 2005.
2. Аллахвердов В. М., Психология искусства; Эссе о тайне эмоционального воздействия художественных произведений, изд. ДНК, «Психология и культура», Санкт-Петербург, 2001.
3. Барли Н., Структурный подход к пословице и максиме, в: Паремнологические исследования, Москва, 1984, стр. 127-148.
4. Крикманн А. А., Опыт объяснения некоторых семантических механизмов пословицы, в: Паремнологические исследования, Москва, 1984, стр. 149-178.
5. Фоит В., Разработка общей теории пословиц, в: Паремнологические исследования, Москва, 1984.
6. Haskell R. E., Structural Metaphor and Cognition. in: Cognition and Symbolic Structure, Norwood, 1987. pp. 241-255.
7. Haskell R. E., A Phenomenology of Metaphor: A precise study into metaphor and its cognitive movement through Semantic space. pp. 257-292.
8. Jakobson R. Subliminal Verbal Pattering in Poetry, Selected Writings, III, Mouton Publishers, The Hague-Paris-New-York.
9. Levinson S. C., Pragmatics, CUP, 1994.
10. Milner G., The Psychology of Communication, New York, 1967.
11. Richards Ivor A., The Philosophy of Rhetoric, Oxford University Press, New York, 1950.
12. Taylor A., The Proverb, Hatboro, Pennsylvania, 1962.

**Khatuna Tumanishvili**

## **On the Specificity of Proverbial Metaphor**

(On the Example of Syriac-dialect Arabic and Georgian Material)

### **Summary**

As is known a proverb (both formally and semantically) is the micro-model of the life and mentality of the world where it was created and where it operates. Its basic function is grasping the wisdom seen from the viewpoint of the given ethnos – the general regularities. It is figuratively constructed of the specific material which is recorded in “the sensory material of perception” of the given ethnos, i.e. in its experience linked with this specific part of the universe. Therefore, it is difficult to understand fundamentally proverbs of a foreign language and to identify the relevant frames (sphere of use) of the respective general semantic domain. Its study implies (along with that of the language) the study of the ethnic “metaphorical thinking”, practically ethnopsychology of the people that created it, as the knowledge embedded in proverbs is a resource of the rational of one or another ethnos, its ethnopsychic picture, existing in the form of the irrational.

The present paper aims (on the basis of examples obtained from the Syriac-dialect Arabic and Georgian stock of proverbs) to interpret specifications of proverbial metaphor on the theoretical level. On the basis of comparative study of Arabic and Georgian parallels, falling within the semantic model “*It is necessary to appreciate the valuable*” it is identified how, by what general and at the same time specific means, characteristic of each, the given wisdom – a figurative formula modeled as a certain concept in a given mentality is created. What figurative “construction material” they choose as the image and on the basis of it what kind of imaginary-logical relations are recorded. As a result of comparative analysis of Georgian conceptual parallels, respective similarities and differences are observable from this viewpoint.

Comparative and typological analysis of semantic parallels from proverbs of the languages under study has shown that an insight into the “hidden” semantics of the generalized units is possible by simultane-

ous study of the levels equally involved in their formation. The decoding of such a proverb, especially a markedly metaphorical one, is a difficult process in a speech act, which is linked with the subconscious of its participants.

In the interpretation of the posed question the term "association of ideas (notions)" (J.Locke) proved useful. This concept implies the process on the basis of which psychological perceptions and notions associate with one another and form ideas having a complex, wide sense.

The decoding of the proverb involves complex operations of thinking: reflection of logical relations between objects and phenomena of the universe, grasping the main point, generalization and abstracting. It is a psychologically "creative act", the process of imparting meaning, occurring on the level of **conceptual thinking**, because the reasoning and conclusion given in it are based on conceptual operation. It is possible only for mentally developed people, capable of thinking in concepts (e.g. in children this process occurs on the level of "object thinking"). The deep layer of the semantics of such proverbs is the implicit meaning of the surface layer. Its combined mechanism depends on the all-round activation of these layers. Each layer reflects the knowledge, based on historical experience, gained by the ethos in the cognition of the universe.

Imparting the meaning when decoding a proverb occurs on the metaphorical level, i.e. the literal sense is the basis for its general meaning. The degree of generalization depends on the vividness of the image. The more intensive the image, the more expressive the decoded meaning and the effect of its actualization in the context. Sometimes a proverb with one explicit meaning is the basis for more than one implicit meaning (proverb-homonyms). Each generalized meaning obeys a situationally different context.

The Arabic-language material is recorded and translated from the Arabic primary source, directly from Arab (Syrian, Lebanese) informants.

**ლალი გულაღანი**  
**ოლასია ჯალიაშვილი**

**ბრენდის სახელწოდების ნომინაციისა**  
**და თარგმნის პრობლემატიკა**

(ქართული, ებრაული, ინგლისური  
და რუსული ენების მიხედვით)

დღესდღეობით საერთაშორისო ურთიერთობები ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ამ ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია საკუთარი სახელები და სახელწოდებები, რომლებიც ნებისმიერი ენის სიტყვათა მარაგის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოქმნის. ამ სახელებს სხვადასხვა საქონლის და კომპანიების ბრენდების სახელებიც განეკუთვნება. მრავალი პროფესიის ადამიანი უცხოური სახელების და სახელწოდებების დაწერის აუცილებლობას ყოველდღიურად აწყდება და იმ მიზეზით, რომ არ არსებობს ისეთი ცნობარები ან ლექსიკონები, რომლებიც მომხმარებელს ზუსტ ვარიანტს შესთავაზებდა, ისინი ამოცანის წინაშე დგებიან, თუ როგორ გადათარგმნონ ბრენდის სახელი.

თანამედროვე ადამიანის დღევანდელი ცხოვრება სავსეა ბრენდებით-სიმბოლოებით. თითოეულ ადამიანს ყოველდღე უწევს არჩევანის გაკეთება და ამა თუ იმ ბრენდისათვის უპირატესობის მინიჭება. აქ მთავარ როლს ასრულებს სახელი, რადგანაც სწორედ ის გვაძლევს საშუალებას, გავარჩიოთ ერთმანეთისგან თვისებებით იდენტური საქონელი. ბრენდის სახელი აუცილებლად უნდა იწვევდეს დადებით ემოციებსა და ასოციაციებს; ადვილად უნდა წარმოითქმებოდეს და შესაძლებელი უნდა იყოს მისი ადვილად დამახსოვრება; ის სხვა სახელწოდებების ფონზე უნდა იკვეთებოდეს; ასევე უნდა გამოხატავდეს მარკის უპირატესობას და უკვე არსებული მარკის სახელწოდებაზე საავტორო უფლებებს არ უნდა არღვევდეს.

ბრენდის სახელწოდების ლინგვისტური მხარე და ბრენდის თარგმნის სპეციფიკა ჩვეულებრივ მომხმარებელს გვერდს უვლის, მაგრამ სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერებისათვის საკმაოდ საინტერესო და მრავალმხრივ კითხვას ბადებს. მიგვაჩნია, რომ მოცემული კვლევის აქტუალურობა არის ის, რომ ეხმიანება საქონლის სახელწოდების თარგმნის პრინციპებისადმი გაზრდილ ინტერესს და ენის სისტემაში მათ პოზიციას. ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ვერ დავაფიქსირეთ ბრენდების სახელწოდებების თარგმნის ერთიანი ხერხები და აგრეთვე სახელწოდებების ნომინაციის ხერხების შესახებ ინფორმაცია.

ჩვენი კვლევის ობიექტია ლექსიკური ერთეულები – ბრენდის სახელები. კვლევებმა მოცემულ თემაზე მრავალი საკითხი შეიძლება გამოავლინოს, მაგრამ ჩვენი ამოცანაა: განვიხილოთ ტერმინი ბრენდი. განვიხილოთ ის, როგორც ენის ლექსიკური ერთეული; განვმარტოთ ბრენდის სახელის თარგმნის პრინციპები; გამოვყოთ ბრენდის სახელწოდებების კლასიფიკაცია ნომინაციის ხერხების საფუძველზე.

ნაშრომში გამოყენებული კვლევის ძირითადი მეთოდებია: ანალიზი, შედარება და კლასიფიკაციის მეთოდი.

პრაქტიკულ მასალად გამოყენებულ იქნა ბრენდების სახელწოდებები – ენობრივი ერთეულები, რომელიც ამოკრებილია სარეკლამო კომპანიებიდან, ინტერნეტ რესურსებიდან, ცალკეულ შემთხვევებში ლექსიკონებიდანაც.

ჩვენი კვლევის მიზანს ბრენდების სახელწოდებების ოთხ ენაზე (ქართული, ებრაული, რუსული და ინგლისური) კომპლექსური შესწავლა წარმოადგენს, რაც დაგვეხმარება სავაჭრო სახელწოდებებში ნომინაციის პრინციპების და ხერხების განსაზღვრაში. მოცემული კვლევის თავისებურებას ნაშრომის დისციპლინათშორისი ხასიათი წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ ბრენდის შესწავლა ხდება კომპლექსურად, ეკონომიკური მეცნიერებების თვალსაზრისითაც და კანონითაც რეგულირდება, კვლევის პროცესში შესაბამისი ეკონომიკური



ნაშრომებისა და იურიდიული საბუთების გამოყენება გახდა საჭირო.

ბრენდის სახელწოდებებს ყოველდღე ვხვდებით, როდესაც მცირე ან მსხვილ საყიდლებს ვაკეთებთ. ეს შეიძლება იყოს პურის ფუნთუშა ან ისეთი მსხვილი შენაძენი, როგორცაა ავტომობილი. ბრენდი სიმბოლოს წარმოადგენს, რომელიც, პირველ რიგში, მწარმოებლის იდენტიფიკაციისათვისაა განკუთვნილი. ამ ნიშნების საფუძველზე მომხმარებლები საყიდლებს აკეთებენ. თუ ადრე შეძენილმა საქონელმა სრულიად დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები, მაშინ ისინი ანალოგიურ, როგორც წესი, დამახსოვრებული სავაჭრო ნიშნის მქონე პროდუქტს მეორედ ყიდულობენ. მაინც რა არის ბრენდი? ბრენდის კონცეფცია საკმაოდ რთულია და სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვანაირად განსაზღვრავს მას.

ეს არის ძველნორვეგიული «brandr» სიტყვა. ლექსიკონებში ფიქსირდება სიტყვა „brand“-ის ასეთი მნიშვნელობები[25]: მუგუზალი ან ანთებული ან უკვე ჩამქვრალი ხის ნატეხი; ჩირაღდანი, ხმალი; ამომწვარი დალი, რომლითაც დამნაშავეებს ნიშნავდნენ; ნიშანი, რომელსაც გავარვარებული რკინით ცხოველის ტყავზე ტოვებენ მესაკუთრის კუთვნილების განსაზღვრისათვის, ან ნიშანი შეფუთვაზე ხარისხის, მწარმოებლის, მისი შემადგენლობის იდენტიფიკაციისათვის და სხვა; ანალოგიური მარკირება, რომელიც საქონლის ხარისხის, ხარისხიანობის ან მწარმოებლის შესახებ ინფორმაციას იძლევა; დალი დალდასმისათვის; სავაჭრო ნიშნის ამ ტერმინს თავისი ისტორია აქვს, რომელიც სათავეს ადრეული პერიოდიდან იღებს [1. 9].

დღესდღეობით ბრენდის მრავალნაირი განმარტება არსებობს [16; 15,114; 20,21; 12,227; 15,114], მათ შორის ფიქსირდება ორი პოლარული თვალსაზრისი: სპეციალისტთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ ბრენდი – ეს სავაჭრო ნიშანია, რომელიც ერთ გამყიდველს მეორისგან და ერთი ტიპის პროდუქტს ალტერნატიულისგან განასხვავებს. მეორე კი ამტკიცებს, რომ ბრენდი – ეს პროდუქტის თვისებების უხილავი ერთობლიობაა, როგორცაა: მისი სახელი, შეფუთვა და ფასები, მისი ისტორია, რე-

პუტაცია და რეკლამირების ხერხი. ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ მხოლოდ წარმატებულ სავაჭრო ნიშანს შეიძლება ეწოდოს ბრენდი [33].

ნებისმიერი პროდუქტის, მომსახურების და კომპანიის შექმნის ყველაზე მთავარ და მნიშვნელოვან ეტაპად თამამად შეიძლება დასახელდეს სახელწოდების შექმნა. ბრენდის სახელი ყოველთვის ბრენდის ყველაზე მთავარ კომუნიკატორს წარმოადგენს, რომელიც მის არსს მოკლედ გამოხატავს და გარკვეულ აზრს გადმოსცემს. ბრენდის სახელის შექმნისას აუცილებელია ნაციონალურ-კულტურული თავისებურებების და სხვადასხვა ენებში ლექსიკური ერთეულების აღქმის განსხვავებების გათვალისწინება [2.11-12;].

კომპანიისთვის ბრენდის სახელის შემუშავებას უნდა ახორციელებდნენ სპეციალისტები რეკლამის სფეროში, ლინგვისტები, აგრეთვე სოციოლოგები. ნეიმინგის სპეციალისტები იძლევიან რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ რას უნდა შეიცავდეს ბრენდის სახელის შემუშავების ეტაპი: ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა, კონკურენტების „სახელების“ ანალიზი, მათი უპირატესობები და ა.შ.; სახელწოდების ობიექტის მთავარი ღირსებების გამოყოფა, სემანტიკური ველების ზედმიწევნითი ანალიზის ჩატარება; სახელების ვარიანტების შექმნის დროს სიტყვათწარმოქმნის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება; სახელის ყლერადობის შემოწმება, ნეგატიური ასოციაციების არარსებობა (მათ შორის, სხვა ენებზე თარგმნისას); მოფიქრებული სახელწოდებების ლინგვისტური (ფონეტიკური, ფონოლოგიური, მორფოლოგიური, ლექსიკური, სემანტიკური) ანალიზი; რეგისტრაციისათვის გაცხადებული სახელების შემოწმება. ასევე, სახელწოდებების გადამოწმება დაცვისუნარიანობაზე უკვე დარეგისტრირებული სავაჭრო ნიშნების ბაზის მიხედვით[20.8;].

ქართულ კანონმდებლობაში ბრენდის შესახებ ვკითხულობთ: „სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განას-

ხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან“ [3]

საინტერესო მასალას იძლევა ბრენდის ლინგვისტური თავისებურებებისა და ბრენდის ნომინაციის ხერხების კვლევა. ლინგვისტურ თავისებურებებზე საუბრისას ავლნიშნავთ, რომ ბრენდის სახელი, ან სიტყვიერი სავაჭრო ნიშანი – ეს განსაკუთრებული ლექსიკური კატეგორიაა, რომელიც პროდუქტების, მომსახურების, ფირმების აღნიშვნისათვის გამოიყენება და რომელსაც როგორც საკუთარი სახელების, ისე საზოგადო სახელების თვისებები აქვთ. საკუთარი სახელები ნომინაციის განსაკუთრებით ფართო სპექტრს მოიცავს [13.92], თუმცა ენის სისტემაში მათ აგრეთვე არამდგრადი სტატუსი გააჩნიათ, რადგანაც შეიძლება საზოგადო სახელების კლასში გადავიდნენ და მთლიანად საზოგადო სახელები გახდნენ. დღემდე მეცნიერები ერთიან დასკვნამდე ვერ მივიდნენ იმის თაობაზე, ბრენდის სახელწოდება საზოგადოა თუ საკუთარი სახელი [5.159-160].

ზოგიერთი სპეციალისტი კომერციულ სახელწოდებებს არა როგორც საკუთარ სახელთა კლასად, არამედ როგორც საკუთარ და საზოგადო სახელებს შორის შუალედურ კატეგორიად განიხილავს, რომელსაც როგორც საკუთარი, ასევე საზოგადო სახელებისთვის დამახასიათებელი თვისებები აქვს [10,5].

ბევრი მეცნიერი სალექსიკონო სავაჭრო ნიშნებს ონომასტიკურ ლექსიკას მიაკუთვნებს და აქედან ჩნდება ტერმინი – პრაგმონიმი, რომელიც მათ ონომასტიკის ცალკე ჯგუფად გამოყოფს (პრაგმონიმი-ბერძნ. *Pragma* „საგანი, საქონელი“ + *onyma* „სახელი“). აქვე ავლნიშნავთ, რომ ქართულ ლიტერატურაში ეს ტერმინი გვხვდება მხოლოდ მ. ტაბიძის ნაშრომში „პრაგმონიმები ქართულში“ [4. 3; 8.10].

ჩამოვთვლით იმ თვისებებს, რომლებიც პრაგმონიმებს უნდა ჰქონდეს: ისინი უნდა იყვნენ მოტივირებულები, უნდა ასახავდნენ საქმიანობის სახეს, შესაბამისი დაწესებულებების ნიშნებს და ფუნქციებს; უნდა ასრულებდნენ სარეკლამო ფუნქციას, უნდა იქცევდნენ ადამიანის ყურადღებას და მასში სა-

ქონლის მიმართ ინტერესს აღძრავდნენ; სახელწოდებები ადვილად დასამახსოვრებელი და სათქმელი უნდა იყოს[7. 37-42]. საკუთარი და საზოგადო სახელების ფუნქციების მონაცვლეობაზე და განმაპირობებელ მიზეზებზე მრავალმა მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება [9. 8-9; 18.123; 19.124].

შესაძლებელია ბრენდის სახელწოდებამ დაკარგოს საკუთარი სახელებისთვის დამახასიათებელი თვისებები და საზოგადო სახელად გადაიქცეს. ეს ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი ბრენდის რომელიმე სახელის შესაბამისი ტიპის პროდუქტთან გაიგივებას იწყებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელწოდება მხოლოდ ერთ ცალკე პროდუქტს და ერთ ცალკე ფირმას ეკუთვნის. ასეთნაირად ბრენდების სახელები საზოგადო სახელებად გარდაიქმნებიან [12.5]. საქართველოში ყველა მწარმოებლის ყველა საფენს „პამპერსებს“ უწოდებენ და ავიწყდებათ ის, რომ „Pampers“ კომპანიის „Procter&Gamble“ უბრალოდ ცალკეულ პროდუქტს წარმოადგენს. ზუსტად ასევე, „ჩუპა-ჩუპსი“ ეს არის ნებისმიერი ჯოხზე წამოცმული შაქარყინული, თუნდაც სხვა სახელით იყოს რეგისტრირებული. პრობლემა იმაშია, რომ მომხმარებელი საქონელს სახელწოდებასთან აიგივებს. ამაზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას: როდესაც ფირმა ანალოგების არმქონე პროდუქტს უშვებს და როდესაც პროდუქტს ძალებით თანაბარი კონკურენტი არ ჰყავს. და ბოლოს, ბრენდის სახელი საზოგადო სახელი ხდება, როდესაც ენაში ამ საგნის აღმნიშვნელი სიტყვა არ არის.

როდესაც ბრენდის სახელი აპელატიურ ფუნქციას იძენს, ეს კომპანიისათვის ძალზე პრობლემატური ხდება, რადგანაც, პირველ რიგში, სხვა მწარმოებლებმა შეიძლება ამით ისარგებლონ მათი შეიძლება არც თუ ისე ხარისხიანი საქონლის აღნიშვნისათვის და ამან შეიძლება აუთენტური მარკის რეპუტაცია შელახოს. მეორე რიგში, კომპანიის საქონლის გავრცელება პრობლემური იქნება[8, 10]. ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება სიტყვა ქსეროქსი, რომელსაც ასლის გადამღებ ყველა მანქანას უწოდებენ, აგრეთვე ქართულ სასაუბრო მეტყველებაში ხშირად გამოიყენება „ქსეროქსი“, როგორც ფოტოასლის აღ-

ნიშვნა. ნებისმიერი კომპანიისათვის მისი პროდუქტის მაღალი პოპულარულობა ხელსაყრელია, მაგრამ სავაჭრო ნიშნის ასეთი გადასვლა საზოგადო სახელებში ნიშნის სამართლებლივ დაცვას ნყვეტს და ნებისმიერ მწარმოებელს შესაძლებლობას აძლევს ისარგებლოს ფართო მასებისთვის ცნობილი სახელით [11, 12-13]. იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომელთა დროსაც ბრენდის სახელი საზოგადო ხდება, დღესდღეობით საქართველოში ასეთი მოვლენა საკმაოდ იშვიათია, რადგანაც კომპანიების მხოლოდ მცირე რიცხვი წავიდა წინ ახალი, ინოვაციური პროდუქტების შემუშავებაში, რომელთანაც შეიძლება ასოცირდებოდეს მარკა.

კვლევაში განხილულია ბრენდის სახელწოდებების ნომინაციის ხერხებთან დაკავშირებული სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებები. მაგალითად ვ. მ. ლეიჩიკი, სავაჭრო ნიშნებს ნომენკლატურულ ერთეულებს მიაკუთვნებს იმ ერთადერთი განსხვავებით, რომ სავაჭრო ნიშნები კანონითაა დაცული და საგნებს თავისუფლად ვერ მიენიჭება. მან შეიმუშავა და განაზოგადა ნომინაციის ხერხები სპეციალური ლექსიკისათვის, რომელთა დახმარებით შესაძლებელია ბრენდების სახელების კლასიფიცირება ზოგიერთი ცვლილების შეტანით [14,25].

ბრენდის სახელის თარგმნის ხერხების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კომპანიები მათი პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე გასვლისას დიდ პრობლემებს აწყდებიან. ბრენდის სახელწოდება, რომელიც „კარგად ჟღერს“ ერთ ენაზე და მისაღებია ერთი კულტურისათვის, სხვა ენაში შეიძლება დისონანს იწვევდეს. გლობალურ ბაზარზე გასვლისას ან სხვა ქვეყნის ბაზარზე შემოსვლისას, ყოველთვის გასათვალისწინებელია, თუ როგორ ითარგმნება ბრენდის სახელი ამა თუ იმ ენაზე, როგორი შეიძლება ის მომხმარებელთა კულტურულ მეხსიერებაში აისახოს. სწორი თარგმანი ბრენდს ახალ ბაზარზე წინ წაწევაში დაეხმარება. ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ჩვენს მიერ ვერ იქნა დაფიქსირებული ერთიანი ხერხი, თუ როგორ შეიძლება და როგორ უნდა ითარგმნოს ბრენდების სახელწოდებები. მაგალითად, რეცკერმა გამოჰყო საკუთარი სა-

ხელის თარგმნის 2 ხერხი, ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია [20, 16-17]. ტრანსლიტერაცია მდგომარეობს სახელის გრაფიკური სახის გადმოცემაში, ე.ი. ასოების გადმოცემაში. ტრანსკრიფცია უფრო მისაღებია სახელწოდების გადმოცემისათვის, რადგანაც სახელის ფონეტიკურ ჟღერადობას უფრო სრულყოფილად გადმოსცემს, მაგალითად სარეცხი ფხვნილის Tide სახელწოდება ითარგმნება როგორც „ტიადი“, და არა როგორც „ტიდე“ ტრანსლიტერაციის შემთხვევაში. თუმცა ეს ხერხი ზოგჯერ სახელწოდების თარგმნისთვისაც გამოიყენება. მაგალითად, პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიის Adobe პროდუქციას უბრალო ხალხი ეძახის „ადობე“, თუმცა ინგლისურ ენაზე იგი ჟღერს როგორც „ედოუბი“. ჩვენ გვხვდება ბრენდების სახელწოდებების გადმოცემის სხვა მეთოდებიც, ისეთები, როგორიცაა ტრასპოზიცია, რომელიც უფრო ცნობილია, როგორც კალკირება. მარკეტინგში ეს მეთოდი ფუნქციონირებს ისეთნაირად, რომ ბრენდის სახელი წინ წაინევა უცხოენოვან ბაზარზე თითქმის სიტყვასიტყვითი თარგმანის სახით. საფრანგეთში Mr. Propper ცნობილია როგორც Mr. Propre, იტალიაში – როგორც Mastro Lindo, ხოლო დიდ ბრიტანეთში – როგორც Mr. Clean. აგრეთვე ტრანსპლანტაცია, სახელწოდების პირდაპირი გადატანა, რომელიც, ძირითადად ბეჭდურ გამოცემებში, საქმიან კორესპონდენციაში და დოკუმენტაციაში გამოიყენება. ეს მოსახერხებელია, რადგანაც ტრანსკრიფციის არასწორ ვარიანტებს არ წარმოშობს, თუმცა ებრაული და არაბული ენების შემთხვევაში, ტრანსპლანტაცია გამართლებული არ არის, რადგანაც მოსახლეობაში მაღალი პოპულარობით ევროპული ენები სარგებლობს. ამ კუთხით საილუსტრაციო მასალიოს განხილვის შემდეგ გამოიკვეთა დასკვნა, რომ ყველაზე სწორია ფონეტიკური მსგავსების მეთოდის გამოყენება, რადგანაც ის ორიგინალთან ყველაზე უფრო ახლოსაა.

კვლევისას განხილულ იქნა ბრენდის ნომინაციის ხერხები, რომელთაც განეკუთვნება სიტყვათწარმოქმნითი, ლექსიკურ-სემანტიკური, ფონეტიკური და სინტაქსური ხერხები. ასევე, გამონაკლისის სახით კომპლექსური ხერხიც, რომელიც ნომი-

ნაციის ზემოთ ჩემოთვლილ ხერხებს მოიცავს. თითოეული მათგანი, ფონეტიკურის გარდა, შეიძლება დავეყოთ მახასიათებლების მიხედვით:

საკუთარი სახელების (მეტწილად გვარის) გამოყენება – ბრენდის სახელის შექმნის ყველაზე მარტივი ხერხია, როდესაც საქონელს, მომსახურებას ან კომპანიას კომპანიის დამფუძნებლების გვარს უწოდებენ. ასეთი სახელწოდებები მომხმარებლებისათვის ყოველთვის თავისებურ გარანტიას შეიცავს.

გეოგრაფიული სახელები – პროდუქტის დარქმევის ხერხი, რომელსაც კომპანიები იყენებენ მაშინ, როდესაც უნდათ მათი საქმიანობის რეგიონალური სივრცის აღნიშვნა. ამ ფაქტორმა პროდუქციაზე როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ასოციაციებს გამოიწვევს სახელწოდება ადამიანში. გეოგრაფიული ფაქტორი, საქონლის წარმომავლობაზე მიუთითებს, რამაც მომხმარებლებში პროდუქტის ყიდვის სურვილი შეიძლება აღძრას; სიტყვები, რომლებიც პროდუქციაზე ასოციაციურად მიუთითებენ – ისინი აუცილებლად დადებით ემოციებს იწვევენ, ასეთი სახელწოდებები ყოველთვის არ აღნიშნავს იმას, თუ რას საქმიანობს კომპანია, მაგრამ ძირითად შემადგენელზე პირდაპირ მიუთითებს. ასოციაციური სახელწოდების უპირატესობა იმაშია, რომ მისი დამახსოვრება შედარებით ადვილია და ქვეცნობიერ დონეზე ინფორმაციის გადაცემის კარგ ხერხს წარმოადგენს; სიტყვები, რომლებიც პროდუქციის არანაირ ნიშან-თვისებაზე არ მიუთითებენ: სახელწოდებები, რომლებიც ასოციაციებს არ ქმნიან და პროდუქციის შესახებ არაფერს არ მოგვითხრობენ. ასეთი ბრენდების წინ ნაწევა ძნელია, მაგრამ წარმატებული კამპანიის შემთხვევაში, მან შეიძლება მსოფლიო დაიპყროს, მაგალითად Apple;

კომპლექსურ ხერხში, რომელსაც როგორც გამონაკლისს ისე განვიხილავთ, გამოიყო 2 კატეგორია: სემანტიკურ-სინტაქსური – შეცვლილი მნიშვნელობის მქონე სიტყვები, ან ნასესხები სიტყვები და სიტყვათშენაერთები; სემანტიკურ-სიტყ-

ვათწარმოქმნითი – შეცვლილი მნიშვნელობის მქონე სიტყვები, აგრეთვე ნასესხები სიტყვები და სიტყვათწარმოქმნის ხერხი.

წარმოვადგენთ ბრენდების ლინგვისტური თვალსაზრისით კლასიფიცირებულ მასალას ქართული, ინგლისური, რუსული და ებრაული ენების მიხედვით:

## ქართული ბრენდები

1. სიტყვაწარმოებითი მეთოდი:

**თბილღვინო** – თბილისის ღვინო; **PSP** (პეესპე); **GPC** (ჯიპისი) – სააფთიაქო ქსელები;

**GNP** (ჯიპიენ) – ნატურალური პროდუქტები; **GTC** (ჯითისი) – სავაჭრო ცენტრი;

**მეგატექნიკა** – ელექტრონიკის მაღაზია; **ბაზისბანკი** – ბანკი;

**ფოკანი** – საიუველირო მაღაზია; **ბარამბინო** – საბავშვო შოკოლადი;

1. სემანტიკური მეთოდი:

**ჩვეულებრივი გვარ-სახელები**: **ზანდუკელი** – ლიმონათი; **ბაგ-**

**რატიონი** – ღვინო; **რუსთაველი**; **ამირანი** – კინოთეატრები;

**მარგო** – რძის პროდუქტები; **ავთანდილი** – დიზაინური სამოსი; **სარაჯიშვილი** – კონიაკი;

**გეოგრაფიული სახელები**: **საირმე**, **ნაბელლავი**, **ბორჯომი**,

**ლიკანი**, **ბახმარო** – მინერალური წყლები; **ნატახტარი**, **ყაზბე-**

**გი**, **ზედაზენი** – გაზირებული წყლები; **კოდა** – ქათმების მოშენების საწარმო.

**სიტყვები ასოციაციური აღქმით**: **მზიური** – ზეთი; **ნიკორა** –

მაღაზიათა ქსელი; **მზარეული** დნახევიარფაბრიკატები; **ოკეა-**

**ნე** – თევზეული პროდუქცია; **ბელელი**, **მასპინძელო**, **სამიკიტ-**

**ნო** – რესტორნები; **ზარაფხანა** – საიუველირო მაღაზია; **გუ-**

**რიელი** – ქართული ჩაი; **სილქნეთი** – საპროვაიდერო კომპანია;

**პისიშოპ** – კომპიუტერული მაღაზია; **ფიორინო** (fiorino) – პიცერია;

**ჯეოსელი** (geocell) – ტელეკომი;



სიტყვები, რომელიც არ მიუთითებს პროდუქციაზე:

**ბარამბო** – საკონდიტრო პროდუქცია; **ბარაქა** – ზეთი; **ქარვას-ლა**, **კიდობანი**, **სმარტი** – სავაჭრო ცენტრები; **დაუნთაუნი** – კაფე-ბარი; **გალაქსი** – ტექნიკის ჰიპერმარკეტი; **ნუგეში** – სუპერმარკეტების ქსელი; **რესპუბლიკა** – ბანკი; **მაჭახელა** – რესტორანი; **სუპერი(სუპერ)** – სუვენირების მაღაზია; **მარგალიტი**, **სეზონი** – შოკოლადები; **ჰარმომია** – შოკოლადის ტორტი;

2. სინტაქსური მეთოდი:

გეოგრაფიული ფაქტორის გამოყენებით: **ქინძმარაულის მარანი**, **ასკანელი ძმები**, **თელიანი ველი** – ღვინოები; **მარნეულის სასურსათო ქარხანა** – პროდუქტების ქარხანა; **საქართველოს ბანკი** – ბანკი; **დანიური სახლი** – ავეჯის მაღაზია; **კინოთეატრი საქართველო** – კინოთეატრი; **მეტეხის ჩრდილში** – რესტორანი;

ასოციაციური ფაქტორის გამოყენებით:

**ტკბილი ქვეყანა** – საკონდიტრო პროდუქცია; **ჩვენი ფერმერი**, **სოფლის ნობათი** – რძის პროდუქტები; **დილა** – კვერცხის მწარმოებელი; **პურის სახლი** – რესტორანი; **მზიური ველი** დფქვილი.

3. ფონეტიკური მეთოდი:

**მითანა** – ხორცის პროდუქცია; **არდი** – სადაზღვევო კომპანია; **დიო** – კარ-ფანჯრების სანარმო; **სანტე**, **სანტისიმო**, **სანტინო** – რძის პროდუქტები; **ფრესკო** – სუპერმარკეტი;

**მარშე** – ხორცის პროდუქტები; **სანებო** – ყველი; **კულა** – წვენი; **სარენკელა** – რესტორანი;

**მაგთი** – ტელეკომი; **ალდაგი** – სადაზღვევო კომპანია.

4. კომპლექსური მეთოდი:

სემანტიკურ-სინტაქსური:

**პროგრეს ბანკი** (progress bank) **პროკრედიტ ბანკი** – ბანკები; **კავკასუს ონლაინ** (Caucasus online) – საპროვაიდერო კომპანია; **ელიტ ელექტრონიქსი** (elite electronics), **ულტრა ტექნიქსი** (ultra techniques) – ელექტრონიკის მაღაზიები; **მისტერ მასტერი**

(mister master) – საყოფაცხოვრებო მომსახურება; **ლიდერ ფუ-დი** (lieder food) – ხორცის პროდუქცია;

**ეკო ფუდი** (eco food) – რძის პროდუქცია; **ლიბერთი ბანკი** – ბანკი; **ბას სტოპი** – სარეკლამო კომპანია; **რიკო კრედიტი** – საკრედიტო კომპანია;

ცალკე გამოვყოფთ იმ ბრენდებს, რომელების ქართული ანბანით არ გადმოიცემა:

**My space** (ჩემი ადგილი), **Tapas, Skyy bar** – კაფე-ბარები;

**Scream** (ყვირილი, კივილი) – კარაოკე ბარი; **Goodwill** (ნებაყოფლობა, კეთილის მოსურნეობა) – სავაჭრო ცენტრი

**Locatino, Prego** – პიცერიები; **Alta, Gitec** – ელექტრონული მაღაზიის ქსელები;

**Belux** – ავეჯის მაღაზია;

### ამერიკული ბრენდები

1. სიტყვათწარმოებითი მეთოდი:

**Coca-cola** – სასმელი, მსოფლიო კონცერნი; **IBM(International Business Machines)** – კომპიუტერების ცნობილი მწარმოებელი;

**YouTube** – ვიდეო პორტალი; **EBay** – მსხვილი ინტერნეტ მაღაზია; **CarlosV** – შოკოლადის კანფეტი; **WaterCar** – წყლის მანქანები;

**Facebook** – მსხვილი სოციალური ქსელი; **Mastercard** – sakredito ბარათი; **FedEx** (Federal Express) – საფოსტო სერვისი;

**Walmart** – სავაჭრო ცენტრი; **KFC** (Kentucky Fried Chicken) – სწრაფი კვების რესტორნების ქსელი;

2. სემანტიკური მეთოდი:

ჩვეულებრივი სახელები: **Buick, Chrysler, Chevrolet, Dodge, Tucker, Bentley, Ford, Cadillac** – ავტომობილის მარკები; **Cross** – სანერი ნივთები;

**Stouffer's** – გაყინული მზა პროდუქტები; **Lipton** – ჩაი; **Hellimann's** – მაიონეზის მარკა; **Disney** – მსხვილი ანიმაციური კომპანია;

**McDonald's** – სწრაფი კვების მსხვილი ქსელი; **Heinz** – სასურსათო კომპანია; **Estee Lauder** – კოსმეტი-

კა და პარფიუმერია; **Calvin Klein Inc** – სამოსის ბრენდი; **Wrigley** – საკონდიტრო ნაწარმი;

გეოგრაფიული სახელები: **Lincoln, Pontiac** – ავტომანქანების მარკა; **Klondike** – საცხობის მარკა;

პროდუქტთან ასოციაციურად დაკავშირებული სიტყვები:

**Chunky** (ჩასკვნილი), **Crunch** (ტკაცუნა), **Goobers** (მინის თხილი) – შოკოლადის სახეობანი; **Jaguar** (იაგუარი) – ავტომობილის მარკა; **Dove** (მტრედი), **Cares** (ზრუნვა) – კანის მოვლის საშუალება; **Pampers** (განებივრება) – საფენები; **Energizer** (ენერგიით დამუხტული) – დენის ქიმიური წყაროები; **Intel** (ინტელექტი) – კომპიუტერული ტექნოლოგია; **Twitter** (ჭიკჭიკი) – სოციალური ქსელი;

სიტყვები, რომლებსაც არ მიუთითებს პროდუქციაზე:

**Timberland** (ტყის ნაკვეთი) – სამოსის მარკა; **Bliss** (ნეტარება) – კოსმეტიკა; **Butterfinger** (ფეთხუმი) – შოკოლადის კანფეტი; **Apple** (ვაშლი) – ელექტრონიკის მსხვილი კორპორაცია; **Lotus** (ლოტოსი), **Hummer** – ავტომობილების მარკა; **Secret** (საიდუმლო) – პარფიუმერია; **Ace** (აქვს ბევრი მნიშვნელობა) – საყოფაცხოვრებო პროდუქცია; **Comet** (კომეტა) – საყოფაცხოვრებო ქიმია; **Fairy** (ზღაპარი) – ჭურჭლის სარეცხი საშუალება; **Dell** (ტყის ველი) – კომპიუტერების მწარმოებელი; **Axe** (ცული) – მამაკაცების პარფიუმერია; **Degree** (ხარისხი, დონე) – ჰიგიენის საშუალებები; **Magnum** (ლვინის დიდი ბოთლი) – ნაყინის მარკა; **Tide** (მიქცევა, მოქცევა) – სარეცხის ფხვნილი; **Adobe** (თხის, ქვიშისა და ჩალის ნარევი) – პროგრამული უზრუნველყოფის კომპანია; **Target**(მიანი) – მაღაზიების ქსელი.

3. სინტაქსური მეთოდი:

პროდუქტთან ასოციაციური ფაქტორით განპირობებული:

**Juicy Juice** – წვენები; **Jack'a Pizza** – გაყინული ფრინველი; **Lean Cuisine** – დაბალკალორიული გაყინული პროდუქტები; **Land Rover** – ავტომობილის მარკა; **General electric** – ელექტრონიკის

მსხვილი ქსელი; **Bank of America** – ამერიკის ბანკი; **Benefit Cosmetics** – კოსმეტიკა;

სახელწოდება, რომელიც პროდუქტთან არ არის ასოცირებული:

**New Balance** – სპორტული ფეხსაცმელი; **100 Grand, Baby Ruth** – შოკოლადის კანფეტები; **Hot Pockets** – გაყინული ღვეზელი; **Old spice** – მამკაცის პარფიუმერია; **Just For Me** – საბავშვო კოსმეტიკა; **Good Humor** – ნაყინი; **American express** – საკრედიტო ბარათი;

4. ფონეტიკური მეთოდი :

**Esprit** – სამოსის მარკა; **Nescafe** – ყაყის მარკა; **Nesquik** – სწრაფი საუზმე; **Nestea** – ცივი ჩაი; **Milo** – შოკოლადის სასმელი; **Nido** – წვენი; **Wonka** – შოკოლადის მარკა; **Buitoni** – გაყინული პროდუქტები; **Digiorno** – გაყინული ფრინველი; **Pepsi** – გაზიანი სასმელები. **Lenor** – ტანსაცმლის მოვლის საშუალება; **Yahoo** – ელექტრონული ფოსტა; **Google** – უმსხვილესი საძიებო სისტემა; **Tigi** – თმის მოვლის საშუალება; **Knorr** – საკაზმი, სანელებელი; **Kleenex** – ქაღალდის ცხვირსახოცები; **Jeep** – ჯიპი; **Revlon** – კოსმეტიკა; **Kodak** – ფოტოტექნიკა; **Motorola** – ელექტრონიკის მწარმოებელი;

5. კომბინირებული მეთოდი:

**Mr. Clean, Mr. Proper** – საყოფაცხოვრებო ქიმიკა; **Levi's** – სამოსის ბრენდი;

### ისრაელის ბრენდი

1. სიტყვათწარმოებითი მეთოდი:

**איך** (აიქი) – საყოფაცხოვრებო პროდუქცია; **פוצ'י'פס** – კარტოფილის ჩიფსები;

2. სემანტიკური მეთოდი:

ჩვეულებრივი სახელები:

**שטראוס** (Shtraus) – საჭმელი და სასმელი პროდუქციის კომპანია; **זוגלובეკ** (Zogolovek) – ხორცის პროდუქტები; **סטამაკი** (Stemacki) – წიგნის მაღაზია; **ვისოკი** (Visocki) – ჩაი;

გეოგრაფიული სახელები:

**יַד מֹרְדֵּכַי** (iad Mordexai) – სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი კიბუცი (განსაკუთრებით თაფლი); **יִטְבַּתָּא** (Itvata) – რძის პროდუქტების კიბუცი;

**צִיבֵּי טִירַת** (Tirat Cvi) – ხორცის მწარმოებელი კიბუცი;

**הַרְדֻּף** (Harduf) – ეკოლოგიურად სუფთა რძის პროდუქციის მწარმოებელი კიბუცი;

**חֹשֶׁה הַלָּב** (Gush Halav) – ყველის წარმოების მარკა; **גִּילְבּוֹא** (Gilboa) – მაგარი ყველის წარმოების მარკა;

**פִּיפֵּי** (pivepi) – ყველის პროდუქცია; **הַעֲבָה** (hevev) – ავეჯის მაღაზიების ქსელი;

**מִקְבֵּי חֶמֶד** – გოლანების მაღლობის ღვინის ქარხნები;

პროდუქციასთან ასოციაციურად დაკავშირებული სიტყვები:

**מִימָה** (habima) – თეატრი; **אֵלֵּא** (el-al) – ავიაკომპანია; **מִלְכֵּי** (milki)

– შოკოლადის პუდინგები ნალებით. **גַּמָּדִים** (gamadim) – ბავშვთა კვება; **תְּנוּבָה** (tnuva) – მსხვილი საკვები კონცერნი; **קֹטֵי** (kotej) –

რძის პროდუქტები, ყველი ხაჭო. **אָדָם-אָדָם** (adom-adom) – ახალი ხორცის მარკა. **יֵמִי** (leumi) – ბანკი; **אֲרוֹמָה** (aroma) – კაფეების

ქსელი; **אֲסוּתָּא** (asuta) სამედიცინო კომპლექსი; **בֶּזֶק** (bezek) – სატელეფონო კომპანია; **מֵגָה** (mega) – ჰიპერმარკეტი; **אֲלֵקְטָרָה**

(eleqtra) – ელექტრონიკის მაღაზია;

სიტყვები, რომლებიც არ უკავშირდებიან პროდუქციას:

**בַּזֻּקָּה** (bazuka) – საღებავი რეზინა; **עֵמֶק** (emek) – ყველის

პროდუქცია; **חֹגְלַח** (xoglax) – სა ყოფაცხოვრებო პროდუქცია

### 3. სინტაქსური მეთოდი:

**עֵלִית כּוֹפֵה-kofo Elit**; **עֵי מֵאֵמָה** (Mama of) – ქათმების წარმოება;

**מִיטָה וַ-חֵצִי** (Mita va-xeci) – ერთნახევარიანი საწოლი, საძინებელი ავეჯის მაღაზიების ქსელი; **מִיפָּל אֵפֵּי** (Mifal apais) – ისრაელის ნაციონალური ლატარეა.

**אַמֶּשְׁבִּיר לֵעָרְחָן** (amashbir lecarxan) – მსხვილი სავაჭრო ცენტრი

**דּוֹר אִשְׂרָאֵל** (doar israel) – ისრაელის ფოსტა; **מִיפָּס צִוּמֵי סְפָרִים** (comet sfarim)

– წიგნების მაღაზია; **עֵדֵי מֵי** (Mei Eden) – მინერალური წყლები;

**זמן קספ** (pesek zman – შესვენება) – შოკოლადის კანფეტი;

**הבנק החדש** (Bank hapoalim) – ბანკი;

**רב איש** (even keisar) – ნატურალური ქვების მაღაზია;

**בר חי** (bar haim) – კარის დამამზადებელი კომპანია;

3. ფონეტიკური მეთოდი:

**אמיני** (aminax) – საძინებელი ავეჯის წარმოება; **טמבור** (tambor) – საღებავები;

**ניפון** (niupan) – ელექტრონიკის მაღაზიების ქსელი;

**שופר** (shufersal) – სავაჭრო ცენტრი; **בטי** (betili) – ავეჯის მაღაზია; **אמפוריום** (emforium) – ტანსაცმლის მაღაზია;

**בלאי** (blaish) – მოდის სახლი; **בנגילה** (bongila) – ეზოს ავეჯი; **בדי**

(badin) – საყოფაცხოვრებო ქიმიკა; **יאקობი** (iakobi) – სარემონტო

საქონელი; **סני** (sano) – სამზარეულოს საყოფაცხოვრებო

პროდუქცია; **ווא** (valla) – ინტერნეტ რესურსი;

**שילב** (shilav) – სავაჭრო ცენტრი; **פריגატ** (frigat) – ნატურალური წვენი;

**קית** (qitan) – სავაჭრო ცენტრი; **אוס** (osem) – მაკარონის მარკა;

4. კომპლექსური მეთოდი:

სემანტიკურ-სინტაქსური:

**פאר-სუპერ** (super farm) – აფთიაქების ქსელი; **המרכז** (home center) – სახლის პროდუქციის მსხვილი მაღაზია; **שיח** (cinema city) – კინოთეატრი;

**רמי לוי שיווק אשיקמה** (Rami Levi Shivuk Ashikma) – სუპერმარკეტების ქსელი;

სემანტიკურ-სიტყვათწარმოებითი:

**סון-פროსტ** (SunFrost) – გაყინული პროდუქციის ბრენდი; **סלקום** (sellkom) – ტელეკომი;

ცალკე გამოვყოფთ ისრაელის ბრენდებს, რომლებიც ლათინური ასოებით არის წარმოდგენილი:

**Max Brenner** – კაფეების ქსელი; **Soya** – სოიოზე დამზადებული რძის პროდუქტები;

**Must** – საღეჭი რეზინა; **Joy** – იოგურტები; **Energy** – სწრაფად მოსამზადებელი ფაფეული.

**Splendid** – შოკოლადი; **Ugly** – ტელეკომუნიკაციის კომპანია;

**Roladin** – საცხობებისა და კაფეების მსხვილი ქსელი; **Sabra** – ხუმუსის მარკა;

**Tavisal** – საუვილერიო მორთულობა;

### რუსული ბრენდები:

1. სიტყვათწარმოებითი მეთოდი:

**Уралкалий** – ქიმიური ქარხანა; **Татнефть, Роснефть, Уралмаш, Сургутнефтегаз** – ნავთობკომპანიები; **Ростелеком** – სატელეკომუნიკაციო კომპანია; **Сбербанк, Альфабанк, Внешторгбанк, Петрокоммерц, Автомир** – ბანკები; **Металлоинвест** – სამთომეტალურგიული ჰოლდინგი; **Техносила М. Видео** – ტექნიკის მაღაზიები; **Путинка** – არაყი; **Спортмастер** – სპორტული მაღაზია; **Росгосстрах** – სადაზღვევო კომპანია; **Вкуснотеево** – რძის პროდუქცია; **Трансаэро** – ავიაკომპანია

2. სემანტიკური მეთოდი:

ჩვეულებრივი გვარ-სახელები:

**Махеев** – მაიონეზი; **Макфа** – მაკარონი; **Касперский** – პროგრამული უზრუნველყოფა; **Быстров** – სწრაფი მომზადების ფაფეული; **Микоян** – ძეხვეული;

გეოგრაფიული სახელები

**Балтика** – ლუდი; **Эссентуки** – მინერალური წყალი;

პროდუქტთან ასოციაციურად დაკავშირებული სიტყვები:

**Связной** – ელექტრონიკის მაღაზია; **Аэрофлот** – ავიაკომპანია;

**Морозко** – გაყინული ნახევარფაბრიკატები; **Гурмания** – რესტორნების ქსელი; **Одноклассники** – სოციალური ქსელი;

**Белуга** – ხიზილალა; **Простоквашино** – რძის პროდუქტები;

სიტყვები, რომელიც არ უკავშირდება პროდუქციას:

**Арсенальное** – ლუდი; **Тонус, Я, Добрый** – ნვენები; **Эльдорадо** – სავაჭრო ცენტრი; **Беседа, Майский** – ჩაის ნაირსახეობა;

**Янтарь, Дружба** – ყველპროდუქტები; **Мастерица** – გაყინული პროდუქცია; **Чудо** – რძის პროდუქტები;

3. სინტაქსური მეთოდი:

გეოგრაფიული ფაქტორის გამოყენებით:

**Норильский Никель** – მეტალურგიული ქარხანა; **Банк Москвы** – ბანკი; **Балтийский берег, Русское море** – თევზეული; **Московский картофель** – ჩიფსები; **Россия щедрая душа** – კანფეტები; **Родники России** – მინერალური წყალი; **Дом книги на Арбате** – წიგნების მაღაზია; **Московский провансаль** – მაიონეზი; **Ярославские краски** – საღებავი;

ასოციაციური ფაქტორის გამოყენებით:

**Банк Русский Стандарт** – ბანკი; **Черный жемчуг** – კოსმეტიკა; **Фруктовый сад, 4 сезона** – წვენები; **Домик в деревне, Милая Мила, 33 коровы, Новая деревня** – რძის პროდუქტები; **Русский дар** – სასმელი; **Русский стандарт, Пять озер, Русский размер** – არყის ნაირსახეობა; **Ароматный мир, Дикая Орхидея** – პარფიუმერიის მაღაზია; **Старый Лекарь, Чудо Доктор** – აფთიაქების ქსელი; **Золотая бочка, Старый мельник, Сибирская корона** – ლუდის ნაირსახეობა; **Красный Октябрь** – კანფეტები; **3 Корочки** – ორცხობილა; **Святой Источник** – მინერალური წყლები; **Мечта хозяйки** – მარგარინი; **Большая кружка** – იოგურტი; **Снежная королева** – ბენვეულის მაღაზია; **Седьмой континент** – სავაჭრო ცენტრი; **Русский размах, Золотой стандарт** – ნაყინის სახეობა; **Азбука Вкуса** – მაღაზიების ქსელი;

4. ფონეტიკური მეთოდი:

**Конфаэль** – საკონდიტრო ნაწარმი; **Кириешки** – კრეკერები; **Ригла** – სააფთიაქო ქსელი; **Инмарко** – ნაყინი;

5. კომპლექსური მეთოდი:

სემანტიკურ-სიტყვათწარმოებითი:

**Билайн (Bee line), Мегафон (Mega Phone)** – ტელესაკომუნიკაციო კომპანიები; **Ситибанк (city bank)** – ბანკი;



ოთხი ენის (ქართული, ებრაული, ინგლისური, რუსული) ბრენდების მიხედვითა და ნომინაციის ხერხებით დაჯგუფებული საილუსტრაციო მასალა ერთმანეთთან შეპირისპირების საფუძველზე გარკვეული დასკვნების საშუალებას იძლევა: ირკვევა, რომ ქართულ სავაჭრო სახელწოდებებში ნომინაციის სემანტიკური ხერხი ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს: გეოგრაფიული სახელები პროდუქტის წარმომავლობაზე მიუთითებენ და დიდი პრაგმატული პოტენციალი გააჩნიათ – პროდუქტის შესახებ სრულ ინფორმაციას იძლევიან, მაგრამ იგი მხოლოდ ქართველი მომხმარებლისთვისაა გასაგები. ისეთი პროდუქტების გლობალურ ბაზარზე გასვლისას, როგორცაა საირმე, ნაბელავი, ლიკანი – ინფორმაცია, რომელსაც ბრენდის სახელი ატარებს, მიუწვდომელი იქნება ადამიანთა სხვა მასისათვის, რადგანაც ამ სიტყვებთან ასოციაციები მხოლოდ ჩვენს კულტურულ მეხსიერებაში არის ჩადებული. ყველაზე ზუსტი ასოციაციები შეიძლება გამოიწვიოს ბრენდების იმ სახელებმა, რომლებიც შექმნილია სინტაქსური და სემანტიკურ-სინტაქსური ხერხით, რადგანაც ამისათვის ვიყენებთ ერთ სიტყვაზე მეტს და ის ინფორმაცია, რომელსაც ბრენდი ატარებს ჩვენთვის უფრო ახლო ხდება.

ისეთი ბრენდებისათვის, როგორცაა ლიდერ ფუდი, ეკო ფუდი, მისტერ-მასტერი, ქართული ბაზრის გარეთ გასვლა შეიძლება პრობლემური იყოს, რადგანაც ეს ნასესხები სიტყვებია და სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთი სავაჭრო ნიშანი შეიძლება სხვა ქვეყანაში იყოს რეგისტრირებული. ეს პრობლემა არ შეეხება იმ ბრენდებს, რომლებიც ფონეტიკური ხერხითაა შექმნილი, რადგანაც იურიდიული თვალსაზრისით, ეს ყველაზე დაცული კატეგორიაა. ეს სახელწოდებები ინდივიდუალურია, ორიგინალურია და მათში ლინგვისტური პრობლემების გაჩენის რისკი მინიმალურია. ქართულ ბრენდებში სემანტიკურ-სიტყვათწარმოქმნითი ხერხი არ გვხვდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული და ისრაელური ბრენდების სახელწოდებებისაგან განსხვავებით, ამერიკაში ბრენდების ნომინაცია გეოგრაფიული ნიშნით მინიმალურად გამოიყე-

ნება, ხოლო სინტაქსურ ხერხით მიღებული ბრენდები არ არსებობს. ამის საპირისპიროდ, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საშუალებაა დამფუძნებლის გვარის დარქმევა. ეს გარანტიის სიმბოლოს წარმოადგენს და ამა თუ იმ პროდუქტის ყიდვის სურვილს სტიმულირებს. აგრეთვე, შესაძლებელია ითქვას, რომ სემანტიკური და ფონეტიკური ხერხები უფრო პოპულარულია, ვიდრე სინტაქსური და სიტყვათწარმოქმნითი. ამერიკელი მარკეტოლოგები წარმატებით წინ წევენ საქონელს, რომელსაც ბრენდის სახელთან ასოციაცია არა აქვს, ასევე ნეოლოგიზმებსაც. ამის მაჩვენებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითად Jeep მარკა – დღეს ჯიპს მაღალი გამავლობის ყველა მანქანას უწოდებენ, ისევე როგორც სიტყვით Kleenex ამერიკაში ყველა ქაღალდის ცხვირსახოცი მოიხსენიება.

თანამედროვე ებრაული ენის ლექსიკური შემადგენლობა მჭიდროდაა დაკავშირებული მისი, როგორც ერთ დროს მკვდარი ენის გაცოცხლებისა და განვითარების ისტორიასთან. ლექსიკური შემადგენლობის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა სესხებებმა და კალკებმა თანამედროვე დასავლეთევროპული ენებიდან და განსაკუთრებით არაბული ენიდან, რომელმაც ინოვაციებზე და სიტყვათწარმოქმნაზე დიდი გავლენა მოახდინა. ყველა ეს ფაქტორი ებრაულ ენაზე დამონმებული ბრენდების სახელების ანალიზს განსაკუთრებით საინტერესოს ხდის. ნეიმინგის სპეციალისტები ისრაელელების კულტურულ მეხსიერებაზე აკეთებენ აქცენტს. ისევე, როგორც ქართული ბრენდების სახელების შემთხვევაში იყო, აქ ხშირად გეოგრაფიული სახელები გამოიყენება, ხოლო აქცენტი კეთდება კიბუცზე. კიბუცი – ეს სასოფლო – სამეურნეო კომუნაა ისრაელში, რომლის მაცხოვრებლების მიერ ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დიდი ნაწილი მუშავდება. ასეთი სახელები ისრაელელების კულტურულ მეხსიერებაში გამოძახილს პოულობენ, მაგრამ გლობალურ ბაზარზე გასვლის შემთხვევაში არ არიან მოტივირებულები, კარგად არ ჟღერენ და საქონლის მიმართ ინტერესს არ აღძრავენ. ამ მოთხოვნებს ჩვეულებრივი სახელები და სახელწოდებები უფრო პასუხობენ, რომლებიც

სიტყვათწარმოქმნითი ხერხით იქმნებიან. სახელწოდებების უმეტესობა, რომლებიც სახელწოდებების სემანტიკურ და სინტაქსურ ხერხს მიეკუთვნებიან, პროდუქტთან ასოციაციური კავშირი აქვთ, გვიყვებიან პროდუქტის შესახებ, ყიდვის სურვილს სტიმულირებენ. ეს განსაკუთრებით ეხება სახელწოდებებს სემანტიკურ-სინტაქსურ კატეგორიაში. აქ ისეთივე პრობლემა ჩნდება, როგორც ქართული ბრენდების სახელწოდებების შემთხვევაში საერთაშორისო ბაზარზე გასვლისას. ასეთი სახელწოდება შეიძლება უკვე რეგისტრირებული იყოს. ბრენდების სახელწოდებები ფონეტიკურ კატეგორიაში ამ პრობლემისგან თავისუფალნი არიან, მაგრამ მათ დიდ ნაწილს კარგი ჟღერადობა არა აქვთ, და შედეგად, პროდუქტის ყიდვის სურვილი შეიძლება არ გამოიწვიოს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის ცხოვრების ყველა სფერო ბიბლიური თემატიკითაა გაჟღერებული, ბრენდების სახელდების პროცესში ეს ფაქტი იგნორირებულია და ბრენდის არცერთ შემთხვევაში არ ფიქსირდება ბიბლიური სახელი.

რუსული საილუსტრაციო მასალის კვლევამ გამოავლინა შემდეგი: მხოლოდ აქ გვხვდება ის ფაქტი, რომ ბრენდის სახელების ძალზე მცირე რაოდენობა შექმნილია ფონეტიკური ხერხით. მიუხედავად ამისა, ამ სახელებს კარგი ჟღერადობა აქვთ, ორიგინალურები არიან და მათი იურიდიული დაცვა ყველაზე ადვილია. ნომინაციის სემანტიკური ხერხი ასევე არ სარგებლობს პოპულარობით, სხვა ქვეყნებთან შედარებით. სიტყვათწარმოქმნით და სინტაქსურ ხერხებს ბრენდების ლომის წილი უკავიათ. აქ აგრეთვე ასეთი თავისებურება ვლინდება: სახელწოდებებში ხშირად ხვდება თავსართი **рус-**, სიტყვა **русский**, **Россия**. საქმე აბსურდამდეც კი მიდის – ბანკი და არაყი **Русский Стандарт**. ამის მსგავსი რამ არ დაფიქსირებულა სხვა ქვეყნების ბრენდების სახელებში. ყველა სახელწოდება მოფიქრებულია კარგი ჟღერადობის, რუსული ბაზრისათვის პრაგმატულობის გათვალისწინებით, თუმცა ასეთი პროდუქციის გლობალურ ბაზარზე წინ წაწევა საკმაოდ პრობლემატური იქნება.

და ბოლოს, საილუსტრაციო ოთხენოვანი მასალის კლასიფიკაციამ და შეპირისპირებამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ბრენდების სახელდების თავისებურებები თითოეულ ენაში და ასევე გაგვეჩვენა მათ შორის მიმართება განსხვავება-მსგავსების თვალსაზრისით, რაც მომავალში მცირედ მაინც დაგვეხმარება ბრენდების სახელწოდებების თარგმნის სწორ გააზრებასა და სრულყოფაში.

### **ლიტერატურა – REFERENCES**

1. იაშვილი გ., ბრენდ-მენეჯმენტი, თბ., 2012.
2. ლომინაძე ს., ბრენდი და თანამედროვე ბრენდინგის ტექნოლოგიები, თბ., 2011.
3. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ. მ.3, პ.1.
4. ტაბიძე მ., პრაგმონიმები ქართულში, დისერტაცია, თბ., 1994.
5. ლლონტი ა., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.
6. Айхенвальд А., Современный иврит, Москва, 1990.
7. Веркман Дж., Товарные знаки – создание, психология, восприятие, Москва, 1986.
8. Глухова О., Ономастические и лингвокультурологические характеристики словесных товарных знаков, автореферат, Ростов-на-Дону, 2010.
9. Ермолович Д., Имена собственные на стыке языков и культур (Москва: Р.Валент, 2001
10. Исакова А., Эволюция прагматического пространства: структура, семантика, прагматика, автореферат, Москва, 2008.
11. Исянов К., Лингвистический анализ типология и локализация отечественных и иностранных коммерческих названий, автореферат, Уфа, 2012.
12. Котлер Ф., Основы маркетинга, Москва, 1990.
13. Крюкова И., Рекламное имя: от изобретения до прецедентности, монография, Волгоград, 2004.
14. Лейчик В., Люди и названия, Москва, 1982.

15. Нильсон Т., Конкурентный брендинг, СПб, 2003.
16. Перция В. & Мамлеева Л., Анатомия бренда, Москва, Вершина, 2007.  
[http://royallib.ru/book/pertsiya\\_valentin/anatomiya\\_brenda.html](http://royallib.ru/book/pertsiya_valentin/anatomiya_brenda.html)
17. Рецкер Я., Пособие по переводу с английского на русский, Москва, Просвещение, 1982.
18. Серебренников Б. & Уфимцева А., Языковая номинация: Общие вопросы, Москва, 1977.
19. Соболева Т. & Суперанская А., Товарные знаки, Москва, 1986.
20. Шарков Ф., Магия бренда: Брендинг как маркетинговая коммуникация, Москва, 2006.

ლექსიკონები:

21. ებრაულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი: საარი, 2003.
22. თებერაშვილი ს., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 2005.
23. Новейший Иврит-Русский Словарь, д-ра Баруха Подолского, Тел-Авив: Иврус, 2007.
24. Longman New Universal Dictionary, 2011
25. Merriam-Webster Dictionary, <http://www.merriam-webster.com/dictionary/brand>
26. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=1>

საქართველოს პარლამენტის

ბიბლიოთეკა, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი

27. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=3>  
საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, უცხო სიტყვათა ლექსიკონი
28. <http://www.oxforddictionaries.com> – Oxford Dictionary
29. <http://www.slovar.co.il/translate.php> – Словарь Б. Подольского
30. Merriam-Webster Dictionary, <http://www.merriam-webster.com/dictionary/brand>

ინტერნეტ წყაროები:

31. [http://rendering.com.ua/article.php/names\\_own](http://rendering.com.ua/article.php/names_own) Алексеева И.
32. <http://www.super-brands.ru/>
33. <http://superbrands.co.il/>
34. <http://www.brandmarket.ru/articles/naming/40>

**Lali Guledani**  
**Olesya Zaliashvili**

**Problems of Nomination and Translation of a Brand Name**  
(In Georgian, Hebrew, English and Russian)

**Summary**

Today's modern life is full of brands and symbols. The literature available to us does not include uniform methods for translating brand names and information on the methods of nomination.

The object of our research is lexical units – brand names. Research on this topic may reveal many issues, but our task is: to consider the brand as a lexical unit of language; to explain the principles of translating a brand name; to classify brand names based on nomination methods. The purpose of our research is a comprehensive study of the brand names in four languages (Georgian, Hebrew, Russian and English), which shows to identify the principles and methods of nomination in trade names.

Classification and contrasting illustrative material has enabled us to identify the features of brand names in each language and to find out the differences and similarities between them, which will help us to understand and translate brand names correctly.

## ზნაობის საფუძვლები იუდაიზმში

იუდაიზმი მიეკუთვნება პირველ მონოთეისტურ რელიგიათა რიცხვს. მისი წარმოშობა ხდება პალესტინის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ჩვ. წელთაღრიცხვამდე პერიოდში, გვაროვნული წყობილების დროს. როგორც რელიგია, იგი მუდმივად განიცდიდა განვითარებას, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ცვალებადობის შესაბამისად. სპეციფიკური ამ რელიგიისათვის ისაა, რომ მისთვის ერთადერთი ღმერთი იაჰვეა, რომელიც, ერთი მხრივ, სამყაროს შემქმნელი და, მეორე მხრივ, მისი მბრძანებელია. იუდაიზმის მიმდევრებს წამთ სულის უკვდავება, საიქიო ცხოვრება, რომ მესია მოველინება სამყაროს. ამავე დროს ხაზს უსვამენ ებრაელი ხალხის ღვთის რჩეულობას. დღევანდელ პერიოდში საკმაოდ გავრცელებული რელიგიაა და დაახლოებით 20 მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებს. ამ რელიგიის ფუძემდებლად მოიაზრება ებრაელი წინასწარმეტყველი მოსე. განსაკუთრებული სახე ცვლილება იუდაიზმმა მას შემდეგ განიცადა, რაც პალესტინაში შეიქმნა ახალი მონათმფლობელური სახელმწიფო ისრაელი, რომლის სათავეშიც მოიაზრებოდა ერთმპყრობელი მონარქი. იუდაიზმის სახით ფაქტიურად ჩამოყალიბდა ნაციონალური რელიგია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ებრაელები-სათვის ნაცია და სარწმუნოება გაიგივებულია [2.113].

ებრაული რელიგია ანუ იუდაიზმი პერიოდულად განიცდიდა სხვა რელიგიების გავლენას. თავდაპირველად მასზე გავლენა მოახდინა ქანაანელთა რელიგიამ, შემდეგ ასირიულ-ბაბილონურმა კულტურამ, ბერძნულ-ფილოსოფიურმა მსოფლმხედველობამ. სწორედ ამის გავლენაა, რომ იგი აღიარებს ერთიან ღმერთს და სულის უკვდავებას. მოსეს მიერ ებრაელებს მიეცათ სჯული, რომელიც მათ მოამზადებდა როგორც რჩეულ ერს ძე ღმერთის განკაცების მისაღებად. ძველი აღ-

თქმის მიხედვით, ებრაელებს ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ ცოდნა უფალმა მოსეს პირით აუწყა. ეს იყო რელიგია, რომელიც მათ აძლევდა არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას რელიგიის შესახებ, არამედ განსაზღვრავდა მათი ცხოვრების პრაქტიკული საქმიანობის ყველა ნიუანსს. მათ შორის მოიაზრებოდა საყოფაცხოვრებო საქმიანობა, ლოცვა, ქცევის წესები, მორალური ნორმები [3.77]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ებრაელი ერს გაუჭირდა ამოსეს მცნებების მიხედვით ცხოვრება და ზოგჯერ მათი რელიგიური ქმედებები წარმართობისკენ იხრებოდა ეს უსჯულოებად და ერისაგან განდგომად მოიაზრებოდა წინასწარმეტყველთა მიერ და ისინი თავიანთ მოვალეობად მიიჩნევდნენ შემოებრუნებინათ ებრაელი ხალხი ჭეშმარიტი ღმერთის აღიარებისაკენ.

მესიის მოლოდინში ძებნა დაუწყეს პოლიტიკურ ლიდერსაც, რომელიც დაეხმარებოდათ ყველა სხვა ხალხზე გაბატონებაში. მათ ვერ მოახერხეს ისიც, რომ ჯვარცმული დამცირებული ქრისტე მსხნელად მიეღოთ. ერმა, ფაქტობრივად, მთლიანობაში უარყო ქრისტე. იუდაიზმი და ქრისტიანობა შეუთავსებელი აღმოჩნდნენ ერთმანეთთან მიმართებით. ამას ისიც დაემატა, რომ რომაელებმა მალე მიწასთან გაასწორეს იერუსალიმის ტაძარიც და იუდაიზმი როგორც რელიგია დაყვანილი იქნა სინაგოგებში ლოცვებისა და ბიბლიის ანუ თორას შესწავლაზე. ტაძრის დანგრევას შედეგად მოჰყვა ის, რომ ებრაელებმა შეწყვიტეს მსხვერპლთა შეწირვა, ამან უარყოფითად იმოქმედა იუდაიზმის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაზე, და ხელი შეუწყო ებრაელთა გაფანტულობას სხვადასხვა ქვეყანაში.

მთელი შემდგომი საუკუნეების განმავლობაში იუდაისტური რელიგია ეფუძნებოდა იმის განხორციელებას, ხელი შეეწყოს სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული ებრაელთა კონსოლიდაციისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. შუა საუკუნეების პერიოდში ებრაელთა რელიგია ძველი აღთქმის წიგნებს ემყარებოდა, მასზე გავლენას ახდენდა რაბინთა ძველი ჩანაწერები, რომლებიც ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ეს ჩანაწერები საბოლოოდ გაერთიანდა მოძღვრების სახელით,



რომელსაც „თალმუდი“ ეწოდა. ის იქცა ებრაელთა კანონად. შუა საუკუნეებში ჩაისახა ებრაული ფილოსოფია და ზნეობრივი სისტემა, მათ საფუძველი მისცა იუდაიზმმა.

იუდაიზმი აღიარებს რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს: თუ ებრაელი უარყოფს მათ, დასაშვებია ასეთი ადამიანის თემიდან განდევნა. ასეთი ადამიანი ებრაელი რელიგიის მიხედვით, მესიის მოსვლისას მკვდრეთით ვერ აღსდგება. ეს პრინციპებია: 1. ღმერთის არსებობა; 2. თორის ღმერთისგან მიღება; 3. ღვთიური მსჯავრის არსებობა – თუ ებრაელი უარყოფს ამ პრინციპს, ის ითვლება ურწმუნოდ ანუ აფირიკოსად.

საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ებრაელი სარწმუნოების პრინციპები, სადაც ამავე დროს გაჟღერებულია ებრაელი ფილოსოფიისა და ზნეობრივი პრინციპების ზოგიერთი ასპექტი. მთავარი აქცენტი იმაზეა გაკეთებული, რომ სამყაროს ღმერთი განაგებს, რომ ღმერთი ზნეობის სანყისია, რომ ღმერთი სჯის ბოროტს და მფარველობს კეთილს.

იუდაიზმის ფილოსოფიამ და ზნეობრივმა სისტემამ დახვეწილი სახე მიიღო წინასწარმეტყველი მოსეს პერიოდში (ძვ. წ. XIII ს.). ისიც ხაზს უსვამდა ერთადერთი ღმერთის თაყვანისცემის აუცილებლობას. ამ იდეამ აუცილებელი გახადა სხვადასხვა სარიტუალო და სოციალური კანონების შემოღება, რომელთაც ებრაელები უნდა დამორჩილებოდნენ უდაბნოში ხეტიალის პერიოდში. წინასწარმეტყველი მოსე თვლიდა, რომ რიტუალები თავისთავად კი არ იყო ღირებული, არამედ ის განიხილებოდა საშუალებად ხალხისთვის ღმერთის ერთგულების შენარჩუნებისათვის. წინასწარმეტყველი ყურადღებას ამახვილებდა ზნეობრივ კანონებზე, რომლებიც საბოლოოდ ათ მცნებად ჩამოყალიბდა. აქ აკრძალული იყო კერპთაყვანისმცემლობა. მოსეს სჯულში მთავარია რამდენიმე ატრიბუტი; 1. ალექმის კარავი, რომელიც ღმერთის სუფევის ხილული ნიშანია. 2. სჯულსკიდობანი – ოქროთი მოვარაყებული ხის სკივრი, სადაც ინახებოდა ღმერთის ალექმა; 3. მენორა ანუ ლამპარი – იგი წარმოადგენდა შვიდტოტიან ოქროს სასანთლეს [1.68]. მენორა, ფაქტობრივად, იქცა

იუდაიზმის სიმბოლოდ, რომელიც, ამავდროულად, გამოსახულია ისრაელის სახელმწიფო გერბზეც.

დევენილობის შემდეგ, რომელიც დაახლოებით 100 წლამდე გაგრძელდა, ებრაელებმა დაიწყეს პალესტინაში დაბრუნება. მათ იერუსალიმის გალავანი აღადგინეს და გამართეს ტაძარი. მოხდა ცნობიერებაში სხვადასხვა სახის ცვლილება. კერძოდ, შეიზღუდა ებრაელი თემის წარმომადგენლის დაქორწინება უცხო ტომის ქალზე, რათა ებრაელებს არ მიეთვისებინათ უცხო კულტურა და ზნეობრივი ნორმები. ტაძარში კვლავ ჰქონდა ადგილი მსხვერპლთშენიერვას. სინაგოგა იქცა იმ ადგილად, სადაც შესაძლებელი იყო წმინდა წერილის შესწავლა. ჩვენი მთავარი მიზანია იუდაიზმის ზნეობრივი პრინციპების ჩვენება, თუმცა აუცილებელია, ჩამოვაცალიბოთ მისი ზოგადი პრინციპები:

1. იუდაიზმი აღიარებს, ერთადერთ ღმერთს ანუ იგი მონოთეისტურია;
2. ღმერთი აღიქმება როგორც აბსოლუტური სრულქმნილება;
3. სიცოცხლე არის მუდმივი კავშირი ღმერთსა და ადამიანს შორის;
4. იუდაიზმისათვის ნიშანდობლივია სწავლება ადამიანის, როგორც ღვთისხატად შექმნილი უკვდავი სუბსტანციის – სულის მქონე არსების აბსოლუტური ღირებულებების შესახებ. მისი დანიშნულებაა სრულყოფილი რელიგიური განვითარება;
5. იუდაიზმი აღიარებს ღვთის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობას.

იუდაიზმი ებრაელებს სთავაზობს იმ მორალურ პასუხისმგებლობის მინიმუმს, რომელიც სამყაროს შემოქმედმა კაცობრიობას დაუნესა. ადამიანებს გააჩნია ვალდებულებები და აკრძალვები, რომელიც უნდა შეასრულოს. ებრაელებთან მოცემულია გარკვეული ასაკი, სრულწლოვანების დრო, როდესაც ადამიანობა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს საკუთარ თავზე, ეს არის 13 წელი. ეს ასაკი თანაბარია გოგონებსა და ვაჟებისათვის. 13 წლიდან მოზარდი თვითონ უნდა აგებდეს პასუხს

თავის საქციელზე. მანამდე კი მშობელია შვილის საქციელზეა პასუხისმგებელი.

მას შემდეგ, რაც მოსემ ორმოცი წელი ატარა ისრაელის ხალხი უდაბნოში, ასწავლიდა მათ წესებსა და ზნეობრივ ნორმებს და უნერგავდა ღვთიურ გრძნობებს. როცა ხალხმა შეიგნო ღვთიური კანონები, მხოლოდ მაშინ შევიდნენ ისინი აღთქმული ქვეყნის ტერიტორიაზე, სულიერად და ზნეობრივად განწმენდილები.

ებრაელთა ზნეობრივი ნორმები მოცემულია მოსეს დეკალოგში, სადაც ჩამოყალიბებულია ათი ძირითადი კანონი. ეს არის წესების ნაკრები, რომელიც არეგულირებს ადამიანის ცხოვრებას და, ამავე დროს, აყალიბებს მას ზნეობრივად. ეს კანონებია; თაყვანი ეცი ღმერთს, არ შექმნა სხვა კერპები, იყავი დაუზარელ ღმერთთან დამოკიდებულების წესების შესრულებაში, აღიარე დასვენება, პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, არა კაც კლა, არ იმრუშო, არ იპარო, არა ცილი სწარმო, არა გული გითქმოდეს, რაც შენ არ გეკუთვნის.

ეს ცნებები ჩაისახა იუდაიზმის ფილოსოფიისა და ეთიკის წიაღში. ამ პრინციპების დაცვა ზნეობრივი ქცევის შეფასებას საზომად იყო მიჩნეული. ზნეობრივი ადამიანი საზოგადოებრივი განვითარების საფუძველია, ამიტომ აქცევდა იუდაიზმის ეთიკა ზნეობრივ ნორმებს განსაკუთრებულ ყურადღებას. სწორედ ამიტომ, იუდაიზმი, რომლის ფუძემდებელია მოსე, ითვლება რელიგიურ, ეროვნულ და ეთიკურ მსოფლმხედველობად.

იუდაიზმზე გავლენა იქონია ისტორიულმა პირობებმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა. თუმცა, მასში ფასდაუდებელი ზნეობრივი პრინციპებია გაბნეული და შეგვახსენებს, რომ ადამიანი სწორედ მაშინ ყალიბდება, თუ სწორად მიყვება ზნეობრიობის ღვთიურ კანონებს, ცხოვრობს ამ კანონების მიხედვით, მისდევს სიკეთისა და სამართლიანობის ნორმებს. ადამიანის წორედ იმითაა სრულყოფილი, რომ ის იცავს ზნეობის ნორმებს, რომელიც გაჟღერებულია მოსეს დეკალოგშიც.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. გაბიძაშვილი ი., რელიგიათმცოდნეობა, თბ., 1999.
2. გოგიბერიძე მ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბ., 1972.
3. ნიკიტინ ლ., ეთიკა, თბ., 2015.
4. პაპუაშვილი ნ., რელიგიის ისტორია, თბ., 1997.
5. ხასაია ზ., ფილოსოფია, ქუთაისი, 1984.

**Manana Bandzeladze  
DarejanChkhirodze**

### **Moral Origins in Judaism**

#### **Summary**

The origins of Judaism are still related to the distant past. It was created by Jewish tribes in the II millennium BC. The traditional faith of the Hebrews is known by the name of "Judaism". Together with public progress, it was constantly changing and developing as a religious view.

The first religious beliefs contained the signs of monotheism. There is a sharp expression inside them of the human attitude towards the unknown forces of nature. Judaism experienced a sharp variation after the Jews conquered Palestine. In modern Judaism, we deal with national religion that is the case when faith and nation are the same.

The moral principles of Judaism are set out in Moses' Decalogue, which outlines 10 moral principles that govern human life. However, it is noteworthy that the moral standards created by Moses were of a limited nature and this was caused by the socio-political situation of that time. From them, mankind has learned that man is formed only by divine moral laws.

**პარალელური აზრები:  
იონა ზოსიანს საიდუმლო ამოხსნილია**

2014 წელს ჟურნალ „აია ძლევის“ №1-ში გამოქვეყნდა ცნობილი მკვლევრის, ბატონ ალექო ცინცაძის მართლაც უმნიშვნელოვანესი, საეტაპო ნაშრომი საქართველოს ისტორიის ზოგიერთი კარდინალური საკითხის თანამედროვე თვალსაზრისით გასააზრებლად [1].

საკმაოდ დიდხანს მოთმინებით ველოდით, რომ ალექო ცინცაძის სტატილაში აღნიშნულ საკითხთა მიმართ, მათ ცოდნა-გაგებაზე პრეტენზიის მქონენი თავიანთ მოსაზრებას გამოთქვამდნენ და სათანადოდ შეაფასებდნენ ავტორის მიერ განეულ ღვაწლს, მაგრამ, როგორც წესი, დარგის ნამყვანი სპეციალისტები აგრესიულ დუმილს ამჯობინებენ, რაც იმის მომასწავებელია, რომ ან არაფერი აქვთ სათქმელი ბატონ ალექო ცინცაძის ლოგიკურად დასაბუთებული არგუმენტების უარსაყოფად, ან კიდევ, თავს ვერ მორევიან და „ვალალებენ სხვისა სიკეთესა ზედა...“

ჩვენ გულითადად მივულოცავთ ამ მიმართულების ერთ-ერთ უნიჭიერეს ქართველ მკვლევარს დიდ წარმატებას და ვუსურვებთ ახალ მიღწევებს ამ გზაზე, მაგრამ აქვე გვსურს, გამოვთქვათ რამდენიმე ჩვენი მოსაზრება, რომლებიც ნაშრომის გაცნობის შემდეგ წარმოიშვა... ასეთ დროს არის მომენტი, როდესაც ნაშრომი მკითხველშიც წარმოშობს საინტერესო მიმართებებსა და მოსაზრებათ და მას საშუალებას აძლევს, თავადაც გამოთქვას საკუთარი აზრი ნაშრომში გამოთქმულ თვალსაზრისთა პარალელურად. ჩვენ ასეთი პროცესის აღძვრისა და საკუთარი აზრის გამოთქმის მომენტს არა რეცენზიას, არამედ „პარალელურ აზრებს“ ვუნოდებთ და გვსურს, სწორედ ასეთი „პარალელური აზრები“ გამოვთქვათ ა. ცინცაძის ზემოთ აღნიშნული ნაშრომის კითხვისას ჩვენში აღძრული მიმართებების გამო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონი ალექო ცინცაძე აქ ყველაფერზე ღვთაებრივი სულით განათლებული მსჯელობს, მაგრამ რატომღაც სწორედ ეს ღვთაებრივი ერთი, ანუ ღმერთი ავინყდება, როდესაც ამბობს: **„კალენდარი სწავლულთა დაკვირვება-განსჯის შედეგია და ერთეულიც მათი შემოტანილი და გააზრებული...“** [1.46-47. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ რაიმეს შემოტანასა და გააზრებაზე მსჯელობა ზედმეტია, რადგან, ჩვენი აზრით, სასწაული, რომელიც მან მიიღო, უძველესი პერიოდიდან იღო ადამის მოდგმაში და მას არა ადამიანური, არამედ ღვთიური საწყისი ედო საფუძვლად მას შემდეგ, რაც ღმერთმა ადამი შექმნა „ხატად და სახედ თვისად“. და ღმერთის მიერ ხატად და სახედ თვისად შექმნილი, როგორ შეიძლებაოდა რაიმეთი ნაკლული ყოფილიყო?! უბრალოდ, ა. ცინცაძემ ადამიანთა მოდგმაში დაკარგული ეს ღვთიური საწყისი კვლავ აღმოაჩინა და ყველასათვის საცნაური გახადა; მან გაიმეორა „იასონის გმირობა“ და ღვთიური ცოდნა, ნათ-ელი „ელი-ნებ“-ს, ღვთის შვილებს დაუბრუნა (თავად იასონი პელაზგი იყო – უ. ო.).

ამიტომაც და აქედან გამომდინარე, მის შემდგომ მსჯელობაში იმის აღნიშვნაც, რომ **„კალენდრის შემოქმედი ის ხალხია, ვინაც ეს კალენდარები სიტყვებში ჩაატანა და დაფარა, ე. ი. მან ეს ცოდნა მოიპოვა და გაასაიდუმლოვა“** [1.47], – ჩვენი აზრით, მთლად ზუსტი არ არის, რადგან ამ ცოდნას ადამის მოდგმისგან მოპოვება არ სჭირდებოდა და იგი თავიდანვე იღო მასში, როგორც ღვთის ნაწილსა და სახებაში. შემდეგ რომ მოხდა ამ ცოდნის თანდათანობით დავინყება-დაკარგვა და ადამიანთა უდიდესი ნაწილისათვის გასაიდუმლოება, ეს ფაქტია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ ცოდნის მფლობელი „განდობილები“, ქართული ასომთავრული დამწერლობის შემნახავ ქურუმთა მსგავსად, ყოველთვის არსებობდნენ და თავის თავში ბრძნული ღუმლით ინახავდნენ შემოქმედის ჭეშმარიტ სიტყვას, რომლის ხელახალი შეცნობა მთელი ადამის მოდგმისათვის ისევ ხელმისაწვდომი ხდება. ანუ მიმდინარეობს ლაზარეს აღდგინების პროცესი.

ავტორი იქვე ამბობს, რომ „ცა უძველესი ადამიანისათვის ღმერთების საუფლო იყო, მთვარე და მზე ღმერთები, უზენაესი ღვთაებები; ამდენად ცაზე მათი მოძრაობა, წასვლა-წამოსვლის განრიგს, უდიდესი სარწმუნოებრივი და რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა (პრაქტიკულის გარდა). კალენდარი, ფაქტობრივად, მნათობთა მოძრაობის განრიგია, სარწმუნოებრივი რიტუალის განმსაზღვრელი (ეს დღემდე ასეა)“ [1. 47].

ჩვენი აზრით კი, კალენდარი „მნათობთა მოძრაობის განრიგი“ კი არ არის, არამედ მათი საშუალებით ღვთიური განგების ამოსაკითხავი წიგნია და სწორედ ამიტომ აქვს მას უდიდესი რელიგიური და რიტუალური მნიშვნელობა. უძველესი პერიოდიდან „ცის ცოდნა“ კაცობრიობის ისტორიაზე ქურუმთა ზემოქმედების უმძლავრეს იარაღს (წყაროს) წარმოადგენდა, რადგან ამ წიგნის „წამკითხავი“ კავშირში შედიოდა ღვთიურ ნებასთან, ღმერთის „სურვილს“ აცნობიერებდა და ჩვეულებრივ ადამიანებამდე მიჰქონდა. ამიტომაც იყო ადამიანთა მიერ ამ ცოდნის მფლობელთა გაღმერთება ჩვეულებრივი მოვლენა... ალ. ცინცაძის ამ მსჯელობიდან გამომდინარე, სადაც ის ამბობს, „უნდა ვივარაუდოთ, რომ „ქებაი და დიდებაი“-ს ხელნაწერში გამოყენებული შიფრი მჩხრეკელმა ბერმა ბიბლიის გამშიფრავთაგან აიღო და ... მისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ ქართული ანბანის, სიტყვის გასაღებიც, იგივე გახლავთ; ანუ წინაპართაგან ქართულ სიტყვაში მანაც იგივე გასაღებით მიაგნო, ან კიდევ, ამის შესახებ ინფორმაცია წინასწარ ჰქონდა და გადაამოწმა. იოანე ზოსიმე მიხვდებოდა, რომ იპოვა უძველესი ცოდნის სათავე, რომლის შექმნაში ღმერთის ხელი ერია. ეს უძველესი ქურუმთა ენა, უფლის ენა იყო“ [იქვე]. აქ, ვფიქრობთ, მკვლევრის მოსაზრებათა ერთი ნაწილი სრულიად ზედმეტია, იმიტომ, რომ იოანე ზოსიმემ, როგორც ჩანს ძალიან კარგად იცოდა „იმ უძველესი ცოდნის სათავე“ და ისიც, რომ „მის შექმნაში ღმერთის ხელი ერია“. ეს უძველესი ქურუმთა ენა, უფლის ენა იყო, ხოლო თვით იოა-

ნე ზოსიმე ამ უძველეს ქურუმთა საიდუმლოებასთან განდობილი მათი მემკვიდრე.

დიდად პატივცემული მკვლევარი ამავე ნაშრომში ამბობს: „ერთი მხრივ „ელი“ ისრაელისთვის (ისრა-ელი-სთვის – უ. ო.) და გალებისათვის ღმერთია და მეორე მხრივ „ელი“ ქართული ანბანური კალენდრის (წელი) რიცხვული კონსტრუქციის მომცველი ნაწილი და უმაღლესი ღმერთია ძველ კოლხეთში. ის ჩვენ მიერ შექმნილი „დაიცევი“ სისტემის [2. 3] მიხედვით ასე იშიფრება – ე-ლი გ წმინდა ენის სულიერი სავანე (თანამედროვე ქართულით – უ. ო.); და სხვა, მართლაც, რა უნდა რქმეოდა ყოვლის შემოქმედს?!

ჩვენი მოსაზრებანი კიდევ უფრო რომ გავამყაროთ, ავილოთ ქალაქ იერუსალიმის მხოლოდ ქართულ ენაში დღემდე შემორჩენილი უძველესი ქართული სახელწოდება **„ელურსამეთი“** [4. 5], სადაც ქართული ასომთავრულის ასო-ნიშანთა მნიშვნელობების მიხედვით, **„ელ-ურ = ღმრთის ძე (შვილი), „სამ“ – სამება, ე – წმინდა ენა და თი – სრული ღმერთის ცნობიერება, ანუ – ძე ღმრთის, სამების წმინდა ენა, სრული ღმერთის ცნობიერება,** რაც სრულად იტევს „იერუსალიმის“ საკრალურ დანიშნულებას; ხოლო ასო-ბგერათა რიგითობის მაჩვენებელ რიცხვთა ჯამი უდრის 112; 11.2 (11 – კა-ნ და 2 – ბა-ნ, ანუ **კა-ბა, სამოსი;** მათი რიცხვითი მნიშვნელობების ჯამი კი შეადგენს ზუსტად 800-ს; **8.0.0 – 𐌠𐌹 𐌺 (𐌠-ლი ლი), ანუ მამაზეციერის სულიერი სავანე.** გვ. 151.

რაც სრულად იტევს „იერუსალიმის“ საკრალურ დანიშნულებას; ხოლო ასო-ბგერათა რიგითობის მაჩვენებელ რიცხვთა ჯამი უდრის 112; 11.2 (11 – კა-ნ და 2 – ბა-ნ, ანუ **კა-ბა, სამოსი;** მათი რიცხვითი მნიშვნელობების...

და მართლაც, სხვა რა უნდა ერქვას სამი მსოფლიო რელიგიის დამტევ წმინდა ქალაქს?! ყოველივე ეს კი, სხვა ზემოთ აღნიშნულთან ერთად, „მართლაც, რეალურად წარმოაჩენს იმ საფუძვლებს, რის გამოც ავტორი ქართულს „უფლის ენად“ თვლის [იქვე. გვ. 48], **რაც ცვლის არა მარტო საქართველოს,**



**ან ქრისტიანობის, არამედ ცივილიზაციის ისტორიასაც.** ავტორი იქვე განაგრძობს: „... ასი ესე წელით“ იოანე ზოსიმე ორ უმნიშვნელოვანეს რიცხვს გვაძლევს. პირველი მათგანი(51) „იესო“-ს და მეორე (99) – „ქრისტე“-სი:

ი(10) ე(5) ს(20) ო(16); (- მათი რიცხვითი მნიშვნელობის ჯამია 285 - ჩ(28) ე(5) –

ქ(24) რ(19) ი (10) ს(20) ტ (21) ე(5); (- აქ კი - 1215 - ც (12) ¶ (15). მათი ჯამი 1215+285=1500!!!)

$$10+5+20+16=51;$$

$$24+19+10+20+21+5=99;$$

იოანე-ზოსიმეს „მონამედ“... სწორედ ის მოჰყავს, „ვის საწამებლად“-აც დაწერა „ქებაი და დიდებაი“: იესო ქრისტე (!) ... ქართულ ჰემატრიაში 51 ღმერთის კაცებრივი ბუნების რიცხვია, 99 – ღვთაებრივის [იქვე. გვ. 49].

აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ჩემული მიგნება მინდა შევთავაზო დაინტერესებულ საზოგადოებას: 51+99=150 - ¶ 𐌆

150, სადაც ჩვენი იმავე სისტემის თანახმად 15 არის ასონიშანი ¶-ოტა, იგივე იესოს მოფერებითი, ე. წ. კნინობითი სახელი, იგივე მისი ფარული ნიშანია, ხოლო 𐌆, იგივე ლი – სულიერი სავანე, ქრისტე. გამოდის, რომ ამ რიცხვთა ჯამიც გვაძლევს 150-ს, ანუ ჰემატრიულად „იესო ქრისტეს“, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ავტორის აზრს, რომ „ქებაი და დიდება“-ში მოტანილი ძირითადი აზრის „მონამე“, ერთადერთი მონმე, ტექსტის ბოლოს ფარულად მოხმობილი მაცხოვარი – იესო ქრისტეა... მხოლოდ მაცხოვარს ძალუძს ამ უმაღლესი სარწმუნოებრივი სინმინდის ჭეშმარიტების დამონმება [იქვე].

და ბოლოს, ავტორი ნაშრომში და განხილული მასალის უტყუარი ანალიზის საფუძველზე აკეთებს შემაჯამებელ დასკვნას, რომ **„ამ არა მხოლოდ მზის სიტყვიერი კალენდრების, არამედ ქართული ანბანის პირველადობა ეჭვგარეშე დგება! (ამას ჩვენც დიდი ხანია, ვამბობთ – უ. ო.)... ძველი ქართული ქურუმთა ენის ნაშთია!“**[იქვე, გვ. 53-54]. ვფიქრობთ, აქაც

შეიძლება ითქვას, რომ უძველესი ქართული არა მარტო „ქურუმთა ფარული ენის ნაშთი“, არამედ მის საფუძველზე შობილი და განვითარებული მსოფლიო სიტყვიერების დედა ენაა, რასაც ადასტურებს ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში ფარულად დაფიქსირებული შემდეგი ფაქტიც: ქართულ ასომთავრულ ანბანში 40 ასო-ნიშანია. ამ ერთობის ბოლო ასო-ნიშანი და მისი გამაერთიანებელი სახელია „ლი“ (𐌕) – სულიერი სავანე, ხოლო ამ ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობაა 40 000 (ორმოცი ათასი).  $40\ 000 \times 40 = 1\ 600\ 000$ ; 1 600 000 (მილიონ ექვსასი ათასი); 1 600 000 კი, სწორედ დმანისელი ზეზვასა და მზიას „ასაკია“...

**ალეკო ცინცაძის ნაშრომის გულდასმით გაცნობამ და მისმა ანალიზმა სრული საფუძველი მოგვცა, რომ მტკიცედ განვაცხადოთ: იოანე-ზოსიმეს საიდუმლო ამოხსნილია!** ამასთან მისი ამონახსნის რიცხობრივი ჰემატრიაა „8050“, რაც ჩვენი „დაიცევი“ სისტემის მიხედვით ასე იხსნება, 80 – 𐌕 𐌕 – 50 – 𐌒 𐌕, ანუ მამაზეციერი, ღმერთი (𐌕 𐌕) და ადამიანის მიერ გააზრებული მარადიული საწყისი, ღმერთი (𐌒 𐌕), რაც კიდევ ერთ ბეჭედს უსვამს იოანე ზოსიმეს „ქებაი და ღიდებაი ქართულისა ენისაი“ ალეკო ცინცაძისეული ამონახსნის ჭეშმარიტებას.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. ცინცაძე ა., როგორ გაიშიფრა იოანე ზოსიმეს ხელნაწერი (და რატომ ამახინჯებდნენ მას?), ჟურნ. „აია ძლევაი“, 1, ქუთაისი, 2014, გვ. 32-56.
2. ოქროპირიძე უ., ო ცნების შემეცნება, ანუ საკრალური პოეზია, ბათუმი, 2008. გვ. 153.
3. ოქროპირიძე უ., ქართული ასომთავრული, ანუ საკრალური პოეზია, – „ჩვენი სულიერების ბალავარი“, საერ-

თაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2016, გვ. 239-251, ინტერნეტრესურსი: <https://bsu.edu.ge/main/page/12362/index.html> - VIII

4. ნიკოლაიშვილი ე., არქაულის ლექსიკის კვალი გურულში, ქართული მეცნიერება, II, თბ., 1998, გვ. 197-209 (207), ინტერნეტრესურსი: <https://atsu.edu.-EJournal/Kartvelology /issues-//II/NikolaishviliElene. Pdf>
5. სუფრისთვის სახელის დადება, ფოლკლორისტიკის კათედრის შრომები, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჯვარ-ხატთა სადიდებლები, ტექსტები შეკრიბეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს ზურაბ კიკნაძემ, ხვთისო მამისიმედაშვილმა და ტრისტან მახაურმა, თბ., 1998, გვ. 112-113; ინტერნეტრესურსი: <https://bu.org.ge/x834?page=1&tab.=2>

### **Ucha Okropiridze**

## **The Mystery of John Zosimus has been Solved**

### **Summary**

The work discusses a unique article in its meaning – How the Manuscript of John Zosimus was Encrypted (and Why Do They Distort It?), in which Al. Tsintsadze considers the directions in our thinking, – about the Georgian calendar, its creator people, the heavens, the sun and the moon, as supreme deities, celestial luminaries, and the order of their movement.

It is suggested that the calendar is not only a "Schedule of Luminaries" but also a divine reading book through them whose readership was linked to divine will, knowing the "desire" of God, and bringing it to ordinary people.

Author's thesis that the Georgian language "was the language of the ancient Priesthoods, the language of the Lord" We solidified the "Israel-Eli" and the "Elur-Sam-e-thi" (the ancient Georgian name of Jerusalem – U. O.). By opening the sacred purpose-content. We also made

conclusions that all this "changes not only Georgia, or Christianity, also the history of civilization"; however, we share Al. Tsintsadze's conclusion that "the primacy of not only the verbal calendars of the sun, but of the Georgian alphabet, is not in doubt! (We have been saying this for a long time – U.O.) ... The remains of the ancient Georgian Kurumati language! "And we say that" the ancient Georgian, not only the «Priesthood's remains of the hidden language," but also the native language of the developed and developed world-based vocabulary!"

Finally, it is concluded that "The analysis of Aleko Tsintsadze's work and his analysis gave us reason to state firmly: the secret of John Zosimus has been solved! However, the numerical Hematria of his solution is "8050", which, according to our "Daitsevi" system is 80 – Ⴈ – 50 – 0Ⴈ, means God (ႨႨ) – and the eternal origin of man, God (0Ⴈ) which Another stamp points to the truth of John-Zosime's praise and praise of the Georgian language.

## ავთანდილ ნიკოლეიშვილი

### გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“

### და ორჰან ფამუქის „თოვლი“

(მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებანი)

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ რობაქიძის (1880-1962 წწ.) რომანი „ჩაკლული სული“ (პირველად გამოიცა 1932 წელს) და ორჰან ფამუქის (დაიბადა 1952 წ.) „თოვლი“ (დაიწერა 1999-2001 წლებში. ნაწარმოები ქართულ ენაზე თარგმნა ნანა ჯანაშიამ [7]) ეპოქების, პოლიტიკური სისტემებისა და რელიგიების მხრივ ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ ქვეყნებში არსებულ ცხოვრებისეულ სინამდვილეს წარმოსახავენ, ისინი ბევრი რამით მაინც გვანან ერთმანეთს და საკმაოდ მყარ საფუძველს იძლევიან მათ შორის მსოფლმხედველობრივ ურთიერთმიმართებათა გამოსავლენად.

როგორც ცნობილია, გრ. რობაქიძემ „ჩაკლული სული“ ემიგრაციაში ცხოვრების დროს დაწერა გერმანულ ენაზე [ქართულად თარგმნა ალექსანდრე კარტოზიამ [3] და იგი ევროპაში იმდენად პოპულარულ ნაწარმოებადაც კი იქცა, რომ გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ერთ-ერთი შვედური ლიტერატურული ჟურნალის („IDUN“) ორგანიზებით ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის დროს მსოფლიო ლიტერატურის სამ საუკეთესო ნიმუშთა შორის დასახელდა [4. 2523].

რაც შეეხება თანამედროვე თურქული ლიტერატურის ფართოდ ცნობილი წარმომადგენლის, ნობელის პრემიის ლაურეატის (2006 წ.) – ორჰან ფამუქის რომანს – „თოვლი“, იგი გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე თურქეთში არსებული პოლიტიკური ვითარების ღრმად და მასშტაბურად ამსახველი მაღალმხატვრული ნაწარმოებია, რომელმაც არა მარტო მწერლის სამშობლოში მოიპოვა საყოველთაო აღიარება და ლიტერატურული საზოგადოებრიობის დიდი სიყვარული, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშიც, მათ შორის საქართველოშიც.

ამ აღიარების დასტურად აქ თუნდაც იმ ფაქტის გახსენებაც იქნება საკმარისი, რომ გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ „თოვლი“ 2004 წელს მსოფლიოს ათ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებს შორის დაასახელა.

ხსენებულ ნაწარმოებებს შორის არსებული მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებანი, უპირველესად, გრ. რობაქიძისა და ო. ფამუქის მიერ წარმოსახულ ეპოქალურ მოვლენათა მსგავსების ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. კერძოდ, გრ. რობაქიძე თავის რომანში გასული საუკუნის 20-იანი წლებისა და 30-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში პოლიტიკური თვალსაზრისით არსებულ სინამდვილეს წარმოსახავს, ო. ფამუქი კი – გასული საუკუნის 70-80-იანი წლების თურქეთისას.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე რომანში მხატვრულ გამოწვინებასა და ფანტაზიით წარმოსახულ არაისტორიულ პერსონაჟთა ადამიანური გრძნობებისა და პიროვნული მისწრაფებების გამოხატვას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი, „ჩაკლული სულიცა“ და „თოვლიც“ მაინც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა მივიჩნიოთ ეპოქალურ მოვლენათა ისტორიული სიმართლითა და პოლიტიკური თვალთახედვით წარმომჩენ ნაწარმოებებად [გრ. რობაქიძის შესახებ დანვრილებით იხ.: 2. 238-248].

ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ შესაბამისი ეპიზოდები დასახელებული რომანებიდან.

ორივე ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები, რომლებიც არა მარტო აღწერილ მოვლენათა ცენტრში მოქცეულ პიროვნებებს წარმოადგენენ, არამედ ამ მოვლენათა განმსჯელ-გამაანალიზებლის როლშიც გვევლინებიან აქტიურად, პოეტები არიან. კერძოდ, თამაზ ენგური საბჭოთა იმპერიაში აღზევებულ ტოტალიტარულ მმართველობას ეწირება მსხვერპლად, კა კი პოლიტიკურ და რელიგიურ დაპირისპირებათა ასპარეზად ქცეულ თურქეთში განვითარებულ დრამატულ მოვლენათა შედეგად იღუპება ტრაგიკულად.

ორივე მათგანის პიროვნულ-მსოფლმხედველობრივი სამყაროს წარმოჩენის თვალსაზრისით განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ის ურთიერთობაც, რითაც ისინი თავიანთ საყვარელ ადამიანებთან არიან დაკავშირებული მტკიცე და რომანტიკული სიყვარულით; თუმცა, დიდი სურვილის მიუხედავად, მათი სასიყვარულო ურთიერთობანი ოჯახის შექმნით ვერ გვირგვინდება.

„ჩაკლული სულისა“ და „თოვლის“ მსოფლმხედველობრივ ურთიერთმიმართებათა წარმოჩენის დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ დამოკიდებულებასაც მინდა მივაქციო, რასაც მათი ავტორები ეროვნული საკითხისადმი იჩენენ. საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მრავალეროვნულობიდან გამომდინარე, ეს გარემოება, ბუნებრივია, შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს და ხსენებულ სახელმწიფოებში არსებული პოლიტიკური სინამდვილე ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლად სრულყოფილ სახეს ვერ მიიღებდა.

ორივე რომანში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკურ შეხედულებათა გამო დევნილი და საკუთარი ქვეყნიებიდან ევროპაში გადახვენილი ემიგრანტები. კერძოდ, ო. ფამუქის რომანის მთავარი პერსონაჟი – კა თავისი ქვეყნის ოფიციალური ხელისუფლებისათვის მიუღებელი პოლიტიკური შეხედულებების გამო გერმანიას შეხიზნული ემიგრანტია, რომელიც სამშობლოსთან თორმეტწლიანი განშორების შემდეგ მხოლოდ დროებით ბრუნდება უკან. საკუთარ ცხოვრებისეულ მომავალს იგი, პირველ ყოვლისა, ისევ უცხოეთში დამკვიდრებას უკავშირებს, რადგანაც საკუთარ ქვეყანაში თავისუფლად ცხოვრება შეუძლებლად მიაჩნია.

ნაწარმოებში არაერთგზის მახვილდება ყურადღება იმაზე, რომ სამშობლოში ადამიანური ბედნიერების აქტიურად მადიებელი და ვერმპოვნელი ამ პიროვნებისათვის პირველ ყოვლისა სწორედ ევროპულ სულიერ და პოლიტიკურ ღირებულებებთან ზიარება წარმოადგენს ამ მიზნის რეალურად მიღწევის შესაძლებლობას.

კას წარმოსახვაში ეს ილუზიური ადამიანური ბედნიერება გერმანიის ქალაქ ფრანკფურტთანაა დაკავშირებული. უწინარესად, სწორედ ამით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ სამშობლოში დროებით დაბრუნებული და ოჯახურ კეთილდღეობაზე მეოცნებე კა პიროვნულ ბედნიერებას, უპირველეს ყოვლისა, იდილიური ცხოვრების სიმბოლოდ წარმოსახულ ამ ქალაქში დამკვიდრებას უკავშირებს.

სამშობლოდან პარიზში გადახვენილ და უკან დროებით, პოლიტიკური მისიით, დაბრუნებულ ქართველ ემიგრანტთან საიდუმლო შეხვედრა გახდა გრ. რობაქიძის რომანის მთავარი პერსონაჟის – თამაზ ენგურის ცხოვრების ტრაგიკულად დასრულების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზიც. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებიდან გარკვევით არ ჩანს, თავად თამაზ ენგური თავისი პიროვნული ცხოვრებით რამდენად იყო ევროპასთან დაკავშირებული, ნაწარმოებში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ იგი „ევროპულ კულტურასთან ნაზიარები“ ის პიროვნებაა [3.9], რომლის მსოფლმხედველობის, პოლიტიკური თვალთახედვისა და ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაზე ეროვნულ სულიერ ღირებულებებთან ერთად ევროპამაც მოახდინა არსებითი ზეგავლენა.

გრ. რობაქიძის რომანისაგან განსხვავებით, ევროპასთან ურთიერთობის წარმოსახვას ო. ფამუქის „თოვლში“ გაცილებით ფართო მასშტაბები აქვს შექცნილი. თურქი მწერლის მიერ ხორცშესხმული პერსონაჟები ევროპულ სამყაროსთან მათი ქვეყნის ურთიერთობას ერთგვაროვან შეფასებას არ აძლევენ და მომხრეებთან ერთად ამ არჩევანს აქტიური მონიწილობით გენიც საკმაოდ ჰყავს.

კერძოდ, ათათურქის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მემკვიდრე ხელისუფალნიცა და რელიგიური ფანატიზმით შეუბოჭველი მოქალაქენიც ევროპულ პოლიტიკურ და სულიერ ღირებულებებს ამკარად უჭერენ მხარს, პოლიტიკური ისლამისტები კი ევროპასთან მათი ქვეყნის ურთიერთობას არა მარტო რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარე ეწინააღმდეგებიან, არამედ სულიერ ღირებულებათა არსებითი განსხვავებულო-



ბის გამოც და კატეგორიულად აცხადებენ, რომ მათი „მომავალი ევროპა არ არის“ [7.326].

მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი, რომლის განცხადებითაც, იგი „სწორედ იმით ამაყოფს, რაც ევროპელისაგან განასხვავებს“, მკვეთრად გამოვლენილ თავის ანტიევროპულ თვალთახედვას ერთგან შემდეგნაირად გამოხატავს: „ჩვენ ევროპელები ვერ გავხდებით... იმათ, ვინც ცდილობს იძულებით მოგვაქციოს მათ ყალიბში, შესაძლოა ტანკებითა და თოფებით გადაგვიარონ და ბოლოს ამას მიაღწიონ, მაგრამ სულიერად ვერ შეგვცვლიან“ [7.334].

რომანის მეორე ისლამისტი პერსონაჟი კი ევროპისადმი თავის მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას ლექსის ფორმით ასე აყალიბებს: „ევროპა, ოჰ, ევროპა, იყავი შენტვის, სადაც ხარ, ჩვენთვის კი სიზმარი ხარ, ეშმაკეული სიზმარი“ [7.335].

როგორც ითქვა, ევროპული მენტალობისა და სულიერი ღირებულებებისადმი ისლამისტთა მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სახელმწიფოს მმართველობითი ორგანოების თანამშრომლები და სამხედროები. მაგალითად, „ჩვენ, – თვითდაჯერებით ამბობს ერთ-ერთი მათგანი, – ისე მოგვაქვს თავი, თითქოს ევროპელებზე უფრო ჭკვიანი და დაფასებულები ვიყოთ, არადა, გერმანიამ ყარსში საკონსულო რომ გახსნას და ყველას უფასო ვიზები დაურიგოს, ვფიცავ, მთელი ყარსი ერთ კვირაში დაიცლება“ [7.337].

„ჩაკლული სულისა“ და „თოვლის“ ავტორთა მსოფლმხედველობრივი თანამოაზრეობის წარმოჩენის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას დასახელებულ ნაწარმოებთა ის ეპიზოდები იქცევა, რომლებშიც სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მუშაკთა საქმიანობა და ქვეყანაში რელიგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობაა ნაჩვენები. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივადაც და რელიგიურადაც ქართველი და თურქი მწერლების მიერ აღწერილ ქვეყნებში არსებული ვითარება რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანე-

თისაგან, მათი სახელმწიფოებრივი მართვის სისტემა, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე პრინციპებზე იყო დაფუძნებული.

ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიშველიებ კონკრეტულ მაგალითებს ნაწარმოებებიდან.

საბჭოთა იმპერიაში დამკვიდრებული ტოტალიტარული რეჟიმის განმამტკიცებელ ერთ-ერთ ფაქტორად გრ. რობაქიძე კედლის გაზეთს ასახელებს. მისი ხაზგასმით, ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან დაწესებულებაში არსებული ამგვარი ხელნაწერი პერიოდული გამოცემები, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო უშიშროების კონტროლს ექვემდებარებოდა და ამ უწყების მიერ ქვეყნის უკლებლივ ყველა დაწესებულებაში შექმნილი საიდუმლო მაგიდის „პარალელურ მოვლენას“ წარმოადგენდა.

კერძოდ, თუ საიდუმლო მაგიდის არსებობის უმთავრესი მიზანი ყველა თანამშრომლისთვის ფარულად თვალთვალი, ყურის გდება და მათ შესახებ ინფორმაციათა შეგროვება იყო, კედლის გაზეთში ამ საქმეს ფსევდონიმებს ამოფარებული ანონიმი ავტორები საჯაროდ აკეთებდნენ. სახელდობრ, მწერლის ხაზგასმით, საიდუმლო მაგიდისაგან განსხვავებით, „გაზეთი აგროვებს ჩანაწერებს, ოღონდ გასასაიდუმლოებლად კი არა, გამოსაქვეყნებლად... აქ ყველაფერი შიშვლდება, ხან პირდაპირ, ხან შეფარვით, ქარაგმულად. ხშირია კარიკატურებიც. საიდუმლო მაგიდა, განაბული, თვალყურს ადევნებს ყველას, მაღლულად, უხილავად; კედლის გაზეთის მეშვეობით ერთმანეთს ადევნებენ თვალყურს, დაუფარავად, ხილულად... საიდუმლო მაგიდა და კედლის გაზეთი ამ სამყაროს ორი მხრიდან უვლიან, ძალიან მოხერხებულად!“ [3.12].

ო. ფამუქის რომანში კედლის გაზეთის ანალოგიურ ფუნქციას ნაბეჭდი გამოცემა ასრულებდა – ქალაქ ყარსში გამოშვებული „საზღვრისპირა ქალაქის გაზეთი“, რომელიც მთლიანად სახელმწიფო უშიშროების კონტროლს დაქვემდებარებულ ბეჭდვით ორგანოს წარმოადგენდა და ყველა მნიშვნელოვანი წერილი მასში მხოლოდ ამ უწყების მითითებითა და დავალებით ქვეყნდებოდა. ამის შესახებ თავად გაზეთის რედაქტორი აცხადებს აშკარად და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე. კერ-

ძოდ, მისი თქმით, „გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაციის 90%-ს მას ყარსის გუბერნატორის აპარატი და უშიშროება აწვდიდა“ [7.35].

გაზეთის რედაქტორისავე აღიარებით, მის მიერ გამოქვეყნებული მასალების დიდი ნაწილი, მართალია, სიმართლეს არ შეესაბამებოდა, მაგრამ იძულებული იყო, ხელისუფლების ნებას დაჰყოლოდა და ინფორმაციები მხოლოდ მთავრობისთვის სასურველი ფორმით გაევერცელებინა.

მაგალითად, კასთან საუბარში იგი გულახდილად ამბობს, რომ მას „ერთი სიტყვისაც კი არ სჯეროდა იქიდან, რაც დაწერა“, მაგრამ ისიცა და მისი ყარსელი კოლეგებიც „იძულებული იყვნენ, ასეთი შეკვეთილი სტატიები ეწერათ“ [7.363]. მისი განცხადებით, მას სხვაგვარად მოქმედების უფლება არ ჰქონდა, რადგანაც „პოლიციაც არ დაუშვებდა, სიმართლე რომ ეწერა“ [7.364]. გაზეთის რედაქტორის მიერ გულახდილად გაცხადებულ ამ ამბავს რომანის ერთ-ერთი პერსონაჟიც ადასტურებს და ამბობს: გაზეთის რედაქტორი „გუბერნატორის აპარატიდან დროდადრო ბრძანებებს იღებს, რომ ვინმე ტალახში ამოსვაროსო“ [7.363].

„ჩაკლულ სულსა“ და „თოვლში“ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობისადმი ყურადღების განსაკუთრებულად მიქცევა არსებითად განაპირობა იმ ურთულესმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა რეალობამ, რომელიც საბჭოთა კავშირსა და თურქეთში არსებობდა შესაბამის პერიოდებში. გრ. რობაქიძისა და ო. ფამუქის მიერ ხორცშესხმულ პერსონაჟთა პიროვნული თავგადასავლებიდან ნათლად ჩანს, რომ ხსენებული ქვეყნების მოქალაქეთა ცხოვრებისეული ბედის არსებითად განმსაზღვრელ მოვლენად, პირველ ყოვლისა, სწორედ ტოტალიტარული მმართველობის იქაური სისტემები იყო ქცეული.

„ჩაკლული სულისა“ და „თოვლის“, როგორც პოლიტიკური რომანების, ღირსებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მათში ამ სისტემის არსი და ბუნება უშუალოდ ამ მოვლენის თვითმხილველ მწერალთა მიერაა წარმოსახული

საკმაოდ მასშტაბურად და სიღრმისეულად. როგორც ცნობილია, გრ. რობაქიძე პირადადაც იქცა ამ სისტემის მსხვერპლად და რეალურად მოსალოდნელ რეპრესიებს თავი ემიგრაციაში გადახვეწით დააღწია. უცხოეთში, კერძოდ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაატარა რამდენიმე წელი ო. ფამუქმაც.

„ჩაკლული სული“, რომელიც ავტორმა ემიგრაციაში ყოფნის დროს გამოაქვეყნა, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირში აღზევებული ტოტალიტარული მმართველობითი სისტემის წიაღში ნაცხოვრები მწერლის მიერ შექმნილი ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია, რომელშიც მაღალი სიტყვიერი ხელოვნებითა და მოვლენათა საფუძვლიანი ცოდნითაა წარმოჩენილი „ბოლშევიზმის ქვესკვნელოური გამხრწნელი ძალა მის ატმოსფერულ ზემოქმედებაში“ [3.155].

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამ სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენს მთელი იმპერიის მასშტაბით უკლებლივ ყველა დაწესებულებაში არსებული საიდუმლო მაგიდები წარმოადგენდა. მწერლის ინფორმაციით, ასეთი მაგიდების არსებობის უმთავრესი მიზანი ყველა თანამშრომლის შესახებ ჩანაწერების შეგროვება იყო. „თვით პასუხისმგებელ კომუნისტებსაც კი არ ინდობდნენ. ყველამ იცოდა, რომ მის ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებდნენ, მის ყოველ ნათქვამ სიტყვას ყურს უგდებდნენ. ვინ გითვალთვალებდა, ვინ გიყურადებდა – ეს არავინ იცოდა. მეთვალყურე უჩინარი იყო და ყველგან მყოფი, ამიტომ უფრო საშიში“ [3.12].

გრ. რობაქიძე საბჭოთა კავშირში არსებულ უშიშროების სამსახურს არა მარტო ასეთი ზოგადი ფორმით ახასიათებს, არამედ მის მსახურთა განზოგადებულ პიროვნულ სახეებსაც ქმნის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მოსკოვიდან ცენტრალური ხელისუფლების მიერ ამიერკავკასიაში საგანგებო მეთვალყურედ მოვლენილი ლატვიელი კომუნისტის – ბერზინის პიროვნული სახე. მწერლის ხაზგასმით, ამ ადამიანს თითქოს ქვის სახე ჰქონდა. „თუ ვინმეს გაუღიმებდა, ეს ღიმილი გვერდზე გახედვისთანავე კვდებოდა და ლამის რისხვაში გადადიოდა. თვალები – უმოძრაო, შუშის“ [3.28].

იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების მიერ საქართველოში მეთვალყურედ „გილიოტინის დანასავით ცივი და ბასრი“ ამ გადამთიელი კაცის გამოგზავნა, ვინც ერთი სიტყვაც კი არ იცოდა ქართული, არსებული მმართველობითი რეჟიმის განმტკიცებისთვის ზრუნვასთან ერთად, იმითაც იყო განპირობებული, რომ მას ე. წ. ქართული ნაციონალიზმის გამოვლინების მასშტაბებისთვისაც უნდა გაენია უმკაცრესი კონტროლი.

ამგვარ ინფორმაციათა მოგროვებას კი ბერზინი სხვათა დაუხმარებლად ისეთი იოლი და ადვილად აღსაქმელი გზითაც ახერხებდა, როგორც სხვადასხვა სახის გამოსვლებში მოსაუბრეთა მიერ რევოლუციის, ლენინის, სტალინისა და საბჭოთა კავშირის არსებობასთან დაკავშირებული სხვა სიტყვების ხსენებ-არხსენება იყო.

გრ. რობაქიძეს ბერზინი საბჭოთა მმართველისა და უშიშროების სამსახურში მონური ერთგულებით ჩამდგარი ჩინოვნიკის განზოგადებულ, ტიპურ სახედ ჰყავს წარმოსახული. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ იგი უცხოელია, იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების მიერ საქართველოში უცხო ქვეყნიდან გამოგზავნილი მაღალი რანგის ჩინოვნიკი. ეს იყო შედეგი საბჭოთა კავშირში მიზანმიმართულად გატარებული იმ ანტიეროვნული პოლიტიკისა, რომლის უმთავრესი მიზანი საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხთა რუსიფიკაცია და მათი ეროვნული ცნობიერების აღმოფხვრა იყო.

სწორედ ამ პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ეროვნული ნიშნის მიხედვით ხელისუფლების მსახურთა დანაწილება, ფაქტობრივად, აზრს კარგავდა. მაგალითად, მწერლის ხაზგასმით, მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის კომიტეტის სხდომის მონაწილეთა შორის ქართველებიც იყვნენ, რუსებიც, სომხებიც, აზერბაიჯანელებიცა და ებრაელებიც, „ამ ადამიანების ეროვნული დანაწილება უაზრობა იყო. მხოლოდ თითოთროლასლა თუ შერჩენოდა შინაგანი კავშირი საკუთარ ხალხთან. ისინი ადამიანთა სრულიად სხვა ტიპს წარმოადგენდნენ“ [3.28].

საბჭოთა სისტემის არსს გრ. რობაქიძე არა მარტო მის სამსახურში ჩამდგარ კონკრეტულ პიროვნებათა მხატვრული სახეების შექმნის გზით წარმოაჩენს, არამედ ამ სისტემის სტრუქტურასაც ახასიათებს უზუსტესი ფორმით. კერძოდ, მისი შეფასებით, აღნიშნული სისტემის „სათავეში მარქსი იდგა. მას ლენინი მოჰყვებოდა. ენგელსს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტშილა თუ მოიხსენიებდნენ. ლენინს პირდაპირ სტალინი მოსდევდა“ [3.86].

მწერლის თქმით, ასეთი იყო იმპერიის მართვის დოგმატური მოდელი, „ოღონდ არავინ იცოდა, ვინ ადგენდა ამ დოგმის შინაარსს. ხელშესახები წინამძღოლი არავინ იყო. ადგილობრივი კომიტეტი რაიონული კომიტეტისაგან ელოდა გენერალურ ხაზს, რაიკომი – საოლქო კომიტეტისაგან, ის, თავის მხრივ, – სამხარეო კომიტეტისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი – მოსკოვიდან, საბოლოოდ ცენტრალური კომიტეტილა რჩებოდა, მაგრამ აქაც იგივე მეორედებოდა: ერთი მეორეს უყურებდა, მეორე – მესამეს, მესამე – მეოთხეს და ასე უმაღლეს თანამდებობამდე. რიგი გენერალურ მდივანთან თავდებოდა... სინამდვილეში იგიც არ იყო გენერალური ხაზის შემოქმედი. რალაც უცხო და უპიროვნო მართავდა ამ ხაზს. არავინ იყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი“ [3.86].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გრ. რობაქიძის რომანში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ მმართველობის ასეთი სისტემის მძლავრი მარწუხებით შებოჭილ საზოგადოებაში „უნდობლობა და შიში ბატონობდა... არავინ იყო თავისუფალი, ყველა საკუთარ თავს ადანაშაულებდა. მხოლოდ ერთი ხსნა არსებობდა: მონანიება. თვითმხილება და დანაშაულის აღიარება ეპიდემიასავით მოედო მთელ საბჭოეთს... ინანიებდნენ არა მხოლოდ ჩადენილს, არამედ ჩაუდენელ ცოდვებსაც... მართალია, ცოდვა ჯერ არ ჩადენია, მაგრამ უთუოდ ჩაიდენდა მომავალში... ჩაუდენელი ცოდვა უკვე ჩადენილად ერვენებოდა და საჯაროდ აღსარებას იწყებდა“ [3.87].

საბჭოთა მმართველობითი სისტემისა და მისი უმთავრესი დასაყრდენი ძალის – უშიშროების სამსახურის ამგვარ ზოგად

დახასიათებას გრ. რობაქიძე მეტ დამაჯერებლობასა და ემოციურ შთამბეჭდაობას იმითაც სძენს, რომ სადამსჯელო დაწესებულებებში არსებულ ვითარებასაც აღწერს საკმაოდ დეტალურად. მაგალითად, სახელმწიფო უშიშროების იზოლატორში, სადაც პოლიტიკური ბრალდების საფუძველზე დატყვევებული თამაზ ენგური იყო მოთავსებული, „ჰაერში დანის და სისხლის სუნი ტრიალებდა. ბედი ქროლვით იჭრებოდა მანქანურ სივრცეში. ტელეფონით ყველაზე საშინელს ელოდნენ. ყურმილის აღება სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას ჰგავდა. შეგუებულნი იდუმალება ამძიმებდა ატმოსფეროს“ [3.110].

მწერლის თქმით, გამომძიებლის მიერ დასმული საბრალმდებო შეკითხვებით დათრგუნულ თამაზს „ეჩვენებოდა, რომ გპუ-ს მთელი შენობა სტალინის სუნთქვით იყო გაჟღენთილი... დღისით აქ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ღამით კი – შიშისმომგვრელი ხმები გაისმოდა: თითქოს ჩიტის გაღიაში შემძვრალი გველი ხოხვით მიიკვლევდა გზას, ენას ასისინებდა, ნელ-ნელა აქანებდა თავს. ტუსალები დამუწვებული უგდებდნენ ყურს ამ ჩქამს. თითოეული ელოდა, რომ კარი გაიღებოდა და მას გამოიძახებდნენ. ყველამ იცოდა, რას ნიშნავდა ეს გამოძახება. გარეთ საბარგო მანქანა ღმუოდა. ვირთხები ცოცხლდებოდნენ, თითქოს მოახლოებული ლემის სუნი წინასწარ იკრესო“ [3.118].

ტოტალიტარული სახელმწიფოს მმართველობითი სისტემის მსხვერპლად არა მარტო ამ სისტემისგან შორს მდგარი ადამიანები იქცეოდნენ, არამედ უშუალოდ მისი წარმმართველნიც. მაგალითად, ცენტრალური ხელისუფლებისგან ამიერკავკასიაში პარტიულ-სახელმწიფოებრივ საქმიანობაზე კონტროლის დასამყარებლად მოვლინებული ბერზინი მის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ერთი „წინდაუხედავი წერილის“ მსხვერპლი გახდა.

სახელმწიფო უშიშროების სამსახურის, როგორც ქვეყნის მთელი მოსახლეობის უკლებლივ ყველა ფენაზე მკაცრი ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს, საქმიანობის არსი ნიღაბახდილი სახითაა წარმოჩენილი ო. ფამუქის „თოვლიშიც“. მიუხედავად იმისა, რომ რომანში ეს ყველაფერი მხო-

ლოდ ერთი ქალაქის – ყარსის ყოველდღიური ყოფის მაგალით-ზეა ნაჩვენები, ამ გზით მწერალი, ფაქტობრივად, მთელს იმ-დროინდელ თურქეთში აღნიშნული კუთხით არსებულ ვითარე-ბაზეც გვიქმნის ნათელ წარმოდგენას. მეტი სიცხადისათვის დავიმონმოთ შესაბამისი ადგილები წაწარმოებიდან.

სტამბოლის ერთ-ერთი გაზეთის რედაქციიდან სპეციალუ-რი ჟურნალისტური დავალებით ყარსში გაგზავნილ კას ქალაქ-ში ჩასვლის პირველივე დღეს ადგილობრივი გაზეთის რედაქ-ტორმა ურჩია, უშიშროების განყოფილების უფროსის მოადგი-ლესთან გამოცხადებულიყო და მისი სტუმრობის შესახებ ეც-ნობებინა: „რა იცი, რა ხდება, იცოდნენ, რომ ჩამოსული ხარ-თო“, – უთხრა [7.17]. მწერლის ხაზგასმით, „ქალაქში ჩამოსუ-ლების, თუნდაც ჟურნალისტის, პოლიციაში გამოცხადება პროვინციებში ჯერ კიდევ 1940-იანი წლებიდან შემორჩენილი წესი იყო“.

თუ სტუმარი ცნობილ პიროვნებას წარმოადგენდა, მის საქმიანობაზე საგანგებო კონტროლის დაწესების მიზნით მას სპეციალურ მეთვალყურეებსაც მიუჩენდნენ ხოლმე. ასე მოხდა კონკრეტულად კასთან დაკავშირებითაც, რომლის ყოველ ნა-ბიჯს განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს როგორც თვალხილულად გამოყოფილი დაცვის მუშაკები, ისე საიდუმლოდ მიჩენილი აგენტებიც. ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით, ყარსში საქმე ისე იყო მონწყობილი, რომ სპეცსამსახუ-რის თანამშრომლები ყველას და ყველაფერს უსმენდნენ და რა-იმეს დამალვას აზრი არ ჰქონდა.

ქალაქის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირე-ბით ინფორმაციის მოსაპოვებლად ასევე ფართოდ იყო გამოყე-ნებული უშიშროების სამმართველოს თანამშრომელთა მიერ როგორც ინფორმატორებისთვის სხეულზე საიდუმლო ჩამწე-რების მიმაგრების პრაქტიკა, ისე ეჭვმიტანილი პირებისგან სა-თანადო ცნობების შეგროვებაც მათზე ფიზიკური ზემოქმედე-ბის გზით. ასე რომ, მწერლის თქმით, სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები „ყველგან დაყენებული მიკროფონებისა და



ორივე მხარეს ჩანერგილი ჯაშუშების დახმარებით ყველა საქმის კურსში იყვნენ“ [7.407].

მაგალითად, ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით, „ყარსში ალბათ ერთი ასი კაცი მაინც იქნება, დღედაღამ მიკროფონმიმაგრებული რომ დადის“ [7.269]. ან კიდევ: „ოთახი რომ პოლიციის მიერ ისმინებოდა და ამდენ ხალხში რამდენიმე ინფორმატორი მაინც იქნებოდა გარეული, ამაში ყველა დარწმუნებული იყო და თავიდან ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა“ [7.323].

როგორც ავტორისეული მონათხრობიდან ნათლად ჩანს, ძალზე ხშირი იყო მონინალმდეგეთა დასასჯელად სამხედრო შეიარაღებისა და ძალის გამოყენების შემთხვევებიც. მაგალითად, „სასულიერო სასწავლებლის საერთო საცხოვრებელს ტანკითა და ორი სამხედრო მანქანით დაესხნენ თავს... დამამთავრებელი კურსის ოთახებისა და სხდომათა დარბაზისკენ გამავალ ხის კართან ნამდვილი შეტაკება დაიწყო. თავიდან სამხედროებმა გამაფრთხილებელი ცეცხლი გახსნეს, პოლიტიკურ ისლამისტ სტუდენტთა ყველაზე აგრესიული ნაწილი სახალხო თეატრში იმყოფებოდა და უკვე დაპატიმრებული იყო... მალე პიჟამებში ჩაცმული ატირებული ახალგაზრდები, განურჩევლად საპროტესტო გამოსვლებისადმი მათი დამოკიდებულებისა, ავტობუსებში ჩაყარეს და ცემა-ტყეპით უშიშროებაში წაიყვანეს“ [7.202]. ან კიდევ: „კარების წინ ჩამწკრივებულ სკამებზე ხელბორკილებით ერთმანეთთან გადაბმული, მიჩაჩულ-მოჩაჩული, ცხვირპირდასისხლიანებული ახალგაზრდები დაკითხვას ელოდებოდნენ“ [7.214].

მწერლის ხაზგასმით, უშიშროების სამსახურის საქმიანობას ქვეყანაში იმდენად დიდი მასშტაბებიც კი ჰქონდა შეძენილი, რომ ყარსში მოსახლეობის „ნახევარი პოლიციის საიდუმლო აგენტს“ წარმოადგენდა და, ნაცნობი თუ უცნობი, ყველა ერთმანეთს უთვალთვალებდა [7.165]. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ამ თვალთვალისგან თავის დასაღწევად და საჭირობოროტო საკითხებზე სასაუბროდ რომანის ორი პერსონაჟი ტუალეტის კაბინაშიც კი ჩაიკეტება რამდენიმე წუთით, თუმცა

მათი ეს შეხვედრა სპეცსამსახურის მუშაკებს შეუმჩნეველი არც ამ კონკრეტულ შემთხვევაში დარჩენიათ.

უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა და მათ მხარდამჭერთა აზრით, პოლიტიკური ისლამისტების ძალადობრივი საქმიანობის წინააღმდეგ ამგვარ უკომპრომისო ბრძოლას მათი ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევს აღნიშნულ ბრძოლას ერთ-ერთი მათგანი რომანის მთავარ პერსონაჟთან საუბარში: „იმის გეშინია, რომ ევროპელები აქაურ ამბებს გაიგებენ და თავი მოგეჭრება? განა არ იცი, მათ რამდენი კაცი ჩამოაღრჩვეს, სანამ შენს სათაყვანებელ თანამედროვე საზოგადოებას შექმნიდნენ? ათათურქი შენნაირ ქათმისტინა ლიბერალ მეოცნებეს პირველსავე დღეს ჩამოაკონწიალებდა... აქაურობა ირანს რომ დაემსგავსება, გგონია, ვინმეს გაახსენდება, შენნაირი გულჩვილი ლიბერალი სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს რომ დასტიროდა? იმისთვის მოგკლავენ, ევროპელი და პიჟონი რომ იყავი, შიშის გამო არ ლოცულობდი და ჰალსტუხი გეკეთა“ [7.243].

გრ. რობაქიძისა და ო. ფამუქის რომანების მსოფლმხედველობრივ ურთიერთმიმართებათა წარმოჩენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მათ შორის რელიგიური კუთხით არსებულ შეხების წერტილებზეც მინდა გავამახვილო. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი და თურქი მწერლების მიერ აღწერილ ქვეყნებში ამ თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა არსებობდა, რელიგიურ პრობლემათა გადანწყვეტა ორივეგან მაინც წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი მმართველობითი სისტემის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. ზემოთქმული გარემოებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პრობლემას არც „ჩაკლული სულისა“ და „თოვლის“ ავტორები ტოვებენ უყურადღებოდ.

კერძოდ, საბჭოთა ხელისუფლების მმართველობითი პოლიტიკის დახასიათების დროს გრ. რობაქიძის რომანში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ამ პოლიტიკის შემოქმედთა სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს

მიზანს „სამყაროდან ღმერთის განდევნა“ წარმოადგენდა. რომანის რუსი პერსონაჟი ივანოვი ამ მოვლენას მხოლოდ საბჭოთა პოლიტიკის ნაწილად კი არ მიიჩნევს, არამედ გლობალურად მიმდინარე იმ პროცესადაც, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახით ვლინდება.

მაგალითად, მისი თქმით, „ჩვენთან ღმერთის წინააღმდეგ იბრძვიან, მისი მოკვლა სურთ. ამერიკასა და ევროპაში რაღა ხდება? იქ არ კლავენ ღმერთს, იქ იგი თავისით კვდება... ახალი ადამიანი იზადება, უღმერთო... ღმერთის ამოძიკვა ყოფიერებიდან – ეს არის კულტურის ახალი მიჯნა“ [3.76].

როგორც უკვე ითქვა, რელიგიური პრობლემის განსჯა-გააზრებას გაცილებით ფართო მასშტაბები აქვს შექცენილი ო. ფამუქის რომანში. მიუხედავად იმისა, რომ ღვთაებრივი რწმენისადმი ორივე მწერალს ზოგადად ერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს და მათთვის პრინციპულად მიუღებელია მათი ქვეყნების ხელისუფალთა მიერ სახელმწიფოებრივ დონეზე გატარებული ათეისტური პოლიტიკა, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ო. ფამუქის პოზიცია გრ. რობაქიძის თვალთახედვისათვის დამახასიათებელი მკვეთრი რადიკალიზმითა და სწორხაზოვნებით არ ხასიათდება და შინაგანად რამდენადმე წინააღმდეგობრივიცაა და გაორებულიც.

სახელდობრ, თუ გრ. რობაქიძის „ჩაკლული სულის“ ცენტრალური პერსონაჟისთვის პრინციპულად და ერთმნიშვნელოვნადაა მიუღებელი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე ევროპაშიცა და ამერიკაშიც აქტიურად მიმდინარე ბრძოლა ღვთაებრივი რწმენის წინააღმდეგ, თურქი მწერლის რომანის პერსონაჟები, პირველ ყოვლისა კი მთავარი გმირი – კა, ამ პრობლემას არაერთგვაროვნად იაზრებენ.

აღნიშნული საკითხისადმი თურქი მწერლის განსაკუთრებული ინტერესი იმითაც ვლინდება, რომ „თოვლში“ წარმოსახულ ეპოქალურ მოვლენებსა და ამ მოვლენათა ცენტრში მოქცეულ პიროვნებათა ცხოვრებისეულ ბედს იგი, პირველ ყოვლისა, სწორედ რელიგიური პრობლემასთან მიმართებით სჯის

და იაზრებს. ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მი-  
საცემად გავიხსენოთ შესაბამისი ეპიზოდები რომანიდან.

პოლიტიკური დევნილობის გამო სამშობლოდან გერმანია-  
ში გადახვენილი თურქი ემიგრანტი პოეტი კა სტამბოლის ერთ-  
ერთი გაზეთის რედაქციამ ყარსში მიავლინა მუსლიმან მორ-  
წმუნეებსა და მათ წინააღმდეგ მებრძოლ ხელისუფალთა შო-  
რის არსებული კონფლიქტის არსის გასარკვევად. ო. ფამუქის  
რომანის მიხედვით, საზოგადოებაში პოლიტიკური დაპირისპი-  
რების საფუძვლად ქცეულ ამ კონფლიქტს იმდენად დიდი მას-  
შტაბები ჰქონდა შექენილი, რომ მასში, ფაქტობრივად, ქალა-  
ქის მთელი მოსახლეობა იყო მეტ-ნაკლები აქტიურობით ჩარ-  
თული.

ბოლო წლების განმავლობაში ევროპაში ნაცხოვრები კა ამ  
ბრძოლის არსში თავიდან ნაკლებად იყო გარკვეული და მშობ-  
ლიური თურქული სამყაროსაგან არსებითად განსხვავებულ  
სულიერ და რელიგიურ ფასეულობათა წიაღში ცხოვრებამ მის  
ცნობიერებაში ღვთაებრივი რწმენის სიმტკიცესაც გაუჩინა  
ბზარი. მაგრამ ყარსში გატარებულმა დღეებმა და ეპოქალურ  
მოვლენათა სისხლხორცეულ ნაწილად ქცეულმა იმ უკომპრო-  
მისო ბრძოლებმა, რაც ისლამისტებსა და მათ მოწინააღმდეგე-  
ებს შორის მიმდინარეობდა იმხანად, კა სულიერად გარდაქმნა  
და მას გაბზარული ღვთაებრივი რწმენა განუმტკიცა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, „თოვლში“ იმ გარემო-  
ებასაც არაერთგზის ესმება ხაზი, რომ ისლამისტებსა და ხელი-  
სუფლების მესვეურებს შორის გამართულ უკომპრომისო  
ბრძოლას, ფაქტობრივად, პოლიტიკური მასშტაბები ჰქონდა  
შექენილი და, რეალურად, მისი უმთავრესი მიზანი ძალაუფლე-  
ბის ხელში ჩაგდება იყო.

როგორც ცნობილია, თურქი ხალხის ბელადის – ათათურ-  
ქის მიერ ქვეყანაში ფუნდამენტურად დამკვიდრებულმა პოლი-  
ტიკურმა იდეოლოგიამ რელიგიური ფაქტორის როლი და ადგი-  
ლი სახელმწიფოებრივი მართვა-განმგებლობის პროცესში  
გარკვეულწილ ჩარჩოებში მოაქცია. მიუხედავად იმისა, რომ  
ათათურქის შემდგომი ხანის თურქეთში ამ ფაქტორის მომ-

ძღავერების გარკვეული მცდელობანიც იყო რამდენჯერმე, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება კვლავაც ერთგულად იცავდა ქემალიზმის ამ ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, რაშიც უმნიშვნელოვანეს როლს სამხედრო ძალა ასრულებდა.

ფართოდ ცნობილი ეს ამბავი აქ იმიტომ გავიხსენე, რომ „თოვლში“ ასახული პოლიტიკური და რელიგიური მოვლენები გარკვეულწილად ამ მოვლენის თავისებურ გამოვლინებადაც შეიძლება მივიჩნიოთ, გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისის თურქეთში ისლამისტებისა და მათ მონინააღმდეგე პოლიტიკურ ძალებს შორის ხელისუფლების დასაუფლებლად განახლებული ძალით დაწყებული ბრძოლის გამოხატულებად. მის გაძლიერებას 1979 წელს მეზობელ ირანში ისლამური რევოლუციის გამარჯვებამაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი.

„თოვლში“ აღწერილ მოვლენათა დაკავშირება ირანის ისლამურ რევოლუციასთან რომ შემთხვევითი არ არის, ამას თავად მწერალიც აღნიშნავს ხაზგასმით. მაგალითად, მისი ინფორმაციით, რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, თურქი ისლამისტების ლიდერის – ლაჯივერთის გადაქცევას „ულმობელ ტერორისტად, მოხერხებულ ავანტიურისტად და რესპუბლიკის დაუძინებელ მტრად“ ხსენებული რევოლუციის გამარჯვების შედეგად ირანში შექმნილმა ახალმა რეალობამაც შეუწყო ხელი [7.215].

როგორც თურქეთის უახლესი ისტორიიდან ცნობილია, პოლიტიკური ისლამისტური ძალების გააქტიურების შედეგად ქვეყანაში შექმნილი კრიზისის დასაძლევად და ქაოსური მდგომარეობის აღსაკვეთად 1980 წლის 12 სექტემბერს თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს, ძალაუფლებას დაეპატრონენ, პარლამენტი და მთავრობა დაითხოვეს და ყველა პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებისა და პროფესიული ორგანიზაციის საქმიანობა აკრძალეს [1.29; 5.209-212].

მიუხედავად იმისა, რომ ო. ფამუქის რომანი უშუალოდ 1980 წლის 12 სექტემბრის სახელმწიფო გადატრიალებისადმი

მიძღვნილ ნაწარმოებს არ წარმოადგენს და ზემოთ აღნიშნული პროცესები მასში მხოლოდ თურქეთის ერთ ქალაქში – ყარსში შექმნილი რთული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და რელიგიური ვითარების კონტექსტშია წარმოსახული, ალბათ, არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ „თოვლი“, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ ისტორიული მოვლენის არაპირდაპირი სახით წარმომჩენ რომანს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხსენებული პერიოდის თურქეთში არსებული მდგომარეობის წარმოსახვის დროს ო. ფამუქმა სავსებით კანონზომიერად მოაქცია განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ის მძაფრი პოლიტიკურ-რელიგიური დაპირისპირება, რომელიც ისლამისტურ ძალებსა და ხელისუფლების ოფიციალური მხარის წარმომადგენლებს შორის არსებობდა იმხანად. არსებითად, ეს იყო თავისებური ბრძოლა, ერთის მხრივ, ევროპულ ღირებულებებზე მეტ-ნაკლებად ორიენტირებულ ქემალისტებსა და, მეორეს მხრივ, ცხოვრების ისლამისტური წესის აქტიურად დამცველ მორწმუნეებს შორის.

ამ ბრძოლას დასაბამი, ფაქტობრივად, თურქეთის სათავეში ათათურქის მოსვლის შემდეგ (1923 წ.) მიეცა და ამ დროიდან მოყოლებული, პერიოდულად საკმაოდ მწვავე ხასიათსაც იძენდა ხოლმე. აღნიშნულ გარემოებას არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ „თურქეთი ერთადერთი ისლამური სახელმწიფოა, სადაც „ევროპეიზაციამ“ ფორმალურად მაინც გაიმარჯვა და ტრადიციულ ფასეულობებთან ერთად აღიარება ჰპოვა მანამდე თითქმის უცნობმა ევროპულმა გამოცდილებამ“ [6.78].

ამ პროცესის სახელმწიფოებრივ დონეზე წარმმართველის როლში თურქეთში, პირველ ყოვლისა, ქემალისტები მოგვევლინენ, თუმცა მათი მოწინააღმდეგე კონსერვატიული და რეაქციული ისლამისტური ოპოზიციის წრეები „თვლიდნენ, რომ რელიგიური სკოლებისა (მედრესეები) და საკულტო ადგილების გაუქმება იყო თავდასხმა აზრის თავისუფლებასა და აღმსარებლობაზე, ხოლო სინდისის თავისუფლების ქემალისტური პრინციპი – ათეიზმი“ [6.80].

როგორც უკვე ითქვა, ო. ფამუქის რომანში ზემოთ აღნიშნული ბრძოლის არსი ქალაქ ყარსში განვითარებულ მოვლენათა მეშვეობითაა წარმოსახული. მართალია, მებრძოლ მხარეთა ურთიერთდაპირისპირება მხოლოდ რელიგიური საკითხით არ შემოიფარგლებოდა და მის ძირითად მიზანს ძალაუფლების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა, მაგრამ მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა უწინარესად მაინც რელიგიური ნიშნით მიმდინარეობდა.

ამ დაპირისპირების გარეგნულად წარმომჩენ უმთავრეს ნიშანს ო. ფამუქის რომანში რწმენის სიმბოლოდ ქცეული ჩადრი და მისი სახეობანი – ჩარშაფი და თავსაფარი წარმოადგენს. ასე რომ, სეკურალისტური პოლიტიკის გამტარებელი ხელისუფლების მსახურთა აქტიური მცდელობა, მორწმუნე ქალებს საქვეყნოდ მოეხადათ თავსაფარი და ამგვარი სახით ევლოთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, „თოვლში“ პრინციპული მნიშვნელობის მქონე საკითხადაა ქცეული და მწერალი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მასთან დაკავშირებული მედიაციური მსჯელობებით ცდილობს ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის წარმოჩენას (მაგალითად, ჩარშაფიანი გოგონების არშემეგება სასწავლებელში და ა. შ.).

თავად მწერალმა რომანის პერსონაჟთა გაორებული დამოკიდებულება ნაწარმოების უმთავრეს პრობლემად ქცეული რელიგიური რწმენისადმი ერთ-ერთი თავის სათაურად გამოტანილი სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ამ სიტყვებითაც გამოხატა: „სამშობლო თუ დოლბანდი“. განსხვავებით ისლამისტებისაგან, რომელთა რწმენითაც, დოლბანდი „პოლიტიკური ისლამის სიმბოლოს“ წარმოადგენს და მისი დაცვით ისინი არა მარტო მუსლიმანობას იცავდნენ, არამედ საკუთარ ეროვნულ თვითმყოფადობასაც, მათი მოწინააღმდეგეების აზრით, „ჩადრი, თავსაფარი, ფესი და ჩალმა, როგორც სიბნელისა და ჩამორჩენილობის სიმბოლოები“, მთელმა ერმა უნდა მოიხსნას და „თანამედროვე ცივილიზებულ ერებთან ერთად იაროს ევროპისაკენ“ [7.182].

ო. ფამუქის რომანში დაბეჯითებით ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ისლამისტი მორწმუნეები თავსაფრიანი გოგონე-

ბის უფლებათა დაცვით არა მარტო ღვთაებრივი რწმენის გადარჩენას ცდილობენ, არამედ რელიგიურ ღირებულებებზე დაფუძნებული ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებასაც. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის აზრით, „დოლბანდის საკითხის პოლიტიზაციის უკან გარეშე ძალების სურვილი იმალება, თურქეთი ორად გახლიჩონ და დაასუსტონ“ [7.56]. სხვა შემთხვევაში რომანის უმთავრეს მსოფლმხედველობრივ თვალთახედვად ქცეული ეს კითხვები ამგვარი სიმწვავეთ არ დაისმებოდა: „თავსაფრიანი გოგონები თუ თავზე მოიხდიან, ამ ქვეყანას ეს რაში ნაადგება?.. თავზე თუ მოიხდიან, ევროპელები მათ ადამიანებად ჩათვლიან?“ [7.57].

მონინალმდეგე მხარეებს შორის არსებული ეს დაპირისპირება რომანში იმდენად გამწვავებულ სახეს იღებს, რომ მას არა მარტო ამ პროცესში უშუალოდ ჩართულ პიროვნებათა, არამედ სრულიად უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლეც კი ეწირება მსხვერპლად.

მწერლის მიერ ყარსში განვითარებულ მოვლენათა წარმოსახვის უმთავრესი მიზანი ამ დაპირისპირების არსის სიღრმისეულად წარმოჩენაა; მკითხველთა სამსჯავროზე იმ პრობლემათა გამოტანა, რაც ხელისუფლების წარმომადგენელთა და მის წინააღმდეგ მებრძოლ ისლამისტთა შორის სისხლიანი დაპირისპირების საფუძველი გახდა.

საწმენოების დასაცავად მებრძოლ ისლამისტთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები და მათი თანამოაზრენი ამ ბრძოლას იმითაც ამართლებენ, რომ, მათი აზრით, ამ გზით ისინი „მუსლიმების დასავლეთის მონებად და ურწმუნოებად გადაქცევისა და დამცირების“ საერო ხელისუფლებისეული „ფარული გეგმის განხორციელებასაც“ ეწინააღმდეგებიან პრინციპულად [7.59].

ო. ფამუქის რომანზე საუბრის დროს ყურადღება იმ პროცესის ფსიქოლოგიური სიმათლით ჩვენებასაც უნდა მივაქციოთ, მისი პერსონაჟების ერთი ნაწილი როგორი სიმტკიცით ადგება მორწმუნეობის გზას. ნაწარმოების ერთ-ერთი ამგვარი



პერსონაჟის თქმით, მისნაირები, „აღტყინებით რომ უბრუნდებოდნენ ისლამს, არც ისე ცოტანი იყვნენ“ [7.71].

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო, პირველ ყოვლისა, რომანის მთავარი პერსონაჟის – კას მსოფლმხედველობაში მომხდარი ფსიქოლოგიური გარდატეხის ჩვენებაა, იმ რთული სულიერი მეტამორფოზის სიღრმისეული გააზრება, რის შედეგადაც მან გაბზარული ღვთაებრივი რწმენის გამთელება და ღვთისკენ სავალი გზის პოვნა შეძლო. თავად კას აღიარებით, ყარსში განვითარებული მოვლენები პირადად მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმითაც გამოდგა, რომ სწორედ ამ მოვლენათა განსჯა-გაანალიზებამ მისცა მას შესაძლებლობა, „ალაჰისათვის სულის კარი რომ გაეღო“ [7.159].

განსხვავებით ისლამისტი თანამემამულეებისაგან, რომელნიც ევროპელობასა და ათეისტობას ერთმანეთთან იმდენადაც კი აიგივებენ, რომ მაჰმადიანურ აღმსარებლობასა და ევროპულ სულიერ ღირებულებებს შეუთავსებელ მოვლენებად მიიჩნევენ, ღვთაებრივი რწმენისაკენ მიბრუნებული კა ცდილობს ეს ორი მხარე ერთიმეორეს კი არ დაუპირისპიროს, არამედ ერთ ორგანულ მთლიანობად აქციოს. მაგალითად, „მე ვისურვებდიო, – ამბობს იგი ერთგან, – თან ევროპელი ვიყო, თან რწმენა მქონდესო“ [7.173].

როგორც რომანიდან ნათლად ჩანს, ამ ფუნდამენტური თვალსაზრისის აღიარებამდე კამ საკმაოდ რთული და შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო. მისი აღიარებით, ყარსში ჩასვლისა და იქ განვითარებული დრამატული მოვლენების ღრმად და საფუძვლიანად გაანალიზების შედეგად მან რადიკალურად შეიცვალა მუსლიმანობისადმი დამოკიდებულება. კერძოდ, თავისი ცხოვრების ყარსამდელ პერიოდში კა დაუეჭვებლად იყო დარწმუნებული იმაში, რომ უმთავრესი ძალა, რომელიც თავის ქვეყანას წინსვლისა და განვითარების გზაზე წინ ელობებოდა, მუსლიმანური რელიგია იყო.

შეიჭ ეფენდისთვის ნათქვამ აღსარებაში თავად კა რელიგიისადმი ასეთ სკეპტიკურ დამოკიდებულებას შემდეგნაირად გამოხატავს: „პატარა ბავშვივით სულ მინდოდა, ჩემი ქვეყანა

აყვავებულიყო, ადამიანები უფრო თავისუფლები და თანამედროვეები ყოფილიყვნენ; მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ჩვენი რელიგია ამას ეწინააღმდეგებოდა... სტამბოლში, ნიშანთაშიში, მაღალ საზოგადოებაში გავიზარდე. მინდოდა, ევროპელს დავმსგავსებოდი. ჩემი ცხოვრება რელიგიისგან შორს იყო, რადგან მესმოდა, რომ ევროპელობას და ალაჰს, რომელიც ქალებს ჩადრით მოსაავს, ერთდროულად ვერ ვინამებდი... მე ისეთი ალაჰი მინდა, რომელიც არ მომთხოვს, რომ მის წინაშე წარსადგომად ფეხზე გავიხადო, ვინმეს ხელზე ვაკოცო და მუხლი მოვიდრიკო. ჩემს მარტოობას რომ გაიგებს, ისეთი ალაჰი მინდა“ [7.120].

როგორც ითქვა, ღვთაებრივი რწმენისადმი კას ამგვარ დამოკიდებულებაში არსებითი გარდატეხა ყარსში ჩასვლისა და იქ განვითარებულ მოვლენათა სიღრმისეული განსჯა-გაანალიზების შედეგად მოხდა. მისი პიროვნული ცხოვრებისთვის ამ გარდატეხის მნიშვნელობას თავად კა შეიპ ეფენდისთან საუბარში შემდეგნაირად აფასებს: „მთელი ცხოვრება თავს დამნაშავედ ვგრძნობდი იმის გამო, რომ უმეცრების, ჩადრიანი დეიდების, კრიალოსნიანი ბიძიების, ღარიბ-ღატაკების ალაჰისა არ მწამდა. ჩემი ურწმუნოებით ვამაყობდი. მაგრამ ახლა ძალიან მინდა, ალაჰი ვირწმუნო“ [7.121].

მართალია, ღვთისკენ სავალ ამ ურთულეს გზაზე არსებული ბარიერის გადალახვა კამ საბოლოოდ შეძლო, მაგრამ, მისივე არაერთგზისი აღიარებით, სულში ჩაბუდებული ათეიზმის ბაცილის საკუთარი ცნობიერებიდან მთლიანად ამოძირკვა, დიდი მცდელობის მიუხედავად, მან მაინც ვერ მოახერხა: „თქვენი ალაჰისა მინდა მჯეროდეს და თქვენსავით უბრალო მოქალაქე მინდა ვიყო, – გულწრფელად მიმართავს იგი შეიპ ეფენდის, – მაგრამ სულში დასავლელი მიზის და გონებას მირევს“ [7.122].

რომანში ესოდენი სიმწვავეთა და ფართო მასშტაბურობით წამოჭრილი რელიგიური პრობლემის განსჯა-გააზრება მწერალმა სისხლხორცეულად დაუკავშირა ევროპულ ღირებულებათა მიღება-არმიღებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნანარმოებში ძირითადად ორი, ერთმანეთისაგან რადიკალუ-

რად განსხვავებული, თვალსაზრისი იკვეთება – ისლამისტებისა, რომელთათვისაც ევროპული სამყარო პრინციპულად მიუღებელ მოვლენადაა მიჩნეული და იგი ათეიზმთან და ეროვნული თვითმყოფადობის არსებითად განმსაზღვრელ სულიერ ფასეულობათა უარყოფასთანაა ასოცირებული; და ქემალისტური იდეოლოგიის დამცველებისა, რომელთათვისაც სახელმწიფოებრივი განვითარების უმთავრეს მიზანს, ნაცვლად რელიგიური მცნებებისადმი ფანატიკური ერთგულებისა, ევროპულ ღირებულებებთან ზიარება და დასავლურ ოჯახში მათი ქვეყნის მყარად დამკვიდრება წარმოადგენს.

რომანის მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგან კა, ფაქტობრივად, ერთადერთია, რომელიც თავისი ქვეყნისა და თანამემამულეების სამომავლო განვითარების ყველაზე მეტად მისაღებ გზად ამ ორი მხარის – ევროპული ღირებულებებისა და ღვთაებრივი რწმენის – ერთანეთთან შერწყმას მიიჩნევს: „მე ვისურვებდი, – ამბობს, მაგალითად, იგი ერთგან, – თან ევროპელი ვიყო, თან რწმენა მქონდეს“ [7.173].

პირველ ყოვლისა, სწორედ ამგვარი თვალთახედვის შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ თავისი ადამიანური კეთილდღეობის იდეალიზებულ ადგილად, სადაც ის და მისი საცოლე – იფექი ბედნიერების ნავთსაყუდელს ჰპოვებდნენ, კა ევროპულ ქალაქ ფრანკფურტს მიიჩნევს.

მოკლედ, ასეთია გრიგოლ რობაქიძისა და ორჰან ფამუქის მსოფლმხედველობრივ თვალთახედვებს შორის არსებული ძირითადი ურთიერთმიმართებანი განხილული რომანების მიხედვით. ქართველი და თურქი მწერლების მიერ წარმოსახულ მხატვრულ სამყაროთა არსებითი სხვადასხვაობის მიუხედავად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ შესაბამისი პერიოდების ეპოქალურ სინამდვილეთა საჭირობოროტო პრობლემების განსჯა-გააზრებისას „ჩაკლული სულისა“ და „თოვლის“ ავტორთა მსოფლმხედველობაში აშკარად ვლინდება ამ პრობლემათა ანალიზისა და შეფასების ტენდენცია მსგავსი მოქალაქეობრივი თვალთახედვით.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები, თბ., 2000.
2. ნიკოლეიშვილი ა., მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 2000.
3. რობაქიძე გრ., ჩაკლული სული, გერმანულიდან თარგმნა ა. კარტოზიამ, თბ., 1991.
4. რობაქიძე გრ., ჩემთვის სიმართლე ყველაფერია... თბ., 1996.
5. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, III, თბ., 2005.
6. სორდია გ., „ევროპეიზაცია“ და ისლამიზმი თანამედროვე თურქეთში, ჟურნ. „პოლიტიკა“, 2000, 2.
7. ფამუქი ო., თოვლი, თურქულიდან თარგმნა ნ. ჯანაშიამ, თბ., 2011.

**Avtandil Nikoleishvili**

### **Grigol Robakidze’s “The murdered soul” and “Snow” by Orhan Pamuk**

(Ideology interrelationship)

#### **Summary**

Despite the fact that the novel of Grigol Robakidze (1880-1962) first was published in 1932 and “snow” by Orhan Pamuk (born in 1952) was written in 1999-2001 years, they are similar in many aspects and make us think of close interrelationship. However, they reflect the different reality, according to the epoch, religion and politics.

Grigol Robakidze had written the novel in German while being in Germany and it became so popular in Europe that was nominated among three best works of the world at the end of the 30s of the last century. As for the “snow” by Orhan Pamuk, it reflects the political situation of Turkey in the end of the 70-80s of the last century and became popular not only in the writer’s homeland, but also in many other

countries of the world. "The New York Times" nominated "snow" among ten best literary works of the world in 2004.

The similarity of Grigol Robakidze and Orhan Pamuk ideology interrelationship means reflecting the epochal events of their countries. For example, Grigol Robakidze addresses the political situation in the Soviet Union in the beginning of the 20-30s of the last century. Orhan Pamuk shows the situation in Turkey in 70-80s of the last century.

Despite the fact that the novels represent some fantasy aspects, they both should be considered as icons of the historical reality.

In both mentioned novels, we have the possibility to get introduced with the emigrants, who had to leave their countries because of the political situation. They could not achieve their goals in the homeland, so the only way was to move to Europe.

## იცხაკ დავიდი – ქართველი ერის სიამაყე

დიდი ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო წერდა: „დიდი ქუეის წინაშე თავს ვხრი, ხოლო დიდი გულის წინაშე – მუხლს ვიყრი“.

დიახ, დიდ ადამიანებს ღმერთი არა მხოლოდ დიდ პროფესიულ ნიჭს, არამედ ხშირად სიყვარულისა და სიკეთის კეთების განსაკუთრებულ უნარს უბოძებს“.

**ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ბატონი იცხაკ დავიდი (ისაკ დავითაშვილი), გამოჩენილი დიდი ქართველი ებრაელი მოღვაწე.**

**იცხაკ დავიდი** – მსოფლიო დონის ენათმეცნიერი, პოეტი, პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, პოლიგლოტი (იცის 20-ზე მეტი უცხო ენა), მრავალი წიგნის ავტორი.

1996 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად.

1999 წელს მიენიჭა საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდება.

იცხაკ დავიდი ლექციებს კითხულობს სხვადასხვა ენაზე აშშ-ში, რუსეთში, კავკასიის ქვეყნებში, შუა აზიის, იტალიის, ესპანეთის, ტაილანდის, ავსტრალიისა და იაპონიის უნივერსიტეტებში და სააკადემიო კათედრებზე მონვეული პროფესორის სტატუსით. ამჟამად ცხოვრობს აშშ-ში. წერს ლექსებს ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ესპანურ, არაბულ და ებრაულ ენებზე.

\* \* \*

**იცხაკ დავიდი** დაიბადა თბილისში 1946 წელს. 1969 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი სემიტოლოგიის განხრით – არაბული და ებრაული ენების სპეციალიზაციით. უნიჭიერესი კურსდამთავრებული სტუდენტობიდანვე შეუდგა სამეცნიერო მუშაობას, კითხულობს სპეცკურსს არაბულ ენაში და სხვ. 1972 წელს ოჯახთან ერთად ავიდა ისრაელში. იცხაკი ისრაელში ებ-

მება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. მისი ინიციატივით თელ-ავივში დაარსდა ბორის გაპონოვის სახელობის ქართველოლოგიის კომიტეტი, შემდგომში – „ისრაელის კავკასიოლოგიური ცენტრი“.

1973-1974 წლებში იცხაკი იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში კითხულობს სპეცკურსს კავკასიათმცოდნეობასა და ქართულ ენაში.

1974-1975 და 1976-1977 წლებში ჯერ თელ-ავივის, შემდეგ იერუსალიმის უნივერსიტეტებში მუშაობს საქართველოს ებრაელთა ისტორიაზე. 1976-1982 წლებში ქართულ ენაზე გამოაქვეყნა ორტომეული.

1982-1992 წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ორტომეული „ებრაელთა ისტორია კავკასიაში“.

1983-1992 წლებში ჯერ მმართველი პარტიის „ხერუთის“ სარეპატრაციო სექტორის უფროსი, შემდეგ მთავრობის მეთაურის – იცხაკ შამირის მრჩეველი გახლდათ. 1989 წლიდან მოყოლებული საზოგადოებრივ-კულტურული და ოფიციალური დელეგაციების ჩარჩოებში არაერთხელ იყო საქართველოში.

იცხაკ დავიდი ისრაელში ქართული კულტურისათვის ძალზე მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდა (იერუსალიმში ქართული ჯვრის მონასტრის კომპლექსის შესწავლის საქმეში და სხვ.). იგი წერდა: „ამ დიდებულსა და ისტორიულ სავანეში თითქოს საუკუნეების, ძველი ქართველების მარად დარჩენილი ღალადის თანაზიარი ხდები, როცა ამ არემარეთი ტკბები“.

იცხაკ დავიდმა ჯვრის მონასტრის კომპლექსის შესწავლისას და, კერძოდ, ეკლესიის შიდა ინტერიერის დათვალიერებისას, გარკვეული არქეოლოგიური მოსაზრებების საფუძველზე, გამოთქვა ჰიპოთეზა ეკლესიის იატაკის ქვედა სამარხის ანუ ნეკროპოლისის არსებობის შესახებ.

ამ ექსპედიციიდან გარკვეული დროის შემდეგ, იცხაკ დავიდი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავდა: „ვვარაუდობთ რუსთაველის საფლავის არსებობას იმ სვეტის გასწვრივ, რომელზეც შოთა რუსთაველის სურათია გამოხატული“.

1992 წლიდან იცხაკ დავიდი ცხოვრობს და მოღვაწეობს აშ-შ-ში, ქ. ვაშინგტონში. მის შემოქმედებაში აღსანიშნავია ისტორიული, პროზაული, ესეისტიკის, თეოლოგიის ჟანრის, აგრეთვე, პოეტური ნაწარმოებები: ნაწერები – ტომი I, ნაწერები – ტომი II, სამეცნიერო ნაშრომები: საქართველოს ებრაელთა სულიერი მემკვიდრეობა; ქართულ-ებრაული აზროვნების სათავეებთან; ჩვენი ძმობა ურღვევია; ებრაული მისტიციზმის საფუძვლები და ლიადელი შნეურ ზალმანის თეოსოფია; საქართველოს ებრაელები იერუშალაიმში; 1000 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე, – ასე თარიღდება ებრაელთა პირველი მოსვლა საქართველოში; ქართული ებრაისტიკის მნიშვნელოვანი შენაძენი; ძველი ქართველების სულის ღალადისის თანაზიარი; წერილები ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე; წერილები: ჯემალ აჯიაშვილზე; გივი ღამბაშიძეზე, შოთა ბოსტანაშვილზე და მრავალი სხვ. ლექსების კრებული „ღამაში ქრისტიანი გოგო უფლის საფლავთან“, „ღანდები“, „ზამთრის ყვავილები“, „გამოცხადება...“.

ჩვენი შემეცნებით ჩვენ ქართველი ებრაელები, ქართველები ვართ.

**ახსოვს, იცხაკ რაბინმა ცნობილ მწერალსა და დრამატურგს, მრავალი პრემიის ლაურეატს, ბ-ნ გურამ ბათიამვილს ინტერვიუს დროს ასე მიმართა: „თქვენ, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს მოქალაქე ხართ და თქვენთვის უწინარესი მისი ინტერესები უნდა იყოს“.**

ქართველმა ებრაელებმა განსაკუთრებულად ვიცით თანამოძმეებზე ზრუნვა, ერთმანეთის მხარში ამოდგომა, რელიგიური და ეროვნული ფესვების შემონახვა.

**წინასწარმეტყველი ირმიაჰუ (იერემია) გვასწავლის: „ილოცეთ იმ ქვეყნის საკეთილდღეოდ, სადაც იცხოვრებთ“ – ო. ებრაელობა მის სიბრძნეს მიჰყვებოდა და მიჰყვება დღესაც. ამიტომ „განათლება არის საშუალება კარგი მომავლის მისაღწევად“ (არისტოტელე). მსოფლიოს უდიდესი ადამიანები ცოდნის გაღრმავებაში დიდ როლს ანიჭებდნენ „მსოფლიოში მოვლენათა თეორიას: ცქერა თეორიის გარეშე იგივე**



არის, რაც ზღვაში გემით საჭის გარეშე შესვლა“ (ლეონარდო და ვინჩი). და განა ჭეშმარიტება არაა, რომ „გონიერებამ შექმნა ბიბლია, უგუნურებამ მოკლა ილია“.

ბ-ნი იცხაკ დავიდის, როგორც ძალზე განათლებული, მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანის, პოეტის, პოლიტიკოსის, მეცნიერის, ბელეტრისტის, პუბლიცისტის შეხედულებები მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, საზოგადოებრივ, კულტურულ-სოციალურ საკითხებზე და საერთოდ, ქვეყნის აქტუალურ საკითხებზე, ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისთვის, ამიტომ, ვისარგებლე რა ჩემი რეს-პონდენტის უსაზღვრო თავაზიანობითა და კეთილმოსურნეობით, რამდენიმე შეკითხვით მივმართე:

- ბატონო იცხაკ! ძალიან მოხარული ვარ, რომ გიხილეთ თქვენი მშობლიური საქართველოს მიწაზე. ვიცით, რომ საქართველო ჩვენი საერთო ტკივილია. დღევანდელი გადასახედიდან, რა არის თქვენთვის ალტეიმული ქვეყანა, ერეც-ისრაელი?
- ერეც-ისრაელი, ალტეიმული ქვეყანა ჩემთვის არის უნდინდესი ადგილი, სადაც მოხდა გამოცხადების ფენომენი, მოსეს მოძღვრების კონსოლიდაცია სინას მთაზე. კაბალისტიკა 2000 წლის წინათ დაიწერა ბარუხაის მიერ. ზოგადი კაბალისტიკა – მე-16 საუკუნეში რაბი იცხაკ-აშკენაზის-ლურიას მიერ. მან შექმნა თეზისები. ისრაელის მთაზე შეკრებილი იყო საკრებულო. მთიდან ისეთი კვამლი და შუქი მოდიოდა, რომ ისრაელი, როგორც ჭურჭელი, უნდა დამსხვრეულიყო და შთანთქმულიყო. კვამლი მთელ მსოფლიოში გაიფანტა. დავით მეფემ ერთიანი სახელმწიფო შექმნა ძველი ნელთაღრიცხვით 940 წელს. ნაპერწკლების გაფანტვით ჯერ 10 ტომი შეიქმნა. ეს ტომები მოედო მთელ მსოფლიოს (მარტო ავსტრალიაში ებრაელთა 30 ტომი წარმოიქმნა). მსოფლიოში 20 000 ეთნიკური, ტომობრივი ერთეული გაჩნდა თავისი რელიგიითა და მსოფლმხედველობით.

ელიაზარი ბრძანებს, რომ ნაპერწკლების შეგროვებით დაჩქარდება მაშიახის მოსვლა. ისრაელიზმი უნდა გავმიჯნოთ იუდაიზმისგან, იუდეველი ერთი ტომია. ამ ბაზაზე აიგო 40%. 40% შეცნობილია და ყველა კონტინენტს მოიცავს. ყოველივე ამის შესახებ ჩემს მიერ გამოიცა 30 ტომი ინგლისურ ენაზე. შევიმუშავეთ ახალი პოლიტიკური იდეოლოგია. მე ვასრულებ ჩემს მისიას – ვარ დამაარსებელი და ხელმძღვანელი მიმდინარეობისა, რომელსაც რეველაციონალიზმი (რეველაცია – გამოცხადება, რევოლუცია – განახლება, გადატრიალება) ეწოდება. ამ მიმართულების თეორიული საფუძვლები ასე გადაითარგმნება: „რეველაციონალისტური ცივილიზაცია განვრცობადობაში“. ჩვენი დღევანდელი მისია ადამიანთა შემზადება, განმენდაა და დიადი გამოცხადების – „მაშიახის (მესიის) მობრძანების“ წინ, ე.ი. „გადატრიალება არა ნგრევის, მილიონობით ადამიანის ხოცვა-ჟლეტის ფონზე, არა ჯარებით და არა ძალით, არამედ სულით ჩემით“, როგორც გვეუბნება გამჩენი.

– **როგორ გესახებათ საქართველოსა და ისრაელს შორის თანამშრომლობისა და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების პერსპექტივები?**

– მშვიდობის დამყარების პერსპექტივებს ეჭვის თვალით ვუყურებ, პოლიტიკა გაყინულია. „ჰამასი“ კიდევ უფრო ძლიერდება. ლიბანშიც ძლიერდება ისლამისტური დაჯგუფება „ჰესბოლა“. ისრაელს ემუქრებიან რაკეტებით. უშიშროების მთავრობის სტატუს-კვო კარგს არაფერს მოასწავებს. ქვეყანას არა აქვს სამშვიდობო პროგრამა. ტექნოლოგიები ვითარდება, არმიაში კი კრიზისია. აუცილებელია რეველაციონარიზმი – უზენაესის გამოცხადებისადმი განვრცობადობის ფონზე დამყარებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური, აგრეთვე სხვა სახის გარდაქმნების და გარდატეხის განხორციელება. თორა იგივე გამოცხადებაა. უზენაესი ყოველ წამს ცხადდება. რწმენა, რეველაციონალური განწყობა ქმნის ზნეობრივ ფაქტორს. ზნეობის ორი წყაროა – ღვთიური და ადამიანური. ანრი ბერგსონს

აქვს მოძღვრება მორალის წარმოშობის ორი წყაროს შესახებ. ორი მორალის შერიგება არ შეიძლება. ეკლესია არ უნდა იყოს გამოყოფილი სახელმწიფოსგან. ხალხი უნდა იცავდეს ღვთაებრივ-ზნეობრივ კატეგორიებს. სიონიზმმა კრახი განიცადა, ის მკვდარია, მისგან მხოლოდ ჩონჩხი დარჩა. მიზეზები მდგომარეობს ებრაელთა საქციელში, მათ ქმედებებში.

- **საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ამას წინათ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელთა მისიის წარმომადგენლებიც კი დააკავეს სასაზღვრო ხაზზე, გაჩხრიკეს და შემდეგ გაათავისუფლეს. ეს უკვე უპრეცედენტო მოქმედება იყო.**
- რუსეთთან საქართველომ უნდა აწარმოოს გონივრული პოლიტიკა, მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკების გზით. მშვიდობა მაინც გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში. უფრო უნდა გააქტიურდნენ გაერო, უშიშროების საბჭო და სხვ.
- **რა აზრისა ბრძანდებით ებრაელ კაცზე?**
- მე ვაშინგტონში ვცხოვრობ მრავალი წელია (1992 წლიდან). მაგრამ მაინც ვაკვირდები ებრაულ საზოგადოებას. მან არ გამოაჩინა კარგი სახე. საზოგადოებაში დგას მორალის პრობლემები. ბიზნესმენები ძირითადად თავიანთ მოგებაზე ფიქრობენ, კაპიტალის შემოტანაზე, სხვადასხვა სფეროში მათ დაბანდებაზე – კი არა. ვთქვათ, რა სურათს ვხედავთ, თუნდაც, თბილისში? ყოველ ნაბიჯზე ბანკები, რესტორნები, კაფეები, კაზინოები... საპატრიარქოს გვერდითაც კი განუთავსებიათ კაზინო „მანგრილა“... განა ეს მკრეხელობა არაა? რაბინებმა მხოლოდ ის კი არ უნდა აღნიშნონ, მე წმინდანი ვარო, არამედ გამუდმებით ილაღადონ მორალზე, ზნეობაზე... იუდაიზმი თავის თავში ჩაიკეტა. კრიტიკულად ვარ განწყობილი... ქართულ-ებრაულმა ურთიერთ-

ბებმა ზოგიერთ ასპექტში პათოლოგიური სახეც კი მიიღო (ამბობენ, დაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო).

რუსთაველის გამზირზე რამდენიმე დღის წინ წიგნები იყო გამოტანილი გასაყიდად. შევიძინე ქართულ ენაზე გამოცემული ადოლფ ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“ („ეინ ამპფ“). თურმე, ნუ იტყვით, ამ წიგნზე დიდი მოთხოვნაა. რას მოასწავებს ეს?! გერმანიაში კი უამრავი წიგნი გამოდის, მიმართული ნაციზმის წინააღმდეგ, ადოლფ ჰიტლერის კრიტიკით, პარადოქსი არაა?! ჰიტლერზე გამოცემული წიგნების რაოდენობა, ალბათ, 10000-ს აღწევს.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ისრაელის გოლანის მაღლობები სცნო, ეხმარება ისრაელს, იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად გამოაცხადა, ლიბერალებს კი ტრამპის გადაგდება სურთ... საშინელება ხდება!

დევრადაციას განიცდის მთელი ევროპა: კორუფციაში ჩაფლობა, სახელმწიფო აპარატის მოშლა, ზნეობრივი გახრწნა, აქედან გამომდინარე ყველა სავალალო შედეგით.

იუდაიზმი ნაზიდა მოსეს წინააღმდეგ, მსხვერპლშენიერვა გაუქმდა. ისრაელმა, როგორც მოციქულმა, ქვეყნებს უნდა გაუნათოს გზა. აშშ-ც იგივე მდგომარეობაშია, როგორც სხვა ქვეყნები. გერმანული კულტურა დაანგრიეს ომის გამო (ომი ხომ ვაზისა და ჩუქურთმის ტირილია?!). ყველაფერი გერმანულ ებრაელთა შთამომავალთა ხელშია.

- **რა არის თქვენი ნაკლი, რასაკვირველია, თუ გაგაჩნიათ იგი.**
- უამრავი ნაკლი გამაჩნია. მაგალითად, მახასიათებს სიჯიუტე, სოციალიზაციის პრობლემები არა მაქვს გადანწყვეტილი. ვარ მორიდებული, ზოგჯერ ადამიანის ეს თვისება მიზნის მისაღწევად არ არის მიზანშეწონილი, გამართლებული.
- **ყველაზე მეტად რომელი დღე დაგამახსოვრდათ ცხოვრებაში?**

- დამამახსოვრდა ის დღე, როდესაც სიხარულით დავტოვე საბჭოთა კავშირი – კომუნიზმის მშენებელი ქვეყანა.
- **გაიხსენეთ, თუ შეიძლება, ბავშვობის ყველაზე ტკბილი მოგონება.**
- ბევრი ტკბილი მოგონება გამომყვა ბავშვობიდან. ჩემთვის განსაკუთრებით ტკბილად მოსაგონარია ცხინვალში გატარებული ბავშვობისა და ყრმობის წლები.
- **რა წარმოადგენს თქვენი უშრეტეი სიმხნევის წყაროს? იქნებ რაიმე განსაკუთრებული რეცეპტიც გააჩნიათ?**
- რასაკვირველია, რწმენა, უპირველეს ყოვლისა, მისტიკური რწმენა წარმოადგენს ჩემი სიმხნევის ძირითად წყაროს.
- **თქვენი ჰობი, ბატონო იცხაკ?**
- ბავშვობიდანვე ჩემი დიდი სიყვარული იყო ფეხბურთი. კარგადაც ვთამაშობდი. ახლაც დიდი გატაცებით ვადევნებ თვალს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების თამაშებს. ახალგაზრდობაში თბილისის “დინამოს“ დიდი ფანი გახლდით. ამჟამად მთელი არსებით ვგულშემმატკივრობ არგენტინის ნაკრებს.
- **როგორია თქვენი ყოველდღიური ყოფა?**
- მე ძირითადად გონებრივი შრომა მიწევს, ამიტომ აუცილებელიცაა და რეგულარულად, ინტენსიურად ვვარჯიშობ კიდეც, მხედველობაში მაქვს სირბილი, ფიზიკულტურული ვარჯიშები...
- **ბატონო იცხაკ, თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვით გვითხარით თქვენი ოჯახის შესახებ.**
- ჩემი ვაჟი – ხაიმი ჰიდრაულიკოსი გახლავთ, ცხოვრობს ისრაელში, ხაიფაში. მას ჰყავს ოჯახი – მეუღლე და ორი შვილი.

- **თუ გქონიათ იმედგაცრუება, რომელმაც მძიმე, ნა-რუშლელი კვალი დატოვა თქვენს სულზე?**
- ადამიანს ყოველთვის უნდა გააჩნდეს თავისი დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ, განზე ვერ იდგები, მიუხედავად შენი პროფესიისა. ასეც მოხდა 1992 წელს, მაშინ მე ვიმყოფებოდი ისრაელში, სახელმწიფომ ძირითადი პოლიტიკური კურსი შეცვალა, დაიწყო კორუფციის ქაობში ჩაფლობა. ამ ვითარებამ ჩემზე მძიმე კვალი დატოვა და შესაბამისად, იმედგაცრუებაც დამეუფლა.
- **ვიციტ, რომ ძალიან კარგი, ძვირფასი მეგობრები გყავდათ.**

- დიახ, ჩემი მეგობრები საუკეთესო ადამიანური თვისებების მატარებელნი იყვნენ, ამავე დროს ნამდვილი პროფესიონალები, მაგალითად, ჩინებული ლიტერატორი, პოეტი, ბრწყინვალე მთარგმნელი, პოლიტიკოსი, „საუკუნის ლეგენდად“ შერაცხული ჯემალ აჯიაშვილი; გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ენაზე კონგენიალური თარგმანის ავტორი ბორის დოვ გაპონოვი; დიდი მხატვარი მიშა ჯანაშვილი...

ამჟამად ვმეგობრობ აშშ-ში მცხოვრებ, კიბერნეტიკის დარგში მოღვაწე დიდ მეცნიერთან – იგორ საფონოვთან და სხვებთან...

- **გიყვართ მეგობრებთან ყოფნა, თუ ამის შესაძლებლობა მოგეცათ?**
- დრო ნამდვილად ბევრი არ მაქვს: დღენიადავ არქივებში ძიება, ბიბლიოთეკებში მუშაობა... რამდენიმე უცხო ენაზე გამოვეცი ბევრი ტომი, ძალიან ბევრს ვმუშაობ...
- **ამბობენ, ყველაზე ცუდი საზოგადოება მარტოობააო. თუ გიყვართ განმარტოება?**
- კი, ძალიან. რასაკვირველია, როცა აზროვნებ, წერ, ხშირად გინევს საკუთარ თავთან განმარტოება.

– **თქვენი აზრით, რისთვის მოდის ამქვეყნად ადამიანი?**

– ადამიანი ქვეყანას ევლინება, რომ იყოს ნამდვილი ადამიანი – კეთილი, მაღალზნეობრივი, ცდილობდეს, აკეთოს მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე.

გავიხსენოთ დიდი დავით წინასწარმეტყველის 21-ე ფსალმუნიდან გამომხობილი ჭეშმარიტება: „ვაკეთოთ კეთილი საქმეები, მივანიჭოთ ერთმანეთს სიხარული“. ყველას გვახსოვდეს, რომ სიკეთისთვის შეიქმნა ადამიანი. ადამიანმა თავისი არსებობა უნდა გაამართლოს სიხალისის შექმნით.

– **თქვენს ცხოვრებაში არსებული ბედნიერი წუთები...**

– ო, ნამდვილად ბევრი ბედნიერი წუთი მაქვს გატარებული ჩემი მეგობრების წრეში.

– **რას უსურვებდით საქართველოს, ისრაელს, მსოფლიოს ხალხებს, ჩვენს, თქვენს, ყველას ოჯახებს?**

– ვუსურვებ, უპირველეს ყოვლისა, მშვიდობას, უღრუბლო ზეცას, კეთილდღეობას, აღმასვლას...

– **გაქვთ იმედი, რომ საქართველო გაბრწყინდება?**

– საქართველომ უნდა გამონახოს თანამშრომლობის გზები, რეზერვები, მხოლოდ რუსეთთან მოლაპარაკების, ცივილური გზებით, არ უნდა დაკარგოს მეზობლად არსებული ბაზარი, განავითაროს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ჩამკვდარია ყველაფერი, გლეხობას უღპება ხილი, ყურძენი...

მასხოვს, როგორი სრული დატვირთვით მუშაობდა მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები: საავტომობილო, საავიაციო, გემთმშენებელი, ელმავალმშენებელი, ჩარხმშენებელი, დაზგათმშენებელი, სახეხი ჩარხების, საკონსერვო ქარხნები, მაუდ-კამვოლის კომბინატი, რამდენიმე საკონდიტრო ფაბრიკა, ძაფსართავი ფაბრიკა, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, ბამბეულის კომბინატი, კერამიკული კომბინატი, მაკარონის ფაბრიკა და სხვ.). მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მსოფლიოს მოწინავე სანარმოთა ნაწარმს... მხოლოდ იმ-

პორტი ვერ ააღორძინებს ქვეყანას... მე ხსნას ვხედავ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაში... ნატომ ყველგან წააგო, 30 წელია, ომობს ავღანეთში, შედეგი? საქართველოს ჩიხიდან გამოიყვანს საკუთარი რეზერვების ამოქმედება.

ულამაზესი, წარმტაცი ქვეყანაა საქართველო: საუკეთესო კლიმატით, მიწით, ჰაერით, წყლით და სხვა რესურსებით ის იმსახურებს საუკეთესო მომავალს, „ერი გულადი, პურადი“ – ბედნიერ ყოფას; ყოველ მნახველს ხომ გულწრფელად აღმოხდება: „საქართველოო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არი?!“

ბ-ნი იცხაკი დაინტერესდა თბილისის ებრაელთა სასაფლაოების მდგომარეობით. ეს სასაფლაოები მატერიალურ-კულტურული ძეგლების ნუსხაშია შეტანილი, აუცილებელი იყო მათი სისტემატიზაცია, რადგან ისრაელიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ებრაელები ვერ პოულობდნენ თავიანთი ნათესავების, ახლობლების, მეგობრების საფლავებს.

დიდი სალოცავის გაბაის, ღირსეული პიროვნების, უდიდესი მოამაგის, მზრუნველი, განათლებული, ენერგიული ხელმძღვანელის, ბ-ნი მერაბ ჩანჩალაშვილის თაოსნობით, აგრეთვე დიდი ენთუზიასტის, თბილისში დაბადებული ახალგაზრდის – სამალოიკოს ძალისხმევით, სასაფლოების სისტემაში მოსაყვანად ძალიან სასარგებლო და საინტერესო პროექტი შემუშავდა და განხორციელდა დამპალოსა და ნავთლულის სასაფლაოებზე.

კლუბ „26 საუკუნის“ ღონისძიებებზე, 2016 წლის 10 ოქტომბერს ქ-ნმა ზაირა დავარაშვილმა, კლუბის სულისჩამდგმელმა და უცვლელმა ხელმძღვანელმა მათ მთელი ებრაული თემის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა.

ამ ინფორმაციამ ბ-ნი იცხაკ დავიდი ძალიან გაახარა.

საინტერესოა ბ-ნი იცხაკის ფენომენი უცხო ენების ფლობასთან დაკავშირებით. როგორც ამბობენ, **„დედაენა არის ენა სულისა, უცხო ენა კი – ენა მესხიერებისა“**. **X საუკუნის ბერი იოანე ზოსიმე გვმოდვრავს, „ყველა ენას ამ ენით (ქართული ენით) ეუწყოს საიდუმლო“-ო.**

ინტელექტი ადამიანის ერთი უდიდესი სიქველეთაგანია. რა კარგად წერდა დიდი კონსტანტინე გამსახურდია; „ეს ცხოვ-



რება მოსაწყენზე მოსაწყენია, თუ ადამიანი არ იწვის რაიმე მა-  
ლალი და ზემატაცი ამბებისათვის.“

თორა ჩვენი სულიერი მოძღვრებაა, ბატონი იცხაკი ბიბლი-  
ის ბრწყინვალე მცოდნეა. მას, ისევე, როგორც ჰაინრიხ ჰაინესს,  
ბიბლია „დიდებულ წიგნად, წიგნთა წიგნად, ებრაელის ჯიბის  
სამშობლოდ“ მიაჩნია.

ებრაელები ვცხოვრობთ საქართველოს ავ-კარგით. ამ  
მსოფლმხედველობას „ვეფხისტყაოსანიც“ გვიყალიბებდა. ჩვენ  
ჩვენი შემეცნებით ქართველები ვართ (რწმენით – იუდეველე-  
ბი, ხოლო ცნობიერებით – ქართველები). ეს ურთიერთობა მარ-  
ტო ისტორია კი არაა, არამედ – ჩვენი სულის, ბიოგრაფიის ნა-  
წილია. კლუბი „26 საუკუნე“ ქართველი და ებრაელი ხალხების  
მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობების სიმბოლოს  
წარმოადგენს.

ქართულ-ებრაული ძმური და მეგობრული ურთიერთობის  
მრავალსაუკუნოვანი, 2600-წლოვანი თანაცხოვრების საიუბი-  
ლეო თარიღთან დაკავშირებით ბ-ნი იცხაკ დავიდი მონაწილე-  
ობდა თბილისში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაში.

– 2014 წელს, ისრაელის დამოუკიდებლობის 66-ე წლის-  
თავთან დაკავშირებით, კლუბ „26 საუკუნის“, ქ-ნი ზაირა  
დავარაშვილის თაოსნობით გამართულ შესანიშნავ შეხვედ-  
რაზე, თბილისის ებრაულ სათემო სახლში მოწვეული ბრძან-  
დებოდი თქვენ, ბ-ნო იცხაკ. თქვენი გამოსვლით კიდევ ერ-  
თხელ დაგვატყვევეთ ქართულ-ებრაული ისტორიის ფურ-  
ცლების გაცოცხლებით, მაგრამ დაგვეუფლა უკმარისობის  
გრძნობა და პროფესორმა ლევან ფრუიძემ გთხოვათ, რომ  
მომავალში კიდევ უფრო ვრცელი ლექციით გვესტუმროთ  
საქართველოში.

ინტერვიუს დასასრულს, ბ-ნ იცხაკს კვლავ მივმართე შე-  
კითხვით:

- ვიცით, რომ საქართველოში გქონდათ მნიშვნელოვა-  
ნი შეხვედრები, გაქვთ საინტერესო სამომავლო გეგ-  
მები. თუ შეიძლება, გავგანდეთ ამის შესახებ.

მონვეული ვიყავი და ვმონანილეობდი საქართველოში ჩატარებულ სემიტოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში;

საინტერესო შეხვედრა და გამოსვლა მქონდა, აგრეთვე, წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში (რექტორი – მამა ადამი – ახალაძე); შეხვედრა მქონდა საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში, რომელიც მშვენივრად არის აღდგენილი, განახლებული და ძვირფასი, ისტორიული, მნიშვნელოვანი ექსპონატებით გამდიდრებული.

ძალიან ნასიამოვნები დაერჩი ჩოხატაურის „შალომ კლუბის“ მუშაობის გაცნობით, რომელიც დააარსა ბ-ნიმა ზაურ ოსეფაიშვილმა და ნაყოფიერად ფუნქციონირებს, უკვე 17 წელია.

შეხვედი გორის საელმწიფო უნივერსიტეტის (რექტორი ბ-ნი გიორგი სოსიაშვილი, იგი მწერალი-აკადემიკოსი გახლავთ), პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მსურს, გამოვცე ფილოსოფიური ლექსების კრებული ესპანურ ენაზე. კრებული გამოიცემა მექსიკაში, ვაშინგტონსა და ბუენოს-აირესში.

ძალიან მიხდა, ვწერო გერმანულ ენაზე – გოეთეს, ნიცშეს, კაფკას, ჰაინეს, რილკეს, შოპენჰუერის, ფროიდის, ბეთჰოვენის ენაზე...

დიდი ლევ ტოლსტოი უმაღლეს შეფასებას აძლევდა ებრაელის რაობას: „ებრაელი კულტურის, თავისუფლების პირველი აღმომჩენია... ის მარადისობის სიმბოლოა... მან პირველმა ამცნო კაცობრიობას სიტყვები ზენაარისა“.

ბ-ნი იცხაკ დავიდი დიდი ქართველი ებრაელია!

მალაღნიჭიერ, დიდბუნებოვან, გულდია, ყურადღებიან, დიდ შემოქმედთან საუბარი ზედმინვენით საინტერესო, სასიამოვნო იყო, არ გვეთმობოდა, გვენანებოდა კიდევ შეხვედრის დამთავრება; საოცრად თავმდაბალ, მოკრძალებულ, არაჩვეულებრივ შემოქმედთან და ადამიანთან ურთიერთობა, რომელიც „თავის მისაგებელს მიაგებს ერს და ქვეყანას“, თითქოს სულიერად გამაღლებს, გამდიდრებს...

წელთა სიმრავლეს გისურვებთ, ბატონო იცხაკ!

ად მერა ვეესრიმ!

გისურვებთ წარმატებებს ყველა თქვენ მიერ წამოწყებული საქმიანობაში! თქვენ ისე უხმაუროდ, მოთმინებით, ლამაზად იღვწით, შეუდარებელია თქვენი შრომა! იღლეგრძელეთ ოჯახთან ერთად!

დალოცვილი იყავით უზენაესისგან! გახსოვდეთ, რომ „აკი, სულს ნეტარება შრომით ეძლევა კიდეც!“ როგორც დიდი დავით გურამიშვილი ამბობდა: „ნეტარ არს, ვინცა ნაყოფი ნაშრომთა თვისთა ქამოსა!“

**ნატელა ნატლიაშვილი – კვინიკაძე**

## **Ицхак Давид – Гордость грузинского еврейства**

### **Резюме**

Ицхак Давид – языковед всемирного уровня; поэт; политик; общественный деятель; политолог (знает 25 иностранных языков); автор множества книг...

В 1996 году был избран иностранным членом Национальной академии наук Грузии.

В 1999 году ему было присвоено звание почетного гражданина Грузии.

Ицхак Давид читает лекции на разных языках в США, России, в странах Кавказа, в университетах средней Азии, Италии, Испании, Тайланда, Австралии и Японии на академических кафедрах, как приглашенный профессор.

Ныне проживает в США. Пишет стихи на грузинском, русском, английском, испанском, арабском и еврейском языках.

Ицхак Давид родился в городе Тбилиси в 1946 году. В 1969г. Окончил Тбилисский государственный университет, факультет вос-

токоведения по семитологии – по специальности арабского и еврейского языков.

С 1972г. по 1992г. жил и работал в Израиле. Вел научно-исследовательскую деятельность, читал лекции сперва в Тель-Авивском, а затем в Иерусалимском университетах. Работал советником председателя правительства Израиля – Ицхака Шамира. С 1992 г. проживает в США, городе Вашингтоне.

В его творчестве большое место занимают: исторические, прозаические, произведения жанра теологии, эссеистики; поэтические произведения, публицистические статьи на разные темы и др.

**გამოჩენილი ქართველი ებრაელები  
ილიკო ევრაემაჰვილი**

საქართველოს მთავრობამ 30-იან წლებში ებრაელთა შორის სიღარიბის აღმოსაფხვრელად და მათი შრომითი საქმიანობაში ჩასაბმელად შექმნა ორგანიზაციები: ოზეტი და ლარიბკომი. ოზეტი ებრაელთა მიწაზე დასაქმებას უწყობდა ხელს, ხოლო ლარიბკომი კი წარმოებებში დასაქმებას. ამ ორგანიზაციის წიაღში წარმოიშვენ წარმოების და მართვის ისეთი კორიფეები, როგორიც იყვნენ რაფაელ ელიგულაშვილი, რომელმაც მიღწია საქართველოს ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობას და საგარეო ვაჭრობას განაგებდა. ილია ილიას ძე ელაშვილი, საქართველოს „ობუგტორგის“ ხელმძღვანელი, ილიკო (ილია) სოლომონის ძე ევრემაშვილი, პროფესიით ტექნოლოგი და სარენაო არტელი „წითელი აბაშის“ თავმჯდომარე. მან ააყვავა და გაანაშენიანა აბაშა და სუჯუნის რაიონი, მაგრამ დაბეზღების მსხვერპლი კოლონიაში გაამწესეს. იმ ბრალდებით, რითიც ილიკო გაასამართლეს 1949 წელის 60-იან წლებში, ხრუშოვის დროს, როდესაც შეიქმნა სოვნარხოვზები, ასეთ პიროვნებებს აჯილდოვებდნენ. დღესაც, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, აბაშის რაიონის და განსაკუთრებით, სუჯუნის მოსახლეობა, მოწინებით იგონებს ამ პიროვნებას და ლეგენდად ქცეულ მის საქმიანობას გადასცემენ ახალ თაობას. სუჯუნის ცენტრალური ქუჩა, დღესაც, ატარებს ილიკო ევრემაშვილის სახელს. ცნობილმა ჟურნალისტმა, ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და შესანიშნავმა პიროვნებამ ქალბატონმა ლეილა ნოდია მას შესანიშნავი ნაშრომი „სუჯუნა და სუჯუნელი ებრაელები“ მიუძღვნა, სადაც ოსტატურად არის მოცემული ის სურათი, თუ როგორი იყო სუჯუნა ილიკომდე, მის დროს და მისი დაჭერის შემდეგ, რა

ბედი ენათ იმ ნაწარმოებებს. ეს ყველაფერი მოთხრობილია პირველი პირებისაგან.

შესანიშნავად აღწერს ილიკოს პიროვნებას და მის საქმიანობას ფრიად საპატივცემლო პიროვნება, ანგანსვენებული, ბატონი ბესიკ ომიხელაშვილი, რომელიც თავად იყო ბატონი ილიკოს მოღვაწეობის მომსწრე. ყველა მოგონებები ერთად რომ გადმოვცეთ, ალბათ, ერთი ზედმეტი ნიგნი დაიბეჭდებოდა, ამიტომ შემოვიფარგლებით რამდენიმე მოგონებით. ასევე, მოვიყვანთ ბატონ ილიკოზე და მის მეუღლე ქალბატონ ლუბაზე დანერილ ლექსს, რომლის ავტორი გახლავთ სუჯუნაში დაბადებული პიროვნება, სუჯუნის ამაგდარის, ხახამ იცხაკ თარონიშვილის ვაჟი, იოსებ (იოსკა) თარონიშვილი. ბატონი იოსკა ფრიად ერუდირებული, განათლებული პიროვნება იყო, რომელიც უზომოდ იყო შეყვარებული სუჯუნაზე.



იოსკა თარონიშვილი

# ქველი და ახ

სუჯუნა ძველ ღროს განთქმული იყო. სილიაღით და კარგი სახელით, როგორც გრძნეული-სასწაულებით, იხიბლებოდა მისი მნახველი. გაღმა-გამოღმა ღარად გასდევდა დიდი შარა-გზა-შორს მიმავალი. ამ ორ გზას შუა ჩაუდოდა მოუსვენარი ცუდღარის წყალი. მარჯვნივ და მარცხნივ მშვენიერად იდგა. ჩამწყვრივებული ოდა სახლები. ადვისის ვახით გადახლართული. აივნიები და ბაღჩა-ბაღები. ცოტა ზევით შიგ ბაზარს ეძახდნენ-ღუქანი-ღუქანს ებჯინებოდა. შვირფას საქონლით პირამდე სავსე-ნოქარი-ნოქარს ეჯიბრებოდა. რას ისურვებდით? აქ სავსე იყო. ფარჩა თუ შალი. უამრავ ღამაზ სამაულებით იწყობებოდა მყიდველის თვალი. დიდ ვაჭარი კი - თავის ღუქნის წინ კრილოსანით ხელში ჯდებოდა. თუ იხელთებდა დირსეულ მუშტარს. მაშინ ნოქარებსაც ეხმარებოდა. კლას-კიდებდნენ საქმე ეჭირათ. პოლშა. რუსეთში. თუ საფრანგეთში. თავის საქონელს ყველგან გზავნიდნენ: აქ-სამეგრელო. იქ-იმერეთში. სუჯუნა იყო ვაჭრობის ცენტრი. რა გინდა იქ რომ არ საღებოდა. ისეთი კარგი ალებ-მიცემა დიდ ქალაქებსაც შემურდებოდა! საზღვარგარეთაც იგზავნებოდა მათთვის საქირი. რაც გვქონდა კარგი. თხილი. კაკალი. წაბლ-ნიგვზის ხე-ტყე

და აბრეშუმის ძვირფასი ბარკი ეკლესიის წინ-მდინარის პირას ბუღარი იყო გაშენებული. დღეზე ხიდად გადებულიყო სამრეკლოს კოშკი ცალ აზილული. ეკლესიას კი-გათლილი ქვები ქვევიდან ასდევს ფენა-ფენებად. გუმბათის თავზე მაღალი ჯვარი ოთხი კუთხიდან მოსრანს მშვენიერად. ას წლიან ცაცხვებს. მხარ და მხარ ედგა თვალუწვდენელი. თეთრი ქაღრები. რიონისპირა სოფლებს ესმოდათ. როცა რეკავდა კოშკზე ზარები. ასეთი იყო უწინ სუჯუნა. დრომ თან წაიღო. რაც იყო ძველი. მინც შემორჩა სუჯუნას კიდევ უბრწყინვალესი თავის სახელი.

## თავი II

გამორჩა კაცი. საქმის მოთავე. ერის დუხჭირში გამოწრთობილი. მან აღადგინა ისევ სუჯუნა. ილია მისი ნაქნარი. წვლილი. მისი ჩამოსვლით. ნგრევას გაღურჩა. კვლავ რიგში ჩაადგა ძველი ღუქნები. ახალ-ახალი წარმოებები წამოიზარდნენ. ვით სოკოები. ღამაზი გახდა ისევ სუჯუნა. ქალაქად იქცა. იცვალა ფერი. წარმოებების გუგუნ-გრიალში ხარობდა ქართველ-ებრეულთ ერის! იქ ლაკო-კრასკის. დიდი ქარხანა. აქეთ ჯეჯიმის. საქსოვ-საგრები. ჯარას სიმღერით დასტრიალებდნენ

# საალი სუჯუნა

ლოყებწითელ ქალებრიხით.  
სუჯუნას მან რომ დღე მოუვლინა.  
ჯერ კაცის თვალსაც არ დაეჩახა.  
ჩაბნელებული, ძველი სიძლები.  
ელექტრონებით გააჩახახა.  
ეფრემაშვილის ხელების მადლი.  
აბაშას მეტი ძალით მიიერგო.  
იმდენი ძალა, ღონე და აზრი.  
სიღან შესწევდა ვერვის გაეგო.  
"ემბტესის" უკან "ცხების" მწყერიგი.  
რიგ - რიგად იყო მწყობრში ჩამდგარი.  
ღვარძლით აღესიღმა უმადურებმა.  
არ დაუფასეს, ნაამაგარი.  
მთ განიზრახეს ილიკოსათვის  
საბედისწერო ან კისის სროლა.  
უნდა - არ უნდა, არტელის თანხით  
აა შეეიო რუსული სკოლა.  
საბედისწერო ილიკოსათვის  
აღმოჩნდა მაშინ სკოლის აგება.  
საქმე რომ მიღდა - გადააბრალებს  
არვის ისურვა მართლის გაგება.  
აბაშის მთელი მესვეურები  
კარიერისთვის იყვნენ დამფრთხვალნი.  
მავე ილიკოს გადააბრალებს  
კარვის სანაცვლოდ - მიუტყეს ავი.  
გადივიწყეს მისი ნაქნარი,  
მისი სიკეთე, მისი ხელ - ხეავი.  
ხმა არ გაიღეს მის დასაცავად,  
"ციხე" ლაგერში", რის უკრეს თავი.  
ბედის დაცინებად ყველა იმ პირებს.  
ჩამოურიგეს ოქროს ვარსკვლავი  
დიდ ხანას წუხდა მისი დაჭერით  
მისგან ვინც იყო დაეაღიბო.  
ევრე დაჯარგეთ ის ბრძენი კაცი  
უფალში, შრომაში თავდალებული

თავი | | |

მისი დაჯარგით სუჯუნის თემში  
ჩაწყდა სიცოცხლე - ლილდ მქეტურე.  
კვლე მიიკტა წარმოებები.  
მაე - ბნელ დამეში, ჩუმად მთელმარე!  
ხის შენობები, ქარმა ჩაღუწა.  
წვიმისგან იწყო ნელ - ნელა ღობა.  
აკაცის დიდი შენობა, თორემ  
ებლა სუჯუნა ველარ იცნობა.  
ხო შტარაის სახოს მსოფლიო იცნობს -  
უნიკალური მისი შენობა.  
დღეს ჩაითვლება ძველის სიმბოლოდ.  
აბალოან შერწყმა - შედღუღებულად.  
ბუმბერაზული ეს ნაგებობა;  
აკაცის სახელს, შარად ატარებს.  
რამდენ პატარას გულში ჩაიკრავს.  
რამდენ მოსწავლეს გაუღებს კარებს.  
წინ - შესასვლელთან, მარჯვენე და მარცხენე,  
ქვის უდიდესი ღომი სდარავიბს.  
ნიჭის, ცოდნისა და სწავლის კერაა.  
ახალ თაობას, ფოლადლად აწრთობს!  
შე სუჯუნაში დანადგებული -  
იმ შენობაში მეც ვარ აღზრდილი.  
იქ დაეკბუქდი: შევიცან თავი.  
ბევრი ვიგემე: მწარიც და ტბილი  
მუდამ ვიგონებ: აღმზრდელ ქვეყანას,  
მისთვის ფიქრებში, მიტყდება ძილი.  
ნებით დაესახლი: აღთქმულ მიწაზე,  
ძალით არა ვარ გაღმობეწილი!  
ორივე მხარე, ძალიან მიყვარს;  
ორივე უმეცს ამ გულში წილი.  
ჩემს მასწავლებლებს, ქებით ვიხსენებ.  
ჩემი ერის ვარ ნამდვილი შვილი!





- 1- Երևանի քաղաքում, ոչ ոք չի տեսնում դրոշմը,
- 2- Երևանի քաղաքում և Երևանի շրջանում:
- 3- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 4- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 5- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 6- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 7- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 8- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 9- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 10- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 11- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 12- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 13- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 14- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 15- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 16- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 17- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 18- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 19- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:
- 20- Երևանի քաղաքում, Երևանի շրջանում:

Ուստի մասնավորապես 1921 թ. 10.16.  
 ուստի մասնավորապես 1921 թ. 10.16.

## მამას მემოზარი

ილიკო ეფრემაშვილი იყო მამარჩემის – ბადა სამსონის ძე მაკალათიას უახლოესი მეგობარი. მასთან „წითელ არტელში“ მუშაობდა საწყობის გამგედ, ბუღალტრად და ბოლოს მოადგილედ. მის ოჯახში მამარჩემი ხშირი სტუმარი იყო, მისი შვილები მერი და თამარი კი ჩემი მერხის ამხანაგები იყვნენ. მეც მათი ოჯახის ხშირი სტუმარი ვიყავი. ძალიან ლამაზი გოგოები იყვნენ. როდესაც მამარჩემი 1941 წელს მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს და ჩვენ ოთხი ბავშვი უპატრონოდ დავრჩით, ილიკო ეფრემაშვილი იყო ჩვენი ხელის შემწყობი. გვიგზავნიდა პურს, შაქარს უფასოდ, დახმარების სახით ფულსაც გვაძლევდა.

მასხოვს, როდესაც პატარა ვიყავი, სუჯუნის ცენტრში ილიკო ეფრემაშვილი რომ გამოჩნდებოდა, ყველა გაჭირვებული უკან მიყვებოდა. იგი მოუბრუნდებოდა ხალხს და ეკითხებოდა, ვის რა უჭირდა, ყველას დააკმაყოფილებდა ხოლმე. ძალიან მინდა, ბევრი რამ გავიგო ილიკოს შვილებზე, მათ ოჯახებზე. მაინტერესებს, სად ცხოვრობენ, რომელ ქალაქში, რას საქმიანობენ.

*სიუზანა მაკალათია*

## უდიდესი მცენახი

ილია სოლომონის ძე ეფრემაშვილი დაიბადა 1904 წელს. იგი იყო უმაღლესი ტექნოლოგიური განათლებით. ფლობდა ქიმიურ, ხე-ტყის, კვების მრეწველობის ყველა დარგის ტექნოლოგიას. იყო კულტურული და ყოველმხრივ ერუდირებული პიროვნება, დაჯილდოებული უმაღლესი ადამიანური თვისებებით. მის პიროვნებაში არ იყო ბოროტების იოტისოდენა ნატამალიც კი.

სუჯუნაში ებრაელები ცხოვრობდნენ მდინარე ცუფლარის ორივე ნაპირზე. თვით ილია ეფრემაშვილი ცხოვრობდა ცუფლარის მარჯვენა ნაპირზე, ჰქონდა ხუთთვალისანი ხის ოდა სახლი ბელეტაჟზე. ჰყავდა 6 შვილი, ერთი ვაჟი და ხუთი ქალიშვილი.

ილია ეფრემაშვილი იყო სარენაო არტელ „წითელი მღებავის“ თავმჯდომარე. მისი არტელის საამქროები განლაგებული იყო როგორც სუჯუნაში, ისე აბაშაში. დღეს რომ აბაშის საქსოვ ფაბრიკას უკავია სამეურნეო ეზო, ის ეფრემაშვილის არტელისა იყო. არტელში

6. ლ. ნოღია, სუჯუნა და სუჯუნელი ებრაელები

გახსნილი იყო: ლაკოქიმიური, რეზინის ნაკეთობათა, ტრიკოტაჟის სამკერვალო, ხე-ტყის გადამამუშავებელი, სამჭედლო სახელოსნოები, კვების ობიექტები და სხვ.

ილია ეფრემაშვილს ჰქონდა მუშაობის თავისებური სტილი. იგი დილით უთენია დგებოდა, თავისი სამგზავრო ეტლით შემოივლიდა სუჯუნის და აბაშის ობიექტებს, შუადღის შესვენების საათებში ატარებდა საამქროების ხელმძღვანელთა თათბირებს.

იგი იყო მეცენატი, დიდი ქველმოქმედი და კეთილ საქმეთა მკეთებელი. გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანთა მშველელი. 1947 წელს რაიონის ერთ-ერთ აქტივისტს მცირეწლოვანი შვილი გარდაეცვალა. რაიკომის პირველმა მდივანმა სევერიან ებრალიძემ გამოიძახა ბატონი ილიკო ეფრემაშვილი და სთხოვა, მატერიალური დახმარება გაენია დამწუხრებული ოჯახისათვის. თურმე ეფრემაშვილს უკვე გაეგზავნა გარდაცვლილის ოჯახისათვის ყველაფერი, რაც საჭირო იყო.

თვითონ ილიკო ეფრემაშვილი და მისი ოჯახი არ ცხოვრობდნენ რაიმე ფუფუნებით და განცხრობით. მაგრამ ტოტალიტარულმა რეჟიმმა არ დაინდო კეთილი ადამიანი. 1949-1950 წლებში რაიონი შეატალიზმის რესტრუქციის მცდელობა აბაშაში. ცეკას ბიუროზე გარიცხეს პარტიიდან და იქვე აიყვანეს პატიმრობაში. ამ ამბის შემდეგ ეფრემაშვილის ოჯახი სოხუმში გადასახლდა. ერთადერთი ვაჟიშვილი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ჩემთვის უცნობია, თუ რა გზით წარიმართა მისი ქალიშვილების ბედი, დიდად ვარ დაინტერესებული მათ შთამომავალთა ყოფით.

*თედორე ალექსანდრეს ძე თალია*

## ნათელი კვალი

განსაკუთრებული ინტერესით გავეცანი დიდი ისრაელის, ბატონი ილიკო ეფრემაშვილის შესახებ გამოქვეყნებულ მოგონებებს.

მე სუჯუნაში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი ბავშვობა დავმთხვა სწორედ ბატონ ილიკოს სუჯუნაში, საერთოდ აბაშაში მოღვაწეობის პერიოდს. ჩვენ ერთმანეთის მეზობლად ვცხოვრობდით. უდიდესი მეგობრები იყვნენ მამაჩემი კალე გამზარდია, ილიკო ეფრემაშვილი, ნესტორ ნოდია, მიხა კუცია, ამბროსი ნოდია, ვალოდია ჭუბაბრია, იუ-

ლო ჭანტურია. ისინი ერთად წყვეტდნენ ხოლმე სოფლის საჭირბოროტო საკითხებს.

ვიდრე ილიკო ეფრემაშვილი სუჯუნაში იყო, სუჯუნა ევროპულ ქალაქს გაედა. ყველაფერი სასიკეთო, თუ რამ გაკეთდა აბაშაში და სუჯუნაში, ილიკოს დამსახურება იყო.

იმ პერიოდში სუჯუნა აყვავდა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. გაიხსნა უამრავი საამქრო, უცხოეთიდან ჩამოტანილი საუკეთესო აგურით აიგო უღამაზესი შენობები (რომლებიც, საუბედუროდ, დღეს გაპარტახებულია). კლუბში იმართებოდა კულტურული ღონისძიებები, განათდა სოფელი, მოსახლეობას სამუშაო ჰქონდა, შემოსავალიც კარგი იყო და ხალხიც უზომოდ ემაღლიერებოდა ბატონ ილიკოს.

მე ილიკოს შვილებთან ერთად ვიზრდებოდი. მათი ოჯახის შაბათის მეცეცხლურიც ხშირად ვიყავი. ამას დაუზარებლად და ხალისით ვაკეთებდი. დროისათვის რომ არ გადამეცდინა, ან არ დამიწყებოდა, მთელი საათით ადრე ვემზადებოდი. ბატონ ილიკოს ამაზე ყოველთვის ელიმებოდა და კმაყოფილი რჩებოდა.

ბესო მიხელაშვილსაც კარგად ვიცნობდი. მის მოგონებაში იმდენად ვრცლად არის მოთხრობილი ილიკო ეფრემაშვილის მიერ აბაშაში და სუჯუნაში გაკეთებულ საქმეებზე, მე ხელახალი ჩამოთვლით თავს არ შეგანწყენო. ერთს დაგამატებ მხოლოდ. ილიკო რომ დაიჭირეს, „მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“, როგორც ეს ილია ჭავჭავაძეზე თქვა ვალაკტიონმა. სუჯუნის აღმასვლაც მაშინ დამთავრდა, როცა ილიკო წავიდა სუჯუნიდან.

თხოვთმეტიოდე წლის ბიჭი ვიყავი, თბილისში სასწავლებლად რომ ჩამოვედი. ყოველთვის მაინტერესებდა, რას იტყოდნენ ახალს ილიკოს შესახებ. 1951 წელს, როდესაც ილიკო ეფრემაშვილი კოლონიაში გარდაიცვალა და ახლობლებმა „მოიპარეს“, იმ ვინრო წრეში, ვინც კოლონიის კარებთან ელოდებოდა, მეც ვიყავი. ვიდრე არ გაასვენეს თბილისიდან, ცხედარს არ მოვცილებივარ. მერე გავიგე, რომ სოხუმში დაუკრძალავთ.

დრო უძღურია, წაშალოს ის ნათელი კვალი, სუჯუნას და აბაშას რომ დაამჩნია დიდმა ილიკო ეფრემაშვილმა. სუჯუნელები ყოველთვის ვალში ვიქნებოთ მისი ხსოვნის წინაშე. ჩემი სურვილია, იმ ქუჩას, სადაც ილიკო ეფრემაშვილი ცხოვრობდა, მისი სახელი ეწოდოს.

**პეტრე გამზარდია**



ანყდა მუშახელი სამტრედიიდან, კულაშიდან, სენაკიდან, ბან-  
ძიდან დაზუდიდიდანაც კი.

სულ ახლახან ისრაელში გადრდაიცვალა ილიკოს ქალიშვი-  
ლი, დინა ეფრემაშვილი-მიხელაშვილი, რომელმაც ყველა მის  
ხელთ არსებული მასალა მომანოდა. ასევე, დიდი მადლობა  
ქალბატონ ლეილა ნოდიას მისი წიგნიდან გამოყენებული მასა-  
ლებსთვის.

**Jacob Ofir**

**Iliko Epremashvili**

The government of Georgia created organizations to eradicate poverty among Jews and to involve them in labor activities in 30s: Ozet and Gribkomi. Ozet promoted employment of Jews on the land, and Gribkomi – employment in manufacturing. In the bosom of this organization were originated such leading figures of manufacturing and management as: Rapael Eligulashvili, who reached the position of the first deputy of Minister of commerce of Georgia and he managed foreign trade. Iliа Elashvili, patronymic Iliа, head of “Obuvtorg” of Georgia, Iliko (Iliа) Epremashvili, patronymic Solomon, technologist with profession and chairperson of trade co-operative “Red Abasha”. He made Abasha prosperous and overbuilt Abasha and District of Saunje, but he became a victim of denunciation and was tortured in the colony. With that charge, for what Iliko was convicted in 1949-1960, during Khrushov’s period, when Sovnarkhozes were created, people like him were awarded. Even today, more than half a century later, population of Abasha district and especially Sujuni, remember this person with respect and tell stories about his efforts, making him a legend to for the new generation. Central street of Sujun, bears the name of Iliko Eprema-  
shvili. The famous journalist, one of the founders of the Georgian-Jewish friendship and excellent person. Mrs. Leila Nodia dedicated an excellent work to him “Sujuna and Sujunian Jewish”, where his image is portrayed with much respect. The way Sujuna used to be before Iliko, during the

time of his activity and after his arrest. What happened to these works. All this is narrated from the first persons.

A remarkable man, Mr. Besiko Mikhelashvili, who was a contemporary of Mr. Iliko. These memories would have been sufficient to write more than one books.

From these memories it becomes clear what a remarkable man Iliko Epremashvili was. He was endowed with the greatest organizational talent and at the same time, he was gracious to poor people, workers employed in his enterprises, who were working with earning and received very good salaries for that time. Due to the fact, Abasha and Sujuna were invaded by workers from Samtredia, Kulashi, Senaki, Bandza and even Zugdidi.

Recently, the daughter of Iliko, Dina Epremashvili-Mikhelashvili, died in Israel, who provided me with all the materials she possessed, I also express gratitude to Mrs. Leila Nodia for using materials from her book.



# გახსენება

ლუბა ნათლიაშვილი

**მიმძრალი? ო, არა! –**

**მხოლოდ კაშკაშა უკვდავების შარავანდედი!!!**

*ჭადრაკში მსოფლიოს პირველი ჩემპიონის – ვილჰელმ სტეინიცის გარდაცვალებიდან 120 წლისთავის გამო*

მე ერთი ფიქრი მანუხებს მარად,  
ვაითუ, მოვკვდე ლოგინში წყნარად!  
ვაითუ, მოვკვდე ნელ-ნელა ნაზად,  
მჭკნარი, უსულო ყვავილის მსგავსად.  
და, როგორც კრთება სანთელი მკრთალი,  
მეც ისე გავქრე, დავხუჭო თვალი.  
არა, ასეთი არ მსურს სიკვდილი,  
მე მინდა, მოვკვდე ბრძოლით, ჭიდილით!  
მსურს, მუხა ვიყო შეურიგალი,  
მაპობდეს მეხი, მგლეჯდეს გრიგალი,  
მთიდან კლდედ მოვწყდე უზარმაზარი,  
რომ ცა და მიწა შეეძრა ზანზარით!

**შანდორ პეტაფი – დიდი უნგრელი პოეტი.**

„მე არა ვარ ჭადრაკის ისტორიკოსი. მე თვითონ ჭადრაკის ისტორიის ის ნატეხი ვარ, რომელსაც გვერდს ვერავინ ჩაუვლის. ჩემს შესახებ მე არა, მაგრამ მწამს, რომ ვინმე აუცილებლად დანერს!“

ასე გულზვიადად, ქედმაღლურად, მე ვიტყოდი, იმპოზანტურად განაცხადა 60 წლის გენიალურმა მოჭადრაკემ, ჭადრაკში მსოფლიოს პირველმა ჩემპიონმა ვილჰელმ სტეინიცმა 1896 წელს, თავის განმარტოებულ სიკვდილამდე 4 წლით ადრე.



### ვილჰელმ სტეინიცი – 1866 წელი

ამბობდა რა დამსახურებული სიამაყით გამსჭვალულ ამ სიტყვებს, ბუნებრივია, რომ მას არ შეეძლო, არ გაეხსენებინა თავისი მძიმე და რთული, უსაზღვროდ სევდიანი, მაგრამ უჩვეულოდ ხმაურიანი, ცეცხლოვანი, ვულკანივით მფეთქავი და მგზნებარე საჭადრაკო ცხოვრების თითქმის 40 წელინადი.

სტეინიცი მართალი აღმოჩნდა: ის ყოველთვის იყო და არის უდიდესი და განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი და მასზე მრავალჯერ დაინერება მომავალშიც!

საჭადრაკო ლიტერატურის ავტორებმა საუცხოოდ იცოდნენ, რომ საქმე ეხებოდა არა მხოლოდ მოჭადრაკეს, არამედ გენიალურ მოაზროვნეს ჭადრაკის სფეროში, დაუცხრომელი ჟინის და დაუმრეტელი ენერგიით აღსავსე, მიზანსწრაფულ და აქტიურ მაძიებელს, შეუპოვარ და მოუსვენარ ნოვატორს, არაორდინარულ პიროვნებას.

სტეინიციის გარდაცვალების შემდეგ მისი ხსოვნის პატივსაცემად სხვადასხვა სახელმწიფომ ამ დიდი ადამიანის გამოსახულებით საფოსტო მარკები გამოუშვა. აღნიშვნის ღირსია,

ასევე, ის ფაქტი, რომ ავსტრიელმა მწერალმა ჟაკ ხანაკმა სტეინიცს მიუძღვნა გერმანულ ენაზე წიგნი „ჭადრაკის მიქელანჯელო“, რომელშიც იგი შედარებულია გენიალურ იტალიელ მოქანდაკეს, არქიტექტორს, ფერმწერსა და პოეტს მიქელანჯელო ბუონაროტის. პრალაში კარლის უნივერსიტეტის კედელზე 2004 წლიდან განთავსებულია ვილჰელმის მემორიალური დაფა მისი სახის რელიეფური გამოსახულებით.

ვილჰელმ სტეინიცი დაიბადა 1836 წლის 14 მაისს ლარბეებრაულ ოჯახში, რომელიც ცხოვრობდა ყოფილი ავსტრია-უნგრეთის მონარქიის ქალაქ პრალის ერთ-ერთ კვარტალში.

მამამისის შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ მას ეკავა თემში ძალიან დაბალი თანამდებობა, მუშაობდა უბრალო გამყიდველად რკინა-კავეულის მაღაზიაში და ჰყავდა 13 შვილი, რომელთაგან ყველაზე უმცროსი სწორედ ვილჰელმი იყო. სტეინიცების ოჯახი თითქმის ლატაკად ითვლებოდა, თუმცა პრალის 10 000-მცხოვრებთან თემში ბევრი შეძლებულიც ვერა.

იმ დროს პრალა თავისი მნიშვნელობით პრაქტიკულად მე-3 იყო ზემოალნიშნულ მონარქიაში, ხოლო იქაური ებრაული თემი კი – ერთ-ერთი უძველესი მთელ ევროპაში, დიდი ხნის ისტორიული ტრადიციით და მემკვიდრეობით მიღებული უმდიდრესი, მრავალფეროვანი კულტურით, მეცნიერებით და ხელოვნებით.

ებრაულ გეტოში ძველი დროიდან პრესტიჟულ, ელიტარულ და ღირსეულ საქმიანობად ძირითადად ჭადრაკი ითვლებოდა. ვილჰელმს უკვე 12 წლის ასაკიდან იცნობდნენ, როგორც ნიჭიერ, გამორჩეულ მოთამაშეს. ბავშვობისას სტეინიცი გატაცებული იყო მათემატიკით, ხოლო 1858 წელს მან დატოვა პრალა და ქალაქ ვენის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა. იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდნენ პროფესიონალი მოჭადრაკეები. ამ თამაშისკენ რეალურად მხოლოდ მოყვარულები, ძირითადად, მატერიალურად უზრუნველყოფილი ადამიანები ისწრაფვოდნენ.

ევროპის საჭადრაკო ელიტის წარმომადგენლები – უმაღლესი კლასის მოჭადრაკენი: ანდერსონი, სტაუნტონი და სხვე-

ბი – საარსებო სახსრებს სხვა წყაროებიდან იღებდნენ. იმის წარმოდგენა, რომ ჭადრაკის თამაში შეიძლებოდა გამხდარიყო შემოსავლიანი სპორტი, იმ დროისთვის აბსოლუტური უაზრობა იყო.

სტეინინცისთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ, როგორადაც არ უნდა წარმართულიყო მისი ცხოვრება, მხოლოდ და მხოლოდ ჭადრაკი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი სიცოცხლის მთავარი მამოძრავებელი ძალა, არსებობის ძირითადი აზრი და შინაარსი, შემოქმედებითი ცხოვრების ქვაკუთხედი.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი მდიდარი სულიერი საზრდო და ძლიერი მუხტი ეძლეოდა მის პატივმოყვარეობას, როდესაც იგი, ღარიბი სტუდენტი, საჭადრაკო დაფასთან უპირისპირდებოდა ფინანსურად ძლიერ, წელგამართულ ადამიანებს, რომელთაც თვალსაჩინო საზოგადოებრივი მდგომარეობა ეკავათ.

საჭადრაკო დაფასთან ჯერ კიდევ პირველი სვლის წინ ის თანასწორად გრძნობდა თავს ყველასთან: პოლკოვნიკთან და ლუდის მხარშავთან, იურისტთან და ბანკირთან, ხოლო მე-3, მე-4, მე-5 და შემდგომ სვლებზე კი ცხადად ხედავდა, რომ ის თავის პარტნიორზე მნიშვნელოვნად უფრო ჭკვიანია და გონებამახვილი, გაცილებით უფრო ღრმად აზროვნებს, უფრო გაბედულად და ოპერატიულად ითვლის, ოპტიმალურად აწყობს კომბინაციებს და წარმოადგენს უდავოდ დიდ ფასეულობას, ვიდრე მეტოქე.

ვილჰელმი ხედავდა, რომ პარტნიორი-მოწინააღმდეგეც გრძნობდა ამას და ბრწყინვალედ ესმოდა ყოველივე ეს. და მაშინ სტეინინცს ეუფლებოდა უპირატესობის გრძნობა, ესოდენ ჩვეული და ნაცნობი ყოველი გამორჩეული მოჭადრაკისათვის.

საჭადრაკო უპირატესობის აღმოჩენამ სტეინინცს ადრეულ წლებშივე ჩაუნერგა აგრესიული, შეიძლება ითქვას, ამბიციური, საკუთარი ღირსების გადაჭარბებული შეფასების გრძნობა.



### ვ. სტეინიცი საჭადრაკო დაფასთან – 1883 წელი

ამაში ერთხელ დარწმუნება მოუხდა სტეინიციის ერთ-ერთ სოლიდურ, მნიშვნელოვან პარტნიორს, ქალაქ ვენის უდიდეს, უმდიდრეს ებრაელ ბანკირს გუსტავ ეპშტეინს საჭადრაკო დაფასთან კაფეში, სადაც ის ეთამაშებოდა პარტიას არასასიამოვნოდ, ლატაკურად ჩაცმულ სტუდენტს – სტეინიცის. ვილჰელმი, რომელმაც მოწინააღმდეგე წინასწარ მისცა მხედარი, როგორღაც თითქოს დიდხანს დაფიქრდა სვლაზე.

„ნუ, ნუ!“ – წარბშეჭმუხვით, უკმაყოფილოდ წარმოთქვა და თან გააგრძელა ბანკირმა.

სტუდენტი ვილჰელმი დაფიქრდა იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იყო და შემდეგ გააკეთა სვლა. ახლა კი უკვე ბანკირს მოუხდა დაფიქრება.

„ნუ, ნუ!“ – გაუმეორა სტეინიციმა ბანკირს მისივე სიტყვები.

მხოლოდ ამ ორად ორმა სიტყვამ ბანკირი ეპშტეინი სრულიად გამოიყვანა წყობიდან.

ბრაზმორეულ ბანკირს აღმური მოეკიდა სახეზე, რადგან იგი თითქმის 10 წლით უფროსი იყო სტეინიციზე. ყველაფერს

რომ თავი დავანებოთ, სტეინიციის უტაქტო, არაკორექტულ საქციელს ემატებოდა კიდევ ისიც, რომ ეპშტეინი პარტიას აგებდა.

„ახალგაზრდავ, ნუ გავინყდებათ, რომ თქვენ ეთამაშებით ბანკირს – ბატონ ეპშტეინს!“ რისხვით ანთებული თვალებით და იმპერატიული ტონით მედიდურად მისცა შენიშვნა სტუდენტს ეპშტეინმა.

სტეინიციმა უკან არ დაიხია, პირიქით, ქედმაღლურად და თავდაჯერებულად უპასუხა: „საზოგადოდ, ამიერიდან იცოდეთ! საჭადრაკო დაფასთან ერთადერთი ეპშტეინი ყოველთვის ვარ მარტო მე და მხოლოდ და მხოლოდ მე!“

1858-61 წლებში ვილჰელმი ქალაქ ვენის ერთ-ერთ კაფეში საჭადრაკო ოთახის მუდმივი სტუმარი იყო და მონაწილეობდა ვენელი მოჭადრაკეების 3 ტურნირში, რომელიც ავსტრიის დედაქალაქში გაიმართა. 1859 წელს მან მე-3 ადგილი დაიკავა, 1860 წელს მე-2, ხოლო 1861 წელს ისე მოიპოვა პირველობა, რომ 31 პარტიიდან 30 მოიგო. 1862 წელს 26 წლის ვილჰელმი ვენიდან გაიგზავნა ლონდონში მე-2 საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე (პირველი ტურნირი 1851 წელს ჩატარდა).

სწორედ ამ მინვევისას სტეინიციმა რეალურად დაინახა, რომ მის წინ სრულიად ახალი პერსპექტივა, ახალი ბრწყინვალე ფურცელი გადაიშალა: ვენა ნამდვილად ვერ შეედრებოდა ლონდონს საჭადრაკო ტრიუმფების მხრივ! 1863-65 წლებში სტეინიციმა სასტიკად დაამარცხა იმდროინდელი ინგლისის თვალსაჩინო მოჭადრაკეები: ბლეკბერნი და მონგრედიენი, დიკონი და გრინი. მის გამარჯვებას მონგრედიენზე კი ეწოდა „ავსტრიელი ჩემპიონის ბრილიანტი.“ სტეინიციის აზროვნებაში და ცნობიერებაში დამკვიდრდა ურყევი რწმენა იმისა, რომ მხოლოდ ჭადრაკი უნდა ყოფილიყო მომავალშიც მთელი მისი შეგნებული ცხოვრების ძირითადი ღერძი, კვინტესენცია, ჭადრაკი უნდა ყოფილიყო მისი შემოქმედებითი ცხოვრების უტყუარი, შეუცვლელი იდეალური კომპასი, გზის მანათობელი ჩირალდანი.

ვილჰელმ სტეინიცს ღვთისგან ნაბოძები და ბუნებისაგან მომადლებული ჰქონდა უნიკალური, მათემატიკური ნიჭი და ეს ფაქტორი, მნიშვნელოვნად განაპირობებდა იმას, რომ იგი ჭადრაკს შეუდარებლად, აკადემიურ დონეზე თამაშობდა.

მე-18 საუკუნის გენიალური მათემატიკოსი კარლ ფრიდრიხ გაუსი მის უდიდებულესობას – მათემატიკას უწოდებდა „მეუფეს ყველა მეცნიერების“. ეს ავტორიტეტული, კომპეტენტური შეფასებაა. და, თუ მათემატიკა მეუფეა ყველა მეცნიერების, მაღალინტელექტუალური ფენომენი – ჭადრაკი წარმოადგენს მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის ჰარმონიულ, იდეალურ შერწყმას...

1866 წლის სექტემბერში სტეინიცმა მიიღო იმ დროს ფრიად სახელმძღვანელო ინგლისელი მოჭადრაკის – ბერდის გამონგევა. სტეინიცმა მოიგო მატჩი, თანაც რა შედეგით! 7 გამარჯვება, 5 დამარცხება, 5 ყაიმი. შემდეგ მოდის პრაქტიკული თამაშების და პრაქტიკულ დამარცხებათა 6 წელი (1867-1873): 1867 წელს ფრეზერთან მეორე მატჩში 7 მოგება, 1 დამარცხება, 1 ყაიმი. 1872 წლის ლონდონის ტურნირი: აქ იყო ტრიუმფით მოპოვებული პირველი პრიზი – 6 მოგება 6 პარტიიდან, გამარჯვება ბლეკბერნზე და იმ მომენტში დანიშნურებულ და აღიარებულ ისტორიულ სერიოზულ და საუცხოო ოპონენტზე – ცუკერტორტზე. ცუკერტორტთან მატჩში დაფიქსირდა 7 მოგება, 1 დამარცხება და 4 ყაიმი.



**სურათზე მარცხნივ შავი ფიგურებით – ცუკერტორტი, მარჯვნივ თეთრი ფიგურებით – სტეინიც**

ამ დროს საჭადრაკო ცის კაბადონზე გამოჩნდა კაშკაშა ვარსკვლავი, საჭადრაკო ნიჭის კიდევ ერთი ბრწყინვალე გამოსხივება – პოლ მორფი, ადვოკატი ნიუ ორლეანიდან. მორფის ტრიუმფი ევროპაში დაიწყო ლონდონიდან, სადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1851 წელს ორგანიზებული იყო ჭადრაკის ისტორიაში პირველი საერთაშორისო ტურნირი. სტიენიციუს ერთხელაც არ ჰქონია ვიზუალური, უშუალო კონტაქტი მორფისთან, სამაგიეროდ, საათობით ატარებდა დროს საჭადრაკო დაფასთან მორფის პარტიების შესასწავლად. პრაქტიკულად, ამ პარტიების დისტანციურად გარჩევის პროცესში მას ჰყავდა მხოლოდ ვირტუალური პარტნიორი და მეტოქე. საჭადრაკო დუელი წარმოსახვით დონეზე ტარდებოდა. სტიენიციუს ესმოდა, რომ ჭადრაკის თამაშის ხელოვნების კანონებისა და პრინციპების დაუფლება მდგომარეობდა მხოლოდ „მორფის საიდუმლოების“ ამოცნობაში, რომელიც დაეხმარებოდა მას ამ პიროვნების იდუმალებით მოცულ საჭადრაკო სამყაროში შესაღწევად. „მორფის საიდუმლოება“ ასოცირდებოდა პოზიციური და კომბინაციური თამაშის შერწყმასთან, ე. ი. გულისხმობდა იდეალური სინთეზის საფუძველზე 2 საჭადრაკო მიმართულების ოპტიმალურ ინტეგრაციას, საუცხოო კონგლომერატის შექმნას. ასეთი საუკეთესო შეთავსების შესაძლებლობებს და აუცილებლობებს, საბედნიეროდ, პირველად ჩასწვდა სტიენიციუსი, რომელმაც მოახდინა მორფის თამაშის ძირითადი პრინციპების მეცნიერულ დონეზე ფორმულირება და დიდებული ინტერპრეტაცია ყოველი მოჭადრაკისთვის. 1873 წელს სტიენიციუს შესთავაზეს სპორტული გაზეთის *The Field*-ის საჭადრაკო განყოფილების ხელმძღვანელობა. სტიენიციუსის კომენტარები შემოქმედებით-პოლემიკური ხასიათისა იყო. იგი პირდაპირ ამბობდა ყველაფერს, რისი თქმაც სურდა, მაგრამ არა აწონ-დანონვით და ღრმა, წინდახედული გააზრებით, არამედ მკვეთრად და უხეშად, იმპულსურად და აფეთქებით, ამბიციურად და აგრესიულად. სტიენიციუს ვერ აანალიზებდა, რომ საჭირო იყო ურთიერთობის ეტიკეტის ნორმების დაცვა.



რა შესანიშნავად წერდა ბრწყინვალე თურქი მწერალი ნაზიმ ჰიქმეთი:

„მე თუ არ დავინვი,  
შენ თუ არ დაინვი,  
ჩვენ თუ არ დავინვით,  
ბნელს რა გაანათებს?!“

ამ სტრიქონებით პოეტურად, ხატოვნად, მაგრამ მკაფიო-დაა გამოხატული ღირსეული ადამიანის ცხოვრებისეული მისია, რომ თავდადებათ იბრძოლოს მაღალი იდეალებისათვის და გაუნათოს ადამიანებს გზა ბედნიერი მომავლისაკენ.

დიდი ფრანგი მწერალი, მორალისტი, ფილოსოფოსი ანტუან სენტ-ეკზიუპერი ამბობდა: „ყველაზე დიდი და ნამდვილი ფუფუნება – ეს არის ადამიანებს შორის ურთიერთობის ფუფუნება“.

მსგავსი ფუფუნება აბსოლუტურად უცხო იყო სტეინიცისათვის. თავისი აზრის გამოთქმის, ანალიზისა და შეფასების მომენტში მისთვის კორექტულობა და ცივილიზებული ფორმა, დელიკატურობა სრულიად უცხო იყო, ამიტომ საკმარისად უჭირდა ურთიერთობა კოლეგებთან. წინდაუხედავი, არაშორსმჭვრეტელური მოქმედება ვილჰელმს ბუმერანგივით დაუბრუნდა და მკვეთრად აირეკლა მის ცხოვრებაში: ჰოფერისა და ცუკერტორტის მატჩის შემდეგ სტეინიცის The Field-ს ჩამოაშორეს და მისი საჭადრაკო რუბრიკის რედაქტორობა ცუკერტორტსა და ჰოფერს მიანდეს. ეკონომიკური თვალსაზრისით, ვილჰელმისათვის ეს ფაქტი საგანგაშო გამოდგა. ცოლ-შვილის პატრონს ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა, რადგან არსებობის ძირითადი წყარო შეუწყდა. 1883 წელს სტეინიცმა დატოვა ინგლისი, სადაც 20 წელიწადი იცხოვრა. იმავე წლის 14 ოქტომბერს ნიუ იორკში ჩავიდა. იქ მან აირჩია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მანჰეტენის საჭადრაკო კლუბის მფარველობის ქვეშ. პირველმა 2-კვირიანმა საგასტროლო მოგზაურობამ ამერიკაში ვილჰელმს 200 დოლარი მოუტანა. მას ნორმალური არსებობის საშუალება მიეცა და იმდენად კმაყოფილი და იმედიანი შეიქმნა, რომ დაუყოვნებლივ შეიტანა განცხადე-

ბა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობაზე. მისი გამოსვლები განსაკუთრებით საინტერესო და შთამბეჭდავი იყო 1884-85 წლებში. ერთდროული თამაშის სეანსებში ის მუდმივად იგებდა თითქმის ყველა პარტიას. ასეთივე შედეგები ჰქონდა „ბრმა“ სეანსებში. თავისი ამერიკული ცხოვრების პირველი დღეებიდანვე სტეინიცი ცდილობდა, რომ შეხვედროდა ღირსეულ და სახელმძღვანელო, ელიტარულ და წარჩინებულ პიროვნებას, სერიოზულ ოპონენტს – ცუკერტორტს და მიზანს მიაღწია კიდეც. იოჰან გერმან ცუკერტორტი (1842-1888) გერმანელი ებრაელი მოჭადრაკე-პროფესიონალი, ლონდონში სტეინიციის მსგავსად, 1872 წელს დასახლდა.

1886 წლის 11 იანვარს დღის 2 საათზე ისინი დასხდნენ ერთმანეთის პირისპირ ისტორიულ საჭადრაკო მაგიდასთან. მიუხედავად იმისა, რომ ცუკერტორტი თითოეულ სვლაზე 1 წუთს ხარჯავდა, ხოლო სტეინიცი კი 4 წუთს ანდომებდა, გაიმარჯვა მაინც სტეინიცი.

მატჩის შედეგმა ცუკერტორტს ისეთი სულიერი, მორალური და ფსიქიკური ტრავმა მიაყენა, რომ მან ვეღარ შეძლო მდგომარეობიდან გამოსვლა და 2 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

გერმანიის ქალაქ ხერფორდის კლუბმა სტეინიცის გამარჯვება გულმხურვალედ და ზარ-ზეიმით მიულოცა. ტრიუმფი მნიშვნელოვანი იყო, ფაქტობრივად, იმით, რომ ვილჰელმმა მატჩი არა მარტო მოიგო, არამედ უკანასკნელი 15 პარტიიდან მხოლოდ 1 წააგო. სტეინიცი ოფიციალურად აღიარებულ იქნა ჭადრაკში მსოფლიოს პირველ ჩემპიონად.

ვილჰელმს მრავალი სულიერი ტკივილი ჰქონდა გადატანილი, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულმა და შორს გატყორცნილმა ელვარე სახელმა, ცხადია, სულიერი ჭრილობები მოუშუშა და უდიდესი ბედნიერება მოუტანა. დიადი გამარჯვება არა მარტო მისი უზადლო ტალანტისა და მგზნებარე მოღვაწეობის ტრიუმფი, არამედ, პირველ რიგში, ღვთის ჯილდო და მაღლი იყო!

1889 წელს კუბის ქალაქ ჰავანაში მდიდარმა კლუბმა სტეინიცი შესთავაზა, რომ თვითონ დაესახელებინა მომდევნო მატ-

ჩის ღირსეული მონინააღმდეგე, რათა პრესტიჟული, მაღალ-პროფესიონალური საჭადრაკო დუელი შემდგარიყო. სტეინიცმა რეალური და ლოგიკური, რეზონული არჩევანი გააკეთა სახელმძღვანელო რუს მოჭადრაკე ჩიგორინზე, რომელსაც ვილჰელმი კომბინაციური მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლად თვლიდა.

ვენისა და ლონდონის ტურნირებში ჩიგორინთან შავი საჭადრაკო ფიგურებით თამაშისას სტეინიცმა ნააგო ევანსის გამბიტიტ ნათამაშები პარტიები. მე-6 სვლაზე ვილჰელმმა იპოვა შავებისათვის ახალი თეორიული ვარიანტი, რისი აპრობირებაც მოახერხა პრაქტიკულ ასპექტში ჰავანაში ასპარეზობისას.

ჩიგორინმა 9-ჯერ შესთავაზა სტეინიცს „ევანსის გამბიტი“. სტეინიცმა სიჯიუტით 9-ჯერვე გააკეთა სულ ერთი და იგივე, თავისი მე-6 სვლა და 5 პარტია ნააგო, 3 მოიგო და 1 ყაიმით დაამთავრა. სტეინიცმა ჩიგორინთან პაექრობისას თეთრებით თამაშობდა „ცუქერტორტის დებიუტს“. ამ დახურულ დებიუტში სტეინიცმა განსაკუთრებით ძლიერი იყო და წარმატებულმა შედეგმაც არ დააყოვნა, 8 პარტიიდან 7 მოიგო და 1 ნააგო.

1891 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა ვილჰელმის ჟურნალმა „International Chess Magazine“-მა, რომელიც 1885 წლიდან გამოდიოდა. ჟურნალის გამოცემა შეწყდა ფინანსური მიზეზების გამო. 1892 წელს სტეინიცს ცხოვრების ქარიშხალმა, ჟამთა სიავემ უდიდესი უბედურება დაატეხა თავს: დროის მცირე მონაკვეთში გარდაეცვალა მეუღლე და 18 წლის ქალიშვილი.

ცოლ-შვილის დაღუპვიდან რამდენიმე წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი დაბრუნდა ნიუ იორკში, სადაც მას დაეწყო ძლიერი ნერვული დეპრესია: ეჩვენებოდა, თითქოს მისი სხეულიდან გადმოდიოდა ელექტრული დენი, რომელიც ფიგურებს გადააადგილებდა საჭადრაკო დაფაზე.

1900 წლის 11 თებერვალს ვილჰელმი სულით ავადმყოფთა კლინიკაში მოათავსეს.

სიცოცხლის ბოლო დღეებში ავადმყოფ სტეინიცს საშინლად აწამებდა ფსიქიკური სტრესი, სულიერი სკეპსისი, ფსი-

ქოლოგიური კრიზისი, რის შედეგადაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკული და საბედისწერო აღმოჩნდა.

1900 წლის 12 აგვისტოს კი უკვე დადგა ტრაგიკული აღსასრული.

მეტეორმა ჩაიქროლა.

ქარიშხალი ჩადგა.

ფარდა დაეშვა.

დაიხურა წიგნი გენიალური მოჭადრაკის ისტორიისა.

ამბობენ, გედი სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ – სიკვდილის წინ მღერისო და იქნებ, სიმბოლურად სწორედ გედის სიმღერა და რექვიემი იყო ის მომენტი, როდესაც სტეინიცმა მხოლოდ ერთხელ, როდესაც მისი გულის ფეთქვა წყდება, საჭადრაკო დაფა უსაზღვრო თავდავიწყებით მკერდზე მიიკრა.

ჩიგორინმა სიკვდილის წინ დაფა და ფიგურები ღუმელში შეყარა, სტეინიცმა კი სიცოცხლე თითქოს თავის პოსტზე დაამთავრა.

ღიას, სტეინიცი ისე ნავიდა ამ ქვეყნიდან, რომ იგი არ განშორებია საჭადრაკო დაფას, როგორც უნიკალურ ფასეულობას, უნმინდეს და საკრალურ, უძვირფასეს რელიქვიას თავისი ესოდენ მშფოთვარე, ესოდენ მღელვარე, ქარიშხალივით ბობოქარი გარდასული ცხოვრებისა.

**Luba Natliashvili**

**Flickering? Oh no! – Only the glitter  
of immortal the crown!!!  
On the 120<sup>th</sup> anniversary of the death  
of world champion In chess Wilhelm Steinitz**

**Summary**

**Wilhelm Steinitz** (born May 14, 1836, Prague, Bohemia, Austrian Empire [now in Czech Republic] – died August 12, 1900, Wards Island, New York, U.S.), Austrian-American chess master who is considered to have

been the world champion longer than any other player, winning the championship in 1866 from Adolf Anderssen (although the first official claim to hold the title was not made until 1886) and losing it in 1894 to Emanuel Lasker.

Steinitz learned to play chess from a schoolmate when he was about 12 years old. In 1858 he entered the Polytechnic Institute in Vienna, but he soon dropped out of school and occupied himself with chess full-time. In 1862 he represented Austria in his first national tournament. Later that year he moved to England, and in 1883 he moved to the United States, where he was finally defeated by Lasker.

Morphy's eventual successor, Wilhelm Steinitz, reigned as world champion until 1894, when he was 58. The Prague-born Steinitz managed to retain his superiority for so long because he developed new principles of the middlegame, particularly in closed or semiclosed...

A superb defensive player, particularly in his later years, he sought to systematize chess and devoted much time and effort to arguing his theories. Following his defeat by Lasker, Steinitz suffered a nervous breakdown and was hospitalized in Moscow. He recovered for a time but fell ill again and died a pauper.

#### **სურათების აღწერილობა:**

**სურ. 1.** საფოსტო მარკა ვ.სტეინიცის პორტრეტით;

**სურ. 2.** საფოსტო მარკა ვ. სტეინიცისა და ჭადრაკის


**ფიგურების გამოსახულებით;**

**სურ. 3.** სტეინიცის მემორიალური დაფა.


**სურ. 4.** სტეინიცისადმი მიძღვნილი წიგნის გარეკანი.




სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

# ასალი ნიგნი

გურამ პაატაშვილი

აზრთა კრებული

„მაესტროს აზრთა სამყარო“

გამოიცა აკადემიკოს გურამ პაატაშვილის „ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლების“ პირველი და მეორე ნაწილი. ნიგნში ასახულია გამოჩენილი შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის, კომპოზიტორის, მეცნიერისა და პუბლიცისტის, საერთაშორისო პრემიების ლაურეატის გურამ პაატაშვილის მოღვაწეობა და შემოქმედებითი გზა. წარმოდგენილია მისი აზრთა კრებული „მაესტროს აზრთა სამყარო“. ნიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის. გთავაზობთ ნაწყვეტს ნიგნის მეორე ნაწილიდან „მაესტროს აზრთა სამყარო“.

- ეროვნული კულტურა სიამაყეა. ეს არის სულიერების ტაძარი.
- ხელისუფლის უზენაესი სიკეთე და სიდიადე მისი სამართლიანობაა. ხალხის კეთილდღეობა ხელისუფლების ვალდებულებაა.
- სამწუხაროა, ვერ მიიღო ის, რაც გსურს. შეუძლებელია, გასურდეს ის, რაც არ იცი.
- პოლიტიკოსს პრინციპები უნდა გააჩნდეს, მაგრამ პოლიტიკას, რომ გაჰყვე პრინციპებს უნდა უღალატო.
- ძნელია, დაამარცხო ისეთი ხალხი, რომელიც პატივს მიაგებს საკუთარ ქვეყანას, მის ისტორიასა და კულტურას.
- სამყარო ემყარება ნიგნთა ნიგნის სიბრძნეს, სიყვარულს, სამართლიანობას, ქველმოქმედებას, ისტორიულ მეხსიერებასა და ნიჭიერებას.
- სახელმწიფო ძლიერია, როდესაც ხალხს ხელისუფლების სწამს.

- ადამიანს ხიბლავს ის, რაშიც მისი იდეალი ვლინდება.
- ყველა ადამიანი როდია ქველმოქმედი, ვინც ქველმოქმედებას ჩადის. ქველმოქმედია ის, ვისთვისაც საქციელის ეს წესი მისი ხასიათის თვისებაა.
- ოჯახი დედის გარეშე იგივეა, რაც ადამიანი გულის გარეშე.
- გამარჯვებული ხალხი იმედგაცრუებისას მორიგი თავგადასავლებისაკენ მიილტვის.
- უფულობა ეს თავის ტკივილია, პატარა ფული ეს წუხილია, დიდი ფული ეს პოლიტიკაა, ძალიან დიდი ფული კი სევდანარევი ბედნიერებაა.
- მნიფე ხილი პირველად ღორისაა, ხიდან რომ ჩამოვარდება, იმწამსვე მიირბენს და შეჭამს.
- უნმინდური სინმინდეებს ეტმასნება, ლაჩარი კი გმირთა სახელებს ხოლმე, რათა თავიანთი არარაობა შენიღბონ.
- ზოგჯერ მცირერიცხოვანი ჩაგრული ერი კაცობრიობას უფრო მეტ გენიალურ ადამიანებს მოუვლენს, რომლებიც უდიდეს წვლილს შეიტანენ ცივილიზაციის განვითარებაში, ვიდრე მრავალრიცხოვანი ერები, ასეთი გენიოსები განადიდებენ საკუთარ ერს და სხვა ერების და მთელი კაცობრიობის წმინდანებად და მშვენებად იქცევიან.
- სისულელე და სიბრძნე, რა თქმა უნდა, ღვთიური საჩუქარია, მაგრამ ხომ არ შეიძლება პირველი ნაბოძები საჩუქრით ასე უსასრულოდ სარგებლობა?
- დღეს, როგორც არასდროს, სუყველა სკამის ძიებაშია. ცენტრალურ მოედანზე და ქუჩებში და ყველგან, სადაც სავარძლებში მოკალათებული გამოჩენილი მოღვაწეების ძეგლები დგას, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა და თვალყურის მიდევნება. გამორიცხული არ არის, ერთხელ დილით აღმოჩნდეს ძეგლი სავარძლის გარეშე, ხოლო სავარძლის გარეშე დარჩენილმა ძეგლმა მოკურცხლოს და თავს უშველოს, ცოდვას განერიდოს. ასეთი მოვლენების დროს წამყვანი თეატრების სცენაზე



„ჩვენი დროის გმირის“ წარმოდგენები მქუხარე აპლო-დისმენტებით მიმდინარეობს. პრემიერაზე მთავარ როლს დიდი წარმატებებით ასრულებენ კვაჭი კვაჭანტირაძე, ოსტაპ ბენდერი, ჯაყო, კისა ვარაბიანინოვი. მაგრამ, მთავარი თეატრი იქვეა, რომლის სცენაზე არნახული წარმატებით, ანშლაგებით მიმდინარეობს განახლებული სპექტაკლის „ჩვენი დროის გმირის – ყვარყვარეს“ პრემიერა. ძველი წარმოდგენის ახალი ინტერპრეტაციით განხორციელებამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

- ყოველთვის ასე იყო. თუ რაიმეს გაკეთება არ შეიძლება, ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა გაკეთდეს, ოღონდ ფარულად. ასეთი მენტალობის ადამიანებისადმი, სამწუხაროდ, დემოკრატიაც უძლური აღმოჩნდა.
- თეატრი თავისებური სხეულია, სპექტაკლი კი გული, სცენა დაბადების ადგილია, სადაც ახალი როლი, წარმოდგენა და მასთან ერთად მაყურებლის ცოცხალი რეაქციაც იბადება, რასაც ურთიერთკავშირი, სიცოცხლე და ბედნიერება ჰქვია.
- შემოქმედის შინაგანი სამყარო სულის სიმფონიაა.
- ერი ერთობის იდეით ინარჩუნებს და გადაირჩენს თავს.
- ნიჭიერები თავის ეპოქას აშენებენ, უნიჭონი კი ნგრევით თავის ეპოქას ქმნიან.
- ზოგიერთი პოლიტიკოსი უბრალოდ „სხვაგან მოხვდა“. იცის, რომ სხვაგან ხვდება და მაინც განაგრძობს რეკვას.
- მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა ყველა ადამიანს აკისრია. იმის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ ამას მათ მაგივრად სხვა გააკეთებს.
- მუსიკის, სიტყვისა და ფერის ზემოქმედების ძალა შეუდარებელი და უსაზღვროა, ის მთელ სამყაროს, ყველას და ყველაფრის გამგებელია, აზრთა და სულთა მპყრობელია.
- ადამიანი, უპირველესად, სულიერი არსებაა და მან თვითონვე უნდა გააცნობიეროს, რომ სულის მდგომარეობა, ეს არის ცხოვრების გზის არჩევანი და მისი კონსტიტუცია.

- ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ზოგჯერ თვალის დახამხამებაზე უმალ იცვლება არსებული. უცებ ძლიერმა ქარმა დაუბერა და ქალაქში სანიშნებს და მაჩვენებლებს მიმართულება შეუცვალა. თოჯინების თეატრი მთავრობის სასახლეზე მიანიშნებს, ბაზარი – საარჩევნო უბნებზე, საპარიკმახერო – სამართალდამცავ ორგანოებზე, ცირკი – პარლამენტზე, ფილარმონია კი – ყრუ-მუნჯთა საზოგადოებაზე. რას იტყვის მომავალი თაობა ასეთ უმსგავსოებაზე? ერთმა ღვთისნიერმა მოინდომა მაჩვენებლების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, ხალხმა არ დაანება, გააპანდურა. და ყველა თავის კონცერტს აგრძელებს....
- როდესაც სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე ერთხელ მაინც არასწორ ნოტს ააჟღერებს ვიოლინო, ფლეიტა ან ვილოჩელო..., ყურთასმენას ჭრის არასწორად გაჟღერებული ხმოვანება. საინტერესოა, როგორი მდგომარეობა აქვს მთავრობას სმენის მხრივ? სამთავრობო ორკესტრი ხშირად აჟღერებს არასწორ ნოტებს, ყველა ამჩნევს, ხელისუფლება კი რატომღაც არ რეაგირებს. იქნებ, პარტიტურა სხვა არის? შესაძლოა, ორანჟირება და გაორკესტრებაც ნაცოდვილარია? იქნებ, დირიჟორი და ორკესტრანტიბია შესაცვლელი? გამუდმებით კაკაფონიის მოსმენა ხომ აუტანელია.
- შემოქმედი უნდა ხედავდეს იმას, რასაც სხვები ვერ ამჩნევენ.
- ცხოვრება გრძელდება, სანამ იბრძვი. და კვდება, როდესაც ბრძოლა მთავრდება, რადგან ყოველივე ცოცხალი ბრძოლის შედეგია და ბრძოლის გარეშე ცხოვრება მოსაწყენია.
- პოეზიისა და მუსიკის თანხვედრა ხელოვნების ზეიმია. ეს საგანძური ერთმანეთს ძალას მატებს, რომელთა შესაძლებლობანი ამოუნურავია.

- როგორც არ უნდა ენადოს, ადამიანი წარსულში ვერ დაბრუნდება და რომ დაბრუნდეს, მაინც ვერ შეცვლის.
- ჩვენ ცხოვრებაში იმდენი რამ მოაკვარინჩხალეს სულელებმა, რომ მათი ძეგლები ცენტრალურ მოედანზე უნდა იყოს წამოჭიმული. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ამბობენ, რომ სულელები აღარ არიან, უკვე მოჭკვიანებულან. მითუმეტეს, ურიგო არ იქნება, დაწესდეს სახალხო ზეიმი „მოჭკვიანებული სულელების დღე“ ომახიანი დევიზით „ჩვენ სულ ყველა მოჭკვიანებული სულელები ვართ“. გაიმართოს ფესტივალები და მიენიჭოთ სპეციალური პრემიები „სუპერმოჭკვიანებული სულელი“, „ოქროს მოჭკვიანებული სულელი“, მომხიბლავი მოჭკვიანებული სულელი“ და ა.შ. უსურვოთ ახალი შემოქმედებითი წარმატებები ცხოვრებასა და საქმიანობაში. ნება დაერთოთ არჩევნებში მონაწილეობის და არა მხოლოდ ხმის მიცემით, არამედ თავინთი კანდიდატების წარმოდგენითაც. ტელევიზიებში მომზადდეს თოქ-შოუ „ყოველმხრივ განსაკუთრებული მოჭკვიანებული სულელი“ ფართო წრის მონაწილეობით. ქვეყანაც აშენებულა, მაგრამ რატომღაც არავის შურს. რატომ?
- სიბერე ეს ის მდგომარეობაა, როცა ლამაზმანს სიბრძნის გარდა, სხვა ვერაფრით ვერ მოხიბლავ.
- შენი ადგილი ცხოვრებში მხოლოდ შენია, მაგრამ უნდა შეგეძლოს მისი მოპოვება.
- თუ არქიტექტურა თავისებური მდგრადი მუსიკაა, მაშინ თანამედროვე არქიტექტურა თავისუფალი იმპროვიზაციაა.
- შემოქმედი ადამიანი ხშირად მარტოხელაა, ის თავის შემოქმედებაზე დაქორწინებული.
- ხელოვნებას ძალუძს შეცვალოს ადამიანის დამოკიდებულება საკუთარ თავსა და მთელ სამყაროს შორის.
- თეატრის კულისებს მიღმა დაფარული საინტერესო სამყაროა, რაც იქ ხდება თავისებური თეატრია, გარედან ცოტა ჩანს, ბევრი კი გასაიდუმლოებულია.

- ყველაზე საუკეთესო და საამური ბავშვების ღიღინია.
- ჭკვიანი პოლიტიკოსი ის კი არ არის, ვინც დაპირებებს იძლევა და დროულად ასრულებს, არამედ ის, ვინც პირობას იძლევა და დროს არ აზუსტებს.
- საყვარელი ადამიანის გვერდით ყვავილები არასოდეს ჭკნებიან.
- ადამიანს ნუ დააკარგვინებ ცხოვრებისადმი ინტერესს, ნუ აიძულებ, გახდეს გულგრილი, თორემ მას უკან ვეღარ დაიბრუნებ.
- როდესაც დიპლომატური არხები მუშაობს, ხმამაღალი განცხადებები სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია.
- ბოროტი ადამიანები მარტივად არ კვდებიან. წარსულს, ანმეოს და მომავალსაც აუგად მოიხსენიებენ.
- ყოველი შემოქმედი თავისი დროის კატეგორიებით უნდა განსაჯო.
- ხელისუფალს ოდნავ მაინც უნდა უყვარდეს თავისი ხალხი და ქვეყანა, სახელმწიფოებრივად უნდა აზროვნებდეს, რათა რაიმე სიკეთე შემატოს ხალხს.
- უცხო ადამიანში რაიმე კეთილ თვისებას თუ შეამჩნევ, შენიანად მიგაჩნია, როგორც მონათესავე სულს ისე აღიქვამ.
- ხვალ რომ არ იტირო, ამისთვის დღეს უნდა იფიქრო. ფიქრს კი გონიერება სჭირდება. ყოველთვის სხვათა შემყურე ხელმოცარულნი არიან. მედროვე სკამის მონები ქვეყანას მტრობენ, ერთმანეთს სპობენ, სხვებს კი ლაქუციით თავს ევლებიან. ზოგიერთმა საკუთარი თავი რომ შეიცნოს, ურიგო არ იქნება ზოგჯერ სარკეში ჩაიხედოს....
- უმწეო ოჯახის შვილები სხვა ბავშვებთან შედარებით უფრო დიდები არიან. ცხოვრებამ აიძულა, მაღლე გაზრდილიყვნენ. გაჭირვებაში მყოფო ბავშვების ბედზე ნუხილი, კაცობრიობის უპირველესი ზრუნვის მიზეზი უნდა იყოს.

- ღირსეული, უკომპრომისო და საკუთარი ხელწერის მქონე შემოქმედნი ყოველთვის თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ და არიან.
- ყოველი ადამიანი თავისი ცხოვრების წესით ეხმიანება სამყაროს. სამშობლოსა და ხალხის უანგარო მსახური სიკეთის ქმნის პროცესია.
- აღიარება დიდი მნიშვნელობის მოვლენაა. თუმცა გააჩნია, ვინ გცნობს დიდ პიროვნებად, მოღვაწედ. ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია, ვინ გაღიარებს, ნათესავეები და ცოლ-შვილი? უნიგნურთა ბრბო თუ ფართო საზოგადოება და ქვეყანა? გუშინდელი ჩანჩალ-ჩანჩურები დღეს ჭკუას ასწავლიან ხალხს. მთავრობა თავისი ჯინჯილოსანი ტაკიმასხარების გარემოცვაშია. ვარსკვლავთცვენას ბოლო არ უჩანს. ყოველ ნაბიჯზე ჩამესმის „ბედნიერი ხალხის“ კაკაფონია: ახლა ჩვენი დროა... შენ დაუკარ, ჩვენი ტაშ-ფანდურის დრო დადგა... შემთხვევით, დროებით აღზევებულების გეშინოდეთ ხალხო! კიდევ კარგი, აქა-იქ ნიჭი ღირსება, იმედის ნაპერწკალი კვლავინდებურად ღვივის...
- შემოქმედება და მეცნიერება სიკეთის უმაღლესი გამოვლინებაა.
- საკმარისი არ არის, იყო არსება ან სუბიექტი. უმთავრესია იყო პიროვნება. არსება და სუბიექტი მხოლოდ საკუთარი თავის რჩენასა და კეთილდღეობაზეა ორიენტირებული, პიროვნება კი თავის გონებასა და ენერგიას საქვეყნო საქმეებსა და ხალხის კეთილდღეობას ახმარს.
- ადამიანების უმრავლესობას ცხოვრებაში ყველაფერი საუკეთესო ერთბაშად უნდა.
- წაგებულ ომში გამარჯვებული ხალხის იმიჯის მორგება მკრეხელობაა.
- ხილული წარმატება ხშირად უხილავი ძალისხმევით მიიღწევა.

- გაჭირვება ხალხს სისასტიკეს ასწავლის, ხშირად დაუნდობლები ხდებიან.
- როცა არაფერი გაგაჩნია, ოცნებალა გრჩება. ოცნებას კაცი არ მოუკლავს. მაშ, იოცნებეთ, ოცნება ხომ უფასოა. რა გაენყოფა, ოცნება შესაძლოა, შემთხვევით ან საერთოდ არ განხორციელდეს. ამიტომაც უწოდებენ მას ოცნებას. რაც ხორციელდება, იმას რეალობა ჰქვია.
- ვნება შემოქმედებით პროცესშია, ტკბობა კი ქმნილების შემდეგ.
- შური, ბოღმა და გაუტანლობა ცუდი მრჩეველია. ეს არის გზა არსაით.
- როდესაც გაიძახიან ვაშენებთ ახალ ქვეყანას, რომლის მსგავსი ადრე არასოდეს ყოფილა, ხომ შეიძლება ის ვინმეს არ მოეწონოს? ხომ არ შეიძლება ადამიანებს ჰქონდეთ კოლექტიური აზროვნება და გემოვნება?
- ჭეშმარიტი შემოქმედი და მეცნიერი ის პიროვნებაა, რომელიც თავის დროის მთელ ეპოქას წარმოაჩენს.
- კაცუნა, ქონდრის კაცი, ტანმორჩილი, ნახევარი კაცი არც იქით არის, არც აქეთ, არც კაცია, არც სხვა რაიმე. მის კაცობას ვერ გაიგებ, ვერ იგრძნობ, ვერც მიხვდები. არც გაჭირვებაში გარგია და არც ლხინში. მლიქვნელი, გაიძვერა და ტაკიმასხარაც არის. ხან ჭკვიანური სახის გამომეტყველებით, სერიოზული მზერით დინჯად მოძრაობს, ცდილობს, არ გაიღიმოს, ხან კი ყურებამდე კბილებდაკრეჭილი, მუხლებზე ხოხვით ფეხქვეშ ეფონება საჭირო პერსონებს. ვერაგი და დაუნდობელია, მოსაჩვენებლად კი საცოდავი და მიუსაფარი. კაცუნას ტანი პატარა აქვს, ზოგჯერ შეიძლება სიმალეც არ აკლდეს, მაგრამ ქონდრის კაცის დამახასიათებელი ტანი კი არ არის, მისი სულია.
- შემოქმედის ქმნილება ხან ელვარეა, ხალასი, ხან ბობოქარი, მოვარდნილი შმაგი, ხანაც ნაზი, მშვიდი. მის ყოველ ქმნილებაში შეიგრძნობ და ისმენ ცხოვრების

რიტმს, დაძაბულ მაჯის ცემას, სუნთქვას, დიდებულ პოეზიას და მუსიკალურ ჰანგებს, ფერთა სიმფონიას.

- მუსიკის ღვთიურ სამყაროში მხოლოდ ღმერთები მღერიან.
- კლასიკური მუსიკა აყვანილი უნდა იყოს ადამიანების აზროვნების უმაღლეს საფეხურზე. მუსიკა შესისხლხორცებული უნდა იყოს მათ ყოფაში, როგორც თანმდევი და აუცილებელი სულიერი საკვები.
- ქვეყანა, რომლის დიდი ნაწილი კვლავ ფეოდალიზმის ხანაში ცხოვრობს, დემოკრატიული ვერ იქნება.
- ერის საბოლოოდ დამარცხება მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა სულიერებასა და რელიგიას გამოაცლი და ურწმუნო არსებად გადააქცევ.
- შემოქმედი ერთნაირად უნდა ფლობდეს სიღრმეებისა და სიმსუბუქის შეგრძნებას, თემისა და ხასიათის ფილიგრიანებას, ადამიანის სულის მელოდიურობას, მასშტაბურობას, დროის შეგრძნებას...
- წინასწარმეტყველება უძველესი დროიდან წარმოჩნდა გავლენიან საზოგადოებრივ ფაქტორად, ისინი რეაგირებდნენ და ეხმიანებოდნენ მიმდინარე მოვლენებს და, როგორც სახალხო ბელადები, ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. მათმა მოღვაწეობამ უდიდესი გავლენა მოახდინა თავისი დროის სასულიერო ცხოვრებაზე და გადამწყვეტი როლი თავინთი ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში და ღრმა დაღიჯ დაასვეს შემდგომ ეპოქათა კულტურას.
- შემოქმედი ადამიანისთვის უცხო არ არის აღმაფრენა და უეცარი დაცემა. იმედგაცრუების აღფრთოვანებით ჩანაცვლება და პირიქით.
- ქალები იმისთვის არსებობენ, რომ მამაკაცებს მუდმივად სიხარული და პრობლემები არ მოაკლონ.
- ხელმოცარული ადამიანი ცდილობს, ყველგან გამოჩნდეს, სინამდვილეში ის არსად არ არის.

- მსოფლიო შეიცვალა, ადამიანებს შორის ახალი ურთიერთობები ყალიბდება, სხვაობები იშლება. სამყარო იქით მიექანება, რომ ყველა ერთნაირი იყოს და ამ პროცესს თითო ოროლა თუ ენინაალმდეგება.
- შემოქმედი ადამიანის ცხოვრებაში წყნარ და ბედნიერ დღეებს მღელვარებით აღსავსე მოვლენები სჭარბობს, რაც მის ქმნილებებში სათანადოდ აისახება.
- პატარა ქვეყანა და მისი ხალხი დიდი ქვეყნის დახურდავებულ ხურდა ფულად იქცევა ხოლმე, რაც გარკვეულ წილად მათ მომავალზე საგრძნობლად აისახება. მხოლოდ ძლიერი ეროვნული სულიერება თუ გადარჩენთ მათ.
- ტალანტი დაავადებასავითაა, მოსვენებას არ გაძლევს და ყოველთვის რალაცას გკარნახობს.
- ომი ფულისა და უბედურების სავანეა.
- ლამაზ ქალთან ალერსი და ლამის გატარება სურთ, ლამაზთან და ჭკვიანთან ალერსის გარდა, ურთიერთობაც სურთ.
- ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ გახდება ბავშვის სულიერი გმირი.
- ზოგჯერ ძალაუფლება სხვისთვის ქველმოქმედია, თავისიანებითვის კი – მამინაცვალი.
- ელიტა ან აღარ არსებობს ან თითებზე ჩამოსათვლელია, რომლებიც, სამნუხაროდ, თავს ველარ გრძნობენ დიადი ხალხისა და ქვეყნის ნაწილად. მათი ადგილი ოლიგარქებმა და დროებით აღზევებულებმა დაისაკუთრეს.
- შემოქმედი სკრუპულოზურად იცავს თავისი შემოქმედების ინტონაციას, ბგერას, ფრაზას, სიტყვასა და ფერის ქსოვილის თავისებურებას, რითიც თავის ინდივიდუალურ ხელწერას წარმოაჩენს.
- ქალების უმრავლესობამ არ იცის, რა უნდათ, მაგრამ არ ისვენებენ მანამდე, სანამ არ მიაღწევენ იმას, რაც უნდათ.
- ოპტიმისტების აზრით, ყველა ადამიანის სიყვარული განუსაზღვრელად კანის ფერისა და აღმსარებლობისა



მხოლოდ ღმერთს შეუძლია, პესიმისტების აზრით კი – რომანტიკოსებს.

- სიტყვის თავისუფლება ყველას ეძლევა, მათ შორის, იმა-თაც, ვისაც არაფერი აქვთ სათქმელი.
- „დაბრუნების“ შესაძლებლობა მხოლოდ იმისთვის შეიძ-ლება არსებობდეს, ვინც უკვე იყო „იქ“. „შემობრუნება“ კი ცხოვრებაში ახალი მიმართულების არჩევანს, რომე-ლიც ხანგრძლივი სულიერი პროცესია.
- დაფნის გვირგვინებს რომ იდგავენ თავზე, კიდევ კარგი ამ კოკისპირულ ვარსკვლავთცვენაში თითოთოროლა რომ ბრწყინავს. მათ გამო ზოგჯერ სირცხვილის გრძნობა იპყრობს და თავს უხერხულად გრძნობს ადამიანი. რო-გორც ჩანს, ზოგიერთისთვის მბჟუტავი და კაშკაშა ვარ-სკვლავი ერთი და იგივეა. თუმცა სიკაშკაშეს ვილა დაე-ძებს, რაც ოდესღაც ოდნავ ბჟუტავდა, ისიც მინელდა და ჩაქრა. კარგის, ცნობილის ან წარმატებულის სახელი აღარავის ხიბლავს, მთავარია, ვარსკვლავი გერქვას, თუნდაც ჩამქრალი. მიძინებულ და ჩამქრალ ვარსკვლავ-საც ხომ ვარსკვლავი ჰქვია?!
- როგორც სხვა არაფერს, მის აღმატებულებას შემთხვე-ვას ძალუძს ძირფესვიანად შეცვალოს ადამიანი.
- იმპროვიზაცია ფსიქოფიზიკური მდგომარეობის აბსო-ლიტური თავისუფლებაა, რომელსაც შინაგანი პასუხის-მგებლობისა და ზომიერების გრძნობა თან ახლავს.
- შეყვარებულ ადამიანს ზოგჯერ ისეთი შგრძნება ეუფ-ლება თითქოს საათი გაჩერებულია და ერთი და იგივე დროს აჩვენებს.
- ეროვნული პოლიტიკისა და იდეოლოგიის არქონამ, უცხო ქვეყნის მიმართ მიბაძვით სულდგმულობამ, შე-საძლოა, ქვეყანა სრულ ეროვნულ კატასტროფამდე მი-იყვანოს.
- ცხოვრება წამიერი გაელვებაა წარსულსა და მომავალს შორის.

- უპირველესად, ბავშვებს დედ-მამა სჭირდებათ და მერე სხვა ყველაფერი.
- რაც უფრო დაბალია ინტელექტი და კულტურა, მით მეტი ხმაური და ბაქა-ბუგია.
- ცხოვრება არც წარმოდგენაა, არც დრამა და არც კომედია, ის ძიების უსასრულო შარაგზაა, რომელშიც ზოგს უმართლებს და ზოგს არა.
- რახან საკითხი ისმის, პასუხიც უნდა გაეცეს, თუმცა ზოგჯერ დუმილიც თავისებური მრავლისმთქმელი პასუხია.
- ომი ნგრევა და სიკვდილია. არ არსებობს სამართლიანი ომი, თუნდაც სამართლიანობისთვის წამოწყებული. ერთი ადამიანის სიცოცხლის ფასადაც კი არ ღირს არანაირი ომი.
- ცხოვრება ისეთია, როგორიც არის და არა ისეთი, როგორიც ჩვენ გვინდა. ის არც არასოდეს ყოფილა ისეთი, როგორიც ზოგიერთებს წარმოუდგენია.
- შემოქმედმა თავად არ იცის, შემოქმედებითი პროცესი ზოგჯერ საით გაამწესებს და სად ამოაყოფინებს თავს.
- ზოგიერთი პოლიტიკოსი სულ შუა კარში დგას, არც გადის, არც შემოდის, ოღონდ დროდადრო გაუჩინარდება ხოლმე.
- მოდერნიზებულ დიქტატურას დემოკრატიასთან არაფერი აქვს საერთო.
- ზოგიერთ ხალხში, თუ პირველი კაცი არ ხარ, კაცი არა ხარ.
- დიდი შემოქმედი თავისი დროის, ეპოქის ჟამთაღმწერია.
- მშობლიური ენა – ეს ბედნიერების ენაა.
- ცხოვრება ბევრად მარტივია, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია, უბრალოდ, ჩვენ, ადამიანები, უფრო ვართულებთ მას.
- ნაძირლები ვირთხებივით ნაგავში ერთად იქექებიან.
- ადამიანი თვისი ნებით არ შექმნილა და არც თავისი ნებით მოეგვლინა ქვეყნიერებას. ადამიანი ამ სამყაროს-

თვის მაღალი და ზნეობრივი არსებობისთვისაა შექმნილი. მას უდიდესი მისია აკისრია.

- მდიდრები მღერიან და ცეკვავენ. ღარიბები ტაშს უკრავენ და ტირიან, მთავრობა კი დირიჟორობს.
- ნიჭიერი ქმნილებანი – ეს ჭეშმარიტებაა, რომელიც ყოველთვის თანამედროვე და სიახლეა.
- ბგერა და ჰანგი ხშირად სიჩუმიდან იბადება. რიგ შემთხვევაში კი სიჩუმე და პაუზა მუსიკის სულია.
- პოლიტიკა ისეთია, როგორსაც მას ადამიანები ქმნიან.
- მონინაალმდევე შენს მხარეს რომ გადმოიყვანო, უნდა შესთავაზო ისეთი რამ, რასც სხვები არ სთავაზობენ.
- ზოგიერთ ქვეყანას დღემდე ვერ მიუღწევია პოლიტიკური სრულყოფილების ასაკისათვის, მუდამ პოლიტიკური სიყმანვილის ასაკში იმყოფება.
- სამყაროს ისე არაფერი ანათებს და ათბობს, როგორც ჩვილი ბავშვის ღიღინი.
- ზოგიერთ ადამიანთან ურთიერთობა და შეხება ისტორიასთან შეხების ტოლფასია.
- თავისუფლება მძიმე ტვირთია, ყველას არ ძალუძს მისი ზიდვა. ის რჩეულთა ხვედრია.
- ზოგიერთი ხელისუფლების მექანიზმი და სისტემა ისეთი გაფუჭებული მანქანასავითაა, რომ თუ ბოლომდე არ დაშალე და თავიდან არ ააწყე. არაფერი ეშველება.
- ქვეყანა, სადაც ნიჭიერი ადამიანები უგულველყოფილნი არიან, ვერ გაძლიერდება.
- ქალაქი, უპირველეს ყოვლისა, ეს მისი ადამიანებია და შემდეგ სხვა ყველაფერი.
- იქ, სადაც მუზა მბრძანებლობს, მხოლოდ შემოქმედი სულდგმულობს.
- კახბა განურჩევლად სქესისა, კაცი იქნება თუ ქალი, იმისაა, ვინც უფრო მეტს გადაუხდის.

- ჭკვიანი და მიმზიდველი ქალი მრავალფეროვანია და უფრო დახვეწილად იმორჩილებს მამაკაცს.
- არც თუ იშვიათად უნმინდური სინმინეებს არის ამოფარებული, რათა შენიღბოს თავისი შავბნელი საქმეები და წარსული.
- ვისაც თავის თავი ყველაზე ჭკვიანი ჰგონია, ვინ შეძლებს მის გაგებას?
- შეიძლება საყვარელი ადამიანი დაკარგო, მაგრამ სიყვარული არსად მიდის, არ იკარგება. მარად შენს გულში რჩება.
- ახლანდელ დროში უბრალო სულელს ვერ შეხვდებით, უმრავლესობა უმაღლესი განათლებით და რაიმე ცენზით არის აღჭურვილი. ცხოვრება კი ხშირად ჭკვიანებზე უკეთ აქვთ აწყობილი.
- იბადებიან ცოცხალ არსებებად, ადამიანებად კი ხდებიან.
- მშობლიურ ადგილას თოვლიც კი თბილია.
- ურთირთობაში კრიზისი ყველას ემართება, მათ შორის, იდეალურ წყვილსაც კი.
- ზოგჯერ სახელისუფლო ელიტა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს დემოკრატიის ბოლო ვაგონით მგზავრობდეს.
- ადრე თუ გვიან ყველა წარმოდგენა მთავრდება, ჯამბაზები კი რჩებიან.
- ბრძენკაცობა არ არის საჭირო, რომ კაცმა იცოდეს როდის და რატომ.
- ადამიანს ბევრი რამ სჭირდება, მაგრამ ყველაზე დიდი, რაც მას სჭირდება, რწმენა და სიყვარულია.
- ზოგიერთ ქვეყანაში ციხე ციხეშია, რადგან ქვეყანა თავად არის ციხედ გადაქცეული.
- არიან ისეთები, რომლებსაც ღია კარებში შესვლა არ ხიბლავთ, ყოველთვის ცდილობენ, ცხოვრებას უკანა კარით შემოუარონ და ღია ფანჯარაში გადაძვრნენ.

- თამაში მანამდე გრძელდება, სანამ მეფე არ წაიქცევა, თუნდაც სიცოცხლეშივე ყველა თამაში წაგებული ქონდეს.
- ქალის გაგება იოლი არ არის, მითუმეტეს პოეტი ქალისა. თუმცა ქალსაც გააჩნია და პოეტსაც.
- ბავშვი დედის ლოცვებით იზრდება.
- ბოროტება ისე ხმაურობს, თითქოს ამ ქვეყნად სიკეთე არ არსებობდეს.
- სამყაროს სიკეთეც მართავს, რაც ხშირად შეუმჩნეველი რჩება.
- მუზა და შთაგონება დაუპატიჟებელი სტუმარია, რომელსაც არ უყვარს უნიჭობთან და ნაცარქექიებთან სტუმრობა, მხოლოდ მას ეწვევა, ვინც მას მოუხმობს და ელოდება.
- უფალი იმყოფება ყველგან და მისი დანახვა შესაძლებელია იქ, სადაც მას სურს, იპოვონ.
- მეცნიერების მამოძრავებელი ძალა ერუდიცია, პროფესიონალიზმი, ლოგიკა და ინტუიციაა.
- კულტურა, ინტელექტი და ზნეობა ცოდნას ემყარება. ეს კი გონიერების ის საყრდენია, რომელიც ჭეშმარიტების გზის მაჩვენებელია.
- მეცნიერული აზროვნება მეცნიერისათვის შემოქმედების საგანს უნდა წარმოადგენდეს, შემოქმედება კი - მეცნიერებაში აზროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხს. დიდ მეცნიერთა შემოქმედებას ჩვეულებრივ თანახლავს სამყაროს მხატვრული, შემოქმედებითი ხედვის ჰორიზონტი.
- ნებისმიერი ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, გარემოცველი სამყაროს შეცნობის ერთ-ერთი მძლავრი და შთამბეჭდავი საშუალებაა, რომელსაც უდიდესი ზეგავლენის მოხდენა ძალუძს ადამიანზე.
- ჭკვიანმა ქალმა იცის, ნაკლოვანება როგორ დაფაროს და ღირსება როგორ წარმოაჩინოს.

- ადამიანების უმრავლესობისთვის ის არის მისაღები, რის დაჯერებაც სურთ.
- თუ წასვლა გადაწყვიტე, უნდა დროულად, ღირსეულად წახვიდე. თუ უკან დაბრუნებას ფიქრობ ისე უნდა წახვიდე, რომ მობრუნების არ მოგერიდოს.
- მტერი ყოველთვის გვერდითაა, ჩრდილში დგას და ხითხითებს.
- ჭეშმარიტი შემოქმედი შინაგანად თავისუფალი და ბუნებით ოპოზიციონერია. ის არასოდეს გახდება ხელისუფალთა მეხოტბე და ლაქია.
- სამწუხაროდ, ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ საყვედურის ღირსი ხშირად სხვას საყვედურობს და განსჯის.
- ღირსეული ადამიანი არაადამიანურ პირობებშიც კი ადამიანად რჩება.
- კაცობრიობის მიზანი ყოველთვის იყო და არის, მიაღწიოს უფრო მაღალ მდგომარეობას.
- იმედი არსებობს მანამ, ვიდრე არსებობს გადარჩენის მცირეოდენი შანსი. რწმენა კი ცოცხლობს მაშნაც კი, როდესაც აღარ არსებობს იმედი.
- ვერც ერთი კანონი ვერ იკანონებს, თუ ადამიანს ზნეობრივი კანონი სულში არ გააჩნია.
- მდუმარება განსჯის, აზროვნებისა და სიდიადის თანმხლებია.
- ვისაც ბავშვობაში ბებია-ბაბუასთან მჭიდრო ურთიერთობა არა აქვთ, ძალიან ბევრს კარგავენ.
- მხოლოდ პარადოქსების ქვეყანაში შეიძლება გაუბედურებულ ხალხს ბედნიერი ხელმწიფე ჰყავდეს, დაქცეულ ქვეყანას აშენებული ბატონ-პატრონი, გაღატაკებულ ხალხს, დაღბინებული მამა-მარჩენალი. გიხაროდეთ! ბატონი ყოველთვის მართალია!
- ადამიანების უმრავლესობა სხვებზე მათ მიმართ გავრცელებული აზრის მიხედვით მსჯელობს.

- სუსტი ქალები ძლიერი მამაკაცებისკენ მიიღტვიან, სუსტი მამაკაცები კი ძლიერი ქალების ნადავლი ხდებიან.
- ოპტიმისტი სიბერეშიც კი თავს შინაგანად ისევ ახალგაზრდად გრძნობს.
- ჩალიჩა ადამიანი მთელი ცხოვრება ჩალიჩობს, რომ რაღაც გაიჩალიჩოს და სხვებსაც გაუჩალიჩოს.
- ოდეს ტურფა ქვეყანა კახების სანავარდოდ გადაიქცევა, მაშინ ვარდივით მეყოლე...
- ტრადიციულ ერში ყველა დღესასწაული ოჯახისა და ქვეყნის ერთიანობის იდეებს ეფუძნება.
- ვისაც უნარი არ შესწევს თამაშიდან დროულად გასვლისა, სხვის თამაშში პაიკად გადაიქცევა.
- ყოველი გენიოსი მცირეოდენად მაინც ბავშვია. ბავშვად დარჩენის ხელოვნება უდიდესი ხელოვნებაა.
- ჭეშმარიტი შემოქმედი ის განსაკუთრებული პიროვნებაა, ვისაც არავის ნაკვალევზე არ უვლია.
- ადამიანი მიჰყვება და ემორჩილება ჟამთასვლას, ცვლილებებს განიცდის, იხვეწება და დროთა განმავლობაში თავად ქმნის დროის ტენდენციებს.
- ხალხს პურთან ერთად უნდა მისცე იდეა, უნდა აუხსნა და ჩააგონო ამ იდეის აუცილებლობა, პროგრესულობა და იგი აუცილებლად გამოგყვება.
- „vardekliani ტურფა“ ცხოვრება გამომვლილ ხალხს საოცნებო სამყაროსკენ მიექაჩება, სამწუხაროდ, მისკენ სავალ გზას კვლავ ვერ აგნებენ.
- სამართლიანობის გარეშე დემოკრატია, მშვიდობა და თავისუფლება ილუზიაა.
- ნიგნთა ნიგნი ძველი აღქმა ის მოძღვრებაა, რომელმაც სასულიერო და ინტელექტუალური რევოლუცია მოახდინა კაცობრიობის ისტორიაში. მის სიბრძნეში წვდომით ადამიანი ჰპოვებს საკუთარი არსებისა და გრემომცველი სამყაროს შეცნობას და ამ სამყაროში მის კუთვნილ ადგილს.

- ალორძინების ეპოქაში დიდი ყურადღება დაეთმო შემოქმედების, მეცნიერებისა და კულტურის ჰუმანისტურ იდეას, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდას. ალორძინების ეპოქაში, როდესაც ადამიანმა ირწმუნა საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობებისა, ბუმბერაზები წარმოიშვნენ, ბუმბერაზები აზრის სიძლიერთა და დიადი ქმნილებით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით.
- სიკეთის გასაკეთებლად ნურც მიზეზებს ეძებთ და სიკეთის უკან დაბრუნებასაც ნუ ელით. კეთილი საქციელი ღვთიური აქტია.
- ყოველმხრივი განვითარების პროცესი ადამიანის სულიერი სიმდიდრის წყაროა.
- რად ღირს მშვიდობა, თუ ჭეშმარიტებაზე არ არის დამყარებული.
- ზოგჯერ ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ამ უკიდევანო სამყაროში შენი ადგილი არსად არის.
- წინასწარ განჭვრეტის გარეშე არამც თუ ქვეყნის მართვა, მცირერიცხოვანი ოჯახის გაძღოლაც კი წარმოუდგენელია.
- შემოქმედი იმ იშვიათი კოჰორტიდანაა, ვინც შეიგრძნობს თავის ზეციურ სულიერ დანიშნულებას.
- დედა ენა, უბრალოდ, მხოლოდ ინსტრუმენტი როდია, რომლითაც სათქმელს ვამბობთ, დედა ენა უპირველესი თაყვანისცემის ობიექტია, რომლითაც ვიზრდებით, ადამიანებათ ვყალობდებით. დედა ენა ერის კულტურის, ზნეობისა და ტრადიციების, წარსულის, ანმყოს და მომავლის ნათელი ნიშანსვეტია.
- შემოქმედი თავისი შემოქმედებით მალღდება ლაჟვარდოვან ციურ მწვერვალამდე. მისი დიდებული ქმნილებანი თავისი ეპოქის ნათელი სვეტია.
- ყოველი ადამიანი მინის, ზეცის და წყლის ნაწილია. მინას, ზეცას და წყალს ნუ ნაბიღწავთ – იგი წმინდაა.



- ყველას აქვს ბედნიერების უფლება, მაგრამ ყველა როდია ბედნიერი. რამდენი ჭკვიანი და ღირსეული ადამიანია უბედური ვინ მოთვლის?
- ყველაფერი ადამიანების კეთილდღეობას უნდა ხმარდებოდეს, ოღონდ არა სხვა ადამიანების ხარჯზე.
- ის, ვინც ქალებს გადაჭარბებულად აქებს ან ლანძღავს, მათ არც კარგად იცნობს და არც მათი ფასი იცის. ერთი რამ უდავოა: ქალების გარეშე ცხოვრება უაზრო და ნარმოუდგენელია.
- ნიჭიერი შემოქმედი ქმნის ჭეშმარიტ მაღალ მხატვრულ მარგალიტებს, რომლებშიც წარმოაჩენს ზოგად საკაცობრიო უღერადობის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობის ქმნილებას, რაც მას ანიჭებს უნივერსალურ აზრს და მნიშვნელობას.
- შემოქმედის ქმნილებაში ნიჭის, მრავალმხრივი ცოდნის და ღრმა აზროვნების დონე აირეკლება.
- ძველ დღოში, ვისაც ძალა ჰქონდა, ის ბატონობდა. თუმცა, ეს ამბავი ახლაც როდია უცხო. ჩანს ძალაუფლებას აქვს ეს თვისება.
- ნიჭიერი ავტორის შემოქმედებითი გენია მთელი სიცხადით, უღერადობით, გამოხატვის ემოციურობით და მამტაბურობით წარმოაჩენს მხატვრული აზრის მშვენიერებას და სიდიადეს.
- საყვარელ ადამიანთან ერთად ყველგან სამოთხეა.
- ყოველი ახალშობილი წმინდანია.
- ხელოვნება გარემომცველი სამყაროს სამყაროს შეცნობის და წარმოსახვის მხატვრული საშუალებაა, მეცნიერება კი ბუნების მართვის ხელოვნებაა!
- მთელი სიცოცხლე ადამიანი კეთილდღეობისა და სამოთხის ძიებაშია. სამოთხე კი მასშია, მის სულშია.
- ყოველივე იყო, არის და იქნება მუდამ. ეს არის ის ჭეშმარიტება, რომლის ქადაგება ძალუძს მხოლოდ უფალს.

- მეცნიერებას და ხელოვნებას ის აახლოვებს, რომ ორივე, კაცობრიობის სულიერი მოღვაწეობის სული, გული და დედაბოძია. ორივე მაშინაა უფრო კეთილისმყოფელი, როცა მარტო გონებით კი არა, გულითაც ვღებულობთ.
- ხელოვნებისა და მეცნიერების წყალობით, ადამიანი ავითარებს საკუთარ თავს, ხვენს და სრულყოფს თავის გრძნობებს. სწორედ ხელოვნებასა და მეცნიერებაშია თავმოყრილი კაცობრიობის მიერ დაგროვილი უდიდესი გამოცდილება.
- მორწმუნე ადამიანის და თავისუფლად მოაზროვნე შემოქმედის რწმენას საზღვრები არ გააჩნია.
- ჭეშმარიტების შემეცნება მეცნიერების უპირველესი ამოცანაა. ადამიანის თანდაყოლილი მისწრაფებაა, სრულყოს გარემომცველი სამყარო და საკუთარი თავი.
- ომშიც კი ურთიერთდაპირისპირებული ძალა ახერხებს ერთმანეთთან საუბარს და შეთანხმების მიღწევას, რასაც ზოგჯერ ერთი ქვეყნის ორი პარტია ვერ ახერხებს, სამწუხაროდ.
- დღიური შემოქმედი და გენიოსი ადამიანის ცხოვრებისა და მემკვიდრეობის ერთადერთი მემატრიანე აღმოჩნდება ხოლმე.
- სიახლეს დრო სჭირდება, რათა აღქმული და გაგებული იქნეს.
- მერყევი მთავრობა დიდ რყევებს ვერ უძლებს.
- ჭეშმარიტი შემოქმედი არა მხოლოდ მშობლიური ხალხის შვილია, იგი სხვა ერების კუთვნილებაც ხდება.
- ღამის წყვილიადის შემდეგ იმედით სავსე დილა თენდება.
- ერთი კულტურის მეორეში ორგანულად შერწყმა, კულტურათა ურთიერთგამოცდილების უნიკალური მოვლენაა.
- უძველესი კულტურის ხალხის სიდიადე იმაშიც გამოიხატება, რომ ის კარჩაკეტილი ცხოვრებით არ ცხოვრობს, ის დინამიკურია, მუდმივად პროგრესს განიცდის.

- წარმოუდგენელია, როგორ უნდა შეურაცხყო სინმინდები და დაბინძურო გარემო, როცა ის ასე მშვენიერია.
- შიშველ ქალზე უფრო მიმზიდველი ზოგჯერ ჩაცმული ქალია, რომელიც ისეა შემოსილი, რომ ყველაფერს, რასაც მალავს, აშკარად გამომწვევად აჩენს.
- ჭეშმარიტი შემოქმედი თავისი გრანდიოზული შემოქმედების შეფასებისას მოკრძალებულია.
- ლამაზმანები ცხოვრებაში ზოგჯერ თვალსა და ხელშუა ზეზეურად ჭკნებიან.
- ერთ-ერთი უმთავრესი უნარი გაცეცებისა და იდუმალების გრძნობაა, რომელიც ჭეშმარიტი შემოქმედისა და მეცნიერის თანდაყოლილი გრძნობაა. ვისაც ეს უნარჩვევები დაკარგული აქვს, იგი, როგორც შემოქმედი, მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის.
- ემოცია, ინტუიცია და ფანტაზია განაპირობებს შემოქმედის შთაგონების ხარისხს. შემოქმედებითი ექსტაზის დროს შემოქმედი უდიდეს ბედნიერებას და აღმაფრენას განიცდის.
- მეცნიერებაში ძიება არის შემოქმედებითი აქტი, რაც განპირობებულია შემოქმედის უნარით, დაინახოს რაღაც ახალი სამყაროში და გადასცეს ეს ხედვა სხვებს. ასეთ პროცესებში ვლინდება მეცნიერული შემოქმედების უნარ-ჩვევები.
- დიდებულია, როდესაც ნათელი ოცნება მოქმედ ძალად იქცევა. წარმოსახვა, ოცნება და ფანტაზია ხელოვნებასა და მეცნიერებაში რეალური ფაქტია. პროგრესის სტიმიული და ევოლუციის წყაროა. ამ თვისებებისა და უნარჩვევების გარეშე წარმოუდგენელია რაიმე მნიშვნელოვანის შექმნა.
- ექსტრემალურ ვითარებაში გაცნობილ ქალს და მამაკაცს ხშირ შემთხვევაში უყვარდებათ ერთმანეთი.

- ნაძირალა ჭაობში სულდგმულობს და სხვებსაც თავის სამფლობელოში მიაქანებს, ღორი ტალახს ყოველთვის მოძებნის და სხვებსაც დააბინძურებს.
- პოლიტიკურ სცენაზე გამუდმებით ერთი და იგივე სახეების და პერსონაჟების ხილვა მოსაბეზრებელია. ისიც მოსაბეზრებელია, როცა ახალი პოლიტიკოსები ისევე ძველი სცენარით თამაშობენ.
- ვინც მთავრობის ქვეტექსტებს აცნობიერებს, იუმორი ნამდვილად არ აკლია.
- წიგნზე და გამოცდილებაზე დიდი მასწავლებელი არავინ არის.
- კაცობრიობის ისტორია მომავლისაკენ წინსწრაფვაა.
- საზოგადოება გაფაციცებით უნდა აკვირდებოდეს ხელისუფლების ყოველ გადაწყვეტილებას და აქტიურად უნდა მოქმედებდეს, მუდმივი ოპონიერების რეჟიმში უნდა იმყოფებოდეს ხელისუფლებასთან.
- განწირულია ის. ვინც ცოდვებით იწყებს ახლის შენებას.
- ადამიანი ახალგაზრდაა მანამ, სანამ სასიყვარულო თავგადასავლები ხიბლავს, სისულელეების ჩადენის არ ეშინია და იუმორის გრძნობა შენარჩუნებული აქვს.
- ადამიანის ბედი ყოველთვის ბენვზე ჰკიდია, მაგრამ ცხოვრება ყოველთვის საამურიანია.
- სიღარიბე, როგორც ბევრს ჰგონია, არც დაავადებაა და არც გადამდები სენი.
- თუ გსურთ, იხილოთ წმინდანის სახე, თვალებს ნუ დაიღლით ამოა ძებნით, უბრალოდ, შეხედეთ ბავშვებს.
- რაც უფრო ხანგრძლივია ძიების პროცესი, მით უფრო ძვირფასია ნაპოვნი განძი.
- პროგრესული მეცნიერები ყოველთვის მტკიცედ იცავენ მეცნიერების ჰუმანურ საფუძვლებს, მოითხოვენ, რომ მეცნიერთა მიღწევებს ჰქონდეს ერთადერთი მიზანი: სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას. სამწუხაროდ,

რეაქციული ძალები მიისწრაფვიან, გაანადგურონ ჰუმანური ტრადიციები, მეცნიერთა მიღწევები გამოიყენონ პოლიტიკური და საომარი მიზნებისათვის. კაცობრიობას მასობრივი განადგურების საშიშროება ემუქრება. არ შეიძლება ერთდროულად ღმერთსა და ეშმაკს ემსახურო.

- კაცობრიობის სიამაყე და დიდება წმიდათაწმიდა მინა, დედამინა – ჩვენი მინა მარჩენალი – ყველას დედაა, ყველასათვის ის ზრუნავს. ადამიანის მოდგმას არ ყოლია მინაზე უფრო ერთგული მოკავშირე, მფარველი და მეგობარი. დღეს კი, სიყვარულისა და მონყალების ნაცვლად, ჩვენი მინა მარჩენალი მძევლად იქცა უპასხისმგებლო ადამიანთა ხელში. ნუ გვაზინყდება, რომ მინიდან შექმნილი მინასვე ვუბრუნდებით.
- რა არის სამყარო ადამიანის გარეშე? სამყაროს არსებობა ხალხის გარეშე წარმოუდგენელია. იგი რალაცაში ხომ უნდა განევრცოს, რომ იარსებოს მარად. და მოევლინა სამყაროს ადამიანი მატარებელი ღთაებრივი ნაპერწკალისა. ადამიანის შექმნით ქვეყნიერების ქმნადობამ თავის უმაღლეს სტადიას მიაღწია.
- შემოქმედის მოწოდება სიკეთისა და საოცრების შექმნაა.
- ბოროტება რომ არ იყოს, შესაძლოა, სიკეთის ფასი ვერ გაიგოს ადამიანმა.
- რატომ და სად იკარგება სიკეთე? მას მხოლოდ ბოროტი ადამიანი შთანთქავს. სიკეთე შეიძლება დროებით მიჩქმალონ, მაგრამ ვერ მოსპობენ, ის არსად არ იკარგება, მუდამ თან სდევს სიკეთის მთესველს.
- ადამიანების უმრავლესობა საკუთარ აზრს უფრო ენდობა, ვიდრე პოლიტიკოსებისა და ბელადების სიტყვას.
- ცხოვრებაში ბევრი დაღუბა სიმდიდრის ძებნამ, სიღარიბეში კი უფრო ბევრმა განუტევა სული.
- შემოქმედის უშრეტი ნიჭი და შთაგონება ასაკს არ ეპუება.
- მეცნიერული კვლევისადმი შემოქმედებითი მიდგომა შესაძლებელს ქმნის დიდი აღმოჩენებისა. არ არსებობს

ზღვარი ქეშმარიტ მეცნიერებასა და ხელოვანის მხატვრულ ძიებას შორის.

- ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარება ინვესს მთელი რიგი დამკვიდრებული შეხედულებების გადაფასებას, ყველაზე აქტუალური მსოფლმხვედლობითი პრობლემეტიკის განახლებას.
- ხელოვნებასა და მეცნიერებას აქვს საერთო საფუძველი – კაცობრიობის გამოცდილება. ხელოვნება, ისევე, როგორც მეცნიერება, წარმოიშვა ადამიანის მოთხოვნილებათა შედეგად. მეცნიერება და ხელოვნება ერთი ფესვიდან აღმოცენებული, სინამდვილის ასახვის მხოლოდ სხვადასხვა ფორმებია.
- საყვარელ ადამიანს ყველლაფერი ამშვენებს.
- ზოგიერთი ცხოვრების დიდ სცენაზე წამყვან როლს ასრულებს, ზოგიც კი – ეპიზოდურს. უმრავლესობას ბუტაფორიის ფუნქცია აკისრია, სხვა ყველა დანარჩენს კირეკვიზიტისა.
- მონინაალმდეგე ისე უნდა გყავდეს მიზანში ამოღებული, რომ ვერც გამჩნევდეს და ვერც გაქცევას ახერხებდეს.
- მზე სიხალისეს და ენერგიას გვმატებს, მონყენილი და ბებერი მთვარე კი ნუგემს გვაძლევს.
- თავისუფლება ქკვიან და ბრძენ ხალხს სჭირდება. არანორმალურები და ბეცები ისედაც თავისუფლები არიან.
- წარსულის ექოში ანმყო ხმიანებს და მომავალი ელვარებს.
- ბუნებაში არ არსებობს სიცოცხლეზე უმნიშვნელოვანესი, ურთულესი, უდიდესი და სრულყოფილი მოვლენა. სიცოცხლე ბუნების განვითარების უმაღლესი მწვერვალია.
- ყოველი მეცნიერული მიღწევა დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის ბედნიერებასა და კაცობრიობის არსებობასთან.
- სიტყვა მძლავრი იარაღია, თუმცა გულში აღწევს მხოლოდ გულიდან წამოსული სიტყვები.

- ბუნებაში მრავალი ბგერაა მიმოფანტული, მაგრამ ყველა როდი ქმნის მუსიკას. მუსიკა არ წარმოადგენს ბგერების შემთხვევით თანხმიანობას, შემთხვევით ნაკრებს. მუსიკას ქმნის ნიჭიერი, მოაზროვნე შემოქმედი ადამიანი.
- მუსიკა ყველა ბიოლოგიურ ობიექტზე ზემოქმედებს. სავარაუდოდ, ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მუსიკა დასაბამიდანვეა ჩადებული ცოცხალ არსებაში და ორგანიზმის მოდულაციას ახდენს. შესაძლოა მუსიკა ბიოლოგიურ სისტემათა ორგანიზაციის საეთო პრინციპიცაა.
- კაცობრიობის ხსნა აღზრდის, კულტურის, განათლების გამოხატვითაა შესაძლებელი.
- თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელია ცოდნის ყველა დარგის კოლოსალური პროგრესი. ადამიანი სიცოცხლის წარმოშობისა და თვით სამყაროს საიდუმლობებს წვდება. ამაშია ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლის აზრი და კაცობრიობის ხანგრძლივი არსებობის გამართლება.
- იდეები დიდებულია, მაგრამ უმთავრესი მოქმედებაა.
- დიადი ადამიანის სიდიადეს დრო და სიკვდილი ვერაფერს აკლებს.
- ყველაზე მეტად საშიშია გულით ნაადრევი სიბერეა. გული არც ერთი წამით არ უნდა ბერდებოდეს. მას სიყვარული უნდა ათბობდეს.
- ცხოვრებაში როდის, როგორ და რაზე დაუკრავ, მხოლოდ ღმერთმა იცის.
- ძლიან ბევრი იმ ადამიანის როლს ასრულებს, როგორიც არასოდეს ყოფილა.
- უმიზნოდ და უინტერესოდ ყოფნა არყოფნაა.
- სხვისი მზეობითა და ნათებით ბევრს უბნელდება მზის ნათება და გამობრწყინება.
- ქვეყანა, სადაც ინტელიგენცია არ ფასდება, ვერც ის ქვეყანა და ხალხი დაფასდება.

- თუ არ ეძებ, ვერ იპოვი, მაგრამ რომ იპოვო, უნდა იცოდე, სად და როგორ მოძებნო.
- გუღლია ღიმილი ბევრ პირმოლუშულს აფრთხობს.
- ფული ბევრს ნიშნავს და არა ყველფერს.
- მტერზე უფრო განდიდების მანიით შეპყრობილი კაცის ამბიციები და უფრო მეტად მისი უნიჭობა და ავკაცობაა საშიში.
- ჭემარიტი შემოქმედი სხვათა განქიქებაში დროს არ კარგავს. ის დღენიდაგ დიდ სულიერებას ქმნის და სიკეთეს თესავს.
- ხალხი ერთგული უნდა იყოს თავისი ადათ-წესების, მაგრამ სასიკეთო სიახლეს კარჩაკეტილი არ უნდა დახვდეს, ფართოდ უნდა გაუხსნას კარი.
- ლაქია და ტაკიმასხარა დიდ ადამიანად არასოდეს არავის არ აღიარებს.
- იქ, სადაც ასპარეზზე ვირები დაჯირითობენ, ბედაურებს არა ესაქმებათ რა.
- დროებით აღზევებულ ფუჭ დიდებას დროთა განმავლობაში სანაგვეზე მიმოფანტავს ქარი.
- ეშმაკმა იცის, ვინ როდის ფხიზლობს და სძინავს, მაგრამ თვითონ არასოდეს სძინავს.
- შემოქმედი ადამიანის სულიერი მღელვარება საოცრად წრფელი და გადამდებია.
- იჩქარე, სანამ გაქვს საშუალება, სანამ საკუთარ სიცოცხლეს შენ მართავ, სანამ არსებობ...ქმნა სიკეთისა და სილამაზისა.
- თუ კეთილშობილი ხარ და შენი გული კეთილია, ჩემი გულიც გაიხარებს.
- შემოქმედი პოეტური სულის მეოცნებე ადამიანია. მისი ცხოვრება განცდების, ძიების, ტანჯვის, ცრემლნარევი სიხარულისა და აღმაფრენის უსასრულო ყოფაა.



- გაუფრთხილდი საკუთარ თავში ადამიანს და სხვათა ღირსებას.
- როცა გიყვარს, სული მღერის. სიყვარული მუსიკა, პოეზია და თავდავინყებაა. როცა ყველაფერი დუმს, სიყვარული სულში მღერის.
- მშვენიერება მრავალფეროვნებაშია.
- სილამაზე ისეთივე ღირსებაა, როგორც გონიერება, რომელსაც ადამიანები ხშირად სათანადოდ ვერ იყენებენ, განსაკუთრებით კი ისენი, ვინც წესიერებით გამოირჩევიან.
- ცხოვრებაში, როგორც ბევრს ჰგონია, მხოლოდ შავი ფერი არ დომინირებს. ცხოვრება მრავალი სხვადასხვა ფერებითაა გასხივოსნებული.
- ვინც არ იცის – ასწავლე, მაღლია. ვინც იცის – ისწავლე მისგან, კარგია. ვისაც არ ახსოვს – შეახსენე, დაგლოცავს. ვისაც არ ესმის – გააგებინე, ცოდოა. ვისაც უჭირს – დაეხმარე, შენი ვალია.
- პოლიტიკოსს უნდა გააჩნდეს ალლო და განჭვრეტის უნარი, თუ რა მოხდება მომავალში, აგრეთვე, უნარი, ახსნა, რატომ არ მოხდა ეს ყველაფერი და მის სიმართლეში ეჭვი არავის შეეპაროს.
- ზოგიერთს მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი აქვს, რადგან თავის დროზე სწორი არჩევანი გააკეთა, თუ ვის ჩრდილში შეეფარებინა თავი.
- არ არსებობს ცუდი, რომლის სიკეთით გარდაქმნა არ იყოს შესაძლებელი.
- შემოქმედება ფაქიზ და წმინდა ზნეობას მოითხოვს.
- ადამიანს არაფერი აწუხებს ისე, როგორც ცარიელი თავი და ჯიბე.
- მაიმუნმა ქუჩაში სარკე იპოვა, ჩაიხედა და შენუხებულმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა: ნუთუ მე ვარ? როგორ შევცვლილვარ.

- შემოქმედის ქმნილებაში თავისი ერის სული, სიტყვა და ჰანგი ბოხოქრობს.
- დიდი ადამიანი შორიდან მოსჩანს, სიახლოვეს ხშირად სათანადოდ ვერ აფასებენ.
- ადამიანურ სიმაღლეზე უფრო მაღალი ვერასოდეს იქნება პოლიტიკური თუ სხვა რომელიმე სიმაღლე.
- რელიგიურ ექსტრემიზმს ხშირად სიბრიყვის ვირუსი ამძვინვარებს.
- ადამიანს ყველაფერი ახსოვს. რაც არ არის საჭირო, ისიც კი ახსოვს.
- ყვავილები გვილამაზებენ ცხოვრებას, გვიფაქიზებენ სულს. ადამიანებივით ღალატი არ იციან.
- წიგნთა წიგნის სიბრძნე უფლის შეცნობის საწინდარია.
- რწმენა და ანალიტიკური აზროვნება, თვითანალიზისა და ფსიქოლოგიური თვითგანჭვრეტის უნარი, ფილოსოფიური საფუძვლების წვდომა, ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, აღმოაჩინოს ღმერთი ყველაფერში.
- ადამიანების უმრავლესობის წინდაუხედაობის გამო დიდი პიროვნება ხშირად უგულვებელყოფილი არის. ზოგჯერ საზოგადოება ყრუს და ბრმას ემსგავსება.
- სიცოცხლის პირველი ფორმა, მიკრობი მუტაციას განიცდის, ის ან ვითარდება, ან კვდება. ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება. აშკარაა, რომ სიცოცხლე მარტივიდან რთულისკენ განვითარდა, მაგრამ უმნიშვნელოვანესიალ მიგნებული იქნესლ თუ რამ მოახდინა მათი ინიცირება.
- ყოველი ერის და ქვეყნის ბედი დამოკიდებულია სამყაროში განვითარებულ გლობალურ მოვლენებზე. ერისა და ქვეყნის გადარჩენის პასუხისმგებლობას არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი არ უნდა გაექცეს და დაემალოს. მათ პასუხისმგებლობა აკისრიათ მთელ სამყაროზე.
- არაფერს ყველაფერი სჯობია.

- ოჯახი, უპირველესად, სიყვარული, ერთგულების და, ამავე დროს, თავგანწირვის ტაძარია.
- უაზროა, ებრძოლო იმას, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვს.
- პრობლემებს ვერ მოაგვარებ, თუ პრობლემების სათავეს ვერ აღმოაჩენ.
- ადამიანები მრავალი სასწაულის მომსწრენი არიან, მაგრამ ყველაზე დიდი სასწაული თავად ადამიანია.
- ძალაუფლების გადამეტება ხელისუფალთა უკუურნებელი სენია.
- ყვავილი დედა ბუნების ღიმილია.
- თითოეულ ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეექმნას, თითქოს მომღერალი მხოლოდ მისთვის მღერის.
- ღვთიური აზრი არა მხოლოდ გარეგნულად მოსავს ქმნილებებს, არამედ მათ შინაგან არსსაც ასხივოსნებს.
- ჯალათებთან მებრძოლმა არ უნდა დაუშვას, რომ თვითონაც ჯალათად იქცეს.
- ადამიანი ღმერთს თვითონ უნდა დაუახლოვდეს. ხელისუფლება კი თავად უნდა დაუახლოვდეს ადამიანს.
- პოლიტიკურ სიბნელეს მცირერიცხოვან ხალხში პოლიტიკოსთა კოკისპირული ცვენა იწვევს.
- მიუწვდომელ სიყვარულს დიდი ფასი აქვს, ძალზე დიდი ფასი, ისეთივე, როგორც აუხდენელ ოცნებას.
- უმჯობესია პესიმისტნარევი ოპტიმისტი იყო, ვიდრე გამოსწორებული ოპტიმისტი.
- სინმინდეების ამოფარებულ უნმინდურებს ხელთ წმინდანები უპყრიათ და მკრეხელობას ჩადიან. უფალო, გონება გაუნათე ცოდვის შვილებს, რათა მრუშობა, მომხვეჭელობა და ფარისევლობა მძიმე განუკურნებელი სენია, ვნებს და ღრღნის სულს და გადამდებიცაა. წმინდა საქმე სუფთა გულითა და ხელებით აღესრულება.
- შემოქმედის ქმნილებაში გამოკვეთილი უნდა იყოს ეროვნულობა, ინდივიდუალურობა და ორიგინალურობა,

რაც მის შემოქმედებას მაღალმხატვრულ ღირებულებებს სძენს და ზოგადსაკაცობრიოს ხდის.

- ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი ხალხი უნდა იყოს. ყველა პრიორიტეტები ხალხის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს.
- ადამიანის მომავალს მისი მრავალფეროვნება და არჩევანი განსაზღვრავს და არა ილბალი და სურვილები.
- სიძულვილი და ანგარიშსწორება გამოსავალი არ არის. ეს სასაფლაოსკენ მიმავალი გზაა. ადამიანი ტაძრისაკენ მიმავალ გზას უნდა ადგეს.
- აუხდენელი ოცნება ჰორიზონტივითაა, რაც უფრო უახლოვდება, მით უფრო გშორდება.
- უნიჭოები დღენიადაგ ნიჭიერებს ებრძვიან. უნიჭოების უნიგნურებისა და გაიძვერების აღზევება დასასრულის დასაწყისია.
- ადამიანი ყველაზე მეტად თავისუფალი და უბედური მაშინ არის, როცა ყველაფერს კარგავს.
- სწავლა, რწმენა და ქველმოქმედება სამყაროს არსებობის საფუძველია.
- თუნდაც ერთი უდნაშაულო ადამიანის დამნაშვად გამოცხადების გამო ხელისუფლება დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს, ხოლო სამართალდამცავებმა პასუხი უნდა აგონ ხალხისა და კანონის წინაშე.
- ქვეყნის წარმატების თუ წარუმატებლობის მიზეზი მისი მშობლიური ხელისუფლება და ხალხია.
- დანგრეული ტაძრის ადგილი და ნანგრევები თავის სინდინდეში რჩება. უფალი არ სტოვებს წმინდა ადგილებს.
- ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერია. ლოკოკინას ნიჟარაც კი ლოკოკინასთან ერთად იზრდება.
- პოლიტიკოსები და პოლიტიკა მდიდრებს ფულს ნაგლეჯენ, ხალხს კი ხმებს, ქვეყანას კი კეთილდღეობას ხოლმე.

- ბრძნული გამონათქვამების ეფექტურობა: ორიოდ სიტყვა და მრავლისმთქმელი აზრია.
- იმას არ უნდა ენდოთ, ვინც თქვენთან ურთიერთობას მალავს.
- მოთმინება და სიამაყე იქ მთავრდება, სადაც ადამიანის შეურაცხყოფა იწყება.
- სიცოცხლის წარმოქმნის გამოცანას ზოგიერთისათვის არა აქვს არანაირი ლოგიკური ახსნა. მართალია, ბუნების კანონები იდეალურია სიცოცხლის უზრუნველყოფისათვის, მაგრამ ის არაფერს ხსნის იმ პირობებზე, რაც მის წარმოსაქმნელადაა აუცილებელი. დღესაც აქტუალურია, თუ როგორ გარდაიქმნა ენერჯია დიდ გონებად.
- ის, რაც ნიჭიერებით არის შექმნილი, მომავლის გზასაც მონახავს.
- კაცი ქმნის საქმეს და საქმე ქმნის პიროვნებას.
- ერის სიამაყე მხოლოდ ისინი კი არ არიან, ვინც თავი გამოიჩინეს, არამედ ისინიც, ვისი შვილებიც სამაგალითონი იქნებიან.
- როდესაც მუზა ეწვევა შემოქმედს, თუ სილაღე არ იგრძნო, უმალ გაქრება და გაუჩინარდება.
- ხალხთა მეგობრობა ადამიანების ურთიერთობის ყველაზე ნათელი სიმფონიაა.
- შემოქმედის სათქმელი მის გულში მღერის, მისი სული მუდამ ღიღინებს, ლელავს და იფერფლებს.
- ხელოვნება არის ერის კულტურის საზომი.
- მუზა მოულოდნელად ყოველგვარი დაპატიჟების გარეშე შეიჭრება შემოქმედის სულში და ჰანგებად, ლექსად და ამღერებულ ფერთა ნარნარით გადმოიდგრება დღის სინათლეზე.
- ღირსეული ადამიანისათვის სამშობლო დედასთანაა გაიგივებული.

- ხელისუფალმა სახელმწიფო უნდა გააძლიეროს ხალხისთვის და არა მათ ხარჯზე.
- ნაყოფის მოსაპოვებლად მხოლოდ უგუნურები სჭრიან ხეს.
- ფული ბედნიერება და დღესასწაულია, რომელიც გვერდით ჩაგიქროლებს და ყოველთვის სხვებთან არის.
- შემოქმედებით პროცესს საზღვრები არ გააჩნია. ის არასოდეს არაფრით არ არის შეზღუდული.
- ადამიანს ორი მთავარი ფასეულობა გააჩნია: სიცოცხლე და თავისუფლება.
- ხელოვნება, როგორც ყოველი ცოცხალი არსება უგულოდ, მკვდარია.
- დემოკრატია განსხვავდება მმართველობის სხვა ფორმებისაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად უფრო ხელისუფლების ძალაუფლებაა, ვიდრე ხალხის.
- შეიძლება მთელი სიცოცხლე მშვიდობისკენ მიიღტვოდე, მაგრამ ამისათვის იძულებული იყო, მუდმივად იომო.
- შემოქმედს უნდა გააჩნდეს შინაგანი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც შინაგან თავისუფლებაზეა დამყარებული, რის გარეშეც შემოქმედი არ შედგება.
- ყველა ხელისუფლებას თავისი მოქმედების ხელწერა და პოლიტიკა გაჩნია, საერთო კი რაც მათ ახასიათებთ, ეს თვალნათლივ შესამჩნევია: ხელს არ გახლებთ, თუ ჩვენ არ შეგვეხებით.
- ზოგიერთი ავტორი უმჯობესია მსმენელი, მკითხველი ან მაცურებელი იყოს, ვიდრე ავტორი.
- მებრძოლი გენი, რომელიც ჯერ კიდევ ბუუტავს, მას გაღვივება სჭირდება და არა ჩაქრობა.
- სიკეთემ თავად უნდა დაიცვას საკუთარი თავი, ასეთია ცხოვრებისეული ლოგიკა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ლოგიკაც კი არცთუ იშვიათად ძალას მოკლებულია.

- ბალაგანი თავისებურად საინტერესოა, მასში კომიზმი და ლირიზმი ჰარმონიულად არის შერწყმული. ის, რაც ზომიერების შეგრძნებას სცილდება, როცა საზღვრები დარღვეულია და ფანტაზიის სიგიჟეს ბოლო არ უჩანს, ადამიანებში ცნობისმოყვარეობას და ინტერესს აღვივებს.
- როდესაც ირგვლივ ამდენი დილეთანტი, სექტანტი თუ მუტანტი ბოგინებს, შუძლებელია, შენი სრულფასოვნება ვინმეს აინტერესებდეს.
- ჭკვიანი ხალხი მტერსაც კი სათავისოდ იყენებენ და თავის საქმეს მათი ხელით აკეთებენ. ზოგიერთები კი მოყვარეს მტრად იხდიან და თავის ღირსეულ ადამიანებს ებრძვიან და ანადგურებენ.
- ძეგლების დანგრევით სისტემა არ შეიცვლება, მითუმეტეს, როცა ამ ძეგლებს თავად ამავე სისტემის მემკვიდრენი ანგრევენ.
- ქვები, მიუხედავად იმისა, რომ მარადიულები არიან, ადამიანზე უკეთესი მეხსიერებით გამოირჩევიან.
- კარგი, დიდსულოვანი ადამიანის წყალობით ცუდნი უკეთესად ცხოვრობენ.
- ხალხი ქუჩაში ოპოზიციის სიყვარულით კი არა, ხელისუფლების სიძულვილით გამოდის ხოლმე.
- ზოგჯერ ისეთი დრო დგება, როცა არავინ აღარ უყვართ, არავის პატივს აღარ სცემენ, ძეგლები და კუმირები დამხობილია, მხოლოდ პედასტალები დგანან ცარიელი ახალი გმირების მოლოდინში.
- პესიმისტი კარგად ინფორმირებული ოპტიმისტია, რომელიც წარმოიდგენს, რომ იქნება ცუდი, კარგს კი როგორც საჩუქარს, ისე იღებს.
- ბრძოლა წესების გარეშე მიუღებელია. ცნება – ვინც მაგარია, იმან გაიმარჯვოს – დამღუპველია, ძალადობა და ბოროტებაა. გონიერებით გამარჯვებას ალტერნატივა არ გააჩნია.

- სიყვარულს ძალუძს ადამიანს საკუთარი თავი დაანახოს ისეთი, როგორც ის სინამდვილეში არის.
- ვინც კაცობრივად ვირთხებს გამოზრდის, ისიც უნდა იცოდეს, რომ ადრე თუ გვიან ისინი ერთმანეთს დაერევიან.
- ძლაუფლება, რომელიც ვერ ეძლევა სამეფო ტახტს, აღსასრულის ჟამს კუდის ქნევითა და სასიკვდილო კრუნჩხვებში ჩავარდნილი ემშვიდობება ხოლმე მას.
- ზოგიერთისთვის სიყვარული აბსურდია, ყველას ის თავისებურად ესმის, მაგრამ თუ ასეა, უნდა დავსძინოთ, რომ სიყვარული მშვენიერი აბსურდი ყოფილა.
- თავისუფლება მხოლოდ ფასეულობათა გადაფასება არ არის, ის გაცილებით უფრო დიდი ცნებაა.
- ჩანჩალ-ჩანჩურამ იმდენი იჩანჩალა, სანამ შემთხვევით აღზევებულთა დროში არ მიჩანჩალდა. ცხოვრებას ნაღებიც მოხადა, მაგრამ არა ეშველა რა, მაინც ჩანჩალად დარჩა. აღზევებული ჩანჩალა მატერიალურმა დოვლათმა სულიერი სილატაკიდან მაინც ვერ გამოაჩანჩალა.
- ერი ერთი დიდი ოჯახია, ის, როგორც ოჯახის თითოეული წევრი, მთელი ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნავს და ეს იმიტომ, რომ მას ოჯახის ყველა წევრთან ბუნებრივი სიყვარული აკავშირებს.
- დრომოჭმული რეჟიმის ჩანაცვლება ახალი რეჟიმით, ეს მხოლოდ მანევრია და სხვა არაფერი, რადგან რეჟიმი რეჟიმს არასოდეს ცვლის, ის იგივე სახეშეცვლილი, მოდერნიზებული რეჟიმია.
- ზოგჯერ თუ პოლიტიკური იმპოტენცია არ გაჯანსაღდა და რეჟიმი არ შეიცვალა, „ყარტაყურტა“ მინისტრების ნასვლა-მოსვლით ძალაუფლება, უბრალოდ, დროს იხანგრძლივებს.
- შემოქმედ ადამიანს უკან მოხედვის არ ერიდება, ბევრი რამ აქვს საამაყო, მაგრამ ის მუდამ წინ იცქირება, რადგან მისაღწევი ჯერ კიდევ ბევრი აქვს.



- მუსიკა მხატვრული აზრის, გრძნობის, დროისა და სი-  
ცოცხლის უსასრულობაში გატყორცნაა.
- ჭკვიანმა კაცმა იცის, ისე უნდა იცხოვროს, რომ თავის  
ტკივილი ჰქონდეს სხვას, უკეთეს შემთხვევაში არც  
სხვას და არც მას.
- სანამ სამყარო და ადამიანი არსებობს, სათქმელი და აღ-  
მოსაჩენი კიდევ ბევრი იქნება. ეს შეუქცევადი პროცესი-  
ა.
- ენა არის ენის სიბრძნის, კულტურის, სილამაზისა და არ-  
სებობის საფუძველი.
- შემოქმედი ცოცხლობს მუსიკაში, ლექსში და ლაჟვარდ  
ფერთა სიმფონიაში.
- მუსიკის გარეშე სამყარო ყრუ-მუნჯად გადაიქცევა.
- ცხოვრება და ხელოვნება სხვადასხვა რამაა, მაგრამ  
ორივე ერთმანეთს ავსებენ.
- ცივილიზებულ სამყაროს ხშირად არ შესწევს იმის ძალა  
და უნარი, რომ ბოროტებას წინ აღუდგეს.
- ეროვნული კულტურა სულიერების ფუძეა. ეს ფესვები  
ადამიანებს, განსაკუთრებით კი, შემოქმედს უდიდეს  
ენერგიას და საშუალებას ანიჭებს ახალი იდეების განვი-  
თარებისა და ქმნილებების შესაქმნელად.
- ყველაფერი მატერიალური დროებითია. შეიძლება ადა-  
მიანს ყველაფერი წაგლიჯონ, გაძარცვონ, მაგრამ ერთ  
რამეს – ღირსებას, რაც ადამიანის ჭეშმარიტი კუთვნი-  
ლება და სიამდიდრეა, ვერ წაგლეჯენ.
- ერთი ძალის გაძლიერებისთვის მეორე ძალის ავტორი-  
ტეტია ხოლმე ხელის შემშლელი. ამიტომაც მძვინვარებს  
ღია თუ ფარული ბრძოლა საკუთარი ინტერესებისა და  
ძლიერების გასამყარებლად.
- ცოცხალ ლეგენდად ქცეულ ადამიანს ხშირ შემთხვევაში  
ღირსებას და სიდიადეს არ პატიობენ, ზოგჯერ წყლიდან  
ხმელეთზე ამოვარდნილი თევზივით ლაფავს სულს, იმის

ნაცვლად, რომ წყალში შეაყურონ, შეიძლება, პირიქით, ზურგში დანა გაურჭონ.

- ზოგან ყველაზე რთული შრომა ქურდბაცაცობაა, რადგან ეს საქმიანობა არნახული, დიდი კონკურენციით სარგებლობს.
- უდაბნო, ყველანაირი ცარიელი ადგილი და, საერთოდ, სიცარიელე, უადამიანოდ დაწყველილია.
- ვისაც საკუთარ თავზე გაზვიადებული წარმოდგენა აქვს და რასაც არ იმსახურებს, იმის მიღება სურს, იმ იხვის ჭუჭუა ჰგავს, გედად რომ ვერ გადაიქცევა.
- ძალაუფლება ხშირად ხალხის დუმილის გამო ნავარდობს, მაგრამ ამ შემზარავ სიჩუმეს ქარიშხალი მოჰყვება ხოლმე.
- ბოლო დროს ქალების უმრავლესობას პირველი შეხედვით სიყვარულის აღარ სჯერათ, რადგან ძალიან ძნელია უეცრად, ერთი შეხედვით მიხვდე თუ ვინ, რა ავლადიდების პატრონია. . .
- თავისუფლებას უსაფრთხოების გარანტია თან თუ არ ახლავს, შესაძლოა, ის განტეგების ვაცად იქცეს.
- ოპოზიცია ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების და მისი ნასუფრალის მენილეა, ყეფს მაგრამ არ იკბინება.
- არსებობს აზრი, რომ დღეში ერთხელ ერთი ჭიქა ღვინის დალევა სასარგებლო საქმეა. ალბათ, ამიტომაც ზოგი ერთბაშად ერთ დღეში ათზე მეტ სასარგებლო საქმეს აკეთებს.
- დროის დინებას თან ახლავს თავისუფლებათა ახალი ხედვა, გადაფასება. მხოლოდ შედეგები უძლებენ დროს.
- შინაგანი სილამაზის გამოსავლენად გარეგნული ბრწყინვალეობაც საჭიროა.
- თანამედროვე ნათელმხილველები ჩივიან, რომ მომავალს ველრ ხედავენ, სულ წარსული უტრიალებთ თვალწინ.
- ძალაუფლება დიდი ხანია, რაც თავისი ქვეყნის გუშინდელ დღედ არის ქცეული. მისი გედი კარგა ხანია, რაც

ყელმოღერებული მღერის. გედი კი სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მღერის...

- თუ ადამიანს პოზიცია არ გააჩნია, რა აზრი ქვს მის ცხოვრებას? თუმცა ნებისმიერი პოზიცია, თუნდაც უარყოფითი, თავისებური პოზიციაა. „მეფის კარზე“ მოფარვატე ვარსკვლავების და ინტელექტუალების პოზიციას ყოველთვის განსაკუთრებული ფასი ჰქონდა და აქვს, რაც მატერიალურად, სახელმწიფო ჯინჯილებითა და ნუგბართით უზრუნვეყოფს მათ უშფოთველ და ნეტარებით აღსავსე ცხოვრებას.
- ნაწარმოების შექმნა მუხლჩაუხრელ შრომასა და თავის ტკივილთან არის დაკავშირებული, რომელსაც დიდი სიხარული და იმადგაცრეებაც თან სდევს.
- მაგარი ის კი არ არის, ვისაც ზოგჯერ აღმერთებენ, უბრალოდ ბაქია ხალხია სუსტი და ლაჩარი.
- მაყურებელი სპექტაკლის მსვლელობისას მსახიობებთან ერთად თამამის მონაწილე უნდა გახადო. მას ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მისცე.
- ზოგჯერ დიდ ქვეყანას იმდენი დიდი პოლიტიკოსი არ ჰყავს, რამდენიც პატარა ქვეყანას. ყველა პოლიტიკოსობს, სოფლად კი გლეხი და მუშა აღარ შემორჩა, საქმე ვიღამ უნდა აკეთოს?
- დიდი მამის შვილობა არ კმარა იმისთვის, რომ იყო დიდი.
- არიან ისეთები, რომლებსაც მთელი სიცოცხლე სხვის უკანალში აქვს თავი ჩარგული, დრო და დრო გამოყოფენ თავს იქიდან, მიიხედ-მოიხედავენ, სხვა უფრო დიდი და თბილი ადგილი ხომ არ გამოჩნდა და ისევ უკან შეძვრებიან თავიანთ სამფლობელოში.
- ყველაზე ძნელი დრომოჭმული ადათების აღმოფხვრაა.
- სხვათა ავლადიდების დათვლა ცუდი თვისებაა, მაგრამ საინტერესო.
- ძეგლებს ხშირად ავაზაკები და საკუთარი ძეგლის წამოჭიმვის მაძიებლები ამხობენ.

- შემოქმედი ადამიანის სიცოცხლე და ქმნილებები დიდ წიგნს ჰგავს, რომელსაც მუდამ ახლებურად კითხულობენ.
- ტვინის დამსახურებაა, ჩვენ რომ ვაზროვნებთ, ვფიქრობთ და ისიც, რომ გვგვონია, ვფიქრობთ.
- ძალაუფლება, რომელშიც საკუთარ ხალხზე გამარჯვებას ზეიმობს, ეს თანდათან მანიაკის რიტუალურ როკვას ემსგავსება მსხვერპლის გარშემო. თავისი ძლევამოსილების აღსანიშნავად ზეიმებს მართავს ხოლმე და ამ სანახაობის მოსაწყობად ფულს ისევ დამონებულ ხალხს ახდევინებს.
- ახალგაზრდობისას ფილმივით გამოსხივებული ოცნების წლები მთელი სიცოცხლის მანძილზე ძვირფასი და სანუკვარია.
- ღმერთი მონყალეა, მაგრამ დაუნდობელია მრისხანებისას, ამის მიზეზი კი ადამიანების ცოდვებია.
- ადრე იდეოლოგია არსებობდა, როგორი იყო ის, ყველა-სათვის ცნობილია. ახლაც არსებობს რაღაც, რომელიც ღალადებს: როგორც შეძლებთ, ისე იცხოვრეთ.
- სილამაზეს კომპრომისები ახასიათებს. სამყაროს კი კეთილგონიერება და სიკეთე გადაარჩენს.
- სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა, ბოლო დროს ბევრი მიხვდა, რომ მხოლოდ ნამუსით თავს ვერ გაიტანენ, მის უდიდებულესობას ნამუსს შემოსავალი აღარ მოაქვს.
- ღმერთს კეთილი ადამიანები გამორჩეულად უყვარს, მაგრამ რატომღაც ისინი ბოროტებთან შედარებით უფრო უიღბლონი არიან.
- იმპროვიზაცია შემსრულებლის, მსმენელსა და მაცურებელს შორის მაშინ შედგება, როცა ის წარმატებულია, რომლის აქტიური თანამონაწილე და ამყოლიც თავად ხდებიან, როცა სუყველა იმპროვიზაციის სტიქიის ეპიცენტრში აღმოჩნდებიან.
- მამაკაცი შინაურია, სანამ სახლშია, სახლიდან რამდენიმე მეტრით დაშორებული, უკვე არავისი ან სხვისია.

- იმპროვიზაცია არსებული თემის ფარგლებში უფრო ბუნებრივი და სასურველია.
- რასაც ადრე მტერი ცეცხლითა და მახვილით ვერ აღწევდა, ახლა ერთი გასროლის გარეშე გახდა შესაძლებელი. დაავინყე ერს წარსული და ის მოკვდება.
- თუ შემოქმედი ადამიანი არ მიისწრაფვის კაცობრიობის უმაღლესი მიზნის – სულიერი განვითარებისაკენ, ის მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის.
- ადამიანი ზოგჯერ უნდა შეჩერდეს და საკუთარ თავს ჰკითხოს – „რისთვის ვხმაურობთ ძმებო?“
- ადამიანების უმრავლესობამ, რომლებიც მარადიულ სიცოცხლეზე ოცნებობენ, ზოგჯერ ის არ იცის, თუ რა უნდა ქნას შუადღის შემდეგ.
- სამყარო განვითარებადი და ცვალებადია, ცვალებადობა კი უწინარესად პროგრესს გულისხმობს. ადამიანური გრძნობები კი მარადიულია. ადამიანი დღესაც ისევე, მწვავედ განიცდის ერთგულებას და ღალატს, სიყვარულსა და სიძულვილს, როგორც მრავალი საუკუნის წინათ განიცდიდა.
- ზოგჯერ ხალხის საქციელი გაცუებას იწვევს, სულ პოლიტიკური სპექტრის და ხელისუფლების კრიტიკაშია. იმას არ ფიქრობენ, რომ როგორებიც თვითონ არიან, ისეთი პოლიტიკური სპექტრი და ხელისუფლება ჰყავთ.
- არაფერია იმაზე დიდი უბედურება, როგორც ძალაუფლება, ფული და არაკომპეტენტურობა.
- ჭკვიანმა ქალმა მამაკაცს შეიძლება ერთხელ ისე შეხედოს, რომ ის სამუდამოდ კაბაზე გამოიბას.
- სული და სხეული ერთი ორგანიზმის ნაწილია, მაგრამ ხშირად არ არიან ხოლმე ურთიერთთანხმობაში.
- ზოგჯერ ხელისუფლების სიძლიერის ერთ-ერთი მიზეზი სუსტი ოპოზიციაა.

- ბევრი ფული მსუბუქად ატარებს ადამიანს, ცოტა კი მძიმედ. ვინც სულიერებით საზრდოობს, მისთვის ბევრ და ცოტა ფულს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.
- ყოველთვის კანონიერი ან სამართლიანი როდია ის ხელისუფლება, რომელსაც უფრო ძლიერი შეიარაღება აქვს.
- ისინი, ვინც საკუთარი მამა-პაპის საფლავს დაკარგავენ, მათ მოძიებასა და დაბრუნებას არ ლამობენ, განწირულები არიან. სხვათა საფლავებზე რწყან ყვავილები, რადგან აღარ ეცოდინებათ საკუთარი სად არის, საიდან მოდიან და საით მიდიან.
- შესაძლოა, შემოქმედს ჩაკეტილ სივრცეში უხდება ზოგჯერ მოღვაწეობა, მაგრამ მისი შემოქმედება შეუძლებელია იყოს ჩაკეტილი. ჭეშმარიტი ქმნილება ყველა დროისა და ხალხის კუთვნილებას წარმოადგენს.
- სიახლე გაკვირვებას იწვევს, შემეცნება კი გაკვირვებისაგან იწყება.
- ვისაც უნდათ, ერთმანეთი არ დაკარგონ, წყენა უნდა გაინანვილონ.
- პოლიტიკა ყველას არ აინტერესებს, მაგრამ პოლიტიკური სიახლეები ყველასათვის საინტერესოა.
- არ არსებობს ძალა, რომელიც მოსპობს მუსიკას. მუსიკა უძლეველია.
- სამშობლო დედისაგან და ბავშვობიდან იწყება.
- რაციონალური აზრი ნიჭიერ შემოქმედს ხდის თავისი დროის, ეპოქალურ პიროვნებად, მას ძალუძს, შეიგრძნოს, დაინახოს და ქმნილებაში წარმოაჩინოს დროის ყოველი ნიუანსი, ადამიანის სულიერი განცდები, წარსულის, აწმყოს თუ მომავლის ლაჟვარდები.
- თუ გინდა იყო ბედნიერი, არასოდეს არავისი არ უნდა შეგშურდეს.
- თაობათა ცვლა მტკივნეული პროცესია. როდესაც შვილები ბრძოლას უცხადებენ მამებს, თაობათა კავშირის

რღვევას, არაფერი კარგი არ მოაქვს, არც პირადი ღირსებისთვის, არც კულტურის განვითარებისათვის და არც ქვეყნისთვის.

- ადამიანი შეიძლება ჩამოაცილო ტაძარს, მაგრამ არა ღმერთს.
- რომ შექმნა, პირველ რიგში, უნდა დაინახო, გაიგონო, იგრძნო, წარმოიდგინო და შემდეგ შექმნა. უბრალოდ, ეს ყველას არ შეუძლია – ეს ღვთაებრივი განძია.
- ადამიანი ყოველთვის სიკეთისა და სიყვარულის ტალღაზე უნდა იმყოფებოდეს.
- აზრი თავისუფალი ცნებაა. იმდენი აზრის მოსმენა შეიძლება, რამდენიც წარმოიშობა თითოეულ ადამიანში. ყოველი ინდივიდი აზროვნებს თავისი დონისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაბამისად.
- ადამიანები მუდამ უნდა ისმენდნენ და უტკეპრდნენ რაიმე ზემოთაგონებულს, ზეამაღლებულს.
- როდესაც ადამიანს სიბინძურეს ასხავ, უნდა იცოდეს, რომ ეს სიბინძურე შენს ხელებზეც დარჩება.
- შემოქმედებითი პროცესი ჯადოქრობაა. ეს არის გონებრივ და ემოციურ სფეროთა სინთეზი. ნიჭის და ოსტატობის შერწყმა დიდ ცოდნასთან. ჭვრეტის, გარდასახვის და ფანტაზიის უნარი, თანამედროვე ტექნიკის ფლობის უნივერსალობა. შემოქმედის ქმნილება ტიტანური შრომის ნაყოფია.
- სანამ ვინმე გიყვარს, ცხოვრება საამურია. სიცოცხლის მიზანი სიყვარულია.
- როდესაც გრძნობა ჭარბობს გონებას, ნაწარმოებზე ის თავის ზეგავლენას ახდენს, შემოქმედებაში ყველაფერი ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული.
- თუ გარშემო სუყველა სულელია, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ ვის ირგვლივ იკრიბებიან.
- ძალაუფლების გვერდში დგომა ყოველთვის არ ნიშნავს ქვეყნის გვერდში დგომას.

- ღიმილის მომგვრელია, როცა წარმოჩენას ცდილობენ, თითქოს და ერთმა ადამიანმა იცის ყველაფერი და ლამის აღმერთებენ.
- ძლიერ მონინააღმდეგეს თუ დაუთმობ ნიანებ, თუ არ დაუთმობ – მაინც ნიანებ. ჭკუით უნდა აჯობო მას.
- ხელისუფლების შეცნობა იმითაც არის შესაძლებელი, თუ როგორი ადამიანებით არის გარშემორტყმული.
- ისინი, ვინც ადამიანებს სულიერად არაფერს აძლევენ, ქვეყანასაც მნიშვნელოვანს არაფერს შემატებენ.
- შეგიძლია ყველას პატივისცემით მოექცე, მაგრამ ყველას არ უნდა ენდო.
- წარმატება და კეთილდღეობა ეს ისეთი სასიამოვნო ხუმრობაა, რაც შეუმჩნეველად მოდის და ასევე მოულოდნელად უჩინარდება
- შემოქმედისთვის და მეცნიერისათვის სამყარო იდუმალებითაა მოცული. რაც უფრო ეცნობი და ღრმად ჩანვდები მას, მით უფრო ღრმავდებიან მისი საიდუმლოებანი.
- თანამედროვე ადამიანი უნდა აზროვნებდეს თანამედროვედ. ახალი ეპოქა ახალ აზროვნებას მოითხოვს.
- მთელ ქვეყანაზე ადამიანებს უფალი იცავს. ოღონდ დაცვის გარანტი რატომღაც ყველას სხვადასხვაგვარი აქვს.
- შეცდომებისგან არავინ არის დაზღვეული, გენიოსებიც და ყველაზე ნათელი გონების ადამიანიც კი.
- შემოქმედებით პროცესში შემოქმედი ეთიშება ყოველივე ყოფითს, მისი გონება და მისწრაფება დამუხტულია ღვთაებრივი ძალის შთაგონებით, ის იმყოფება სულ სხვა განზომილებაში, სხვა სასიცოცხლო სფეროში.
- ზოგიერთს სიცოცხლე მხოლოდ სუნთქვა ჰგონია.
- წიგნთა წიგნი უდიდესი სიბრძნე და სინმინდეა, ეს ის საოცრებაა, რომლის შესასწავლად უხსოვარი დროიდან მოყოლებული ღირსეული წინაპრები თავს სწირავდნენ,



რათა მომავალი თაობებისთვის შემოენახათ სამყაროს ღვთაებრივი საგანძური.

- ვინც ცხოვრებაში შანსს ერთხელ ხელიდან გაუშვებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა შანსი არ მიეცემა და ისევ ხელიდან არ გაუშვებს.
- რამდენიც უნდა გლანძღონ და გადიდონ, მაინც შენი საქმე უნდა აკეთო.
- დრო მიფრინავს, პროგრესი თვალსაჩინოა, ადამიანების უმრავლესობას კი რატომღაც ჭკუა არ ემატებათ...
- გაცილებით უფრო ძნელია, დარჩე ადამიანად, ვიდრე სახელი მოიხვეჭო და გახდე ცნობილი.
- იყო ჭკვიანი, კარგია, სასარგებლოა. იყო „ძალიან ჭკვიანი“ სახიფათოა!
- ხელისუფალი ხალხთან ერთად უნდა ფიქრობდეს და გონივრულ გადაწყვეტილებას თავად უნდა იღებდეს.
- რეალურად საქვეყნო საქმეს ის აკეთებს და იმას დაეჯერება, ვინც სანაცვლოდ არაფერს ითხოვს.
- ქალები უყურადღებოდ არ ტოვებენ საინტერესო მამაკაცებს. უფრო მეტ ყურადღებას იმ მამაკაცებს აქცევენ, რომლებსაც ლამაზი ქალები უმშვენებენ გვერდს.
- ადამიანების უმრავლესობას სჯერათ ზედაპირულად, მაგრამ ეჭვობენ და ეშინიათ საფუძვლიანად.
- ტექნოლოგიურ პროგრესს ახასიათებს ტრადიციებისა და ღირებულებების გაუფასურება.
- ხელისუფლება ხალხის ცრემლებს ხედავს, მაგრამ ხშირად მათი ტირილის ხმა არ ესმის.
- ჭადრაკის დაფაზე მეფესთან ყველაზე ახლოს პაიკებია განლაგებული. ცხოვრებაშიც პაიკების გარემოცვა ზოგიერთისთვის ილუზიას ბადებს, რომ მეფე არის.
- რა ეშველებათ რომანტიკოსებს? ზოგიერთ მამაკაცს ორმოცი წლის ასაკშიც კი ისევ ზღაპრების სჯერა, გასაკუთრებით კი, როცა ამ ზღაპრებს ლამაზმანები უყვებიან.

- როდესაც მტრობის, შურის და გაუტანლობის ქია უხსოვარი დროიდან ღრნის ერის სულიერებას, ერი უფრო კარგავს, ვიდრე პატრონობს თავის დიდებულ, ნიჭიერ პიროვნებებს და სულიერ მონაპოვარს.
- ქალების უმრავლესობას ურჩევნია უფრო ლამაზი იყოს, ვიდრე ჭკვიანი, რადგან მამაკაცების უმრავლესობა უფრო კარგად ხედავს, ვიდრე აზროვნებს.
- როდესაც სხვისი ფეხსაცმელი გაცვია და ნათხოვარი ზონრით იკრავ, ფეხიდან რომ არ გაგძვრეს, ტყუილად ნუ ცდილობ და ვერავის ვერც დააჯერებ, რომ ყოვლის შემძლე ხარ.
- ზოგს სიძულვილი უნარჩუნებს სიცოცხლის სიტკბოს. მთავარია, ნამოდგომაში დაეხმარო ადამიანს, დაცემა იოლია. ადამიანები უხსოვარი დროიდან ესროდნენ ქვებს ერთმანეთს.
- როდესაც ხელისუფლებამ არ იცის, რა აკეთოს ან როგორ იმოქმედოს, ტრადიციულად ხალხს ერთი მხრიდან მეორე მხარეს აბურთავენ. ძალეუფლება სატყუარა მინასავითაა, მასზე მოკალათება სანუკვარი ოცნების აღსრულებაა, დროულად მასთან განშორება არავის ეთმობა, მოგვიანებით მშვიდობიანი წასვლა კი შეუძლებელი ხდება, რადგან როგორც კი მისგან ჩამოსკუპდები, შეიძლება იფეთქოს. ქვეყანა ყალბი გმირებით და ისტორიით ვერ გაძლიერდება.
- რწმენა, ცოდნა და ქველმოქმედება ყოველთვის იყო ჩვენი მფარველი წარსულში, გვიფარავს დღეს და დაგვიფარავს მომავალშიც.
- ჭკვიანი ადამიანი თვითონ არის თავისი ცხოვრების სცენარისტი, მსახიობიც და რეჟისორიც.

**Guram Paataashvili**

**The World of Maestro's Ideas**

**Summary**

The first and second parts of Guram Paataashvili's book "Pages of Life and Activity" have been published. The book depicts the life and activities of the well-known author, public figure, composer, scientist, publicist, laureate of international awards, academician Guram Paataashvili. The work contains a collection of his thoughts "The World of Maestro's Ideas". The book is intended for a wide circle of readers. We are offering a passage from the second part of this book.

გამომცემლობის რედაქტორი: **რუსუდან მიქენაია**  
დამკაბადონებელი **ხათუთა ზადრიძე**  
გარეკანის დიზაინერი **მარიამ ებრალიძე**

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 14

14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179

Tel.: 995(32) 225 14 32

[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge)

